

1967

ბუნებისმეტყველება



1967

4

გნათობი



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 44-ე

№ 4

აპრილი, 1967 წ.

საპარტველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ედიშერ უიფიანი — წითელი ღრებლები. რომანი.	5
სიმონ ჩიქოვანი — გამოუქვეყნებელი ლექსები.	44
იოსებ ნონეშვილი — ლექსები	53
სოლომონ დემურხანაშვილი — ბაქანზე ჩავლილი სივუარული. მოთხრობა	55
ბონდო კეშელავა — ლენინი, ლექსი	64
გიორგი ხუბაშვილი — ცხოვრება კაცისა, სახალხო დრამა სამ მოქმედებად	65
ელგუჯა მადრაძე — ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა. მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი. ვაგრაძელება	100
უფროსი ედა — ძველი ისლანდიური სიმღერები ღმერთებსა და გმირებს. თარგმანი გერმანულიდან ვიოტა კალანდაძისა	118
სადგე მელაიათი — აბუ ნასრის ტახტი. მოთხრობა, თარგმანი სპარსულიდან თ. კე- შელავასი	125

1870 — 3. ი. ლენინი — 1967

ვ. ზრუგაძე — სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია	136
--	-----

ღიალი 50 წელი

იოსებ ცინცაძე — ოქტომბრის რევოლუცია და კოლონიური სისტემის კრახი	146
---	-----

კრიტიკა და ხელოვნებისმცოდნეობა

გიორგი ცინცაძე — მიხეილ შრეველიშვილის დრამატურგია	152
ნათელა ფრუშაძე — სანდრო ახმეტელი	160

ფაქტები, მოგონებანი

მიხეილ კვესელავა — ათასი ფუთი ბრალდება. განცდილი და გაგონილი. ვაგრაძელება	169
---	-----

წიგნების მიმოხილვა

თენიშერაჟ ჭურდოვანიძე — საინტერესო ფოლკლორული კრებული	187
შოთა ბაღრაძე — „მარი ბროსე“	189

10.36





მთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარ-
დაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრა-
ძე, ბ. უდენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთა-
თელი, ე. უიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შან-
შიაშვილი, ვ. წულუკიძე, გ. ჯიბლაძე.

ტიტრედაქტორია რ. ჩაკვიტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 3-55-11,
პ/მგ. მდივნის — 3-55-13, განყოფილებე-
ბის — 3-55-15, 3-55-17, 3-55-20.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VI-67 წ. ქა-
ღალის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა
7¹/₄×12¹/₂. ფიზიკურ ფორმათა ჩაოდენობა 12.
პირობით ფორმათა ჩაოდენობა 16.

უკ 02031. ტირაჟი 8200. შეკვ. № 1050.

საქ. კმ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატ,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ნითელი ღრუბლები

რ მ მ ნ ი

მოკმედნი პირნი

ჯაბა პლავიძე — შურნაღისძი, 24 წლის

— ჯაბა, გაიღვიძე, გესმის, ჯაბა?!

ნინოს იატაკის საწმენდ ჯოხზე ტილო დაუხვევია და ჰერს ფარცხავს. აქა-იქ აბლაბუდეები გაჩენილა, ნავთურის ბოლს გაუმურავს კედლები. თეთრ ელექტროსადენს შავი ბუსუსები დაჰყრია. ნინო ვერ ხედავს, მაგრამ გრძნობს, რომ ოთახი მტვრითაა სავსე. „რაღა ახლა მომაგონდა ეს ჰერი“ — ფიქრობს იგი.

— ნიჭო, აღდექი, თორემ დაგაგვიანდება!

ხმა მოზომილია, არც ისე ძლიერი, რომ ღრმა ძილში მყოფი დააფრთხოს და ერთბაშად გაღვიძებულს გული აუჩქროლოს, არც ისე სუსტი, რომ ტბილად მთვლემარე საბოლოოდ არ გამოაღვიძოს. ჯაბა კი არც ღრმა ძილშია და არც თვლემს. ღვიძავს, მაგრამ თვალებს არ ახვლს. როცა დედას ჰკონია, არავენ მისმენსო, ან მარტოდმარტო ეგულება თავი, ხმამაღლა ფიქრი უყვარს ხოლმე. და ჯაბა ელოდება, რას იტყვის ახლა დედა, როგორ ახსნის მის სიზარმაცეს.

— ჯაბა, გესმის, ჯაბა. უკვე ცხრა საათია!

ნინოს საწმენდმა ჯოხმა გამოტოვა ჰერის ნაწილი, ჯაბას საწოლს რომ თავს დაჰყურებს, და ოთახის კუთხისაკენ გადაინაცვლა.

— რა დაემართა ამ ბიჭს, ავად ხომ არ არის?

ჯაბას გაეღვიძა, თვალები ოდნავ გამოაბყუტა, თითქოს წამწამები ერთმანეთზე დაკვრიოთ, დედას თხელი თავსაფარი წაუტრავს თმაზე, ჭალარას უმაღლავს, ლოყები წამოწითლებია დაღლილობისაგან.

„პატარა გოგოს ჰგავს, — ვაიფიქრა ჯაბამ, — რა სულელი ვიყავი, რა მატირებდა, ან მე ვინ მეკითხებოდა; თერთმეტი წლის ძლივს ვიქნებოდი... აღარ დაიტანჯებოდა მაშინ დედა“...

— ჯაბა, ცხრა საათია უკვე, გამოგაგდებენ რედაქციიდან!

ნინო მოპირდაპირე კედლისკენ გადანაცვლებულა, ჯოხიდან ტილო მოუხსნია და ახლა ხელით წმენდს ჰერს.

ოთახი სხვენშია ჩაშენებული, წითლად შეღებილი თუნუქის სახურავ-ქვეშ. ამიტომ ჰერიც სახურავივით დაქანებულია, ოთახის ორი მოპირდაპირე კედელი სხვადასხვა სიმაღლისაა. ერთთან ხელით ვერ ასწვდები ჰერს, მერე თანდათან დაბლდება და ბოლოს წელში მოხრილმა უნდა გაიარო, რომ თავი არ აარტყა. საწოლებიც და მაგიდაც მაღალი კედლის გასწვრივ დგას. ამას კიდევ შეეგუებოდა ადამიანი, ადრე გაზაფხულიდან შუა შემოდგომამდე საშინელი სიციხე და ბუღი რომ არ

იღვტს. ამბობენ, ეს ძველისძველი, ასი წლის წინანდელი სახლი ვიღაც ვაჭარს აუშენებია თავისი საყვარლისათვის, აქ, ქერქვეშ კი სარეცხის საშრობი ჰქონდა მოწყობილიო. ამიტომ თავიდანვე ისე განელაგებინა კედელდაკოჭლებული ოთახები, რომ მეტი მზე მოხვედროდა თუნუქის ქერს და ოთახებშიც ბული დატრიალებულიყო სარეცხის მალე გასაშრობად.

ოცდათხუთმეტი წლის წინათ, ვიღაც ახალგაზრდას, სოფლიდან ჩამოსულ პირველ საბჭოთა სტუდენტთაგანს, მიუვინია ამ სხვენისათვის და სტუდენტობაც აქ გაუტარებია, მერე მეშვედროებით გადადიოდა ოთახი, რამდენიმე თაობა გამოუცვლია. ხან მარტოხელები ცხოვრობდნენ, ხან ცოლშვილთან ერთად ბინადებოდნენ. მეექვსე თაობა ჯაბას მამა იყო, მეშვიდე და უკანასკნელი — თვითონ ჯაბა. მამა ომში დაიკარგა უგზოუკვლოდ და ნინო თავისი ერთადერთი ვაჟიშვილით ამ სხვენს შერჩა.

— ჯაბა, ბიჭო, — მოისმა დედის ხმა. — ნამდვილად შეყვარებულია, — ჩაიჩურჩულა ძლივს ვასაგონად, — ერთი ვკითხავ, რომელ საათზე დაბრუნდა წუხელ!

ჯაბას ისევე გაეღიმა და ისევე გამოაბეჭეტა თვალები. დედა მამის გადიდებულ სურათის გვერდზე იღვტა, ქალას მხარი კაცისას ეხებოდა. თითქოს ასე ვადაელოთ, ერთი სიმაღლის მოჩანდა ცოლ-ქმარი. „მამა მაღალი იყო“ — გაიფიქრა ჯაბამ. მაგიდაზე თვალი მოჰკრა პაპიროსს, მოწვეა მოუნდა, მაგრამ მამის დედასთან „თამაში“ შეწყდებოდა.

ცოლ-ქმარის სურათი ორად გაიყო, ერთი ნახევარი შემობრუნდა და პირისპირ დაუდგა მეორეს. ნინომ წინსაფრის ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო, შეშას დაუსვა, ყავისფერ ჩარჩოზე შემოატარა. ხელები ჩამოუშვა, და ერთხანს თვალებში უცქირა მეუღლეს. მერე დერეფანში გავიდა. ჯაბას ვედროს ეღრიალი მოესმა. „ახლა წყალს ამოიტანს და ოტაკს ემგებება“, გაიფიქრა მან.

პაპიროსს გადასწვდა და გააბოლა.

რამდენი საქმე აქვს დღეს! რედაქციაში შეუძლია არც მივიდეს...

მამის თოთხმეტი წლის თუ ოცნეშად, მეზობელ ქალს დაუნახავს ჯაბა ქუჩის ბიჭებში მდგარი. ბიჭები პაპიროსს ეწეოდნენ. მეზობელი მოსულა და დედასთან დაუბებლებია — თქვენი ჯაბა პაპიროსს ექაჩებოდაო. პირველად გოცდა ჯაბა, როცა ოთახში შესულს დედა უსიტყვოდ წასწვდა და ყური კინლამ ააგლოჯა. ჯაბა ყოველთვის ახერხებდა და დედას მაინცდამაინც არ აცემინებდა თავს, გაქცეოდა და დედა ველარ ეწეოდა, მაგრამ მამის არ გაიქცა, უდანაშაულო იყო და იმატომ. და გაანჩხლებულმა ნინომ, ძალაუნებურად, ზედმეტად დასაჯა შვილი. მთელი დამე გულამომჯდარი ტიროდა ჯაბა, დედის ნახელავი კი არ სტკიოდა, უსამართლო დასჯას ვერ შერიგებოდა. „მე არ ვწვედი, ისინი სწევდნენ, მე მხოლოდ მათთან ვიდექი... მათთან ვაღქვი, ისინი სწევდნენ...“ მაგრამ დედას მეზობელი ქალის სიტყუე უფრო სჯეროდა. როცა მეორე დღითაც, დედის პირველივე გამოლაპარაკებაზე, ტირილი წასკდა ჯაბას, ნინო იმ ქალს ჩაუვარდა ქვედა სართულში და ერთი ამბავი დააწია; ტყუალუბრალოდ გამალახვინე შვილიო, ქალი კი დაემღურა: „თუ გინდა ჯიბგირი შვილი გაგზარდოს, გაზარდე და გყავდეს“.

„მამის რომ მართლა მომეწია პაპიროსი, ისე დამსაჯა დედამ, ალბათ, მერე აღარასოდეს მოგწვედი ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ უდანაშაულოდ დამსაჯა და, მგონი, იმ წელსვე დავიწყე...“

ნინო ისე იყო დამფრთხალი, უმამოდ დარჩენილი ბავშვი ხელს არ გადაჰყვესო, რომ ზედმეტად ეპვიანობდა, შიში თვალებს უდიდებდა და არარსებულს აღანდებდა.

ერთ დღეს — მამის ჯაბა მესამე თუ მეოთხე კლასში იყო — დედამ გააღვიძა, ლოჯინში მწოლარეს და ძილ-ღვიძილში მყოფს, თავს დაადგა გამძვინვარებულ, ცალ ხელში ჯაბას მოკლე შარვალი ეჭირა, მეორეში — ქალაღლის ორი მანეთიანი.

— რა უნდოდა ამას შენს ჯიბეში! — დაუყვირა დედამ და მანეთიანები ცხვირწინ შეუშრიალა.

დედა ყოველდღე ატანდა საუზმის ფულს, მაგრამ ჯაბა ყოველთვის საუზმეზე არ ხარჯავდა. ამხანაგს დაპატიებებდა და ორჯერ ნანახ კინოფილმს მესამედ ნახულობდა. მუზეუმების ფართო დარბაზებში ხეტიალი უყვარდა. კვირაში ერთხელ მაინც აირბენდა დიდი მუზეუმის მესამე სართულზე და დიდხანს იღვანობდა თბილისთან მოკლული ვეფხვის ფიტულთან. იქვე გამოკრული იყო ფოტოსურათი იმ გლახებისა, ვეფხვს რომ შეეყარნენ და მოჰკლეს. ეს ვეფხვი და ვილაყ რევოლუციონერის სანთლისგან გაკეთებული ქანდაკება ხიზლავდა ყველაზე მეტად. ქანდაკება სხვა მუზეუმში იყო. ციხის საკანში იჯდა რევოლუციონერი, ხელებზე ბორკილები ედო და საკნის კარისკენ იყურებოდა. კარში ვიწრო სარკმელი იყო ამოჭრილი, აიწეოდა ჯაბა ფეხისწვერებზე, ხელებით მიეყრდნობოდა კარს, სარკმელში შეიჭვრიტებოდა და შიშის კანკალი აიტანდა; ისეთი მეტყველი სახე და თვალები ჰქონდა სანთლის პატიმარს, თითქოს სადაცა ხმას ამოიღებდა და შეჰყვირებდა ჯაბას: „ვინ ხარ შენ? რა გინდა აქ?!“ ჯაბას რატომღაც ეგონა, სწორედ ამას ჰკითხავდა პატიმარი. ეშაოდა, მაგრამ ყოველთვის მარტო მიდიოდა ამ მუზეუმში.

ერთხელ სკოლიდან შინ მოჰყავდა მამას. ჯაბამ მოულოდნელად ჰკითხა: „მამა, შენ რატომ არ გამოხვედი რევოლუციონერი?“ მამას გაეცინა, მერე სახლამდე სულ იცინოდა, თავისთვის იცინოდა. ღამით, როცა ჯაბა ლოგინში იწვა და მშობლებს ჩაძინებული ეგონათ, მამამ დედას წასჩურჩულა; იცი, ჯაბამ ასე და ასე მკითხა დღესო, და ისევ გაეცინა. მაშინ ვერ ხვდებოდა ჯაბა, რა უხაროდა მამას. ახლა ხვდება — მაშინ მამამ პირველად იგრძნო, რომ შეიღს მარტო ოჯახი აღარ ზრდიდა, რომ ეს შეკითხვა შინ დაბადებული კი არა, გარე-

დან შემოყოლილი იყო. თანაც საყვედურს ჰგავდა და, ალბათ, მეტად მინამწენლოვანი ჩანდა ცხრა წლის ბავშვისათვის.

ეს ადრე მოხდა, ჯიბეში აღმოჩენილი მანეთიანების ამბავი კი — მერე, მამის დალუპვის შემდეგ, თავისი ქუჩის ბოლოს, სამკედლოსთან, მანეთიანი იბოვნა ჯაბამ, ჯიბეში მეორე ჰქონდა, დედის მოცემული. სკოლის შემდეგ ბურთი ითამაშეს უფროსკლასელებთან, გვიან დაბრუნდა, ისადილა და გაკვეთილების მზადებას შეუდგა. მერე შეკვდარივით ჩაექანა...

— რა უნდოდა-მეთქი, ამას შენს ჯიბეში?

ჯაბამ თვალები მოიფშვინტა, ჯერ თავის შარვალს შეხედა, მერე მანეთიანებს. მიხვდა, რატომ გაანჩხლებულიყო დედა.

— ვიპოვე... სამკედლოსთან ვიპოვე მანეთი!

— მეორე?

— მეორე არ დამიხარჯავს... შენი მოცემული არ დამიხარჯავს, წიგნის ყიდვა მინდოდა.

— ო, რა ცოცხალი ტყუილია, რა ცოცხალი! — დოინჯი შემოიყარა დედამ, — რა გიყო ახლა მე შენ, სხვა გზა აღარ დამჩენია, დავუძახებ მილიციას და შენს თავს წავაყვანიებ, იჯექა ციხეში და ჰკამ ხველი პური, რაღა შენ პოულობ, ბიჭო, ფულს, რატომ მე ვერ ვნახე ვერასოდეს?!

მაშინ დედამ ხელი არ ახლო ჯაბას. ალბათ, შეეცოდა, ლოგინში წევს და ვერ გამეჭკევა, თავს ვერ უშველისო, თანაც, ალბათ, დაუჭერა ყველაფერი, მაშინ რატომღაც ეტყოდა:

— ოქრო რომ ნახო, ხომ გცმის, ოქროც რომ ნახო, არ აიღო!

მაგრამ, ეტყობა, ის წელი ფულების პოვნის წელი იყო ჯაბასათვის. თითქოს ჯიბრზეო, სამი დღის შემდეგ, სკოლისაკენ მიმავალმა, კომუნარების ბაღის ხეივანში წითელ სამთუნთან მოჰკრა თვალი. ის იყო უნდა დახრილიყო და აედო,

რომ ცოცხლად მოესმა დედის სიტყვები: „ოქროც რომ ნახო, არ აიღო, არ აიღო...“ ჯაბა წელში გაიშარდა და, როგორც მძინარე გველს, ისე შეშინებული გაშორდა დაკმუქვნილ წითელ სამთუნთან. ვიღაც გამეფლმა, შეეწროსანმა კაცმა ყურადღება მიაქცია, მიწას რომ დასცქეროდა ჯაბა, თვითონაც დაიხედა, ფული სწრაფად იტაცა, ჯაბასავე შემობრუნდა, რაღაც შტერულად გაუღიმა და შეუჩერებლივ განაგრძო თავისი გზა.

როცა საღამოს ეს ამბავი გაამხილა, დედამ ხელები გაასავსავა:

— ღმერთო, რა ცუდლუტი მეზრდება; ის კი არ მაკვირვებს, რომ იგონებ, როგორ იმახსოვრებ მერე, რატომ სიმართლეში არ გერევა!

— მართლა ვიპოვე, დედა, რატომ არ გჯერა, შენი დარიგება გამახსენდა; ოქროც რომ ნახო არ აიღო, და არ ავიღე. მერე ვიღაც კაცმა გამოიარა და დასტაცა ხელი.

— ტყუილი, ტყუილი, ახლა გინდა ვინანო, რატომ ენა არ ჩამივარდა და რატომ დავარიგე-მეთქი, ხომ?

— ჰო, — იწყინა უეცრად ჯაბამ, — მინდა ინანო და ყველაფერი მოვიგონე.

— ხომ მივხვდი? შენ ვერაფერს გამომაპარებ!

— ჰო, მივხვდი... — ჯაბა გაიბუტა.

— რა ბიჭი ხარ! ფული გენახა და არ აიღებდი? ვინ ყრის ბაღში სამთუნთანებს...

— არაეინ არ ყრის. ხომ ვითხარი, გამოვიგონე, რომ გენანა.

— მართალს რომ ამბობდე, ხომ მაშინვე დედას დაიფიცებდი!

— დედას ვეფიცები, თუ ტყუილს ვამბობდი! — წამოიძახა გამწარებულმა ჯაბამ.

— ჰმ, ბაღში ხომ? — ნირი წაუხდა დედას, — ეგდო და არ აიღე, ა?

— ხომ ვითხარი; ვიღაც კაცმა აიღო...

— კარგი, არ გაგიჯავრდები, მაჩვენე ახლა, — თქვა უეცრად დედამ და შეიღოს ჯიბისაკენ თვალი გაეპარა უნებურად, — თუ მართლა იპოვე, რას გერჩი,

ხომ არ მოგიპარავს, სულერთია, სხვა აიღებდა. მაჩვენე, იქნებ გახელოდა და არც მიიღონ!

— რა მაჩვენე, დედა, ხომ ვითხარი, შენი ნათქვამი გამახსენდა-მეთქი!

— არ გაგიჯავრდები, მომეცი... თუ მართლა იპოვე, არ გაგიჯავრდები, სადილის ფულად გვეყოფა ხვალ.

ჯაბას ისე შეეცოდა დედა, კინაღამ ცრემლები წამოსცვივდა.

— დედა...

მეტი ვერაფერი თქვა, მაგრამ დედა მიხედა, რომ მართალს ეუბნებოდა.

— შე სულელო, მართლა სულელო, რაღა მიანცდამაინც ეგ დამიჯერე, ბიჭო, რატომ სხვას არაფერს მიჯერებ.

დერეფნიდან რბილი ნახიჭების ხმა მოესმა ჯაბას, ანთებული პაპიროსი სწრაფად შეატრიალა ხელისაგულისკენ, მკლავი საწოლგარეთ გადმოჰყო და თვალები დახუჭა. დედამ კარი შემოაღო, წყლით სავსე ვედრო იქვე, იატაკზე დადო, ჯაბა ელოდა, როგორ დაეცემოდა სახელური ვედროს და გაიედრიალებდა, მაგრამ, ეტყობა, დედამ ისე ფრთხილად დადო ვედრო, რომ სახელური გამართული, ყალყზე შემდგარი დარჩა. და ჯაბამ ყალივე იჭრინო; დედა მისკენ იყურებოდა. „აღბათ თითებშუა კვამლი ამომდის“. გაიფიქრა მან.

— რომ ახრჩოლებ ნედლ შეშასავით, თუ გლეძიას, ვერ ადგები?

— ვაი... — წამოიკენესა ჯაბამ.

— ვაი იქნება, რედაქციიდან რომ გამოგავდებენ.

— ვაიმე, დედა! — უფრო მეტი ტყვილი ამოატანა ჯაბამ ხმას.

— რა, რა დავგმართა? — ნინო გაიღურსა.

— გული... გული მიძგერს, დედა, — წამოიკენესა ჯაბამ.

— რაღა ვქნა, მიშველეთ! — ნინომ ხელები ლოყებზე იტყიცა და საწოლისაკენ წამოვიდა.

ჯაბა ლოგინში ჩაემხო, კინაღამ გაიგულდა სიცილით, ხმა ძლივს ამოიღო.

— გული მიძგერს-მეთქი... აბა, რომ

არ მიძგერდეს... ხომ შევდარი ვიქნებო-
დი!

უცხად საბანი გადაიძრო, წამოხტა,
დედას მუხლებზე მოხვია ხელები, აი-
ტაცა და ერთ ადვილზე დაატრიალა.

— ნელა, თავი არ ამარტყმევინო, ნე-
ლა, თორემ წამივიდა გული, არ გესმის?
დამსვი ახლავე!

— არა, არ დაგსვამ, სამაგიერო უნდა
გადაგიხადო!

— რის სამაგიერო, ბიჭო?

ჯაბა შეჩერდა, დედა ბალღივით მკლა-
ვებზე გაიწვინა და ზემოდან დახედა.

— გახსოვს, ბავშვობაში რომ ტყუილ-
უბრალოდ მცემე? პაპიროსის მოწევა
რომ დამაბრალოთ ვალიამ და შენ?

— რატომ კარგის სამაგიეროს არ მიხ-
დი...

— მერე მანეთიანები რომ მიპოვე
ჯიბეში და მოპარული რომ გეგონა?

— კარგი არაფერი გახსოვს ჩემგან?
დაგავიწყდა დღედაღამე რომ ვმუშაობ-
დი?

— ყველაფერი მახსოვს, მაგრამ ჯერ
ცუდის სამაგიეროს მოვიშორებ, და
დამრჩება მხოლოდ კარგი.

— მხოლოდ კარგი... — გამოაჯაფრა
ნინომ, — ჯობდა, კარგიდან დაგეწყო.

— აი დღეიდან ვიწყებ. მზად იყავი,
ცუდის სამაგიერო უკვე გადაგიხადე, —
ჯაბამ ძირს დასვა დედა.

— თუ დღეიდან იწყებ, გაიარე ამ დი-
ლით აღმასკომში, იქნებ სიები გამოაჯ-
რეს.

— დღეს ვერა, დღეს იმდენი საქმე
მაქვს, რომ... — ჯაბამ ჩაიმუხლა, ვარჯი-
ში დაიწყო, მერე ისევ გაიმართა. —
სულერთია, სიებს ჯერ არ გამოაჯრა-
დნენ.

— რა იმედი მქონდა, ახალ წელს
ახალ ბინაში შეგხვდებით-მეთქი!

— მოგვიწევს რიგი და მივიღებთ, —
ჯაბამ კვლავ ჩაიმუხლა. მისურისა და
ტრუსის ამირა იყო.

— მიდი, შეილო, — ვარცლში გადაას-
ხა წყალი და ტილო ამოავლო, — არ გა-
ინტერესებს, მერამდნენ ვართ სიაში.

— თუ მოვახერხებ, შევივლი, მაგრამ
ვიცი, საგაისო სიებს ასე მალე არ გა-
მოაჯრადნენ!

— დამწყდა ფეხები იქ სიარულში, —
ჩაიხარა და სველი ტილო იატაკს გაუს-
ვა.

ჯაბამ განტელები გამოაჯორა საწო-
ლის ქვეშოდან, პატარა მაგადაზე ძველე-
ბური, ოვალური სარკე იდგა, იმ სარკე-
ში იყურებოდა და ისე ვარჯიშობდა.
სიმძიმე აშკარავებდა უცნობ კუნთებს
მკლავებსა და შერდზე, და ჯაბაც ცნო-
ბისმოყვარეობით ადევნებდა თვალს მათ
გამოჩენასა და გაჭრობას.

— დღესაც დღედა
ღილოთ, — თქვა დედა.

— მე შეიძლება ვერ მოვიდე, შენ
წადი, თორემ დაიბრუნებები აქ, დღესაც
სიციხეს აპირებს, — ჯაბამ დაბალი კედ-
ლისკენ გააბიჯა, განტელოს ძირს დადებ-
და შეეზარა და შუბლი მიადო ჭერს, —

დილაა და როგორ გაცხელებულა, რა
იქნება შუადღეს! — მერე ჭერში ამოჭ-
რილ ფანჯრისკენ აიხედა, მთაწმინდაზე
წამომართული ფუნქელიორის ზედა
სადგური მზეზე თეთრად ლაპლაპებდა
და თითქოს დამატებით სხივებს გზავ-
ნიდა ქალაქისკენ.

ეს ფანჯარა ორა წლის წინათ ამოაჭ-
რევენეს, მანამდე დღის ნათელი არ ენა-
ხა ოთახს. როცა ელექტრო შუქი ქრე-
ბოდა, ნავთის ლამპას ახრჩოლებდა ნი-
ნო. ამოჭრის ნებართვის ასაღებად ზუთი
თვე ირბინა; ფასადისკენ არისო, სახლის
არქიტექტურას დაამახინჯებსო, ჭერი
არ შესუსტდეს და არ ჩამოინგრესო,
რას არ ეუბნებოდნენ ქალაქის საბჭოში,
როცა კომისია მოვიდა, ვაოცდნენ, აქ
როგორ ცხოვრობთო, თვითონვე გამოგ-
ზავნეს ოსტატები და ოთახში მზის სი-
ნათლე შემოუყვანეს. სწორედ ამ შემ-
თხვევის შემდეგ შესთავაზა ქალაქის
საბჭომ რაილმასკომს, ნინო ალავიძე
იმ მოქალაქეთა სიაში შეეყვანა, ყველა-
ზე მეტად რომ საჭიროებდნენ საბინაო
პირობების გაუმჯობესებას. მაგრამ აჯერ
ორი წელი თავდებოდა და იმ სიაში,

როგორც მორევეში, ისე ტრიალებდა ალავექის გვარი, ვერაფრით ვერ გამოდიოდა ნაპირზე.

ჯაბამ პირსახოცი აიღო და დერეფანში გავიდა პირის დასაბანად.

მოვრძო ოთახს ორი კარი ჰქონდა დიაგონალზე განლაგებული. ერთი სხვენი გადიოდა, პირდაპირ თუნუქის სახურავქვეშ. ზაფხულის თაყარა დღეებში ხელს ვერ მიაკარებდი ქვემოდან თუნუქს. ნინო ჭურჭლებს დაავსებდა წყლით და აქ ტოვებდა ხოლმე, რომ საღამომდე შეცხებულყო და თავის დასაბანად, ან სარეცხის გასარეცხად გამომდგარიყო. ერთ დროს მოტყეპნილ და ახლა მტვრადქცეულ მიწაზე, ხის კოჭებს შორის, ბნელ კუთხეებში, გროვა-გროვად ეყარა მტვრის სქელი ფენით დაფარული წიგნები და რვეულები, აქ მცხოვრებ სტუდენტთა ნაჭონი სხვადასხვა კონსპექტები და სახელმძღვანელოები— პოლიტეკონომია და უმაღლესი მათემატიკა, ლოღიკა და მეანობა, მევენახეობა და ასტრონომია, მილივიით დახვეული ვატმანის ქაღალდები, ზედ ტუშით დახატული მანქანათა დეტალებითა და სადერივაციო გვირაბის ჰრილებით...

ჯაბას რაღაც აუხსნელი ცნობისმოყვარეობა იზიდავდა ამ ინტელექტუალური სანაგვისაკენ, აიღებდა ხოლმე ჯიბის ელექტროფარანს, ჩაბნელებულ სხვენში გავიდიოდა და მზის სხივივით წაადგებოდა თავს იმ დამტვრეულ კონსპექტებსა და წიგნებს. უკვირდა, პატრონებმა როგორ გაიმეტეს და გადაყარეს კონსპექტები, წლების მანძილზე რომ ადგენდნენ, მთელი ღამეები რომ ჩაქიკიტებდნენ გამოცდების წინ. ამ კონსპექტებთან იყო დაკავშირებული სტუდენტური ცხოვრების ყოველი წუთი; ეს კონსპექტები ამხელდა ყოველ გაცდენილ საათს ინსტიტუტში, ყოველ უყურადღებოდ მოსმენილ, თუ საინტერესო ლექციას.

შარშან სახანძრო დაცვის წარმომადგენელი მოვდა სახლმმართველთან ერთად. სხვენი მოათვალიერეს. „ჰმ!“ ამ-

ბობდა სახანძრო რაზმის წარმომადგენელი, თავს გადააქნევ-ჯაბამოქნევდა, ჭურჭლებს გაანათებდა ასანთით და ისევ „ჰმ“ და „ჰმ“. შარვალი დაიფერთხა, ოთახში შემობრუნდა და დედას დაემუქრა: „ერთი კვირის შემდეგ მოვალ, თუ ეს ნაგავი ისევ აქ დამხვდა, დაგაჯარიმებთ!“

ჯაბას მაშინ მოეჩვენა, რომ იღუმალეზით სავსე სამყაროს წართმევას უპირებდნენ, ამ სამყაროს თან გაყვებოდა ბევრი ისეთი საიდუმლო, ვერაფერ ველარასოდეს რომ ველარ გაიგებდა. ასევე განიცდიდა მაშინ, როცა მამის დაკარგვის შემდეგ დედამ სოფლის კარმიდამო გაყიდა, ჯაბას ეგონა, წართვეს ყველაზე ძვირფასი სათამაშო— ბაგშეობისდროინდელი ქვეყანა, რომელიც კეთილმა და ღამაზმა, მალაღმა, ძალიან მალაღმა და თეთრულვამა კაცმა აჩუქა.

— რამდენია ჯარიმა? — ჰკითხა ჯაბამ სახანძრო რაზმის წარმომადგენელს.

— როცა დაგაჯარიმებთ, გაიგებთ! ჩაეცინა მას.

— მაინც რამდენია?

— რა, იქნებ არ აპირებ გატანას?!

— არა! — თქვა ჯაბამ.

— ხანძარში რომ ამოიბუტებით, მაშინ ხომ გაიტანთ!

— მაშინ ვეცდებით! — გაბრაზდა ჯაბა.

— კაცო, შენ ქრისტიანი ხარ, თუ ცეცხლთაყვანისმცემელი?! — დაცვის წარმომადგენელსაც უღალატა ნერვებმა.

ამ შემთხვევის შემდეგ მას აღარ ამოუყვია თავი სხვენზე, მაგრამ დედას ჰქუაში დაუჭდა გაფრთხილება, მართლა არ გაჩნდეს ცეცხლი და არ გადავიბუგოთო. ამიტომ ნელნელა წმენდდა სხვეს, მაგრამ გადასაყრელად გამეტებული წიგნები და რვეულები ისე ვერ ჩასცილდებოდა კიბეს, ისე ვერ ამოჰყოფდა თავს ეზოში დადგმულ სანაგვე ყუთში, ჯაბას საბაეო შემოწმება რომ არ გაეგლო და, როგორც წესი, ჯაბა ანახევრებდა ხოლ-

მე ყუთს, ნინო ბედნიერ დიასახლისად გრძნობდა თავს, ჯაბას ფხიზელ თვალს თუ გაუქცეოდა.

დღესაც ერთი მოზრდილი ფანერის ყუთი აავსო ნინომ, ფრთხილად ჩაუარა გვერდით შვილს და გულაფანცქალებული კიბეა ჩაჰყვა.

— დედა, სად მიგაქვს ეგ, დედა! — პირსახოცი მოაჭირზე მიაგლო ჯაბამ და კიბეზე დაეშვა. ანანზარდა ლითონის უზარმაზარი სპირალი.

— იმის მაგივრად, რომ დამეზმარო, აქეთ მედავები! — დაასწრო საყვედური ნინომ.

— რატომ არ დავებმარები, მაგრამ ხომ ვთხოვე, უჩემოდ არაფერი ჩაიტანო-მეთქი, — ჯაბამ მძიმე ყუთს ხელები ჩასჭიდა, — ვინ იცის, რამდენს ყრი!

კიბე ჩაათავა, ელექტრონით განათებული ფართო დერეფანი გაიარა და მარცხნივ გაუხვია. სანაგვე ყუთი შორს იყო, მთელი ეზო უნდა გადაეჭრა. სწრაფი, მოკლე ნაბიჯით მიდიოდა და ქუჩისკენ იყურებოდა, ეუხერხულეობდა — წელსზემოთ შიშველი ტრამვადან არაფის დაენახა. ფანერის ყუთი ააყირავა და წიგნები მიწაზე დაჰყარა.

ვერცერთი წიგნი ვერ გაიმეტა, ვერცერთი ნაგლეჯი ქაღალდისა. ფანერის ყუთი ისევ ისე აავსო, ის კი არა, და, თითქოს მონემატაო, ძლივს ჩასტია უკანვე წიგნები.

როცა ჯაბა ოთახში შევიდა მოპირთავებული ყუთით ხელში, ნინომ თავი ველარ შეიკავა, ტუჩებთან მიტანილი შიქიდან ჩიი გადმოეღვარა, ძლივს დადო ჭიქა მაგიდაზე; სიცილმა ისე დაუცალა ფილტვები, რომ უჰაერობისგან კინაღამ სული შეეხუთა. ჯაბაც უღიმღამოდ იცინოდა და სიყვარულით შეჰყურებდა დედას, რომლის ჯანმრთელი, მხიარული სიცილი თითქოს მთელს ოთახს გადასდებოდა. კისკისებდნენ მაგიდაზე ჭიქები და თეფშები, ხარხარებდნენ კარადები, როხროხებდა ტახტი, გუგუნებდა ბიანინო, კედლები ნახად იღიმებოდნენ. „ვინმეს რომ შორიდან მოესმეს ეს სიცილი, — გაიფიქრა ჯაბამ, — ჩვიდმეტი

წლის გოგო ეგონება... ნეტავ შემეძლოს, და სულ ასე ვაცინო დედამ...“
ჯაბამ ისევ სხვეწზე გაიტანა წიგნებს შორის უეცრად თვალი მოჰკრა ლურჯ, მუყაოსყდიან დიდ რვეულს. აქამდე არც შეუმჩნევია. დახედა და წიკითხა:

„თბილისის 206-ე სამშულო სკოლა-მე-10¹ კლ.

1942-43 სასწ. წელი“.

„საკლასო ჟურნალი! საიდან ვაჩნდა ამ სხვეწზე?“

გადაშალა. ყვითელი, გატრეცილი ფურცლები იყო, მტვერი შეპარვოდა და კიდეებზე შავ არზიასავით შემოვლებოდა.

ამაშიძე ნანა

ბოლქვაძე ტარიელ

ბენდუქიძე ვაიოზ

გვეტაძე თამაზ

გორდელაძე გზია

ჩაიკითხა მოსწავლეთა გვარები.

ფურცლების გასწვრივ, ზემოთ, შვეულად იყო ჩამწკრივებული საგნების დასახელება. ქვემოთ — თარიღი და იმდღევანდელი გაცვეთილი.

II სექტემბერი

სამხედრო საქმე — თოფის დაშლა და აწყობა.

ქიშია — ლუიზიტო

რუსული — „Стихи о Советском паспорте“.

ისტორია — I სამამშულო ომი.

„ორმოცდაორი წელი... ათი წლის ვიყავი მამონ, მამა უკვე ფრონტზე იყო“.

ჯაბამ გადაფურცლა და საკლასო ჟურნალის ახალ გვერდზე თვალი მოჰკრა ლამაზი, გაკრული ხელით გამოყვანილ ასოებს:

„უსინათლობის გამო საკონტროლო წერა ჩამეშალა“.

ალბათ ქართული ენის მასწავლებლის მინაწერი იყო. ჯაბასაც კარგად ასოსვს ჩაბნელებული თბილისი, თვითმფრინავეების გუგუნე ქალაქს თავზე, პროექტორების სხივებით მოწნული ცა... ავერ კიდეც: „ქიშია — განათების

უქონლობის გამო გაკვეთილი არ შემდგარა“.

„ალბათ მესამე ცელაში სწავლობდნენ ეს შეათუკლასელები. ბევრი სკოლა პოსპიტლებად გადააკეთეს მაშინ“.

მოულოდნელად მწვავე შიმშილი იგრძნო ჯაბამ. უნებურად გახედა მაგიდას. იმ წუთში რომ სუფრა გაშლილი არ ყოფილიყო, ალბათ დიდხანს არ გადაუვლიდა ეს შიმშილი—მოვონება.

...დიდ დასვენებაზე ურჩევდნენ ორო ნაჭერ შვე პურს, ისე თხლად დაჭროლოს, რომ ლანდი გასდიოდა. პირველ ხანებში თამაშობდნენ ბავშვები, ფერადი შუშებივით მიიღებდნენ თვალბრუნ პურის ნაჭრებს და მზეს ვაჰქედავდნენ, იყო ერთი სიცილი. უკვირდა ჯაბას — არითმეტისის მკაცრი მასწავლებელი ყველაზე მეტად ამ თამაშისთვის სჯიდა ბავშვებს. გაფითრდებოდა, ხმა ჩაუვარდებოდა, და მხოლოდ ბელით ანიშნებდა მოსწავლეს კლასი დაეტოვებინა. გაიარა ერთმა-ორმა თემი და მართლაც გადაეჩვივნენ ამ „თამაშს“ ბავშვები, თვალბრუნად სადღა აღწევდა პურის ნაჭრები.

ჯაბას ეჩქარებოდა, მაგრამ ეს ვაცრეცილი, ჩაენგულფურცლებიანი საკლასო კურნალი ფეხებს უბორკავდა, რაღაც იდუმალსა და საინტერესოს პირდებოდა. თითქმის გადაშლიდა რომელიღაც ფურცელს და მოსწავლეთა სიის მაგივრად მთელ კლასს დაინახავდა, გვარების ნაცვლად მათ ცოცხალსა და უცხო თვალებს შეეფეთებოდა... ავერ, ვიღაც შიმშილაშვილი არჩილი, მთელი კვირა არ მოსულა სკოლაში, „არ. არ. არ...“ ჩაუწერია მასწავლებელს მისი გვარის გასწვრივ. ალბათ, ავად ვახდა, ავერ, მეორე კვირაც გაუცდენია, „არ. არ. არ...“ მერე... მერე აღარ არის, წაუშლიათ.

ჯაბამ ხელმეორედ ჩამოაყოლა თითი სიას... არ იყო, შიმშილაშვილი სიიდან ამოეშალათ. გარიცხეს გაკვეთილების გაკედენისათვის? მაგრამ თუ ავად იყო? იქნებ მოკვდა?

— ჯაბა, გაცივდა ჩაი! — მოესმა დედის ხმა.

— დედა, იმ ყუთს ხელი არ ახლო.

— შენც ამისრულე თხოვნა, გაიარე აღმასკომში, დღედაღამე გარეთ დაწოწილობ.

ჯაბა ჭამდა და თავს იქნევდა თანხმობის ნიშნად. ნინო ამას ვერ ამჩნევდა და, ალბათ, ამიტომ განაგრძობდა საყვედურებს.

— ითხოვ ცოლს და მერე მიხვდები, რას ნიშნავს ბინა...

ჯაბამ კვლავ დაიქნია თავი. პო, ვითხოვ და მერე მიხვდები.

— ამ ბინის პატრონს ვინ გამოგყევაბა?

— არც ვაპირებ ცოლის თხოვას!

— ორი ქორი გაქვს, ბიჭო, თავზე...

— თუნდ ასი მქონდეს.

— დმერთმა დაგიფაროს!

— წავედი ახლა, — წამოდგა ჯაბა, — არ დარჩე აქ, თორემ სიცხეს აპირებს, სარეცხი თუ გაქვს, დამით გარეცხე.

— მოხვალ სადილად ნატოსთან?

— თუ მოვებრებ, მოვალ, თუ არა და, არ შეგეშინდეს, — ჯაბამ ბუღიდან ამოღებული ფოტოაპარატი ჯიბეში ჩაიღო, — გვიან დაებრუნდები, ნარკვევი მაქვს დასაწერი.

— ამალამ სად უნდა წერო? — მოსინჯა ჯაბამანდა ნინომ.

ჯაბა კართან შეყოვნდა.

— ამალამ რომ ვინმე გოგოს ვხვდებოდე, გეტყვოდი, რომ გოგოს უნდა შევხვდე — მეთქი, გეუბნები, ნარკვევი მაქვს დასაწერი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი ბალ-მასკარადას აწყობს და იქ უნდა ვეახლო რედაქციის დავალებით.

— ეახლე, ბატონო, ეახლე, მაგრამ იქ ერთს კი არა, ათას გოგოს შეხვდები, — გაიღიმა ნინომ.

— ათასს — კი, ათასს ყოველდღე ვხვდები.

ქუჩაში გასვლისთანავე ჯაბამ აღაპლაპებულ ლიანდაგს გახედა. აღმართიდან ტრამვაი ამოდიოდა, თანდათან იზრდებოდა მისი ოთხკუთხა შუბლი. სახლთან ქუჩა მარცხნივ უხვევდა. ტრამვაი ყოველთვის ანელებდა სელას და ჯაბაც

აქ აბტებოდა ხოლმე, გაჩერებამდე მისე-
ლა აღარ სჭირდებოდა.

ბოლო ვაგონის უკანა კიბეს შეახტა.
შეეშინდა, კიბეზე დაკიდებული, მილი-
ციელმა არ დამინახოსო, მიაწვა და ძა-
ლისძალით შეეჩხირა ბაქანზე მდგარ
ხალხში.

— აბა, ბილეთი ავიღოთ, ახალგაზრ-
დავ, უკანა რიგებილა დარჩა, აბა, ავი-
ლოთ!

ჯაბას რატომღაც ეწყინა ეს მომართ-
ვაც და ეს ხუმრობაც, თან გაუკვირ-
და, უამრავ ზურგებსა და მძლავრ აძრ-
თულ მკლავებს იქით თავის სკამზე ჩა-
კმულქვნილმა კონდუქტორმა როგორ და-
მინახაო.

ჯაბას ხელმა ძლივს გაიკვლია გზა ჯი-
ბისაკენ.

— თუ შეიძლება, ჩემიც გადააწოდეთ!

სწრაფად მოიხედა. გოგონა უღიმიოდა.
ისეთი ნაზი და სიფრთხილიანი, რომ საოცარ-
ი იყო, ამ ქედგაში როგორ სუნთქავ-
და. შავი კაბის გრძელ სახელოდან სხი-
ვებივით გამომძვარალიყო მისი ვარდის-
ფერი თითები და ამ თითებს თითქოს
უფრო გაებრწყინებინა ვერცხლის აბა-
ზიანები.

ჯაბამ ფული გამოართვა, ფეხისწვე-
რებზე აიწია და, რაც შეეძლო წაიგრძე-
ლა ხელი.

— ორი ბილეთი...

ვიღაცის ილიდიდან მოულოდნელად
გამოძვრა უცერო ხელისმტევანი და პე-
შვად შეიკუმშა. ჯაბამ ხურდა დაყარა
ზედ, ხელი ახლა მუშტად შეიკრა და ილ-
ლიაში გაძვრა უკანვე.

— რას მილიტინებ, თუ ძმა ხარ! —
გაანჩხლდა ვიღაც.

— ბოდიში, აბა, ხელს მუცელში ხომ
არ გაგიყრი, ერთიც ვნახოთ ფული და-
მებნეს... გადააწოდეთ ბილეთი!

„ალბათ ომის ინვალიდია, — ფიქრობ-
და ჯაბა უხილავ კონდუქტორზე, — იქ-
ნებ მეორე ხელი სულაც არა აქვს!“

ბედნიერი ბილეთი შეხვედროდა, ხუ-
თით იწყებოდა და ხუთით თავდებოდა.
გოგონაც თავის ბილეთს დაჰყურებდა.

ჯაბამ შეამჩნია, როგორ გაიქნია თავი
სინანულით. ჩახედა. გოგონას ბილეთი
ექვსით თავდებოდა.

— ესაა თქვენი! — ჯაბამ თავისი ბი-
ლეთი გაუწოდა.

— ჩემი? რატომ?

— ბილეთი ხომ მე ავიღეთ!

— დიას! — დაბნეული ბავშვივით და-
აქნია თავი გოგომ.

— ჰოდა, პირველ ბილეთს ჩემთვის
ხომ არ ავიღებდი!

გოგონამ გაიცინა და ბილეთი გაუცეა-
ლა.

ვიღაც ახალგაზრდები შემატებოდნენ
ბაქანს. ერთი მათგანი მძლავრული
ორივე ხელით ჩასჭიდებოდა სახელურს,
მისი შავი პიჯაკის გაშლილი კალთები
კრუსხის ფრთებივით გადაჰფარებოდა
მომცრო ტანის ბერიკაცს, მოხუცი
უხერხულად იდგა, ხალხი რომ გამოც-
ლოდა, აუცილებლად წაიქცეოდა. უეც-
რად მისი პიჯაკის უბესთან დიდი ხელი
განჩნდა. ხელი ცოტახნით შეყოვნდა, შე-
ყოყმანდა და მერე ისე ფრთხილად ჩა-
იშალა უბეში, თითქოს მდულრით დათუ-
თქული იყო და რამეს რომ მიჰკარებო-
და აუტანელ ტკივილს იგრძნობდა.

ჯაბა აღელდა, ფოტოაპარატი ხელით
შოსინჯა, მიხვდა, რა კრუნებიც იყვნენ
ესენი და რა საყენიაც ანტერესებდათ.

„ახლა გაჭურდავენ... მოხუცი კი ვე-
რაფერს ხედება“.

იმ შავპიჯაკიანს, ეტყობა, ტანმა უაზ-
რა, აღმაცერად შემოხედა, ცივი თვალე-
ბი მიაციანა ჯაბას და თარსად გაუღიმა.
ჯაბამ ვერ გაუძლო და მზერა აარიდა.
უეცრად იმ გოგოს შიშისგან გადიდებ-
ულ თვალებს შეეფეთა, თითქოს რაღა-
ცას ეკითხებოდა ჯაბას, რაღაცას მოე-
ლოდა მისგან.

ჯაბამ უგერგილოდ გაუღიმა. ეს იმის
ნიშანი უნდა ყოფილიყო, ვითომ ვერა-
ფერს ვერ ამჩნევდა. ამ სიყალბემ გაა-
წითლა, ერთ წამში ოფლად გაღვარა.

— ახლა ხომ არ ჩამოღიხართ? —
აუცილებლად რაღაც უნდა ეთქვა ჯა-
ბას, წარმოუდგენელი იყო, რომ არაფე-
რი არ ეთქვა.

— ბოდიში... გამატარეთ! — ეს პასუხი არ იყო, თითქოს ჯაბას არაფერი არ ეკითხოს გოგონასთვის.

„მომკლანი რაც უნდა მიქნას!“ — გაუელვა ჯაბას და სწრაფად შეტრიალდა იმ ბერიკაცისკენ.

უკვე გვიან იყო. ქურდბაცაცები ჩასასვლელისკენ მიიკვლევდნენ ჯაბას. ერთი კიბის საფეხურზე დადგა, კატასავით წელში გაილუნა და გაქანებულ ტრამვაის მოწყდა. მეორეც მიჰყვა. ბერიკაცი კი იღგა და თავის ფიქრებს მისცემოდა.

გაჩერებაზე ჯაბა გოგონას ჩაჰყვა. მას ახლა ერთი ფიქრი აწვალებდა, თითქოს ერთადერთი სურვილი დარჩენოდა ამ ქვეყნად შესასრულებელი — ოღონდ გოგონას არაფერი არ ჰქონოდა შემჩნეული, ოღონდ დარწმუნებულიყო ამაში ჯაბა.

ნაბიჯს აუჩქარა. გოგონამ იგრძნო ეს, შეშინებულმა გამოიხედა, და გაიქცა, გაიქცა, ისე, როცა სირბილი გუხუხუხდება და არც ჩქარი სიარული გაკმაყოფილებს.

ჯაბას ნირი წაუხდა. გაჩერდა და თვალი გაადევნა — გოგონამ ქუჩა გადაჭრა.

„შეეშინდა ჩემი, — გაიფიქრა ჯაბამ და უეცრად მოულოდნელმა აზრმა ააფორიაქა, — ნამდვილად შეც მათი ამხანაგი ვეგონე! ალბათ, დაინახა, როგორ გამიღიმა იმ შავბიჭაკიანმა, როგორ ავარიღე მხერა, რომ არავის შეემჩნია ჩვენი „ნაცნობობა“.

რას არ მისცემდა ახლა ჯაბა, რომ დასწეოდა გოგონას და დარწმუნებულიყო, რომ არაფერი ჰქონდა შემჩნეული.

„რატომ ხდება ასე, რატომ მეპატარაება დანაშაული მაშინ, როცა ვიცი, რომ ქვეყნად ვერცერთ მოწმეს ვერ მოძებნიან? ის ქურდებიც, ალბათ, ასე ცხოვრობენ, ალბათ, მათაც სუფთა აქეთ სინდისი, თუ კი საქმეს სუფთად გააკეთებენ და მოწმეს არ დაისწრებენ. რატომ არის ასე? თუ მხოლოდ მე და ის ქურდბაცაცები ვართ ასეთები?..

„მე და ქურდბაცაცები“ მშვენიერი სათაურია!“

გაჩინებული

ჯაბა რედაქციისაკენ მივაბიჭებდა და ვგი მიჰყვებოდა თავის საყვარელ ქუჩას, რომელიც ზრდიდა და რომელიც მასთან ერთად იზრდებოდა. ნაცნობი სახლების რიგს, რომლის თვალდასუქული წარმოსახვა ანბანივით თანმიმდევრობით შეეძლო. მაგრამ ახლა ვერაფერს ამჩნევდა, თითქოს საღდაც იჭდა მარტო, სრულ სიმყუდროვეში, და ფიქრობდა.

„რა ყოჩაღი ვიყავი მაშინ, მილიციაში დაპატიმრებულ ქურდებს რომ გადავუღე სურათი, თავგანწირული ნაბიჯი იყო! ჩემს გარდა, აბა, რომელი ქურნალისტი ვაბედავდა... მერე რა ნარკვევი დავებუღე ამრილის ნომერში! როგორ ვაწილე უკვე მხილებული ქურდები! აი, ესაა გმირობა!

იმ გოგოს ახლა ქურდი ვგონივარ... ვეგონო, რა ვქნა. იქნებ არც არასოდეს შემხვდეს! მაგრამ როცა გეცოდინება, რომ ქვეყნად არის ვიღაც, თუნდაც უცნობი, რომელსაც აღარასოდეს შეხვდები, მაგრამ ჰგონია, რომ შენ ლახარი ხარ, ან უკეთეს შემთხვევაში, ქურდი? მაშინ ეგონოს? ეს სულერთი იქნება შენთვის?

ბუნებას შეეძლო უფრო სწრაფი გაანგარიშების უნარი მიენიჭებინა ადამიანის გონებისათვის, მაგრამ ზომიერება არჩია; ხანდახან გულმა უნდა დაასწროს გონებას, ეს საქიროა! ხანდახან გაფიქრებაც ვერ უნდა მოასწრო და მუშტი უკვე გარტყმული უნდა გქონდეს...“

ტროტუარს პროსპექტის შენაკადი ქუჩა სჭრიდა, ჯაბა გამოფხიზლდა; დაღმართზე თავაწყვეტით გამოქანებული მანქანები აქ ძლივს იკავებდნენ თავს, და გადაჭარბებული სიღინჯით, ვითომდა, მუდამ ასე ნელა დავდივართო, ერთვოდნენ პროსპექტს. ამ ადგილზე მკვიდრი თბილისელის გონება პატრონის დაუკითხავად წყვეტდა ყოველგვარ ფიქრს, რაც უნდა ღრმა, ან საამოდ ქარაფშუტული ყოფილიყო იგი. ვიღაც ქალმა ძლივს მოასწრო ბავ-

შვის ხელში აყვანა და წივილ-კივილით ავარდა ტროტუარზე, ჯაბამ ცალი ფეხით გაასწრო მანქანის საბურავს. ამ სახელდახელო კროსმა გადააფიქვა ტრამვაიში მომხდარი ამბავი და გუნება გამოუკეთდა.

ჯაბა ფართო და ხალხით სავსე ფილქანს მიჰყვებოდა და საჩვენებელ თითს კედელ-კედელ მისარიალებდა. ვერ გადაეჩვია ამას — ბავშვობისდროინდელ საყვარელ თამაშს — რომლის პირობების მიხედვით შენობათა კედლები უსასრულო გზა გახლდათ, თითი კი — მფრინავი ავტომობილი. ამ გზაზე მფრინავ ავტომობილს უამრავი დაბრკოლება ელოებოდა წინ — საწვიმარი მიწები, საფოსტო ყუთები, ხორკლიანი აგურები, ვიტრინების გაბზარული შუშები, მაგრამ თითი — ავტომობილი კამარას შეჰკრავდა, აფრინდებოდა, თავს გადაეგლებოდა დაბრკოლებას და ისევ გზაზე დაეშვებოდა რბილად და მოხდენილად.

ეს იყო ბავშვობა, როდესაც ცხადშიც და სიზმარშიც ერთნაირად იღლები ბურთის თამაშით, როდესაც ერთნაირად გტყევა ცხვირი ნამდვილი ჩხუბისა და სიზმარში ნაგეში ჩხუბის გამოც. როდესაც ღამით, უკან დადევნებულ მაჭლაჭუნას ფეხად შემოსაწრებ შინ და კარს ჩაუკეტავ, როდესაც იცი, რომ პატარა ბიჭი ხარ და არ იცი, სად გაქრება ეს პატარა ბიჭი, როცა თვითონ გაიზრდები.

ახლა იცის, სად გაქრა და როგორ გაქრა, მაგრამ სხეული ხშირად იხსენებს იმ პატარა ბიჭს, არას დაგიღვეს გონების და სულის მოწიფულობას. და მისრიალებს კედელ-კედელ თითი — ავტომობილი, ადვილად ახტება ურთულეს დაბრკოლებებს — საწვიმარ მიწებსა და საფოსტო ყუთებს.

რაც რედაქციაში მუშაობა დაიწყო, ჯაბა შეიცვალა, მანამდე ეჩვენებოდა, რომ ნაცნობი თუ უცნობი ადამიანის სულს ისე ამკარად ხედავდა, როგორც გავარჯერებულ ლითონს ელექტრონათურაში. რა თქმა უნდა, იცოდა, რომ

ქვეყნად ბნელი და ყინულოვით ცივი გულის მქონე ადამიანებიც იყვნენ, თვალსაც რომ არ დაბამდამდნენ და ისე გასწირავდნენ კაცს დასაღუბავად. მაგრამ ამას განიცდიდა სადღაც ყურმოკრულ საშინელ ამბავით, მხოლოდ წუთით რომ შეგაძრწუნებს და მერე დაეწყებას მიეცემა.

ნახევარი წლის წინათ რედაქტორმა სასამართლო პროცესზე დასწრება და ფელეტონის დაწერა დაავალა ჯაბას. იმ დღეს, თავის სიცოცხლეში პირველად ნახა კაცისმკვლელი. იდგა ჯაბა ხალხით გაჭედულ დარბაზში და მოჯადოებულოვით უყურებდა საბრალდებო სკამზე მჯდარ ორმოციოდე წლის კაცს.

ყველაფერი ჩვეულებრივი ჰქონდა იმ კაცს — თავი, ცხვირი, ტუჩები, ორი ხელი და ორი ფეხი, სუნთქავდა, თვალს ახამხამებდა. მას ამხანავი მოეკლა თურმე. ეზოში გასულიყო, ვითომ ფიჩხის შემოსატანად, რევოლვერი ფიჩხში შეემალა, იმ ფიჩხიანად შემობრუნებულყო ოთახში, მიახლოვებოდა ამხანავს და ზედ გულთან დაეცალა რევოლვერი. ყველაფერი ცოლის ბრალი ყოფილა. იღუმალ არსებად ეჩვენებოდა ჯაბას მკვლელი, ყველასაგან განსხვავებულ ადამიანად და, ალბათ, ამიტომ უკვირდა, რომ ლაპარაკობდა, რომ შეეითხებებზე პასუხს აძლევდა მოსამართლეს და ხმარობდა იმავე სიტყვებს, რასაც ჯაბა — ჩვეულებრივ საუბარში.

ლიფტმა მეოთხე სართულზე აიყვანა. დაევიანა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რედაქტორი ვერ არ იქნება მოსულიო, ისეთი ფრთხილი ნაბიჯით გაჰყვა დერეფანს. თითქოსდა, ჩუმი სიარული უბარი წამალი იყო დაგვიანების ასანაზღაურებლად. შეაღო თუ არა კარი, მდივან ქალს გაუღიმა მისალმების ნიშნად და რედაქტორის კაბინეტისაკენ ანიშნა:

— ხომ არ მოსულა?

— გიციოთ!

— რა უნდოდა?

— არ ვიცი, შემოვიდეს, როგორც კი მოვაო.

ჯაბა შებრუნდა და კაბინეტის კარს მიაწვა.

— მოდი, — თქვა რედაქტორმა, იგი რაღაც მასალას კითხულობდა, თავი არც აუწევია, — დაჯექი!

ჯაბა დაჯდა და სიგარეტი ამოიღო. რედაქტორმა კითხვა დაამთავრა, „იწყოს“, სიგარტი წააწერა მასალის პირველ გვერდს, ავტოკალამი ჯიბეში ჩაიღო და მოულოდნელად ხელი გამოიშვირა ჯაბასკენ:

— მომეცი!

— რა?!

— რეპორტაჟი!

— ბატონო გიორგი! — თვალები გაუფართოვდა ჯაბას, — ბალ-მასკარადი სალამოს რვა საათზე იწყება!

— მე კი ახლა მჭირდება მასალა, ხვალ გექნება?

— აუცილებლად!

„ვითომ არ იცის, რომ მასკარადი ამ სალამოსა და ჯერ ერთი სტრიქონიც არ მექნება დაწერილი, მაგრამ მოიქცა ისე, იძულებული ვარ, ხვალისთვის აუცილებლად ჩავაბარო“.

— მეგონა, ერთ კვირას მაინც მაცლიდით, — გამოტყდა ჯაბა, — კარგად მოვიფიქრებდი.

— რა არის მანდ მოსაფიქრებელი, — რედაქტორი მაგიდას ჰოსცილდა, საეპარქელში ჩაჯდა.

— ბატონო გიორგი, სულ რომ ასე დამაჩქაროთ, წესიერს ვერაფერს ვერ დავწერ!

— თუ ნამდვილი ჟურნალისტი ხარ, დასწერ!

— მე ხომ გაზეთში არ ვმუშაობ, ჩვენი ჟურნალი თვეში ორჯერ გამოდის.

— და მაინც ვიგვიანებთ!

— ეგ სტამბის ბრალია!

— სტამბა ჩვენ გვაბრალებს!

— თქვენ კი — მე!

— ხვალ თუ არ გექნება მასალა, დაგაბრალებ, — რედაქტორი წამოდგა

და მაგიდიდან ჟურნალის მაკეტი აიღო, გადაფურცლა, — გველურ მასალაა, შენი რეპორტაჟის გარდა!

— მართალს ბრძანებთ, მაგრამ სტუდენტთა ბალ-მასკარადი ამ სალამოს ტარდება...

„და გუშინ ფოტოს მე ვერ გადავიღებდი...“

— ზარმაცობ!

— ბატონო გიორგი, უსამართლოა ეგ შენიშვნა, ბალ-მასკარადი ამ სალამოს...

— დაანებე თავი ამ ბალ-მასკარადს. მე საერთოდ ვამბობ, ზარმაცობ-მეთქი.

— პირდაპირ გეთქვათ, რატომ მომიერიდეთ?

„ესე იგი, ამ სიშორიდან რატომ შემოუარეთ?“

— სულაც არ მოგერიდებ;

— აბა, როდის ვზარმაცობ?

— ყოველ დღე, ყოველ წუთს, ოცდაოთხი წლისა ხარ, ახლა შენ ქვეყანას უნდა ანგრევდე.

— ზოგი მეუბნება, უნდა აშენებდეთ! ჯაბა გაწითლდა, რადგან უნებურად გაამჟღავნა, ნაწყენი რომ იყო.

— ძალიან გამახარე; მაგ უკბილო ხუმრობამ გაგცა. თვითონაც მშვენივრად იცი შენი სიზარმაცის ამბავი, მაგრამ გინდა, მხოლოდ შენ იცოდე და სხვამ არაფერს შეგატყოს. შეგატყობს ვინმე და გწყინს, ვითომ რაღაც მოულოდნელი, უსამართლო ბრალდება წამოგიყენეს, — რედაქტორი შეყოვნდა, თითქოს ყური მიუგდო თავის ხმას, კილოს სიმაღლეს და, ალბათ, გადამეტებული ეჩვენა, — რომ იცოდე, ახლა მე ჩემს თავსაც ვსაყვედურებ — გაიღიმა მან, — სამი თვეა, კალმისათვის ხელი არ მომიკიდია.

— ბატონო გიორგი, ერთი-ორი წლის შემდეგ მე დაგარწმუნებთ, რომ საყვედურის ღირსი არ ვიყავი.

გიორგის გაეცინა.

— ბებრები იმიტომ ვართ ქვეყნად, რომ ეგ „ერთი-ორი წელიწადი“ მრავალჯერ გავიარეთ, დამღუბველია ეგ „ერთი-ორი წელიწადი“... ხარ თქვენსმეტი წლის უდარდელი ჰაბუკი, მთელი

მომავალი წინა გაქვს, და გგონია, ეს მომავალი დაუსრულებელი იქნება, ყოველ შემთხვევაში, ისეთი ხანგრძლივი, რომ წარმოდგენაც შეუძლებელია. იმიტომ გეჩვენება ასე ალბათ, რომ წარსულიც უსასრულოა და მისი წარმოდგენაც შეუძლებელია, მაგრამ წარსულში დაგროვებული კაცობრიობის მთელი კულტურა, უამრავი მეცნიერული აღმოჩენა, ხელოვნების ნაწარმოებნი, ერთი აღმაშენის სიცოცხლის მანძილზე შექმნილი გგონია, რადგან ყველაფერი ხელთა გაქვს, შენ გემსახურება, ასე ახლოსაა შენთან. და გექმნება ილუზია, რომ შენი სიცოცხლის განმავლობაშიც უამრავ რამეს მოასწრებ... პოდა, ხარ თქვენსმეტი წლის ვაბუკი, და არავის უმედავენებ, რომ „ერთი-ორი წლის შემდეგ“, თვრამეტი წლისამ, რაღაც უნდა აღმოაჩინო, დღემდე უთქმელი სიტყვა უნდა თქვა, ამ დიდ გამარჯვებას, რა თქმა უნდა, ბედი გიმზადებს, შენთან ერთად რომ დაიბადა და მხოლოდ შენ გხვდა წილად, ამიტომ არაფერს არ აცხებ, თავისთავად მოხდება სასწაული. არ შეიძლება, რომ თვრამეტი წლისამ ხალხი არ ალაპარაკო... და გვილის ტყილი ქრუანტელი... კახტად ივარცხნი ყოველ დღით თმას, კახტად იცვამ, დაღიხარ მეგობრებში, გოგონებთან, სტადიონზე, კინოთეატრებში, და ელოდები შენს დიდებას. გადის დღეები, თვეები, ხდები თვრამეტი წლის და... არავის არ უმედავენებ, რომ ოცდაოთხი წლისამ რაღაც უნდა აღმოაჩინო, ქვეყანა უნდა განაცვიფრო, აუცილებლად მოხდება რაღაც, ისე წაეწყობა ყველაფერი, ისე გადაიხლართება გარემოებანი, რომ შენ ამოგაყურყუმოლავებს და უეცრად შეამჩნევენ, რა საოცრად ნიჭიერი ყოფილხარ თურმე, რომ შენს მსგავსად ვერავინ ვერ აზროვნებს ქვეყნად, რომ ვერავინ ვერ წერს ასე ახლებურად ლექსებს, რომ, რომ და რომ... და აგერ ოცდაოთხი წლისაც გახდი, და ფიქრობ, რომ ერთი-ორი წლის შემდეგ...

— ბატონო გიორგი, მე თვრამეტი წლის რომ ვიყავი, ვფიქრობდი, უნივერ-

სიტეტი დამემთავრებინა და კარგი ეურნალისტი გავმხდარიყავი. **უნივერსალი**

— არა, შენ გგონია, პირველივე ქტრასზე განაცვიფრებდი მთელს უნივერსიტეტს, და მსოფლიოს ყველა ეურნალი დაბეჭდავდა შენს პირველივე ნარკვევს! ჯაბას ვაეცინა.

— მერე ეგ დანამაულია?

— არა, მაგრამ ოცნებას მიშველება უნდა... იმაზე დიდი სასწაული არაფერია ქვეყნად, როდესაც აღმაშენის გონებაში გაელვებული ფიქრი, უსხეულო, ხელშეუვლებელი ფიქრი, ხორცს ისხამს და სივრცეში ადგილს იკავებს. რამდენი სურვილი მქონდა, — ისედაც ვიწრო თვალეები უფრო მოქუტა გიორგიმ, — ერთხანს დირიჟორობაზეც კი ვოცნებობდი...

— მეც! — წამოიძახა ჯაბამ.

— ეტყობა, ვინც დირიჟორობაზე ოცნებობს, ყველა ეურნალისტი ხდება.

რედაქტორი მაგიდას მიუჭდა და ახალი გაზეთები მიიხვეტა თავისაკენ. ჯაბა წამოდგა.

— თუ შეიძლება, მიმიწერეთ ბარათი თეატრის დირექტორთან, იქნებ კოსტუმი მათხოვონ.

— რა კოსტუმი?

— ბალ-მასკარადზე უკოსტუმოდ არ უშვებენ, არ მინდა კორესპონდენტის უფლებით ვისარგებლო და წესი დავარღვიო, ამას გარდა, ჩვეულებრივი მონაწილე ვეგონები ყველას, აღარ მომერადებია.

გიორგიმ რედაქციის შტამპიანი ბლოკნოტი ამოიღო.

— მარჯანიშვილის თეატრში მიგიწერ, დირექტორის მოადგილე ჩემი ამხანაგია.

ამ დროს კარი გაიღო და მდივანმა ქალმა შემოყო თავი.

— ვილაც კაცი გელოდებათ, ბატონო გიორგი!

— ვინ არის?

— არ ვიცი, დამიბარაო, თქვენზე მითხრა.

— შენ თუ არ იცი, ლანა, მართლა „ვილაც“ ყოფილა, შემოვიდეს!

კაბინეტში შემოაბიჯა მაღალმა, ლამაზმა კაცმა, უხერხულად გაიღიმა, სქელი პორტფელი იატაკზე დადო, შლიაა მოიხადა და რედაქტორს ხელა გაუწოდა ჩამოსართმევად.

— თქვენ... პროფესორი რურუა... — ენა დაება გიორგის.

— დიახ, დიახ, მე დაგირეკეთ ამ დილით.

— სასიამოვნოა, დაბრძანდით!

მაგრამ სანამ დაჯდებოდა, პროფესორმა ნაბიჯი გადმოდგა ჯაბასკენ და ხელი ჩამოართვა, მერე კარებში. გაჩხერილი ლიანასაკენ შებრუნდა და თავი დაუქრა. შლიაა დაეანზე დადო უქულმა და რედაქტორის მაგიდას მიუჭდა.

— დიახ, ამ დილით, — გაიმეორა რატომღაც.

ჯაბა წამოდგა. ლიანა გავიდა, მაგრამ კარი არ გაუხურაჲს; ძალიან ცნობისმოყვარე იყო.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — რედაქტორმა ცხვირწინ მიუკეტა კარი ლიანას და მზადყოფნის გამოსახატავად ხელისგულები მოიფშვინტა.

— როგორ გითხრათ, — უმიზეზოდ გაეცინა პროფესორ რურუსას, ქალაქის განთქმულ ჭირურგს, — ამ სიბერეში შევცდი და, — ჯაბას ვადახედა დამნაშავესავით, — იმედია, არ დამცინებთ!

— როგორ გეკადრებთ, გისმენთ!

— ლექსებს ვწერ, რაღაც ეშმაკად, მოგეხსენებათ ქართული კაცის ამბავი, — კვლავ გაიცინა, გამირულად ებრძოდა უხერხულობას, — ალბათ, გამიგებთ, აღამიანი რომ აიხირობს, ხომ იცით... თქვენ თუ არ გამიგეთ, სხვა ვერავინ გამიგებს.

— კი, ბატონო!

— მონთარაი სულ არ მაინტერესებს, — პროფესორი გადაიხარა და სქელი პორტფელი იატაკიდან მაგიდაზე ამოაფრინა, გახსნა დაუწყყო, — ნახეთ, წაიკითხეთ და, თუ მოგეწონებათ...

— დაბეჭდეთ! — დაუმთავრებელი წინადადება ველარ აიტანა ჯაბამ.

— დიახ, მაგის თქმა მინდოდა, — ბავშვივით გაეხადრა სახე პროფესორს.

— სიამოვნებით, — ხმა გაემაზრა გორგის, სწრაფად ჩაახველა, — ლექსებს ჩვენ იშვიათად ვბეჭდავთ, ილუსტრირებული ჟურნალია, მაგრამ ვეცდებით, — და ხელი გააწვდინა ლექსების გამოსართმევად. თუმცა ნაადრევად მოუვიდა, სანამ სქელ რვეულს რედაქტორს გადასცემდა, პროფესორმა გაშალა და გადაფურცლა.

— დიახ, აი, ეს ჩემ სოფელზეა, რამდენი ხანია არ ვყოფილვარ, რომ იცოდეთ... არ მეპატიება. ეს დედაზეა, ადრე გარდაემეცვალა, ეს სახუმარო ლექსია, — ჩვენი საავადმყოფოს პროფესორებზე, შინაურული საღამო გეჭონდა ერთხელ... დიახ, და კიდევ სხვა და სხვა. თქვენ თვითონ ნახეთ, — და რვეული გიორგის გადასცა. რატომღაც ადგა და ისე გადასცა, საზეიმოდ, დიდმნიშვნელოვნად, მერე თავისმართლება დაიწყო, — ესეც ერთგვარი სენია, მოგეხსენებათ, შეეყრება კაცს და მორჩა, ველარ განიკურნება, ველარ ამოიკვეთავს ტყინიდან... სწორედ რომ სიმსივნესავით არის.

— მაგრამ ზოგს ავთვისებიანი აქვს, ზოგს კეთილთვისებიანი! — გაუღიმა გიორგიმ.

— დიახ, — აპყვა სიცილით პროფესორი. — მე, უთუოდ, ავთვისებიანი მაქვს, გათყვია, განწირული ვარ.

— მით უმეტეს, მკურნალობას, ალბათ, კაცი ვერ გიხსენებთ!

ორივე გულიანად იცინოდა.

— გამსინჯეთ, — რვეულზე მიუთითა პროფესორმა, — იქნებ კეთილი თვისებები აღმომაჩნდეს, ყოველ შემთხვევაში, კეთილი სურვილები მაინც...

— მართლა, ბატონო მიხეილ, — სიცილი შეწყვიტა გიორგიმ, — ამას წინათ ხმა დაირხა, თითქოს ამერიკელმა მეცნიერებმა რაღაცას მოაგნესო.

— სამწუხაროდ, სიცრუეა, ბევრჯერ დაირხა ეგეთი ხმა!

— ძალიან მაინტერესებს თქვენი აზრი, ბატონო მიხეილ, რამდენი საილუმ-

ლოება ამოხსნა ბიოლოგიამ, ეს კიბო რატომ გაგიჭიუტდათ ასე?

— ეშმაკმა დალაზვროს, რა ვითხრათ... იქნებ ბიოლოგიური მეცნიერების დღემდე აღმოჩენილი კანონები მხოლოდ დედამიწის ფარგლებში ვრცელდება, როგორც ნიუტონისა, მაგალითად, იქნებ ბიოლოგიის აინშტაინისა სპირო, რომ სიცოცხლის ზოგადი, მთელი სამყაროს მომცველი კანონი აღმოაჩინოს.

— კი მაგრამ, ეს ავადმყოფობა დედაძინაზე მუსკავს სიცოცხლეს და არა კოსმოსში.

— ზოგი ელემენტი, — თქვა პროფესორმა და მაგიდას დაეყრდნო ორივე ხელით, — პირველად ვარსკვლავებზე აღმოაჩინეს, მერე — დედამიწაზე.

— მაინც აქ აჯობებდა ძებნა, — თითი მაგიდაზე დააკაჟუნა გიორგიმ, — მას აქედან მიჰყავს ადამიანები იქ, — და მერე მალა ასწია თითი.

პროფესორი ერთხანს დუმდა, მერე თანდათანობით ღიმილი შეეპარა სახეზე.

— ჩამოვლენ და სიცილს დაგვყარიან, — წაიჩურჩულა მან.

— ვინ?

— ისინი... — რურუმაც მალა აიშვრა თითი. — ან ჩვენ ავფრინდებით მათთან და გავვამსხრებენ, როცა აქაური მედიცინის ამბავს გაიგებენ.

გიორგი კარგ გუნებაზე დადგა, თვლები აუციმციმა.

— თქვენ გჯერათ, ბატონო მიხეილ, რომ მალე მოხდება ეგ ამბავი?

— ადვილი შესაძლებელია, და მაშინ აღარც გავამხელ, რომ ექიმი ვარ.

— თუკი ცივილიზაცია არ არის ვარსკვლავებზე?

— შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია, რომ დედამიწაზე ერთადერთმა ადამიანმა იცხოვროს... ერთადერთმა, — გაიმეორა მან, ცალი წარბი მალა აუცურდა და თითქოს შინაურ ადამიანებს ღიდ გულისტკივილს უმქლავნებსო, დანანებით თქვა: — ისეთი კაცი მომიკვდა წუხელ, ისეთი ადამიანი...

კაბინეტში სინთქე ჩამოვარდა რურუმამ შექალაქებულ თმაზე ხელი გადაისვა და ჯაბამ გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ მის წინ სულ სხვა პიროვნება იდგა, აღარც უხერხულობა ეხატა სახეზე, აღარც ბავშვური მორცხვობა, თითქოს დროებით მთვლემარე დიდმა ფიქრმა ისევე გამოიხედა მისი ნაცრისფერი თვალებიდან.

— ელექტროობის ბუნება რომ დღემდე არ იყოს აღმოჩენილი, — თითქოს თავისთვის განაგრძო მსჯელობა პროფესორმა, — მაშინ ადამიანები ვერ მიხვდებოდნენ, რომ მეხის თავიდან ასაცილებლად სახლების სახურავებზე ერთი უბრალო რკინის ჯოხი, ანუ მეხამრიდი დაემარგებინათ, უამრავი სახლი დაიწვებოდა და დაინგროდა, აი, ასეთი „უბრალო ჯოხი“ განკურნავდა კიბოს, მაგრამ... — შეუოენდა, ჩაფიქრდა, მერე ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა, — შესანიშნავი ადამიანი იყო... — დიდხანს დუმდა, თითქოს მძიმე ავადმყოფს ადგა თავზე, უეცრად გამოფხიზლდა, ხელ გაუწოდა გიორგის, — მაპატიეთ, ამდენი დრო დაგაკარგვინეთ, კარგად ბრძანდებოდეთ, — შებრუნდა და სწრაფად გავიდა კაბინეტიდან.

ჯაბა და გიორგი სახტად დარჩნენ.

— ვინ იყო? — კარებთან უდარაჯებდა ლიანა ჯაბას, შეწუხებული სახე ჰქონდა.

— პროფესორი რურუა.

— რა უნდოდა?

სამდივნოში რედაქციის განყოფილების გამგე შემოვიდა, თეთრგვრემანი, ხნერი კაცი, წვრილი, მაგრამ ელვარე თვალები ჰქონდა, თითქოს განგებ იპატარავებდა ქუთუთოების ჭრილს, რომ მთელი შუქი ერთ წერტილში შეეკრიბა და უკეთ დაენახა პირისპირ მღვარი ადამიანი.

— ჯაბა, რედაქციაში მოსვლისას პირველად განყოფილებაში უნდა შემოხვიდე, მით უმეტეს, როცა იგვიანებ.

— რა მოხდა?! — ჯაბას მუღამ უჩქარდებოდა გულისცემა ამ კაცთან შეხედრისას, ხანდახან — მისი გახსენე-

10.366

სახ. სან.

ბის დროსაც.

— ხალხს ალოდინებ.

— ვინ არის? მე რედაქტორთან ვიყავი, ბატონო ანგია თვითონ დამიძახა.

— აჰ, თვითონ დაგიძახა?

განყოფილებაში ოთხი საწერი მაგიდა იდგა. ორს ლიტმუშაეები უსხდნენ. ერთი — ლორტულ გაზეთს კითხულობდა, მეორე სკამიანად უკან ვადანხრილიყო, მაგიდის კიდეს თითებით ჩაფრენოდა და ცდილობდა, წონასწორობა დაეცვა სკამის ორ ფეხზე. მესამე მაგიდა ბატონ ანგიას ეკუთვნოდა. მეოთხეს თავს დადგომოდა საშუალო ტანის, ორმოც წელს მიღწეული გამხდარი კაცი და ისე დაპყურებდა ცარიელ სკამს, თითქოს ჯაბა დიდბანია იქ იჯდა და რალაცას ელაპარაკებოდა.

სწორედ ეს კაცი ელოდებოდა ჯაბას. რედაქციაში მას „კონიაკს“ ეძახდნენ. ორი წლის წინათ ამ კაცს ნარკვევი მოუტანია კონიაკის ქარხანაზე. როცა ჯაბამ მუშაობა დაიწყო და სხვა მასალებთან ერთად ეს ნარკვევიც გადააბარეს „დასკვნისათვის“, წაიკითხა, მასალის მიღების თარიღს დახედა და განცვიფრებული დარჩა; რატომ აწვალებდნენ აქამდე ამ კაცს, რატომ არ დაუბრუნეს უკან ნარკვევი... მაგრამ გაიცნო ავტორი და მიხვდა ყველაფერს. ვისაც მკერდში გული ჰქონდა, ამ კაცს უარით ვერ გაისტუმრებდა რედაქციიდან — ისე განიცდიდა თავისი მასალის ბედს, ისე დაკანკალებდა თვითვე ფურცელს, ისე დიდი მოვლენა იყო მისთვის ოდესღაც რედაქციაში მოტანილი და აწ საიმედოდ დაცული საკუთარი ნაწერი, რომ გადაწყვიტეს არ დაებეჭდათ, მაგრამ არც უკან გაეტანებინათ. ამ კეთილი სიცრუისა და იძულებული ჰუმანიზმის ნარევი საკმარისი გამოდგა საბრალო ავტორისათვის, რომ ილუზიები სწამდევინსაგან ვეღარ გაერჩია. ფეხისწვევებზე შემოდიოდა რედაქციაში, ხმას არ იღებდა, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ბოდიშის მოხდა და პატიების თხოვნა ისედაც ეხატა სახეზე.

კარის კრიალზე მოიხედა და, როცა

ჯაბა დაინახა, სახე გაუბრწყინდა. სამი ნაბიჯით დაიხია უკან, რამე ჯაბას თავისუფლად გაეგლო მაგიდასა და მის შორის.

— იცით რა, კოლეგია დღემდე არ შეტრებილა. იმ კვირას აუცილებლად მოიწვევენ და... — უკრა გამოალო ჯაბამ. ნარკვევი მაგიდაზე დადო, „თბილისის კონიაკის ქარხნის სიხარული“. ეწერა თავფურცელზე.

— ძალიან მაღლობელი ვიქნები, ძალიან მაღლობელი, — მკერდზე ხელისგული მიისვენა „კონიაკმა“ და კიდეც უფრო უკან დაიწია.

— წაიკითხვენ კოლეგიის წევრები და, იმედი მაქვს, უარს არ იტყვიან...

— დიდი მაღლობელი ვიქნები, — თქვა და ერთბაშად გამოცოცხლდა, — იცით, დღეს უკვე მესამე წელი დაიწყო, რაც...

— რაც უფრო ძველდება კონიაკი, მით უკეთესდება, — წამოიძახა ლიტმუშაკმა, ორ ფეხზე აყირავებულ სკამზე წონასწორობის დაცვას რომ ცდილობდა.

— ვახტანგ, — მოილუშა ჯაბა, შერბილება სცადა, — ეგ ადრეც იხუმრე, მობეზრდა ამ კაცს.

— ადრეც?!

— თქვენც წაიკითხული გაქვთ ჩემი ნარკვევი? — მიმართა „კონიაკმა“.

— რა თქმა უნდა, მერე ერთხელ და ორჯერ კი არა!

— ყოველდღე მთვრალია, — გაიცინა მეორე ლიტმუშაკმა.

„კონიაკს“ ყურადღება არ მიუქცევია, ბიჭაყის უბის ჯიბიდან თაბახების დასტა ამოიღო და ჯაბასაკენ დაიხარა.

— ეგ რაღა? — შეერთა ჯაბა.

— ძველი გაქუქვიანდა, — თითქმის ყურთან მიუტანა ტუჩები, — ხელახლა ვადაწვერე, უხერხულია კოლეგიის წევრებთან.

— ოო, ძალიან ჰკვიანურად მოქცეულხართ, მაშინ ეს ძველი წაიღეთ.

ოთახში სამჯერ დარეკა ზარმა. ჯაბას უხმობდა რედაქტორი. წამოხტა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ორი კვირის შემდეგ გამოიარეთ და...

— ორი თვის შემდეგ რომ მოვიდე?

— რატომ, ორი კვირის შემდეგ-მეთქი..

— ორი თვის შემდეგ მოვალ.

— კეთილი. მაშინ ორი თვის შემდეგ ნამდვილად ყველაფერი გამორკვეული იქნება.

ჯაბამ დერეფანი გაიბრინა. პირის ვალებაც არ აცალა ლიანას. კაბინეტში შეაბიჯა.

მაგიდის უკრები გამოეღო გიორგის და ფეხზე მდგარი ზემოდან დასცქეროდა.

— შენ წაიღე რვეული? — შემოსვლისთანავე მიახლა ჯაბას.

— რა რვეული?

— პროფესორის ლექსების რვეული!

— არა!

— არა?!

— არა, ბატონო გიორგი, მე რატომ წავიღებდი.

— ხედავ შენ? — გაოცებისაგან ხელი ხელს შემოარტყა გიორგიმ.

— რა მოხდა?

— ეტყობა, თვითონ წაიღო, რაღა ეტყობა, წაუღია და ფეხ არის, — გაოცებული, თან თითქოს აღტაცებული იყო გიორგი პროფესორ რურუას საქციელით.

გარეთ ცხელოდა. რედაქციის სადარბაზო შესასვლელთან „კონიაკი“ იღვა მარტოლმარტო და დაფიქრებული. ჯაბამ შეუმჩნეველად აუარა გვერდი და ტროტუარს ვაჟყვა სწრაფი ნაბიჯით. სამხედრო ქუჩის დასაწყისთან გასულ საუკუნეში აგებულ სახლს ანკრევედნენ. ეულად დარჩენილ მაღალ კედელზე ქამანდივით ვადავდოთ რკინის მსხვილი ბაგირი და ბულდოზერზე დაემარებინათ. ბულდოზერი დგანდგარებდა, ღმუროდა. განაწყენებული მთვრალივით იჭაჩებოდა, მაგრამ კედელი არ უშვებდა. რკინის ბაგირი ჭრიდა და ამტკრედა, ორივე მხრიდან გვერდებს უჭამდა კედელს, თანდათან წელში აწვრილებდა.

ბოლოს უზარმაზარ რკიანს დაემსგავსა კედელი.

— იქით-მეთქი!

— შეჩერდით, ნუ მოდიხართ!

— აბა, დავიწიოთ, დავიწიოთ!

მილიციელმა ხელი მაღლა ასწია და სამხედრო ქუჩიდან ამომავალი მანქანები ადგილზე გაყინა, ცნობისმოყვარე გავლელებს კისრები გაშეშობდათ მაღლა ცქერის გამო. უზარმაზარი რკიანი შუაზე გაწყდა. კედელი ჭერ გადმოიხნიქა, თითქოს დასავარდნი ადგილი წინასწარ შეათვალეარაო, და გადმოეშვა. აგური აგურზე მიწყობილი, როგორც იღვა მთელი საუკუნე, ისევე დაუნგრეველად, ისევე კედლად გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წამი ჰაერში და მხოლოდ ქვაფენილზე დაიმსხვრა ნაწილებად. „ოუჰჰ“, ამოიღმეველა თითქოს და აღმოხდა თეთრი მტკრის სული. აგურის ნაფშევენებმა წითლად შეღება ქუნა.

ირგვლივ შეკრებილი ხალხი დაიფანტა, ბევრი შებრუნდა და სირბილით გაეშვა მტვერს.

ჯაბა სევდიანად გაჰყურებდა ციდან ჩამოგრძელებულ უცხო სივრცეს, ეს პატარა სივრცე ასი წელი ელოდებოდა ადამიანებისაგან წართმეული თავისი სიცარიელის დაბრუნებას, და ყველაზე განათებული მოჩანდა ახლა ცის ფონზე, თითქოს უზაროდა შემავიწროებელი სართულების ძირს დანარცხება.

ჯაბას უყვარდა ძველი სახლები. უცხო და ლამაზი შენობა გამომწვევი და შეცნობის გამაღიზიანებელი იდუმალებით იზიდავდა მას. როგორც ზოგჯერ იგრძნობ ადამიანის დაეინებულ მზურას და უნებურად მიიხედავ მისკენ, ისე გრძნობდა ჯაბა ლამაზი შენობის სიახლოვეს. ვინ გამოდიოდა იმ აივანზე, ან ვინ იღვა ამ სადარბაზოში ათი, ოცი, ასი წლის წინათ? რა ხდებოდა იმ ფანჯრების მიღმა, სად არის ახლა ის ხალხი? სახლებს ყველაფერი ახსოვდათ. სახლები იღგნენ და ფიქრობდნენ, არაფერი არ ჩჩებოდათ შეუმჩნეველი. იმ სახლს კი ყველაფერი დაეწყებოდა;

ძლივს ჩიფჩიფებდა, ამიტომ დაანგრის, მაგრამ მაინც ენანებოდა ჯაბას.

ღამით, ძილისწინ, ერთიღაიგივე სურათები ჩაივლიდა ხოლმე მის თვალწინ: ვიწროკაბიანი, ღამაში ქალი უჩინარდება რომელიღაც საღარბაზოში, ჯაბა მალულად აპყურებს სახლის ფასადს, რკინისრიკვლებიან დაბალ აივნიდან ვიღაც ფერპერტალი ბიჭი წიგნს აწოდებს ქუჩაში მდგარ ამხანაგს, წიგნი ხელიდან უვარდება და ფილაქანზე ეცემა, ჯაბა ვერ ასწრებს სათაურის წაკითხვას, და კიდევ ერთი სურათი — ხის გრძელ აივანზე თავდაყირა გადმოკიდებული რუხი დათვის ტყავი. მხოლოდ ძილისწინ ელანდებოდა ეს სურათები, ხან ამ რიგით, ხან სხვა თანმიმდევრობით, ახსენდებოდა, რა უჩვეულოდ აუძვერა გული იმ ღამეებში ქალმა, როგორ დაინტერესა ფილაქანზე დავარდნილმა წიგნმა, სამუდამოდ უცნობი რომ დარჩა მისთვის. როგორ წარმოიდგინა მაშინ იმ დათვთან პირისპირ შებმა, როგორ ესროლა, და როგორ დატოვა აღრიალებულმა ნადირმა.

რადაც გარკვეული სისრულით ჯაბას შეეძლო ეამხნა თავისი ბიოგრაფია, მან იცოდა მხოლოდ ერთადერთი ადამიანის ცხოვრება მთელს დედამიწაზე, და ეს ძალიან ცოტა იყო. ჯაბას უყვარდა სახლები, რადგან სახლები ფარავდა უცნობ ადამიანთა ისედაც დაფარულ ათასობით ფიქრს, წუხილს, სიხარულს, უფრო ნიღბავდა და ამის გამო უფრო უცხოველებდა პათთან დაახლოების სურვილს. ჯაბას გული და გონება მზად იყო ადამიანური განცდების უთვალავნაირი, აურაცხელი სიმდიდრის მოსაპოვებლად, მისი არსება შეუგნებლად ისწრაფვოდა დიდი სულეერი განაყოფიერებისაკენ.

ქუჩაში მტვერი დაწმენდილიყო. ტრამვაის ლიანდაგებზე დაკვენილ ქვაკირისა და აგურის ცალკეულ ნატეხებს სათითაოდ იღებდნენ მუშები და გორად დადგმულ ნანგრევისაკენ ყრიდნენ. ჯაბამ წარვლის ტოტები შეითვალეირა,

რამდენჯერმე გადაისვა თმაზე ხელს-გულები.

ელბაქიდის დაღმართზე თავისი სახელი მოესმა. სწრაფად მომავალი ტროლეიბუსის გრიალში ვერ გაარკვია, საიდან დაუძახეს. შეჩერდა, გაიხედ-გამოიხედა, სახლების ფანჯრები შეათვალიერა. არაფერი ჩანდა.

„ვიღაც შემალბა, ახლა გზას განვაგრძობ და ისევ დამიძახებს“.

დაღმართს დაჰყვა ფრთხილი, აკრეფილი ნაბიჯით, რომ ადვილად გამოეცნო ხმის მიმართულება, ყურები დაცქვეტილი ჰქონდა, მაგრამ აღარავის დაუძახნია, ერთხელ კიდევ გაიხედა უკან და გზა განაგრძო.

როცა ხილზე გადადიოდა, რედაქტორის წერილი გაახსენდა, ხომ არ დამეკარგაო, ჭიბეები დაარბია, წერილი ამოიღო და გაშალა.

„სალამი, ელიზბარ!“

ამ ბარათის მომტანი ჩვენი თანამშრომელი, ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი, ჯაბა ალაგვიდა, რაღაც კოსტუმი სჭირდება ერთი ღამით, გთხოვ დაეხმარო.

რატომ დამედურე ჩვენს ჟურნალს?

პატივისცემით, გიორგი ნაკაშიძე“.

„მწერალი კი არა... ისიც ნიჭიერი“.

ქუჩა გადასჭრა და ის იყო თეატრის სამორიგეოში უნდა შეეზიჯა, რომ კვლავ მოესმა თავისი სახელი. შებრუნდა და ხალხით სავსე ფილაქანზე სწრაფად გამოარჩია ის, ვინც უძახდა. აუჩქარებლად მობრბოდა, როგორც სტაიერი დისტანციის დასაწყისში. დაღლილობისაგან სახე ასწითლებოდა, შეჩერდა, ხელები მალა ასწია მისალმების ნიშნად, ღიმილი შეუჭურასავით ანთო და ჩააქრო, ანთო და ჩააქრო.

„გურამი! — აუფართალდა გული ჯაბას. — გურამი! რამდენი ხანია, აუბ, რამდენი ხანია!“

გადაეხვივნენ. მონატრების სიმძაფრე მტკივნეული, უხეში კოცნით გამოხატეს. ერთდროულად ბეჭებზე ხელები შემოართყეს ერთმანეთს, და სიცილი და-

იწყეს, თითქოს ლაპარაკი არც იცოდნენ. სიხარულის ძლიერმა, ცხოველურმა ემოციამ პირველყოფილ ადამიანებს დაამსგავსა ისინი. იცინოდნენ, ხელებს იქნევდნენ, და ხმა კი ვერ ამოუღოთ.

— ტროლეიბუსიდან დაგინახე, ველარ ჩამოვხტი... ზემელიდან მოვრბივარ, გავაგიყე ხალხი!

— მეც გამიკვირდა, ვინ მეძახის-მეთქი!

— ხიდზე დაგეწიე, მაგრამ აღარ დაგიძახე, მინდოდა მოგპარვოდი. თეატრისკენ რომ შეუხვიე, შემეშინდა, არ დამეკარგოს-მეთქი.

— გადამარჩინე; ცოტაც და მსახიობი გამოვიდოდი.

ახლა ყოველი ჩვეულებრივი სიტყვა უჩვეულოდ ისმოდა. ყოველი უმნიშვნელო ხუმრობა გონებაში ახვილობის მწვერვალად ეჩვენებოდათ.

მოულოდნელი აღტაცებისაგან აღგზნებული იდგა ჯაბა და თვალს არ აშორებდა ბავშვობის მეგობარს. როცა ხანგრძლივი დაშორების შემდეგ საყვარელ ადამიანს ხედები, რაღაც აუხსნელი რამ ხდება, თითქოს აღდგება ზოლმე ის უხილავი რადიოტალღები, ორ ახლობელ სულს შორის რომ არსებობდა და მერე დიდმა დრომ და მანძილმა რომ შეასუსტა და გააჭრო, და ქალაქი, სადაც შენი ძვირფასი ადამიანი გვეულებოდა, ხელახლა ელექტროვდება.

— ეტყობა, ვიგრძენი, რომ ჩამოსული ხარ, დილით სულ შენზე ვფიქრობდი, — თქვა ამ გახსენებით გაოცებულმა ჯაბამ.

— დილით ვნუკოვს აეროდრომზე ვყურყურებდი!

„ნამდვილად ვიგრძენი“ — გაიფიქრა ჯაბამ.

თითქოს რაღაც მოხდა, რაღაც შეიცვალა ძირფესვიანად, დღის შემდეგ სულ სხვა მნიშვნელობა მიეცემა ყველაფერს, გურამის ქალაქში ყოფნა სულ სხვაგვარად გამოაჩენს ჯაბას ყოველ გამოსვლას პრესაში, ჯაბას ყოველ სიტყვას, ყოველ საქციელს. უეცრად ეუხერხულა, რომ კოსტუმის წამოსაღებად მიდიოდა თეატრში, სასურველად იქნენა ბალ-მასკარადზე ჩასაცმელად რომ ჭირდებოდა ეს კოსტუმი. ვერ გამოეცინო, როგორ შეაფასებდა ამ ამბავს გურამი.

— დაამთავრე? — ჰკითხა მეგობარს.

— არა, დიპლომი დამრჩა, სწორედ ამიტომ ჩამოვედი. აქ უნდა გადავიღო.

— მერე?

— რა ვიცი. თბილისის სტუდიაში, მგონი, სცენარი არა აქვთ, კარგი სცენარი მინდა. ორი, სამნაწილიანი. შენ ხომ არაფერს წერ?

— მე—არაფერს.

— ეურნალისტი ხარ, ძმაო!

— ვარ ვითომ?

— ასე ამბობენ. რამე საინტერესო მასალა არ შეგხვედრია? ერთი უნდა გადაეთავალიერო აქაური ეურნალები. რამდენი ხანია ქართული მოთხრობა არ წამიკითხავს. ახალგაზრდა არავინ გამოჩენილა?

— კი, არიან. წაგაკითხებ.

— დამეხმარეთ, თორემ ცუდადაა ჩემი საქმე. დრო ცოტა მაქვს. სად მიდიხარ ახლა?

— თეატრში. რაღაც დამავალეს და...

— დაგაგვიანდება? თუ დაგაგვიანდება ამ საღამოს შევხვდეთ.

— საღამოს?

— არ გცალია? მაშინ ხვალ დილით დაგირეკავ რელაქციაში.

— კარგი.

— თუ გინდა, დაველოდები.

— არა. წადი, დამაგვიანდება, ალბათ.

— დაველოდებოდი, მაგრამ ამ წუთში გამახსენდა — კინოსტუდიაში ვარ მისასვლელი.

— დაგირეკავ საღამოს.

— დეიდა ნინო როგორ არის?

— კარგად, ძველებურად. — ჯაბას გაახსენდა, რომ აღმასკომში უნდა შეველო.

— ისევ იმ კონტინენტალურ ჰავაში ცხოვრობთ?

— ისევ. მხოლოდ ახლა სხვა სახელი შეარქვეს ჩვენს სხვენს.

— რაო?

— აკუმულატორი!

— არა, ძველი ჯობს. ერთი უნდა მოვიდო დეიდა ნინოსთან. თორემ ისე შეუცვლიათ ქუჩები, ბავშვობა ვერსად გამიხსენებია. მგონი, ჩვენს სახლსაც ანგრევენ. მერე სიკაბუტესაც ველარსად გავიხსენებ. თქვენ არ აპირებთ გადასვლას? ბინას არ გაძლევენ?

— წარსულს მარტო ქუჩები გახსენებს? — თავისი ნაღვლიანი ხმა ეუცხოვა ჯაბას.

— ქუჩებიც! — საჩვენებელი თითი შემართა გურამმა, — წავედი ახლა, შენებურად არ დაიკარგო.

— ნახვამდის, — თქვა ჯაბამ. — ეგ ჭლარა ვინ შეგირია თმაში?

— რა ვიცი, ალბათ, ქალებმა, ანდა წიგნებმა.

— ალბათ, ქალებმა, — დაასვენა ჯაბამ და გაიღიმა, — წიგნების ჭლარა სულ სხვანაირია.

— ტაქსი, ტაქსი, სსს, ტაქსი! — დაიყვირა გურამმა, ადგილიდან მოწყდა, უკანმოუხედავად ხელი დაიქნია გამომშვიდობების ნიშნად და ქუჩა გადაირბინა.

გულდაწყვეტილი შებრუნდა ჯაბა თეატრისაკენ. მეგობართან შეხვედრით გამოწვეული პირველი ალტაცება ჩამქრალიყო, გურამის საქმიანმა კილომ („ერთი კარგი სცენარი მინდა“) წუთობით გაანგარიშებულმა საუბარმა („სტუდიაში ვარ შესასვლელი“) რატომღაც უფრო გუნებაზე დააყენა. მოეჩვენა, რომ არაფერს წარმოადგენდა თვითონ, არაფერს აკეთებდა ამ ქვეყანაზე და თუ აკეთებდა, ძალიან უმნიშვნელოს და ყველასათვის შეუმჩნეველს. იქნებ გურამთან სიახლოვემ უკარნახოს ნამდვილი გზა, გურამის შეფასებამ მიახვედროს, აკეთებს რამე ღირსეულს, თუ ტყუილად წყალს ნაკავს. ალღო აქვს, უარსაყოფს უარყოფს გურამი, დასაბუთების მთელ ტომებს დააწყობს, ხან დალაგებით, ხან არეუ-

ლად, მაგრამ მუდამ ენერგულად და ცეცხლოვანად, და დაუმტყიცებს ჯაბას, რომ უსაქმოდ დაყიალობს ამხელელ ქაღალაქში. ანდა...

თეატრის ღირექტორის მოადგილემ სათვალე გაიკეთა და წერილს დახედა. ნიშნისმოგებით გაეღიმა. ეს განაწყენებული ადამიანის შემრიგებლური ღიმილი იყო.

— მსაყვედურობს გიორგი, ეურნალს რატომ დაემდურეო, ორჯერ გავუგზავნე სპექტაკლის რეცენზია და არ დაბეჭდა.

— გავახსენებ, — მეტი ვერაფერი თქვა ჯაბამ.

— გაახსენე თუ კაცი ხარ, იქ მსახურობ ზომ?

— დიას!

„არც ჩემი „მწერლობა“ შეუმჩნევია, არც „ნიჭიერება“, თავისი მწერლობა გაახსენდა“.

მოადგილე ტელეფონს მისწვდა:

— ნიკალა მოვიდეს ჩემთან! — ჩასძახა ეურშილში, მერე ჯაბას შეხედა. — რად გინდა კოსტუმი, თვითშემოქმედების საღამოს აწყობთ?

— არა.

— საინტერესო ეურნალია „განთიადი“, — თქვა ელიზბარმა, — მაგრამ თეატრის მუშაობას არ აშუქებს კარგად.

— მართალს ბრძანებთ.

— აი, „ოგონიოკი“ ყოველ ნომერში ბეჭდავს რეცენზიას, ვის არ აწერილებენ; მუშას, ინჟინერს, მწერალს და, მით უმეტეს...

— ღირექტორის მოადგილეს! — თავი ველარ შეიკავა ჯაბამ.

ელიზბარი წამოწილდა.

— შენ ღიმი ეშმაკის ფეხი უნდა იყო.

— როგორ გეკადრებათ, სხვანაირად არ მიიღოთ...

კარი გაჭრილდა და კაბინეტში მაღალი, გრძელხელემა მოხუცი შემოვიდა, მოდუნებული, დაბლა ჩამოყრილი მხრები უგრძელედა, ალბათ, ხელებს.

მაგიდის წინ შეჩერდა და ქალარა წვერზე თითები მოისვა. არც დირექტორის მოადგილისათვის შეუხედავს, არც ჯაბასათვის, ერთ წერტილს მისჩერებოდა და, ალბათ, ადრე დაწყებულ ფიქრს აგრძელებდა, თითქოს ბრძანება კაბინეტში გამოცხადებისა, მისმა ყურებმა გაიგონა და ფეხებმა შეასრულა.

— ნიკალ, ეს ყმაწვილი რედაქციიდან არის, — სისხლისე დაჰკარგვოდა ელიზბარის ხმას, — რაღაც კოსტუმი უნდა, ჩაიყვანე საწყობში და ძველი სპექტაკლებიდან რამე აარჩევინე. როდის დააბრუნებ? — მიმართა ჯაბას.

— ხვალვე.

როგორც შემოვიდა, ისევ ისე უსიტყვოდ გავიდა კაბინეტიდან ნიკალა.

— გაჰყევი და მოგცემს! — თქვა ელიზბარმა.

— დიდი მადლობა. რედაქტორს აუცილებლად შევახსენებ თქვენს რეცენზიას. ნახვამდის!

ნიკალა დერეფანს გაჰყვა. შერე უცრად შემობრუნდა, ჯაბას გვერდი აუარა და ქუჩაში გავიდა. ჯაბა აედევნა.

— რა კოსტუმი გინდა? — ჰკითხა მოულოდნელად და უხეშად.

— სულერთია, რაც მომერგება.

მოხუცმა ერთი შემოხედა ჯაბას. სწრაფად აათვალიერ-ჩაათვალიერა და ისევ აუჩქარა ნაბიჯს. უკან ჩამოიტოვა.

— ეგ ცუდად გაქვს მორგებული?

— მოესმა ჯაბას ბუზღუნა ხმა.

— ცოტა დამიძველდა, — ხუმრობა სცადა ჯაბამ.

ნიკალამ პასუხი დააყოვნა.

— იქ შენი სარგო არაფერია, — თქვა ბოლოს და კიდევ ერთხელ შემოხედა ჯაბას.

„ცუდ გუნებაზეა“.

შენობას შემოუარეს და გრანიტის ქვებით მოკირწყულ ეზოში შევიდნენ.

— მოდიან აქ ვიღაც ცხვირმოუხოცელები, ეს ურიელის კოსტუმი მინდაო... გაუნათლებლები... ეს მარგარიტა გოტიეს კაბა მათხოვეთო... შენ არ გეწყინოს... თან მაინცდამაინც უკანასკნელი მოქმედებიდანო, ეს ჰამლეტიო, ესმო-

დეთ მაინც სასმელია, საქმელია ჰამლეტი, თუ ადამიანია.

— მე თბილისის უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული, გაუნათლებელი არა ვარ.

— შერე რა გასწავლეს, თეატრებიდან კოსტუმები დაიტაცეთო?

ჯაბას ეწყინა.

— მასწავლეს, რომ ჰამლეტიც უნივერსიტეტში დადიოდაო, მხოლოდ ვიტენბერგის უნივერსიტეტშიო.

მოხუცმა ღიმილი ვერ შეიკავა.

— შენ არ გეწყინოს, შვილო, რა გქვია შენ?

ჯაბამ ხელი ჩაიქნია, თითქოს ამბობდა, რა მნიშვნელობა აქვს ჩემს სახელსო, მაგრამ მაინც უბასუხა.

— ჰო, არ გეწყინოს ჩემგან, განათლებული ბიჭი ჩანხარ და გამოგებ, — მოხუცი ქვის კიბეს ჩაჰყვა და კარებს მიადგა, გასაღები მოარგო კლიტეს. ჯაბასაკენ იყურებოდა, თან გასაღებს ატრიალებდა, — მოდიან ბავშვები, ეს მათხოვეთ და ის მათხოვეთო, ხანდახან დიდებიც მოდიან, დიდი ბავშვები არ გაგიგონია? და მენანება ეს სატილე, გული მიკვდება, — კარი ჰრიალით გაიღო, — შემოდი, — თქვა ნიკალამ და ბნელ საწყობში გაქრა.

ჯაბამ ბრმასავით ხელი მოაფათურა და გაუბედავი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ უცრად ელექტროშუქმა გაანათა დიდი, მაღალჭერიანი სარდაფი. ჯაბას თვალის გუგები შეუფერადა ატლასის წითელი ქსოვილის ანარეკლმა, იქვე, მის წინ, ვიღაც სენატორის მდიდრული მოსასხამი ეკიდა. უკან მწყობრად ჩამწყრივებულიყვენენ სხვა სენატორები. მაღლა, მოპირდაპირე კედლებს შორის, შავად შეღებილი მილები იყო ჩამაგრებული. ამ მილებზე ჩამომხრჩვალეზით ეკიდნენ აბრეშუმის გოფირებულ საყვლოებით დამშვენებული ჰერცოგები, შავი და მწვანე ხავერდის მოოქროვილ სერთუკებში გამოწყობილი კეთილშობილი დუკები და იდაღოები, მარკიზები და გრაფები. ღია კარიდან მონაბერმა ნიავმა შეარჩია და შეაფრია-

ლა მოწინავე სენატორი, მერე ყველა სენატორი მას აპყვა, თითქოს მორჩილად დაეთანხმენ მოწინავე სენატორის აზრს. აშარიშერდა, აშრიალდა წითელი ატლასის წარსული.

მარჯვნივ, შავი რეიტუზის ქვეშ ნიკალამ გამოპყო თავი;

— შემოდი, რატომ არ შემოდისხარ? ჯაბამ მოხუცისაყენ გააბიჯა.

— არ შეგენანოს, აბა? — ირგვლივ ხელი შემოატარა ნიკალამ, — ყველა მახსოვს, ყველა ესენი—ყოველი მოძრაობა და სიტყვა. დღემდე არ დამვიწყებია. ოცდასამი წელი ვიჯექი ჭიხურში დამალული და ვკარანახობდი... ოცდასამი სეზონი.

— ოცდასამი?

— მარჯანიშვილთან დავიწყე... შარშან მითხრეს, გამოდი, ხალხს დაენახვე, სუფთა ჰაერი ჩაყლაპეო, ამომავდეს იმ ჭიხურიდან. ხმა, ხმამ მილაღატა, ჩურჩულს მეტი ძალა უნდა თურმე, ყვირილზე მეტი... ყველა მახსოვს, ვისაც ამ საყელოებში თავი გაუყვია, რამდენჯერ ამბურძგვლია კანი, მიტირია კიდევ რამდენჯერ მგონებია ნამდვილ სიკვდილს ვუყურებ-მეთქი. ეჰ... და ახლა—ჰაერი ჩაყლაპეო, ალბათ, მართლა ნამდვილ სიკვდილს ვუახლოვდები, — მოხუცმა სკამი შესთავაზა ჯაბას, — მუხუშშია-მეთქი და, იცინიან, ხან ამას ატანენ კოსტუმს, ხან იმას, ახლა შენ რაღა გინდა, მიდი, აირჩიე!

— არ გაფაფუქებ, ხვალვე მოვიტან!

— ყველა ეგრე მპირდება.

— მე არ გაპირდებით, მე ნამდვილად არ გაფაფუქებ!

ჯაბა შებრუნდა, მალლა აიხედა და თავიდან ბოლომდე ჩაათვალიერა წითელი მოსასხამებისა და ჭუბების მწკრივი.

— ჩაცმა შეიძლება?

— აბა, მაგის დრო გაქვს? თვალდათვალ მოზომე და წაიღე. აბა, გამომართვი! — კედელზე მიყუდებული რკინისკაუქიანი გრძელი ჭოხი აიღო და ჯაბას გაუწოდა, — ამით ჩამოიღებ.

ჯაბამ მწკრივის ნახევარი ჩაიარა და

შეჩერდა. მოოჭროვილმა საომარმა ჭუბამ მიიპყრო მისი ყურადღება. ხელი მოჰკიდა და შეატრიალა, [ტომი] ბეჭეტის სიგანე გამოჩენილიყო.

— ეგ „ოტელოა“. მეორე მოქმედება, — მოესმა მოხუცის ხმა. — არ ჩავიკვა.

— პირიქით, დიდი ჩანს, — გაუკვირდა ჯაბას.

— ჰოდა, მეც მაგას ვამბობ...

ჯაბას გაეღიმა. თვით ნამდვილი ოტელო, ვენეციის მხედართუფროსი თუ გამოცხადდებოდა, თორემ მოხუცი, ეტყობა, სხვას არავის გაატანდა მის ტანსაცმელს. „ჭარისკაცზე დიდ თანამდებობას არ მაღირსებს“, გაიფიქრა ჯაბამ და ლაზღანდარობის ფუნებაზე დადგა.

— მართალს ბრძანებთ, მე საღ მივალ ამ მავრთან; არც ომში ვყოფილვარ. არც მტერი დამიმარცხებია, არც მყვარებია ვინმე, ცოტა ეჭვიანი კი ვარ.

— ოტელო ეჭვიანი არ ყოფილა, ალალი გულის კაცი იყო. ეჭვიან ადამიანს იაგოს ვადამლაშებული ერთგულება ყურებს დააცქვეტინებდა, — მოხუცმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო, — აქ მოწვევა არ შეიძლება, — თითქოს საკუთარ თავს შეახსენა, შებრუნდა და კარებისაყენ გააბიჯა.

— რა სპექტაკლებია აქ? — დააწია ჯაბამ.

— რასაც აღარ ვდგამთ; „ოტელო“, იქ „ჰამლეტია“, „რომეო“, „ცხვრის წყაროც“ არის სულ კუთხეში, — ნიკალამ ხელი ძირს დაუშვა და კიბეს აპყვა. ჯერ მისი ქალბა თავი გაჭრა, მერე ჩამოვარდნილი მხრები, ბოლოს ყელიანი ფეხსაცმლის გაცვეთილი ქუსლები.

„მარტო დავრჩი“, რატომღაც გაეხარდა ჯაბას და იგრძნო, რომ მოხუცი ხელს უშლიდა, მისი სიხალთვე თითქოს უბინდავდა მხედველობას, ფიქრებს უბორკავდა. მარტოდდარჩენილი ახლა სულ სხვა თვალთ უჭვრეტდა ამ უძრავ, დამსხვრეტულ კალეიდოსკოპს, სადაც ყოველ ქსოვილში, ყოველ ფერსა და ხაზში თითქოს ძლიერი ვენებებისა და ბობოქარი აზრების შიფრი იყო ჩამ-

ლული. შიფრის გასაღები კი თან წავლეთ ძველ მსახიობებს.

ჯაბას გაახსენდა მოხუცის ორზროვანი ჩაქილიცება, მავრის ტანსაცმელი შეუფერებლად რომ მიიჩნია მისთვის. ამ შენიშვნამ სულ სხვაგვარად შემოაბრუნა მისი ფიქრი, სხვაგვარად წარმოადგენინა ბალ-მასკარადი, ამ საღამოს რომ უნდა დასწრებოდა. თითქოს იქ შენიღბული კი არ უნდა გამოცხადებულიყო და სხვა ადამიანად ეჩვენებინა თავი, პირიქით, ზედმიწევნით შესაფერისი კოსტუმი უნდა ემოსა, კოსტუმი გმირისა, რომელსაც ჰგავდა არა მარტო ხასიათითა და აზროვნებით — გარეგნობითაც და ასაკითაც, თითქოს ძველმა სუფელიორმა აუკრძალა, მოპოტიწებოდა იმ სიმაღლეებს, რომლის ღირსი არ იყო ჯაბა. და მან ერთი წუთით წარმოიდგინა, რომ თავისი ცხოვრების გზა-ჯვარედინზე იდგა, ახლა უნდა ამოერჩია ის გზა, მერე რომ აღარასოდეს უღალატებდა. იმ საოცარი უნარის წყალობით, მხოლოდ აზრს რომ გააჩნია, ერთ გაფიქრებაში ჩასტია ათასი მოგონება, ათასი კეთილი თუ უკეთური საქციელი ბავშვობიდან დაწყებული დღემდე, ათასი ეჭვი და საყვედური საკუთარი თავისადმი. ბოლოს თვალწინ დაუდგა გურამთან შეხვედრა, რა უსუსურად, არაფრისმაქნისად იგრძნო თავი მეგობრის წინაშე, გაახსენდა რედაქტორის სიტყვები დროის ცბიერებასა და იმ დიდებაზე, თავისთავად რომ არასოდეს მოდის. იდგა ჯაბა გზაჯვარედინზე ზღაპრის გმირივით, ყველა გზა მომზიბველი იყო და ყოველი მათგანი ბოლოს სიკვდილს პირდებოდა. ეს იცოდა ზღაპრის გმირმა, მაგრამ ჯაბამ უფრო მეტი იცოდა...

კიდევ ერთხელ შეათვალიერა საომარი ჯუბა და ხელი ჩაიქნია.

„არა, ოტელო ნამდვილად არა ვარ“.

გარდერობის ახალ მწკრივს ჩაჰყვა. თითქოს საუბანგებოდ შერჩეული მუქზე მუქი კოსტუმები ჩაათვალიერა.

„ეს მგონი ჰამლეტია...“ ჰამლეტის კოსტუმი რომ ჩაიცვია? და როგორ გამოცხადდეს მამის აჩრდილს... მტინდონა ენად, როგორც უფოკუსოდ გადაღებულ ფოტოსურათზე, მამის სახე დაუდგა თვალწინ, — და რომ მითხრას როგორ მოჰკლეს... გაბანდოს მკვლელის სახელი, — ჯაბამ ხმამალა ჩაიციხა, შემკრთალმა თითქოს თავისი თავი გაამხნევა. სწრაფად ჩაიარა თეატრალური კოსტუმების ფერადი დერეფანი, აქ დღის სინათლე აღარ აღწევდა, ელნათურას რაღაც მოფარებოდა, რკინისკაუჭა გრძელი ჯოხი მალლა ასწია და ერთ საციდს ამოსდო, კოსტუმი გადმოიღო, ჯერ ჰაერში შეათვალიერა, მერე ორივე ხელით ტანზე მიიზომა. ხავერდის მოყავისფრო ჯუბას ქამარიც ზედ ჰქონდა, ქამარზე კი მოკლე დაშნა იყო ჩამოკიდებული.

„ამას წავიღებ“.

კიბესთან გაჩნდა. მალლა აიხედა. ნიკალა ქუჩისაკენ იყურებოდა და ზედიზედ ჰჩაჩვდა უკვე თითებამდე მიღულ სიგარეტს.

— ბატონო ნიკო!

მოხუცი საფეხურებს დაჰყვა.

— აი, ეს მიმაქვს! — და ჯაბამ კოსტუმი ცალი ხელით მალლა ასწია.

— წაიღე, — მოგვიანებით უბასუხა ნიკალამ, ჯაბას გვერდზე ჩაუარა და თეთრ ტუნიკებს შორის გაქრა. უეცრად დაბნელდა ოთახი.

როდესაც ნიკალამ კარი ჩაკეტა და ორივენი ეზოში ამოვიდნენ, მოხუცმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი კოსტუმს, გრძელი ხელები უკან შემოიწყო და ქუჩისაკენ გააბოტა. ჯაბას დაეკეცა ყავისფერი ხავერდის ჯუბა და ილიაში ამოვიდა.

— რად გინდა, პიესა უნდა ითამაშოთ? — ჰკითხა ნიკალამ.

— არა, სტუდენტების ბალ-მასკარადია და...

„ნანობს, რომ გამატანა“.

— სტუდენტების? — მოხუცი შე-

ჩერდა. — აკი დავამთავრე უმალეს-სიო.

— მე სტუმრად მივდივარ.

— აბა, მაჩვენე, — ჭუბაზე ხელი მო-
აფათურა ნიკალამ, ჯიბე მოუძებნა და
ვიწრო, შავი ქსოვილის ნილაბი ამოი-
ლო, თვალეზე ასაკრავი, — აქა ყოფი-
ლა, ესეც გამოვადგება.

ნილაბი ჯაბას გაუწოდა, ისევ ზურგზე
შემოიწყო გრძელი ხელები, ისევ ქუჩი-
საკენ გააბოტა, ჩაეცინა:

— განგებ ამოვიჩჩევია!

— განგებ რატომ?

— მერკუციოც ბალ-მასკარადზე არ
მიდის პირველ მოქმედებაში?

— ეს მერკუციოს ჭუბაა?

— ჰო, — თქვა მოხუცმა, ეზოს ჭიწ-
კარს გასცდა და მარჯვნივ გაუხვია —
აბა, თუ მახსოვს: „ნილაბს — ნილაბი,
რას დავეძებ თუ დამძრახვენ, დაე, გა-
წითლდნენ ჩემს მაგივრად ნილაბის წარ-
ბები“. და უფერად ჯაბას შეუტია, —
დაშნა არ დამიკარგო, თორემ მოგკლავ!

— არა, ძია ნიკო... დიდი მადლობე-
ლი ვარ თქვენი.

— აბა, ნახვამდის!

ნიკალა შეჩერდა და ფართო ხელში
ჯაბას ხელი მოიშწყვდია. მერე თვალე-
ში შეხედა ბიჭს. პირველად შეხედა
თვალეში და უფერად ჯაბამ იგრძნო,
რომ მოხუცს უყვარდა იგი, რატომღაც
უყვარდა, აქამდე არ ამტკიცებდა და
ახლა უნებურად გაამტკიცა.

— ნახვამდის, ძია ნიკალა, დიდი მა-
დლობელი ვარ თქვენი, — მერე თითი
ჭუბას დაარკო დაშნასავით, — ამაზე
ნუ იღარდებთ.

ჯაბა იღგა და მოხუცს გაჰყურებდა.
ნიკალა მიდიოდა ნელა, ისე ნელა, რომ
არ პატარავდებოდა, სულ ერთი სიდი-
დისა ჩანდა, როგორც მზე ცაზე.

ჯაბამ ცალი თითი საკიდს ამოსდო და
საწვიმარი ქამანდივით მოისროლა გარ-
დერობის მოაჯირს გადაღმა. სახელამ-
ქვანარმა მოხუცმა კაცმა საწვიმარი გა-
მობართვა და წინასწარჩამოსხნილი ლი-
თონის ნომერი ჩაუღო ხელში.

ჯაბამ ათვალწუნებით შეათვალიერა
საკუთარი ჩაცმულობა; ხავერდის, ყა-
ვისფერი ჭუბა, შავი რედუტზემყოფი
ლუ დაშნა, მერე სწრაფად მიიხედ-მოი-
ხედა, მოეჩვენა, ვიღაც უყურებდა და
ჩუმად ეცინებოდა მის აღჭურვილობა-
ზე.

თეთრი მარმარილოს კიბის ფართო
და ღინჯი საფეხურები სარკესავით
ირეკლავდა კედლებზე ჩამოკიდებულ
ფერად ბუშტებს. ახალგაზრდათა ცხე-
ლი სხეულებისაგან გამთბარი ჰაერას
ჰავლი ჰერისაკენ მიილტვოდა და მსუ-
ბუქ ბუშტებს არწევდა და აცეკვებდა.
ძირს, თეთრი მარმარილოს მოსარკულ
საფეხურებში კი უფრო გააშვარავებუ-
ლიყო ბუშტების ცეკვა, რადგან ყოველ
წამში, ყოველ ფერთან გაილეგებდა
ხოლმე გოგონების მორცხვი წვივები და
ჩრდილივით ადგენებული ყმაწვილების
ლონიერი ფეხები. ახალგაზრდები ცო-
ცხალი ფუნჯებივით ირეოდნენ ამ კიბე-
ების, დერეფნებისა და კედლების ფე-
რად სამყაროში, თითქოს ყოველი მათ-
განი თავის საღებავს ეძებდა.

ჯაბა მძიმედ მიიბიჯებდა დერეფან-
ში, როგორც მორიგე მასწავლებელი
დიდ დასვენებაზე, ვადაციცებით ათვა-
ლიერებდა ყველაფერს, თუმცა გარეგ-
ნულად არ ემჩნეოდა ეს გაღვივებული
ცნობისმოყვარეობა. უნდოდა მალე შე-
ეგრძნო რა იყო, რას წარმოადგენდა
მასკარადი, მიმხვდარიყო — რა თავისე-
ბურება ჰქონდა მას ძველად.

„ნეტავ აქ ნაცნობი თუ არის ვინმე?
თუმცა როგორ უნდა ვიცნო...“

გაიფიქრა თუ არა ეს, შეეკრთა; ნი-
ლაბი საწვიმრის ჯიბეში დაჩრჩნოდა,
უნებურად ხელი მოისვა სახეზე, მოშო-
რება გაუძნელდა, თითქოს აქ ისეთივე
უცნაურობად უნდა მიეჩნიათ დაუფა-
რავი სახე, როგორც ნილაბისანი გამე-
ლელი ქუჩაში. გუნება შეემღვრა. სასა-
ცილოდ მოეჩვენა თავისი დაეინებული
სურვილი, აუცილებლად სამასკარადო
კოსტუმით მოსულიყო აქ.

„გადავიღებ, ყველა კუნჭულს მო-
ვივლი და წავალ“.

შეღებელი ბურბუშელას ყვავილე-
ბით მორთულმა კიბემ მესამე სართუ-
ლისაკენ აიტყუა. თავი აღწეული აპყე-
ვიწრო საფეხურებს. პატარა, ასაქცევ
ბაქანზე, იქ, სადაც კიბე ისვენებდა,
ქერავლულუბიანი გოგო იდგა, გაფაშ-
ფაშებულ გერმანულ ნაციონალურ კაბა-
ში გამოწყობილი, ყვავილებით სავსე
ღაწეული კალათა ეჭირა ვარდისფერი
ზონარის ყულფით კისერზე ჩამოკიდე-
ბული. იღიმებოდა და ყოველ ამსვლელ-
ჩამომსვლელს ყვავილებს სთავაზობდა.
ჯამბ აპარატი მალა ასწია და შეუჩე-
რებლივ გადაუღო, არც რაიმე მომზა-
დება დასპირებვია, როგორც თვალის
დახამხამებას არ უნდა შეჩერება და მო-
მზადება. გზის გაგრძელებას აპირებდა,
ძაგრამ გოგონამ მკლავში ხელი ჩაავ-
ლო, კალათიდან ერთი ცისფერი ყვავი-
ლი ამოიღო და გაუწოდა.

— გმადლობთ! — თავი დაუქრა ჯა-
ბამ.

— იმიტომ კი არა, რომ გამამიღეთ.

— გაწითლდა გოგონა.

— დიდი მადლობა!

სანამ გზას განაგრძობდა, უნებურად
გვერდზე მიიხედა; თხელ პირსაბურავი-
დან ორი მოციხფრო თვალი გამოკრთო-
და. ქალიშვილს შავი ნიღაბი ეკეთა,
მაგრამ აშკარად შეუნიღბავად უჭკრეტ-
და. ალბათ ჯაბას ვერაფრით ვერ უნდა
ეცნო იგი. გაუკვირდა, აქ თუ იდგა ეს
გოგო, აქამდე რატომ ვერ შევამჩნიეო.
თვითონაც დაეინებო დააეცქერბა. „ვინ
უნდა იყოს?“ იგრძნო, რომ გოგონამ
გაიღიმა, მერე თანდათანობით ჩაუქრა
თამაში მხერა და თვალი აარიდა ვაქს.
ქვემოდან სხვა გოგოები ამოვიდნენ,
ვარს შემოეხვივნენ შავ ნიღაბს და მე-
ორე სართულისაკენ აიტაცეს.

— გამარჯობათ, ჯაბა! — თქვა შავმა
ნიღაბმა და ისე ახლოს ჩაუარა, მისი
სხეულის მოძრაობისაგან აფორიაქებუ-
ლი თბილი ჰაერი მიელამუნა სახეზე. ამ
წელმა, განუზრახავად მკენესარა ხმამ
გული აუფეთქა ჯაბას და ათას შეკუმ-
შულ გულად გაუბნია მთელ სხეულში.
განციფრებულმა თვალი გააყოლა:

საშუალო სიმაღლისა იყო ის გოგო,
წაბლისფერი თმა უჩანდა. თხელ-
ბურავიდან. შავ, გრძელ-
ლულიყო თითქოს. ამხანაგებმა რალაც
ჩასაჩურჩულეს და მერე ჯაბას გადმო-
ხედეს მალულად.

„ვინ უნდა იყოს?“

როცა თვალს მიეფარნენ, ჯაბა ზევით
აიჭრა, ფართო, გაქაშავებული დერე-
ფანი ახალგაზრდებით იყო სავსე.

შავი ნიღაბი არსად ჩანდა.

„აი, ეს არის მასკარადი!“

ამქამდ დადუმებულსა და გამოკე-
ტილ აუდიტორიებს შორის მხოლოდ
ერთი იყო ღია, შიგ ბუფეტი მოეწ-
ყოთ, ლიმონათისა და ტყეილულობის
სახელდახელო სავაქრო. დერეფნის მო-
პირდაპირე კედლის ფანჯრებთან
მასკარადის მონაწილენი შექუჩე-
ბულოყვნენ და ქვემოთ, კლუბის დარ-
ბაზს გადაპყურებდნენ, კლუბში სკამე-
ბი აელოთ და დიდ საცეკვაო მოედნად
გადაექციათ. ფანჯრებთან ჭგუფ-ჭგუ-
ფად მდგარნი თითქმის კლუბის ქერის
სიმაღლიდან გადაპყურებდნენ მოპროა-
ლებულ პარკეტზე მოცეკვავე ქალ-ვა-
ეებს. საიდანღაც, დარბაზის შორეულ
კუთხიდან ჯაზ-ორკესტრის ხმები ისმო-
და. ჯაბა ვერ ხედავდა დამკრელებს.

„აქედან ლამაზი კადრი გამოვა“, გაი-
ფიქრა მან, აპარატი მოიმარჯვა და ფან-
ჯარაში გადაიხიჩქა. იმ წუთში ყველა
მოცეკვავე გაჩერებულოყო, კედლების
გასწვრივ ჩამწკრივებულოყვნენ და ერ-
თადერთ მოცეკვავე წყვილს შესცქერო-
დნენ. გამოცხადებული იყო სავანგებო
პრიზი ვალსის ყველაზე კარგი შესრუ-
ლებისათვის.

„ესენი მიიღებენ, — ფოტოაპარატის
სასხლეტს თითი ჩაჰკრა, — ამაზე მოხ-
დენილი ცეკვა აღარ შეიძლება“.

განუწყვეტლივ უკრავდა უჩინარი
ორკესტრი, მაგრამ ჯაბას ხანდახან თუ
შემომესმებოდა მისი ხმები; როცა აზრი
გაუწყდებოდა და ახალ ფიქრთან შებ-
მამდე გონება წამით გათავისუფლდე-
ბოდა გარემოს აღსაქმელად, შე-
წყვეტილი აზრიც და ახალ სავანზე ფი-

ჭრიც მუდამ ერთიდაიმავეს უბრუნდებოდა — იმ შავ ნიღაბს, მოჩვენებასავით რომ გამოცხადდა და გაქრა.

ხმელი, წვრილმკლავებიანი გოგო შედგა ჯაბას წინ, ნებაზე არც აუღია. ქინძისთავი მოიმარჯვა და ჯუბაზე მუყაოს ოთხკუთხა ქაღალდი დაუბნია.

— რა არის ეს? — გაუკვირდა ჯაბას.

— თქვენი მისამართი უამისოდ წერილს ვერავისგან ვერ მიიღებთ. — მეტად სერიოზულად თქვა ეს გოგომ, საყვედურიც კი გამოკრთოდა მის ხმაში, თითქოს ჯაბას ძალზე მნიშვნელოვანი რამ გამოჩინებოდა.

მკერდზე დაიხედა ჯაბამ. მისი მისამართი იყო — „232“. მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მოზეიმეტა უმრავლესობას ასეთივე ნომრისანი ქაღალდები მიეკვსებიანთ ტანისამოსზე.

ფოსტალიონ გოგონას მკერდზე ჩამოეკიდნა ცისფრად შეღებილ მუყაოსაგან გაკეთებული საფოსტო ყუთი, ყუთს გულის ფორმა ჰქონდა. „მუყაოს გულოდან ცოცხალ გულებსისავენ“... მშვენიერი სათაურია“.

— გმადლობთ, — უთხრა გოგონას, — მეც მიკვირდა, რატომ წერილს არ კლებულობ-მეთქი.

გოგონამ გაიცინა, თავი დაუკრა და გაშორდა. უეცრად იგი უელსის „უჩინარი ადამიანის“ კოსტუმში გამოწყობილმა, ბანდით სახეშეხვეულმა ლურჯსათვალისანმა ქაბუკმა შეაჩერა და ყუთში რაღაც ქაღალდი ჩაუგდო. გოგონამ მაშინვე გახსნა ყუთი, ბარათზე წარწერილ ნომერს დაჰხედა და სწრაფი ნაბიჯით გაჰყვა დერეფანს აღრესატის მოსაძებნად. უჩინარმა ადამიანმა დინჯად ჩაუთარა ჯაბას გვერდით. მისი სათვალის ლურჯ, სფერულ შუშებში ზანტად მიიზღაზნებოდნენ ცეროდენა გოგონები და ბიჭები, და სათვალის ჩარჩოს იქით ერთბაშად ისევ იზრდებოდნენ, თითქოს შუშებიდან დერეფანში ხტებიანო.

კლუბში შესასვლელი მეორე სართულზე იყო. ჩასვლა შეეზარა, ისევ ფანჯრიდან გადახედა დარბაზს. ცეკვე-

ბი დამთავრებულიყო, თუმცა ორკესტრი მაინც განაგრძობდა დაკრას. კლუბის სცენაზე გამარჯვებულ წყვილს აჯილოვებდნენ. გაისმა ტაშის ხმა. მაღალი, გამხდარი ბიჭი სცენიდან დარბაზში ჩახტა და მერე თეთრკაბიან გოგოს ხელები შეაშველა.

— ხომ ვთქვი! — ხმამაღლა წამოსცდა ჯაბას, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია.

აგნსცენაზე მიკროფონი დადგეს. ორკესტრმა მელოდია შეცვალა, ლამაზმა ქალიშვილმა, ტიპოგრაფიული ძაბილის ნიშნებივით ჩამოსხმული ფეხები რომ ჰქონდა, მიკროფონი მოღედილ მკერდამდე დაიმოკლა და სიმღერა დაიწყო. მაშინვე აჰყვა ბრიოლინით თმაპარიალებული, წითელკალსტუკიანი ყმაწვილი. იგი მუხლებში იღუნებოდა, წელში ტყდებოდა, ალბათ ეშინოდა, მიკროფონს არ ასცდეს ხმაო. შარვლის ზემოთ გადმოშვებული მისი აბრეშუმის ხალათი ათასნაირი სურათით იყო აჭრელებული, ჯაბა შორიდან ვერ არჩევდა მათ სიუჟეტებს. მომღერლები დასცინოდნენ უცხოური მოდებით გატაცებულ ახალგაზრდებს, ხმაჩაბლენილ, კივილისებურ სიმღერებს. „...და მღერაან ასე“: ამ სიტყვებით დამთავრებდნენ მოსამზადებელ კუბლეტებს, ერთბაშად ახალგაზრცელებულ, ცნობილ მელოდიაზე გადადიოდნენ და იწყებდნენ საზღვარგარეთული ჯახის ვარსკვლავების გასაწბილებელ, გასაბიბრებელ სიმღერას, რომელსაც, სხვათაშორის, უფრო ოსტატურად და უფრო გულიანად მღეროდნენ. „კაი ეშმაკები არიან“, გაიფიქრა ჯაბამ.

— მაგათ ყველაზე კარგი ნიღბები გაუკეთებიათ, — თქვა ხმამაღლა, — პირველ პრიზს მივცემდი!

— აუცილებლად, — ჩაიკისკისა ვიდაც გოგომ, ბოშია ქალის კაბა რომ ეცვა, და ჯაბას ამოხედა — ვითომ დასცინიან, სინამდვილეში კი...

გოგოს უეცრად ხმა ჩაუწყდა, დასატულივით გაშეშდა ნიღბის ქსოვილიდან გამოშხირალი ორი ლურჯი თვალი.

მერე ნახატი გაჭრა და გრძელ, აღუნულ წამწამებად იქცა, მერე ისევ გამოჩნდა, უფრო გადიდებული და გაბრწყინებული. ჯაბას ხელიდან რაღაც გაუვარდა. დაიხედა. გოგონას კალთაზე ის ცისფერი ყვავილი ეგდო, „გერმანელმა“ ქალიშვილმა რომ აჩუქა კიბეზე. სულ აღარ ახსოვდა, ხელში რომ ეჭირა, „ბოშა ქალმა“ სწრაფად აიღო ყვავილი და გაუწოდა.

— თუ შეიძლება, დაიტოვეთ! — თქვა ჯაბამ და ნამდვილი დიდებულივით თავი მოხდენილად დახარა ნიშნად კეთილდამოკიდებულებისა.

„ბოშა ქალს“ ხმა არ ამოუღია. თავი ჩაღუნა. ნელნელა მიიტანა ყვავილი მკერდთან, დააცქერდა, თითქოს მკითხაობას აპირებდა. მოულოდნელად წამოდგა, ფანჯარას გასცილდა. თვალი გააყოლა ჯაბამ: „რა უშნოდ ჩაუცვამს“, გაიფიქრა მან და შემობრუნდა. მაშინვე დააფიქვდა ის გოგო.

და ის შავპირბადიანი გაახსენდა. ყურებში ხელშეორედ დარეკა მისმა წკრილა ხმამ და ხელშეორედ აუფეთქა გული. მოეჩვენა, თითქოს საუკუნე გასულიყო, რაც მას ემებდა, დაეწიყებოდა კიდევ ამ უხსოვარი დროის შემდეგ.

კიბეს დაჰყვა. საფეხურები დაცარიელებულყო. აღარც შეყვავილე გოგონა იდგა კისერზე კალათამოკიდებული, კიბის ოთხკუთხე კაში მიწისქვეშა წყაროებავით შემოდიოდა და გროვდებოდა შენობის ყველა ხმაური, ერთმანეთში ირეოდა, ითქვიფებოდა გულისდამკვლავი კისკისი გოგონებისა, დერეფნების გუგუნის, ორკესტრის ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი ხმები — შუათანა ბგერებს გზაში რაღაც ყლაპავდა თითქოს, და კიბემდე ვერ აღწევდა.

საცეკვაო დარბაზის კარამდე მისვლა ადვილი არ იყო. მეორე სართულის გრძელი დერეფნის კედლები თითქოს მოეხატათ სხვადასხვა ეპოქის ტანისამოსგადაცმული მოზეიმეებით. რომელი ლეგიონერები სიგარეტებს აბოლებდნენ და მოხდენილი წიკპურტებით

აკლიდნენ ფერფლს. ისინი მკავდნენ ანტარქტის დროს კულისებში გასულ მსახიობებს. ღინჯად მობაასობდნენ მტყვევ ტერები, თან თვალებს აცეცებდნენ გოგობდაყენ. გრძელი მოსასხამების კალთები ზედმეტი დაქინებით ამულავებდნენ მათი დაშვების წვერება.

გამხდარ, სახედაფეთებულ ყმაწვილს თეთრი და შავი ქსოვილის ნაჭრებისგან შეკერილი „ფეფხის ტყავი“ მოესხა მხრებზე, ხელთ მათრახი ეპყრო, მეორე ხელი ნესტან-დარეჯანისთვის გამოედო მკლავში. საათის ქანქარასავით აქეთ-იქით აქნევდა თავს, ეტყობა, რცხვენოდა ტარიელობის დაჩემება.

ჯაბა ისევ კიბესთან იდგა და ცდილობდა შეუმჩნევლად გადაეღო ყველაფერი. „ნეტავ მალე დააჯილდოონ ყველაზე კარგი კოსტუმი, გადავიღებ და წავალ“.

მაგრამ მაშინვე უკუაგდო ეს გადაწყვეტილება. იცოდა — სანამ იმ შავნილობიან გოგოს არ იპოვიდა, არსად წავიდოდა.

სკაფანდრიან კოსმონავტს მკლავში ხელი გამოედო ნაზფრთებიან იკაროსისათვის და რაღაცას ეჩურჩულებოდა. იქნებ მადლობას უხდიდა კარგი იდეის გამო. ჯაბამ აპარატი მოიშარჯვა.

- თინა!
- ვინა ხართ? თენგო ხომ არ ხარ?
- თენგო ვარ!
- როგორ მიცანი?
- არ გეწყინოს, თინა, მაგრამ შენმა ფეხებმა ვაგცა...
- რა უსინდისო ხარ, იცი? ვნახოთ. შენს ცოლს როგორი ფეხები ექნება.
- ზუსტად ეგეთი... თუ კი შენ მოისურვებ!

- უჰ, რამდენხანს გეძებდიო! — ფოსტალიონმა გოგონამ ნაზი ძალდატანებით თავისკენ შეაბრუნა ჯაბა, — ჩაიბარეთ თქვენი წერილები!
- ჯაბამ კონვერტებს დახედა: „232“-ს, ეწერა ფანქრით.
- პასუხს ხომ არ დაველოდო? —

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გოგონა თავის საქმიანობას.

— არა!

პირველ ბარათში ეწერა: „გთხოვთ გადაიღოთ და მისახსოვროთ თქვენი დაშნის ფოტოსურათი“.

მეორეში ეწერა: „შეგიძლიათ გაიკეთოთ ნიღაბი, უკვე ყველა დარწმუნდა, რომ ძალიან ლამაზი ხართ“.

„მირევენი!“

— სალამი, ჯაბა!

ამ ხმამ საამოვნების თავხარი დასცა, სწრაფად შემოტრიალდა. ის შეგებობადი იდგა მის წინ, ამხანაგები აღარ ახლდნენ.

— საიდან იცით ჩემი სახელი? — საკუთარი ხმა ველარ იცნო ჯაბამ.

— მე თქვენი ყველაფერი ვიცი! — პირბადის შიგნით ელექტროშუქი აღწევდა, მკრთალად ბზინავდა მისი სველი ტუჩები.

„ალბათ, ახლობელია ვინმე“. ჯაბამ ანგარიშმიუცემლად სახე სახესთან მიუტანა. გოგომ მოულოდნელად გადაიქცისა, თითქოს მარგალიტის ყელსაბამი გაუწყდა და მძივები გრანიტის იატაკზე დაუცვივდა. ყელი გრძელი თითებით დაიფარა, თითქოს ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლები მძივი დაცვენოდა.

— ტყუილად ნუ ცდილობთ, სულერთია, ვერ მიცნობთ, თუმცა... — გაჩუმდა, ისედაც უჩინარი სახე ჯაბას ჩრდილს შეაფარა და თქვა, — დღესაც კი შევხვდით ქუჩაში!

— შევხვდით? სად?

— შევხვდით, — გაიმეორა მან.

ჯაბას მოეჩვენა, რომ ყველა მათევენ იყურებოდა, ყველას ესმოდა მათი ლაპარაკი, დაინტერესებულებოდნენ ამ უჩვეულო შეხვედრით და ყოველი მხრიდან მოისწრაფოდნენ, რომ არაფერი გამორჩენოდათ.

— შევადეთ კლუბში, — შესთავაზა ჯაბამ.

— მე წასვლა მინდა, გამაცილებთ?

— აუცილებლად. — ჯაბა შეყოვნდა, — მაგრამ რომ ვერ გიცნოთ, მანვენებთ სახეს?

— არა, რა საჭიროა, მაშინ აღარ მოვიდოდი თქვენთან. ჩვენ ჯერმ მქაქარადზე ვართ.

— თქვენ კი, მე არა! — გაიღიმა ჯაბამ და თავისი უნიღბო სახის წინ გაშლილი ხელისგული დაიტრიალა, — იმას ვარდა, ქუჩაში გასვლისთანავე მსაქარადი დამთავრებულად ჩაითვლება.

ისინი ახლოს იდგნენ ორკესტრთან. მუსიკა ხელს უშლიდა ჯაბას, პირველად თავის სიცოცხლეში მუსიკა არ ეფარებოდა მის ფიქრებს და განწყობას. თითქოს საკუთარი, შინაგანი მუსიკა ეპოვნა, მხოლოდ დასაწყისისათვის მიეგნო და იმ წუთში დიდ შევებას მომგვრიდა სიჩუმე, სამარისებური სიმყუდროვე, რომ თავისი სიმღერისთვის მიეგდო ყური და ამით იმასაც მიმხვდარიყო, რა ესმოდა გოგონას.

ჯაბამ ანგარიშმიუცემლად, მკლაქვემ ხელი შეაპარა. ქალიშვილი კანკალს აეტანა. სწრაფადვე უშვა ხელი. ეს ჰგავდა წაყრუებას, როდესაც ვინმეს უნებურად წამოსცდება დაფარული გულისნადები, თანამოსაუბრე კი შეიბრალებს, ვითომ ვერ გავიგონეო.

ჯაბას ეჩვენებოდა ნიღბებქვეშიდან გამოსხივებული ათასი წყვილი თვალი, თითქოს საგანგებოდ მოსულიყვნენ საუკუნეები, საგანგებოდ თავი მოეყარათ აღამიანებს ჩვენი წელთაღრიცხვის მიღმა და გამოლმა ეპოქებიდან, რომ ენახათ, როგორ ისახებოდა საყვარული დღეს.

— სახელი მაინც მითხარით! — თქვა ჯაბამ.

— არა, აზრი არა აქვს, ჯაბა... — შეყოვნდა. ხმა აეტყეხა, — მე მუდამ თქვენზე ვფიქრობ, მუდამ... ეს დანაშაულია. ამიტომ ვერასოდეს ვერ გაიგებთ ჩემს ვინაობას.

— არაფერი არ მესმის...

— მე ვოცნებობდი, ერთხელ მაინც მელაპარაკა თქვენთან. აი, ასე ახლოს ვყოფილიყავი... ნახვამდის, — და ხელი გამოუწოდა.

— თქვენ მთხოვეთ, გამაცილეთო...

— მაგრამ არაფერს შეგპირებივართ, არც სახელს, არც სახეს...

— კარგი, მე არაფერს არ ვთხოვთ, ოღონდ მითხარით, რატომ მიმალავთ სახეს, თუ ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს ქუჩაში, თუ...

— მე გხვდებით, თქვენ კი არა.

— რაც ერთიდაიგივე არ არის, გასაგებია, მაგრამ თქვენ ყველაფერი იცით თურმე ჩემზე, მე—თათქმის არაფერი, თქვენი ხმის გარდა. ეს უთანაბრო თამაშია!

— მე არ ვთამაშობ, ჯაბა.

თითქოს მართლა იცნობდა ოდესღაც ამ ხმას, ასეთ მომართვას: „მე არ ვთამაშობ, ჯაბა... ჯაბა, აღარ გეთამაშები“.

თითქოს უხსოვარ დროიდან იყო გამსაზღვრელი, რომ ჯაბა აუცილებლად უნდა მოსულიყო ამ მსაკარადზე, აუცილებლად უნდა შეხვედროდა ქალიშვილს, ასე დაუფარავად და თამამად რომ გაუმეღაენა ჯაბას სიყვარული.

„ არა, სხვა ამბავია ჩემს თავს... თუ ასეა, უნდა ველავდე, ფიქრის უნარიც არ უნდა მქონდეს, მე კი მშვიდად ვარ. იქნებ ყველაფერი იმის ბრალია, რომ სახეს ვერ ვხედავ? რამდენი რამის თქმა შეუძლია თვალებს, რამდენნაირ ვნებად შეიძლება მოირკალოს ტუჩების მარტივი ხაზები. ის კი არა და, თუ ორივეს ერთდროულად ვერ ხედავ — ტუჩებს და თვალებს — ვერაფერს გაუგებ ადამიანს; რას ფიქრობს, რა გუნებახეა“.

ისინი დიდ სადარბაზო შესასვლელთან ჩასულიყვნენ. გრძელი, სამსაკარადო კაბა გოგონას მოკლე, მსუბუქი პალტოს ქვეშ შეეკეცა და ხელები ტანზე მიეკრო, რომ კაბის კალთები არ ჩამოვარდნილიყო. პირბადეს არ იხსნიდა, შემინული კარიდან ქუჩას ათვალეირებდა, ყრუდლა მოისმოდა მოწეიმეებით სავსე დერეფნების გუგუნი და მუსიკის ხმა აქ, შესასვლელში, ქუჩის ხმაური ფარავდა შენობისას.

— ძალიან ვთხოვთ, გააჩეროთ მანქანა. მე ასე ქუჩაში ვერ გავივლი, — და პირბადესთან ხელი აიჭინა.

— მოიხსენით! — ისე თქვა ჯაბამ, თითქოს გოგონას აქამდე ვერ მოესახრებინა ეს.

— მაშინ დარჩით, მე მარტო წავალ. „უნდა გავიგო, მეთამაშებან თუ ნამსვილად იმას აკეთებს, რაც უნდა“.

— ნეტავ, თუ მართლა გგონიათ, რომ თქვენს სახელს და ვინაობას ვერ გავიგებ.

— ასე უნდა მოხდეს!

„კიდევ არაუშავს, თუ უნდა მოხდეს“.

— თქვენ რაღაც წიგნი წაგიკითხავთ, ეს არ არის დასაძრახი... და ძალიან მოგწონებიათ... თქვენ გგონიათ, რომ დღეს ქალაქიდან სოფელში ჩასვლას კვლავ თვეები და ეტლები სჭირდება, რომ ქალიშვილები კომპეკში ცხოვრობენ და იმ კომპეკს შუბოსნები იცავენ... ეს ცოტა სასაცილოა, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ძალიან გიხდებათ ასეთი თამაში.

— ჯაბა, მე ვიცოდი, რომ დღეს მსაკარადზე იქნებოდით, მე ძალიან მინდოდა ჩემს სიცოცხლეში ერთხელ მიინც მელაპარაკნა თქვენთან.

— მეორედ აღარ გინდა?

— არა... — გოგონა შეეყოვნა, — შეიძლება ტელეფონით დაგელაპარაკოთ ოდესმე, ერთი ან ორი წლის შემდეგ.

— აუკ, — წამოიძახა ჯაბამ, — რამხელა მასშტაბებია!

— თქვენ... დამცინით.

ჯაბას გული აუჩვილა ტირილნარეცმა ხმამ.

— გეფიცებით ყველაფერს, დაცინვა ფიქრადაც არ მომსვლია. ხომ ძალიან ბუნებრივია მინდოდეს იმის გაგება, თუ ვინა ხართ თქვენ. ასეთი ლამაზი ხმა გაქვთ, ასე გაბედულად გამომელაპარაკეთ. არც კი სცადეთ დაგეფარათ, რომ მოგწონვართ... თუ რა დავარქვა არ ვიცი, მაპატიეთ, ასე რომ მომეჩვენა, მაგრამ მინდა ყველაფერი გულწრფელად ვითხრათ, ვითხრათ, რომ სწორედ ასე მომეჩვენა. პოდა, რა გასაკვირია, არ მოგეშვათ მანამ, სანამ ყველაფერს არ გავიგებ. თუ ჩემი დასჯა გქონდათ გააწყვეტილი, მაშინ სხვა საქმეა. მაშინ თქვით და წაბრძანდით, მაგრამ რატომ უნდა ვლომებოდით ჩემი გაწვავლება...

— ჯაბა, აბა წარმოიდგინე, — უეცრად ისეთი დამარწმუნებელი ბგერები შეემატა გოგონას ხმას, თითქოს დიდ სიმათლეს მიაგნო. — მე რომ ნიღაბი არ მქონოდა, და ისე მოვქცეულიყავ, როგორც მოვიქცევი, მაშინ ხომ შენ არასოდეს...

— რა, „არასოდეს“?

— მაშინ ხომ არასოდეს... რაც არ უნდა ლამაზი ვყოფილიყავი, რაც არ უნდა კარგი... მაშინ ხომ თქვენ არასოდეს...

— მომეწონებოდით?

— მანქანა მოდის, გააჩერეთ რა, გააჩერეთ, ძალიან გთხოვთ!

ჯაბამ გაიჩინა და ქვაფენილზე ჩააბიჯა. მძღოლმა ხელი გააქნია, არ შემოძლია.

ჯაბა უკან დაბრუნდა.

„ვთუ, თუ მასხარად მიგდებს, მაღლობა ღმერთს, ჯერ არაფერი წამომცდენია ისეთი, რომ ამხანაგებს უამბოს და შერე სიცილით გული იჯეროს“.

გოგონა შესასვლელას წინ იდგა.

— ჯაბა, დარჩით, მე ავტობუსში ჩავჯდები!

— როგორც გნებავთ! — შელახულმა თავმოყვარობამ, თუ უეცრად აფეთქებულმა უსუსურმა შურისძიებამ უკანასკნელს ეს პასუხი, ჯაბამ გოგონას ხელი გაუწოდა — მშვიდობით!

ქალიშვილი გაშრა. ალბათ, დიდი, გაოცებული თვალებით შემოჰყურებდა შავ პირბადიდან ჯაბას.

— დარჩებით?! — ნერწყვი ძლივს გადაყლაბა.

— დიახ, მშვიდობით! — ჯაბა კარებისაკენ შებრუნდა, — კიდევ უნდა გადავიღო რაღაც-რაღაცეები, — საწვიმრის ჯიბიდან ფოტო-აპარატი ამოაძვრინა და უკანვე ჩაავლო.

— გაწყენინეთ!

— რა უნდა მწყენოდა. ყველა ქალს აქვს უფლება მზეთუნახავად ჩათვალოს თავი. მით უმეტეს, ღამით, — თვითონვე განაცვიფრა თავისმა დაუნდობლობამ ჯაბა.

„კიდევ მაქვს იმედი, ალბათ, იმიტომ

გავიმეტე, იქნებ ამ გზით ვაჩივროლოო, მიკარნახა ჩემმა ბრძანებულმა ალბომ“.

— არ მეგონა, ჯაბა...

— მეც ბევრი რამე არ მეგონა.

— მაპატიე, მე, ალბათ, სულელი ვარ, ნამდვილი სულელი, მაგრამ ისე მინდოდა ისე...

— ჩემი გაპაპულება?

— შენი ხმის გაგონება, ხომ შეიძლებოდა მქონოდა ასეთი სურვილი, ახლა ვხვდები, რომ მართლა სულელურად მოვიქცევი, ვინ იცის, რა არ იფიქრე ჩემზე.

— ახლაც ვფიქრობ, მშვიდობით! — შეტრიალდა და კარებისაკენ გაემართა.

— ჯაბა!

ხმა იყო შემოზარკავი, სხეულის მომადუნებელი. შეჩერდა.

შენობიდან ახალგაზრდები გამოვიდნენ. იციროდნენ, ერთმანეთს ებღღარძუნებოდნენ.

— გათავდა მასკარადი. აბა, მოვიხსნათ!

ორმა ბიჭმა და ორმა გოგომ ერთდროულად გადაიძვრეს ნიღებში.

— ო, მზიური!

— მერაბ!

მეორე წყვილმა ქალ-ვაჟმა თვალეშში შეხედეს ერთმანეთს. ვაჟმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ხელი ჩამოართვა.

— შოთა!

— ნათელა! — გაიციანა გოგონამ.

— აი, პელაგიაო!

ისანი ხმაურით გაჰყვინნ ქუჩას.

„გადავადრობ პირბადეს!“

ამის წარმოდგენამ უჩვეულოდ ააღელვა ჯაბა, შემობრუნდა, გადაჭარბებულად, დამკინავი ზრდილობით თქვა:

— გისმენთ!

— ჯაბა, ნუ წახვალ ნაწყენი, — შეპირბადიანს ენა დაება, უფრო მგრძობიარე გამხდარიყო მისი ხმა. — ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაა.

— მე არავის არ შეგხვედრივარ. არ ვიცი, ვისგან რა უნდა მწყენოდა — ჯაბა თავისთავს ველარ ცნობდა.

„გადავადრობ!“

ქუჩას გახედა. მერე შეშინული კაროდან ინსტიტუტის ფართო კიბისკენ გააპარა თვალი, — „მასხრად მივდებ, ნაცნობია და მასხრად მივდებ, მერე მთელ თბილისს მოსდებს ამბავს“.

— აი, ტაქსი, ჯაბა, ტაქსი! — გოგონა გაიქცა, დაავიწყდა, რომ ჩადრმობურული იყო და გამვლელებს განაცვიფრებდა.

ტაქსმა სვლა შეანელა, მაგრამ მძღოლს მანქანა არ გაუჩერებია, გოგონებული ამოჰყურებდა პირმობურულ ქალს.

— გარაქმი მივდივარ! — დაიყვირა ყოველშემთხვევისათვის და მოსახვევში გაქრა.

იმავე მოსახვევიდან, კაცი და ქალი გამოვიდნენ. ორ პატარა ბიჭუნას მოერეკებოდნენ. ბავშვებს, ეტყობა, ძილი მორეოდათ და ძლივს მოლასლასებდნენ. მათთვის ახლა მისწრება იქნებოდა ერთი კარგი ვასართობი, რაიმე უცნაურის დანახვა.

შავპირბაღიანი სწრაფად შეიშალა ორსართულიანი შენობის სადარბაზო შესასვლელში. ჯაბა შეჰყვება, მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ სხეული უთრთოდა. ამ ნახევრადბნელმა, კედლებმოჯდბანდნელმა დერეფანმა, რომლის ჭერზე ყვითლად ბუტყავდა დაჭორფლილი ნათურა, თითქოს უფლებდა მისცა განზრახული აქსრულებანა.

— ჯაბა, — მუდარად მომართულიყო ბმის ყველა სიმი, — წადი, გთხოვ, თორემ ამაღამ შინ ვეღარ მივალ.

ჯაბა მიუახლოვდა, მკლავში ხელი ჩასკიდა.

— შე წასული ვიყავი... — პირი ვამბობოდა ჯაბას, მიხვდა, ერთ სიტყვასაც ვეღარ იტყოდა ამის მეტს. მოკრივის სისხარტით წინ გაისროლა მარჯვენა ხელი, პირსაბურავს თითები ამოჰკრა და კედელზე გადაუდინა.

გოგონამ შეჰკივლა, ხელიდან დაუსხლტა ჯაბას, უკან წაბარბაცდა, სახე უკვე სატირლად მოპრანჭვოდა, ნაოჭები აგორებოდა ტუჩებსა და თვალების კუთხეებში, და ჯაბა ვერ მიმხვდარიყო, ლა-

მაზი იყო იგი თუ უღამაზო. ეს ის გოგონა არ იყო, თითქოს იმ შეგებრბადიანმა ვილაც სხვა ქალი შეატოვებულში, ანდა განგებ მოიკმეუნა სახე, რომ ჯაბას ვერ გამოეცნო მისი ვინაობა. უკან უკან იხევდა, თანდათან შორდებოდა ჯაბას და თანდათან ინსლებოდა იმ ნახევრადბნელ დერეფანში.

ჯაბა დაიბნა. აზროვნება სადღაც მიმალულიყო. უხმოზდა ჯაბა გონივრულ ფიქრს, მაგრამ არც უგონო ეცხადებოდა. იგი მოელოდა საყვედურს, გაანჩხლებას, სილის გარტყმასაც კი, მაგრამ ტირილს არ მოელოდა, ასეთ გულამოჭდარ ტირილს...

„აღბათ უშნოა!“

გოგონა დერეფნის კუთხეში მიყუჟულიყო, სახე აღარ უჩანდა. თითქოს ტირილად მოვლენილ რაღაც სენს შეეპყრო. ტირილს ასე არასოდეს შეუწფოთებია ჯაბა, გოგონებული იდგა, არ იცოდა რა მოემოქმედნა, არც ის — მოემოქმედნა რაიმე თუ არა. მის წინ პატარა, უმწეო ქარიშხალი ბორგავდა, დაცბრომას აღარ აპირებდა, და ჯაბა გამოუცდელი მეზღვარუივით შეეცებუნებინა ამ ქარიშხალს.

აზრი დაჰკარგვოდა სიტყვის თქმას, ბოღიშის მოხდას, თუ მონანიებდას, ყველაზე მძიმე — უჩინარი ჭრილობა მიაცენა ჯაბამ გოგოს, მას აღბათ, არცერთ კაცთან არ ეშინოდა თავისი უღამაზო სახის გამოჩენა, ერთადერთი კაცის — ჯაბას ვარდა. იმ წუთში ასე ეკონა ჯაბას, ასე ეჩვენებოდა და სძულდა საკუთარი თავი, ეზოზლებოდა. მუშტები შეკუმშვოდა და სადაც წასწრებდა, დაუზოგავად სცემდა თავისთავს — ქუჩაში, რედაქციის კიბეზე, სტადიონზე — სადაც კი თვალს შეასწრებდა, ის კი ხელსაც არ უბრუნებდა და ეს უფრო ახელებდა დერეფანში მდგარ ჯაბას.

უეცრად ჩამოვარდნილმა სიჩუმემ დიდა ხმაურივით დააფრთხო ჯაბა. ფიქრებიდან გამოერკვა. გოგონა გაიშუმბულიყო, ზურგი შეებრუნებინა ჯაბასათვის, ლოყებს ხელსახოცივით იწმენდა, თითქოს მარტოღმარტო დარჩენილიყო

თავისთავთან. პალტოს ღილები შეიკრა, თაჩნალუნული წამოვიდა, ისე ჩაუარა გვერდით, თითქოს ჯაბა ცოცხალი ქაცი კი არა, ღერეფნის კედელზე მიჯღანბილი ნახატი იყო. ჯაბამ ვერ გაბედა თამამად შემოტრიალებულიყო და სახეში შეეხებინა მისთვის, ქურდულად გააპარა მხერა, ისე მიდიოდა გოგონა, თითქოს აი, ამ წუთში სამუდამოდ გამოეშვიდობა რაღაც დიდ ბედნიერებას, მაგრამ იძულებულია მინც იცოცხლოს, შეიკრას პალტოს ღილები და შინ წასვლაზე იფიქროს.

„თითქოს ნამუსი ამეხადოს!“ — ალივით ამოვარდა ეს ფიქრი, ამ მოულოდნელმა შეგრძნებამ სახტად დატოვა ჯაბა.

ქუჩაში გავიდა. გოგო ტროლეიბუსის განჩრებისკენ მილასლასებდა. „ახლა ზედაც არ შემომხედავს, ახლოს არ მიმიკარებს... რაც არ უნდა მოხდეს, ვიპოვნი, დავაჭერებ, რომ სულ სხვანაირი ვარ!“

მოერგენა, რომ ეს ამბავი, ეს ფიქრები და განწყობალება მეორედებოდა, რომ ოდესღაც ასევე დაუთქვა თავისთავს; ეპოვნა ვიღაც და დაერწმუნებინა თავის პატიოსნებაში.

ლაშაშმა, ლურჯ-ყვითლად შეღებილმა ტროლეიბუსმა თავისი ჩრდილით დაფარა განჩრებასთან შექუჩებული მგზავრები, ტროლეიბუსი დაიძრა. განჩრებასთან აღარავინ არ იყო.

„სადღურისკენ წავიდა! აუცალებლად მოექებნი!“

ტროლეიბუსმა ყველაფერი გააჩვენა: ოდესღაც კი არა, ეს იყო ამ დილით. ამ დილით შეხვდა ტრამვაიში პატარა, ლამაზ გოგოს. ბილეთი აუღო. იმ გოგოს კი მოერგენა, რომ ჯაბა ქურდების ამხანაგი იყო. და სწორედ იმ პატარა გოგონაზე იფიქრა: თუ აღარასოდეს შეხვდები, სამუდამოდ დარჩება ეს მკდარი რწმენაო.

თურმე ამ დილით მომხდარა ეს, სა-

ღამოს კი იგივე განმეორდა. ახლა ქალაქში იყო ორი გოგო, ერთი დღის-მანძილზე ქალაქში უეცრად გაჩნდა ორი გოგო, არაფერს სასიკეთოს რომ არ ფიქრობდნენ ჯაბაზე.

ამ აღმოჩენამ, ცოტა არ იყოს, გაავივირა, ვერ მოესაზრებინა. რატომ უნდა მომხდარიყო ასე, თუ არც ქურდობა უფიქრია ამ დილით, და არც იმ შავპირბაღიანის შეურაცხყოფა ამ საღამოს.

აწრიალებულმა წარმოსახა, ხელახლა მიმოიბრუნა მთელი დღევანდელი დღე, უკანვე მოაბრუნა დილა, შეადღეც; ქუჩაც, რედაქციაც. და გაიფიქრა, რომ ცოტა უკმეზი სიტყვა ჩაუერთო პროფესორ რურუასთან საუბრისას, რომ ისე არ უნდა ელაზღანდარნა თეატრის დირექტორის მოადგილესთან, აპყვა, აპყვა ამ ფიქრებს, გაება და გაეხლართა შავ.

უეცრად მოელანდა ანშლაგი გაზეთის მთელ გვერდზე: „ჯაბა ალავიძე თავს იმართლებს“.

„უნდა დავბეჭდოთ“ — თქვა რედაქტორმა.

„როგორც გნებავთ, ბატონო გიორგი, მე მზად ვარ!“

ინსტიტუტის შენობის წინ ბალ-მასკარადის მონაწილენი გამოეფინენ, თანდათან იზრდებოდა და ცოცხლდებოდა ეს ჯგუფი და თანდათან იშლებოდა ქუჩის ყოველ მხარეს. მოაბიჯებდნენ რომელიღაც ვიკონერები და ფრანგი მუსკეტერები, დუელების საყვარელში ჩამწვარი ვიკონტები და მარკიზები, მომხიბვლელი ლელები და მათი ფეხთა მტვერი — ყელამდე შეიარაღებული რაინდები. თითქოს აქამდე ელოდებოდნენ, როგორ დამთავრდებოდა ჯაბასი და იმ გოგონას პირველი შეხვედრა, ახლა კი, იმედგაცრუებულებს, თავთავიანთი საუკუნეებისაკენ მიეჩქარებოდათ.

განაღობა ზიზიბაჰ — რიადმასკონის თანამშრომელი, 17 წლის

— გამაცილე ცოტაზე! — ბენედიქტემ ნიჩაბივით ხელი ბეჭზე წამოსდო ბათუს, დაიძრა და მეგობარიც თან გაიყოლა.

ბარბაციოთ მიყვებოდნენ აღმართს. თანდათან უკან რჩებოდა, ბაცდებოდა გაჩახახებული პროსპექტის შუქი და მეგობრები ელექტრობოძებზე მიმაგრე-

ბული ცალკეული ღამისთვის ნათურების სამფლობელოში შედიოდნენ.

ქალაქგარეთ იქეიფეს ახალ რესტორანში. ბათუმ ახალი კლიენტები მიუბარებოდა სუფრაზე ბენედიქტეს. მაგრამ რადგან მიპატიებულები არ იცნობდნენ ერთმანეთს, რესტორანში გაძნელდა საქმეზე აშკარად ლაპარაკი. ათი წუთი არც არის, რაც ბენედიქტემ და ბათუმ თავი დაამარტოხელეს.

მიხედ-მოიხედა ბენედიქტემ, ქუჩაში არაფერი იყო. მხოლოდ მწვანეთვალეზანი ტაქსი გამოიზღაშნა მოსახვევიდან, თითქოს ყურადღებით მოათვალიერა იქაურობა და აღჩქარებლად, მგზავრების ძებნა-ძებნით, პროსპექტისაკენ დაგორდა.

— როდის მოვიტანს? — შუშის თვალებში ჩახედა ბენედიქტემ ბათუმს.

— ვინ? რას? — ვერ მიხვდა ვითომ ბათუ.

— შენი ნაცნობი... იაკობ თართიშვილი... იმას... — ისევე მიიხედ-მოიხედა, — ფულს!

— არ უთქვამს!

— ხომ იცო, სანამ არ მოიტანს, თითქოს არ გავანძრევ... სადღეგრძელოების თქმა ადვილია!

— ხვალ მომიცემს, ალბათ...

— როგორც კი მოგცემს, შინ მომიტანე, სამი შენია, იცოდე!

— დიდი მადლობა, ჩემო ბენედიქტე, — სიხარულისგან გაწითლდა ბათუ და შუშის თვალიც თითქოს უფრო გაუბრწყინდა ელექტროშეტყე.

— ახლა გეშვებლოს რამე... ამოიღე ხმა, მთელი ღამე რომ მანიშნებდი... ბალზაკს აქვს ერთ ადგილზე: — „გისმენთ, ბატონო!“... ჰოდა, გისმენ! რა საქმე ჰქონდა იმ მეორეს... გენადია, თუ ვილაყა... ჩემთან?

— გენადის მეზობლად უზარმაზარი ბინა ყოფილა!... სუფრაზე ვერ ვითხარო...

— მერე?! — წამოიძახა ბენედიქტემ და ის უზარმაზარი ბინა წარმოიდგინა; თვალს ვერ უწვდენდა, იმოდენა იყო.

— ერთი მოხუცი კაცი ცხოვრობს თურმე...

— მერე? — ახლა ბენედიქტემ შეიძლება მიბრწინილი მოხუცი წარმოიდგინა, ფეხზე რომ ძლივს იდგა.

კიდევ გადადგეს ორ-ორი ნაბიჯი ფილაქანზე და შედგნენ.

— მერედა, ის მოხუცი კვდება თურმე, ლოგინად გდია, მესამე კვირაა ძინავსო.

— ძინავსო?!

— ჰო, რაღაც ლეტარგია, თუ ჯანდაბა აქვსო.

— სულ მარტო ცხოვრობს?

— სულ მარტო, ხანდახან მეზობლები თუ შევედივართო.

ბათუ გვერდულად მიიხედა და აღმართზე, ბენედიქტე ეწეოდა, მკლავში ხელს ავლებდა და აჩერებდა:

— მერე, კაცო?

— მერე და მერე... ახლა თუ ვინმეს შეასახლებ...

— თუ ვინმეს შეასახლებ... — მოჯადოებულვით აყვავა ბენედიქტე.

— ვინმე ნათესავს თუ შეასახლებ და ბინაშიც ჩააწერინებ...

— ჩააწერინებ...

— ის მოხუცი მოკვდება და... ბინა შენ დაგრჩება!

— ბინა შენ დაგრჩება... მე დამრჩება!

— როგორი საქმეა?! — ამყვად იკითხა ბათუმ.

ბენედიქტე აღელდა.

— იმ... იმ მოხუცმა რომ არ შეისახლოს?

— ვინ ეკითხება, უკვე იმ ქვეყნადაა, გდია თავისთვის კუნძივით... გენადი მეზობლებს ეტყვის, რომ ვითომ მოხუცმა ადრევე თხოვა მდგმურის შოვნა.

— რამდენი ოთახია?

— სამი... ვითომ მოხუცმა მარტოებულა სტუდენტის შოვნა თხოვა, ვითომ უჭირს და ფული უნდა.

— კი, მაგრამ რაღა უნდა უჭირდეს, თუ გონზე არ არის და კვდება?

— შენ გგონია, არაფერს ჭამს? აჭმე-

ვენ ხელოვნურად, ნემსებს უკეთებენ, ექიმები დადიან, ამას ფული უნდა.

— გენადიმ თავისთვის რატომ არ მოინდომა ის ბინა? — დაეკვდა ბენედიქტი.

— შე კაცო, მავდენი არ გესმის? აქეთ უნდა მასწავლიდე... საკუთარ ბინას რომ იქვე იმხელა ბინა მიუბძას, ბარემ პირდაპირ ციხეში გადავიდეს საცხოვრებლად!

— ჰო, მართალია... მოხუცს, იმ ბებერ მოხუცს, — უკვე შესჯავრდა ბენედიქტეს უცნობი ავადმყოფი, — ნათესავი არაფერი ჰყავს?

— წამალად! მაქსიმუმ, სამი კვირის გარდაცვლილი ცოლი ჰყოლია!

— აქნებ თვითონაც მოკვდა უკვე! — ივარაუდა ბენედიქტემ.

— ამ დღით ცოცხალი იყო და...

— გენადიმ გითხრა?

— ჰო, გენადიმ. მაგ საქმით ორასი ათას მანეთამდე დაამლერებ, ჩემო ბენედიქტე... მავდენი ვანო სარაჯიშვილს არ აუღია თავის სიკოცხლეში!

— თვითონ გენადის რამდენი უნდა?

— არ უთქვამს.

ბენედიქტეს მუსიკასავით ჩაესმოდა ბათუს ხმა. მსხვილი თითები, ერთი შეხედვით ხუთზე მეტი რომ ჩანდა, სასიამოვნოდ ექავებოდა, განსაკუთრებით — ცერა თითი, რომელიც ისე მოუსვენრად ტრიალებდა სახსარში, აშკარა იყო, უკვე ფულს თვლიდა. მაგრამ სადღაც, სივრცეში, „200.000“ დაიხატა, მოახლოვდა, გადიდდა და ნულები სათვალესავით აეფარა სახეზე. და ამ სათვალესში ბენედიქტემ მშვენიერად დაინახა, რომ დიდი ინტერესის გამოჩენა არ ღირდა. დაე, ბათუმ, ამ საქმის შუამავალმა, გადასცეს გენადის, რომ ბენედიქტი გულგრილად შეხვდა ამ ამბავს, მაშინ გენადი უფრო დაფაცურდება, აქეთ შემოებეწება, შემოებეწება და ბენედიქტეც მეტს წაითლის თავისკენ.

— კარგი ახლა... წავედი, მეძინება, — დამთქნარა ბენედიქტემ, — ვიფიქრებ მაგ საქმეზე და, ვნახოთ!

— იცოცხლე, ნახვამდის! — თქვა სახტად დარჩენილმა ბათუმ.

ბენედიქტემ მარცხნივ აუხვია, თითქოს შეუბრუნდა სიმთვრალე, ისევ დაენისლა გონება, კედელ-კედელ გააყვა სახლებს, ეს, ალბათ, სუფთა და გრილი ჰაერის ბრალი იყო, ანდა — გაუთვალისწინებელი აღელვებისა. უეცრად მიწის რხევა იგრძნო და წონასწორობა რომ არ დაეკარგა, შედგა, ხელით კედელს მიეყრდნო, ფეხებთან დაიხედა. ფილაქანზე ვერხვის ტოტების ჩრდილი ირჩეოდა და ბენედიქტეს თავბრუს ახვევდა. თვალეში დახუჭა და ჩრდილს გაეცალა. მას აღარ უნდოდა ფიქრი იმ დიდ სიხარულზე, წინ რომ ელოდა, ეშინოდა ფიქრს სადმე ჩიხში არ ზიემწყვდია, საიდანაც ბათუს დაუბმარებლად იშვიათად გამოდიოდა ხოლმე.

გრილი ღამე იყო, მაგრამ ბენედიქტე ოფლად იღვრებოდა. აღმართი ფეხებში ედებოდა და ესლართებოდა, ბოლოს ქვის კიბეს მიაღწია, რკანის შვე სახელურს სულწასულივით წაატანა თითები, თითქოს სადმე გაუბრბოდა, მთელი სიმძიმით ზედ დაეყრდნო. ცალი ფეხი საფეხურზე შედგა და თავის სახლს ახედა. ფანჯრები ჩაბნელებული იყო, ოჯახს ეძინა, უყვარდა, როდესაც ცოლ-შვილი ჩაძინებული დახვდებოდა ხოლმე.

ერთ დროს ქუჩა აქ თავდებოდა, მაგრამ ადამიანებმა დამრეცი საყრდენი კედელი მიაშენეს ფერდობს, ზედ კიბე გამართეს და ქუჩას თითქოს სიკოცხლე გაუხანგრძლივეს. ეს პატარა ხელის წაკერა საქმარისი გამოდგა ქუჩისათვის, რამე კიბის ზემოთ დამოუკიდებლად გაეგრძელებინა თავისი გზა, მარჯვნივ და მარცხნივ სახლებივ წაეყოლებინა და მთაწმინდის კალთაზე აშენებული რუსული ეკლესიის ეზომდე აედწია. ფერდობზე უწყსრივოდ გაშენებულ და მიჯრით მიწყობილ სახლებს შორის ბენედიქტეს სახლი სიკოცხლევით და სიდიდით გამოირჩეოდა. ამ უბანში გამეფებული უჩვეულო სიწყნარის, სუფთა პაერისა და მთის პეიზაჟის გამო, სახლი კერძო აგარაკს წააგვდა. როგორც კი

ბენედიქტე ქვის კიბეს ამოაჯახივრებდა, მარცხნივ შემობრუნდებოდა და ნაბიჯის გადადგმაც არ იყო საჭირო, რომ ვასალები სადარბაზო შესასვლელის კარისთვის მოერგო. ვალებდა და ახლა საკუთარი სახლის კიბეს აპყვებოდა. ასე მოხდებოდა ამაღმაც, მაგრამ ბენედიქტე ჯერ ქვემოთ იყო, ქვის კიბე ჰქონდა ამოავლელი. იგი ისევ რკინის სახელურს მიყრდნობოდა და ველარ გადაწყვიტა ადვილიდან დაძვრა, როგორც ბებერი, მსუქანი კატა მერყეობს ხოლმე ფანჯრის რაფის ქვეშ, და ველარ გამოუზომავს ახტება, თუ ვერ ახტება.

ზღაპრებში გმირები ათას დაბრკოლებას ძლევენ ხოლმე, რომ კოშკში შეაღწიონ და ჭადოქრის მიერ დატყვევებული მზეთუნახავი გაათავისუფლონ. ბენედიქტეს კი ზღაპარი არ სჭირდებოდა, რადგან ნამდვილად ჰქონდა კოშკი და კოშკში ნამდვილად ჰყავდა მზეთუნახავი, ოღონდ ჭადოქრის კი არა, საკუთარი ხელით დატყვევებული. ეს მზეთუნახავი, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ბენედიქტეს ცოლი არ გახლდათ, საერთოდ, ადამიანის სახელი არც ერქვა მას, რადგან უსულო იყო. უფრო მეტიც — მრავალი იყო, და ისე საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს, გეგონებოდათ ახალმოჭრილი ასმანეთიანები, ან ხუთთუჩნიანები. ასეც გახლდათ და ყველას მაინც ერთი სახელი ერქვა — ფული. მაგრამ საქმე ის არის, რომ ბენედიქტეს გარდა ვერავინ ნახულობდა! არც არავინ იცოდა მისი არსებობის ამბავი, მხოლოდ ცხრაკლიტულში ჩაკეტილი წიგნებისათვის მიენდო ეს საიდუმლო ბენედიქტეს.

ამ წუთში იგი სწორედ თავისი სამუშაო ოთახის ფანჯარას აპყურებდა. ქუჩის ელექტრო სინათლეზე მობრწყვილებული მინის უკან მკიდროდ მიხურული დარბაზები აჩქროლებულ გულს უშვებდებდა და ტუჩებზე საამო ღიმღის ჰფენდა. იმ დარბაზების მიღმა უშფოთველი ძილით ეძინათ ბენედიქტეს მზეთუნახავებს და აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ

სულ მალე პატრონი კიდევ 200.000-მდე მზეთუნახავს შეჰმატებდა ამ ქარამხანას.

ბენედიქტეს ყურადღება საპატივსაცემ ბაგირო გზის ვაგონმა მიიქცია. ქალაქის სიღრმიდან ამოტივტივდა ვაგონი, უხმაუროდ მიეპარა ბენედიქტეს სახლს, ზედ თავზე გადაუარა და მთაწმინდის პლატოსკენ განაგრძო გზა. მალა მეორე ასეთივე ვაგონი გამოეყო მთის ჩაბნელებულ თხემს და ქალაქისკენ დაეშვა. პაერში გაკიდულმა ფოლადის შავმა ბაგირმა რხევა დაიწყო, და სივრცე არეკლილი ელექტრონისა თუ მთვარის სინათლე ააქანავა. ბენედიქტეს ყოველდამე გული უსკდებოდა, ბაგირი არ გამწყდარიყო და ხალხით სავსე ვაგონი მის ოთახში არ ჩამოვარდნილიყო.

ახლა ზემოდან წამოსულმა ვაგონმა მოაღწია მის სახლს, თავს გადაეცლო, წამით სუნთქვა შეეკრა ბენედიქტეს... როდესაც ყველაფერი მშვილობიანად დამთავრდა და ვაგონიც ქალაქში ჩაიკარგა, რკინის სახელური თავისკენ მიიზიდა და კიბეზე ააბიჯა. საფეხურმა ამოიგმინა.

ათი წუთის შემდეგ იგი უკვე სახლის კიბის პირველ საფეხურთან იდგა და ორივე ხელით აჯაჯგურებდა სადარბაზო შესასვლელის კარს, სინჯავდა, ხომ კარგად ჩაკეტიო. დიდი ოთახი ისე გაიარა, სინათლე არ აღნიშნა. მხოლოდ წუთით გაინაბა და ყური მიუგდო სიბნელეს; მეზობელ ოთახიდან ბავშვების ჩუმი სუნთქვა ისმოდა. მაგრამ უეცრად მოზრდილი ადამიანის ღონიერმა ამოსუნთქვამ ადგილზევე დააძაბუნა, ცივმა ოფლმა დაუნაბა შებლი. ჩუმად, ისე ჩუმად, რომ ქურდი ვერაფერს მიმხვდარიყო, გააპარა ხელი შარვლის უკანა ჯიბისკენ და ორი თითით რევოლვერი ამოაძვრინა. დიღხანს იდგა წყვილიაღმი თვითონაც წყვილიადად ქეუული, ელოდებოდა, როდის გაამქლავებდა ქურდი თავისთავს, რომ ესროლა და საკუთარი ფული უკან დაებრუნებინა. ალბათ მალე წაიქცეოდა, სულ მალე, ველარ გაუძლებდა ამდენ დაძაბულობას, რომ კვლავ არ გაეგონა ის ღონიერი ამოხუნთქვა და

თავისი ცოლი არ შეეცნო. ახლა კი მართლა ცდაკარგა წონასწორობა, მაგიდას გამოედო. თორემ იატაკზე დაენარცხებოდა. უზომოდ გახარებულმა, ყველაფერი მოჩვენება იყო, მალე აღიდგინა სიმშვიდე და ძალა. საწოლ ოთახში შესვლა და პატარა ბიჭის დაკოცნა მოუნდა, მაგრამ მოისაზრა; მთვრალი ვარ და გავაღვიძებო. რამეს რომ არ წაშლისდებოდა, ფრთხილად განაგრძო გზა თავისი ოთახისკენ. გასაღებთა აკიდოში თითქვით გამოძებნა და გამოაცალკევა ინგლისური გასაღები, შევიდა და ახლა შიგნიდან ჩაიკეტა. მაგიდას ნათურა ანთო და მაშინვე წიგნების კარადას გახედა. ახლოს მივიდა, კარი მოაინჯა, ახლა სხვა გასაღები მოამარჯვა, კარადის გაღება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, ძილი ლოგინისკენ ეწეოდა. ოფლიანი ხელისგული მაინც აუსვ-ჩამოუსვა კარადის ცივ მინას, მერე ლოყაც მიიღო, თითქოს ეალერსებო, მისი ძლიერი ამონასუნთქი ალკოჰოლის ორთქლად იქცა მინაზე. თვალი ჩააპარა ქვედა თაროსკენ, ერთხანს ასე უყურა მწვანეყდიან წიგნებს, რომელთა ყლის ზედა ნახევრები ჩანდა მხოლოდ და ოქროსფრად ამოტვიფრული რაცხვების ნატურალური მწკრივი ერთიდან ოცდაოთხამდე.

საწოლის თავთან, იატაკზე, ნახევრადდაკლილი ბორჯომის ბოთლი იდგა. რკინის თეთრი საცობი თითოთ აძრო და ბოთლი პირზე მიიყუდა. დარაბის გაღება უნდოდა, მაგრამ ესეც დაეხარა, ძლივს გაიხადა ტანისამოსი, საბანი გადასწია, უეცრად შიშველი ფეხი აუცდა და ლოგინზე წაიქცა, მხოლოდ ერთხელ აქანავდა ზამბარებიანი საწოლი, მერე ჩაიხინჩა და იატაკს უწია.

მაშინვე იგრძნო, რომ ძნელად დაეძინებოდა. დაწოლისთანავე მთელი დღის ცოდვა მიაწვა გულზე და უჩაამოვნოდ აუფართხალა. თავში გვერდ-გვერდზე წავიდა რაღაც და გადატრიალდა. წამოიწია, წამოჯდა ლოგინზე, ბალიში ამალლა და ისევ მიანდო თავი, ახლა ერთიგნა თავი სულაც არ ჰქონოდა. დიდხანს იწ-

რიალა, იწვალა, ერთხანს სასტუმარო ფეხებისკენ გადაიტანა და გადაწვევ-მერე ბალიში სულ გადაავლო, გვერდ-გვერდით უშველა.

უეცრად გენადის რჩევა გაახსენდა სუფრაზე ნათქვამი, ვილაც იოგები რომ იძინებდნენ თურმე ძალისძალათი, თვალეებს რომ დახუჭავდნენ და წარმოიდგენდნენ, ვითომ ტერფები არა აქვთ, მერე წვივები, მერე ბარძაყებსაც გაიჭრობდნენ, მუცელს, მკერდს და ჩაეძინებოდათ კიდევ. ძალზე გაახარა ამ გახსენებამ, თუნდაც იმიტომ, რომ საკუთარ თავზე გამოცდიდა ყველაფერი.

თვალეები დახუჭა, გაირინდა, და წარმოიდგინა, რომ ვითომ ტერფები აღარა აქვს, ჰო, აღარა აქვს... ნამდვილად აღარა აქვს, კოჭებში წააჭრეს... აღარა აქვს... აღარა აქვს ტერფები... და მართლაც აღარა აქვს, გაქრა! კოჭებს ქვემოთ ფეხებს ვეღარ გრძნობდა. ეს რა საოცარი რამე ყოფილაო, გაიფიქრა უზომოდ გაკვირვებულმა, და გაიფიქრა თუ არა, ტერფები ისევ გამოება. ფუი, შეიგინა გულში და ხელახლა აპირებდა ტერფების გაჭრობას, რომ მშვენიერმა აზრმა გაუელვა თავში; რაღა ტერფებიდან დავიწყო, პირდაპირ მუხლებში წავიწყვეტ ფეხებსო, ასეც მოიქცა. ისევ დახუჭა თვალეები და საკუთარი წვივები გააჭრობად გაიმეტა. აღარა აქვს ბენედიქტის მუხლებს ქვემოთ ფეხები... ომში დაკარგა... აღარა აქვს... ტრამვაის ქვეშ ჩავარდა ბევრგობისას, ცუდად შეაბტა და ჩავარდა... აღარა აქვს ფეხები... ასე დაიბადა, უფეხოდ... აღარა აქვს, ...აღარა აქვს... და მართლაც ფეხები აღარა აქვს, გაქრა... ახლა ბარძაყებსაც მიაყოლებს... ჰო, მართლა, ტრამვაიმ მუხლებთან კი არა, შიგ ძირში გადააჭრა ფეხები, ბავშვობისას რკინიგზის ხაზზე გადადიოდა და მატარებელმა მოუსწრო, ახლა უფეხო ბენედიქტე საგორავზე ზის და ქუჩა-ქუჩა მიხრივინებს, და ბარძაყებიც გაქრა... თითქოს საწოლი შემსუბუქდა, ზამბარებიანი ბაღე იატაკს ასცილდა...

ბენედიქტეს სუნთქვა შეეკრია, ლამი-

საა გონება დაჯარგოს და საღლაც უფს-
კრულში ჩაიძიროს, მაგრამ შესქელე-
ბულა წყვდიადი უფსკრულის თავზე და
არ იძირება, პაერში ტივტივებს, რად-
გან ჯერ... ჰო, მუცელი უნდა გაიქ-
როს, აბა, ჰე... აღარა აქვს მუცელი ბე-
ნედიქტეს, ომში დაჯარგა, ბავშვობისას
ტრამვაის ქვეშ ჩავარდა, მას შემდეგ
უმუცლოდ დაიარება, ველარც სვამს და
ველარც ჭამს...

ბენედიქტემ თვალები გაახილა და
მუცელზე ხელები მიიღვროს.

— მამა გიცხონდათ! — ჩაიხურჩულა
ოდნავ გასაგონად.

ფეხები ისევ გამოესხა, თითქოს ისევ
დამძიმდა საწოლი, ზამბარებიანმა ბა-
დმაქ იატაკს უწია. არა, არაფერი არ
გამოდის, იოგები კი არა, ახლა სიკვდი-
ლიც ვერ დააძინებს. ციბრუტოვით ტრი-
ალებს ტენის, შუის და გუგუნებს, მარ-
თლა რომ არ ჰქონდეს თავი, ხომ აჯო-
ბებდა. „პარდაპირ თავიდან უნდა დამე-
წყო და ახლა შუაძილში ვიქნებოდით...
დაბუთული პაერის ბრალია ყველაფე-
რი“, დასკვნა ბოლოს.

მართლაც, ბენედიქტეს კაბინეტის
ფანჯარა თვეობით არ იღებოდა, თუ
ქმარი შინ არ იყო, ოთახის განაევება
და გამოგვა მარგოს აკრძალული ჰქონ-
და, მალიანაც რომ ნდომოდა, ვერ გადა-
ვიდოდა ამ ბრძანებას — დილით ადრე.
სამსახურში წასვლისას, ვაიკეტავდა ბე-
ნედიქტე ოთახის კარს და ერთადერთი
გასაღებაც თან მიჰქონდა, „შენ დაგა-
ვიწყდება ჩაკეტვა, ბავშვები შემოვლენ,
ყველაფერს ამირეც-დამირევენ“. ასე
უნსნიდა ცოლს.

ბენედიქტე წამოდგა, საწოლი გა-
აჩოჩა და ფანჯრისკენ გზა გაითავისუფ-
ლა, ოთახში გრილი პაერი შემოიქრა,
ბენედიქტემ ხალათი მოიხურა, სკამზე
გადაიდებულ პიჯაკს ჯიბიდან რაღაც
ქაღალდი ამოიღო, გაშალა და მაგიდას
მოუჭდა. ეს ბათუს გადმოცემული
ნაჭიბნი იყო: „236. თართიშვილი ია-
კობ კირილეს ძე, მცხ. პანტოვანის ქ.
47-ში“, ეწერა ქაღალდის ნაგლეჯზე.

ბენედიქტემ კიდევ ერთხელ ააჩხაკუ-

ნა გასაღებთა აკიდო, საწერი მაგიდის
შუა უჯრა გამოსწია, ხელსუღრმად შექ-
ყო და სიგრძეზე გაეცილილი თხელის სასა-
კოლო რვეული გამოიღო. ეს იყო რაი-
ალმასკომის მიერ აღრიცხულ იმ მო-
ქალაქეთა სიის ასლი, საბინაო პირობე-
ბის გაუმჯობესებას რომ მოითხოვდნენ.
ბენედიქტემ რვეული გადაშალა. ფურც-
ლავდა და თან თითს აყოლებდა ნომ-
რებს: ოცდაათი... სამოცი... ოთხმოც-
დარვა... ას ოთხი... ორას ცხრა... აბა,
ორასოცდათექვსმეტი — თართიშვილი
იაკობი... „გადაჯარგულშია, ეს სამი
წლის შემდეგაც ვერ მიიღებდა ბინას.
ქვეანურად იქცევა, რას ერჩი“.

შემდგომში რომ ადვილად ეპოვნა.
იაკობის გვარის წინ ბენედიქტემ ფანქ-
რით ნიშანი დასვა. ნიშანი ჰგავდა სქე-
მატურად დახატული ჩიტის გაშლილ
ფრთებს. ეს ფრთები ახლა უნდა აქნე-
ულიყო, თან აეტაცნა იაკობ თართი-
შვილი, უკანვე გადმოფრინა რვეულის
ფურცლები, თავს ვადმოვლებოდა გვა-
რებს, სახელებს, ადამიანებს, დავრდო-
მილ მოხუცებსა და ჩვილ ბავშვებს,
ჯერ მოუწყობელ ოჯახებს და ოჯახის
შექმნაზე მეოცნებე ახალგაზრდებს,
დივერსანტივით უნდა შემოპარულაყო
სიის დასაწყისში, თავს დაცხრომოდ
ვინმეს, და მისი ადგილი დაეკავებინა.
და ეს მთელი სასაიამოვნო მოგზაურობა
ჯდებოდა სულ რაღაც თხუთმეტი ათასი.
„ჩალის ფასადა, — გაიფიქრა ბენედიქ-
ტემ, — სამ თვეში იაკობს ახალი ბინა
ექნება“.

რვეულის პირველ გვერდს აყოლ-
ჩამოაყოლა შავი ფანჯარი, აქ ჩამოწე-
რილი იყო იმ ბენედიქტე მცხოვრებთა
გვარები, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ
სიის თავში რომ მოექცნენ და ახლა
სულ მალე მიიღებდნენ ბინებს.

მაგრამ რაიალმასკომს სია ჯერ არ
დაუზუსტებია, არ დაუმტკიცებია და არ
გამოუქრავს, ამიტომ ზოგმა არც იცის,
რომ უკვე სიის დასაწყისში გადაინაც-
ვლა, რა თქმა უნდა. ბენედიქტე, რაი-
ალმასკომის საბინაო განყოფილების
გამგე, ამით ისარგებლებს.

ვინ გაიმეტოს?! რომელი გვარი და ოჯახი? შავი ფანჯარი მახვლივით დაეკეცა სიის თავზე, მერე მძიმედ და მრინსანედ დაეშვა ქვემოთკენ და უეცრად ვიღაც უცნობის მოშიშვლებულ კისერთან შეჩერდა..

არა, ბენედიქტე ასე სულმდაბალი არ არის, ბენედიქტეს სამართლიანობა უყვარს, როგორ ჩადგამს სხვის ცოდვაში ფეხს, მართლა ისე ნუკი ჰგონიათ ზოგიერთებს... არა, ვერავინ ვერ აღმართავს ხელს. დაე, ყველაფერი ბედმა და იღბალმა გადაწყვიტოს, ბენედიქტე არაფერში არ ჩაერევა, განზე გადგება და რაც მოხდება, მოხდება...

თვალეები მაგრად მოხუჭა, ფანჯარი დანასაუბათ მოიმარჯვა და რვეულის ფურცელს დაასო. ფანჯარი გააშეშა და ცალი თვალი ნელ-ნელა გააღო. ჯერ კიდევ წამწამების ბადეში დაინახა გვარი, რომლის ერთი ასო ფანქრის წვერს გაეგმირა. ბენედიქტემ კვიად ასწია ხელი. „არა, კაცო, ეს მილიციიში მუშაობს, გიყი კი არა ვარ!“ თვალეები კვლავ დ ხუჭა და კვლავ აძგერა ფანქრის წვერი სიას. მერე ერთბაშად დახედდა. „ბედი არ გინდა?! ამან ხომ მომცა ფული, რას ვერჩი!“ მესამე კანდიდატურა ფეხბურთელი გამოდგა: „ეს მთელ მთავრობას შემეყრის, ხათაბალის თავი სადა მაქვს!“

რაც მართალია, მართალია, ცოდვი გამხელილი ჯობს, მეოთხე ცდაზე ბენედიქტეს თვალეები ბოლომდე არ მოხუჭკავს, თუმცა სულ ნათლად და გარკვევით ვერ არჩევდა ასოებს. ფანქრის წვერი ფურცელზე შეაჩერა და თვალეები გააღო. გაეღიმა. ზედმიწევნით შესაფერი კანდიდატი იყო: „20. ალავიძე ნინო ალექსანდრეს ასული. მცხ. ძელქვის ქ. № 51“.

„ჰო, მახსოვს, ...ქვრივი ქალია. კარგა

ხანია აღარ შემოუხედავს, — ბენედიქტეს თვალწინ დაუდგა ქალაქის მთლიანი პატარა ქალი, — რა გიყო, ძვირფასო? ვინმე ხომ უნდა გაწირულიყო... ღმერთია მოწამე. თვალეები დახუჭული მჭოიდა, ვისაც გინდა ჰკითხე“.

ბენედიქტემ საშლელი მოძებნა და ფანქრის წვერის ნაკვალევი გააჭრო. სია დაკეცა და ისევ უჭრაში შეინახა. დიდად კმაყოფილი დარჩა, რაც არ უნდა იყოს, საქმის ნაწილი მოათავა. ახლა როგორც კი მიიღებს იაკობისგან ფულს, აღმასკომის სიაშიც სათანადო ცვლილებებს შეიტანს, და მორჩა. საქმე მოთავებულა. რა ტყბილად დაემინებამალამ!

„რა გიყო, ძვირფასო, რა ჩემი ბრალია, — ისევ ქალაქის მთლიანი ქალი მოვლანდა ბენედიქტეს, — გაწეულიყავი ცოტა გვერდზე და ფანჯარიც აცდებოდა!“

ფანჯარას მიადგა და ქალაქს გადახედდა. აბრღვევალეებულოყო თბილისი, ქალაქის ბოლოს, საცხოვრებელი სახლების მოწინავე შშენებელთა წითელი შექურები კიაფობდნენ იქ. იმ რაიონში შენდებოდა ბენედიქტეს გულის გამხარებელი ბინები.

უეცრად ცაზე რაღაც მოეჩვენა. აიხედა; საპერო-საბაგრო გზის ჩაბნელებული ვაგონი ზედ მისი სახლის თავზე გაეჩერებინათ.

„ფუჰ, მაგათი... განგებ მიწყობენ!“

ფანჯარა მიხურა, საწოლი კედელთან მიიჩოჩა. ღმერთს რომ გაეწირა და ვაგონი ჩამოვარდნილიყო, თუ სადმე სამართალია, თავზე არ უნდა დასცემოდა.

„ნამდვილად... განგებ“.

დაწვა, მაგრამ სულ იმ ვაგონზე ფიქრობდა არა, ბენედიქტე ზიზზობამესამალამ ძილი არ ეწერა ბედად.

სამსონი — თეთრი წაბილები...

ჯერ იყო ქაოსი, ქარაშოტივით მბრუნავი წყვილიდი, თავგზააბნეული, უხმო სიშავე. მერე გამოჩნდა თეთრი წერტი-

ლები. ისინი მოდიოდნენ შორიდან. სწრაფად ახლოვდებოდნენ და ქრებოდნენ. წყვილიდი თანდათან იწყებოდა,

ძალია ეცლებოდა. იგი ახლა წისქვილის ქვისაგეთ ზანტად ტრიალებდა და ბრახ-მორჩული ღერღვედა თეთრ წერტილებს.

ბოლოს განათდა

და მიხვდა, რომ ეს თვითონ იყო, იგრძნო, ხელახლა რომ დაუკავშირდა სამყაროს, ხელახლა ჩეხა უზარმაზარ ფერხულში. ახლა, ალბათ, ნამდვილ სინჯუმეს უსმენდა და თვალი რომ გაეხილა, იქნებ ნამდვილი წყვდიადიც დაენახა. მაგრამ ქუთუთოები არ ემორჩილებოდა, არც ხელები ემორჩილებოდა, რომ ქუთუთოები მაღლა აეწია.

ეს უკვე მერაპდენედ ამოტივტივდა სინათლეზე. ყოველთვის ის თეთრი წერტილები შეელოდა, წყვდიადში მოულოდნელად გაჩენილი და მისკენ დამრული. ქაოსი რომ გაყინულიყო, ის უხმო სიშავე თუნდ წამით გაშეშებულიყო, ალბათ მერე ველარასოდეს შესძლებდა თავის ხელებსა და ქუთუთოებზე ფიქრს. ახლა კი — ფიქრობს. იცის, რომ სხეული აქვს, რომ ჯერ ისევ ცოცხალია, რადგან სხვის ხელებს გრძნობს. ქალის ხელებს, მგონი, ეფერება ის ქალი, წამლებს აჰმევს, თუ ნემსებს უკეთებს, ახლა აღარ ახსოვს, რისთვის მოდის ის ქალი. ალბათ, მოვა კიდევ და გაახსენდება.

რეზინივით შეკუმშული უზარმაზარი სიბნელე ბორცვებს ტვინში, გამლას ცდილობს რეზინა. თავის ქალას აწევბა შიგნიდან და ნელნელა ბზარავს. მხოლოდ ერთი განათებული ქუქრუტანაა ამ ბნელ ბურთში, და იმ ქუქრუტანიდან თეთრ წერტილებს ზანდანან საოცარი სურათები და ხმები ამოჰყვება. ოდესღაც გაუგონია ეს ხმები, ეს სურათებიც უნახავს, მაგრამ აქამდე არასოდეს გახსენებია. ახლა კი ახსენდება თავისთავად, ძალდაუტანებლად, გამოძახება არც სჭირდებათ, თვალს მოჰკრავს თუ არა განათებულ ქუქრუტანას, მაშინვე დაიძრება ახალი სურათები და ახალი ხმები.

ახლაც:

„— ამბროსი წულაია ცეცხლფარე-

შად მუშაობდა. ბაბა, შემანქანესთან, მატარებელმა რომ გაიტანა, ხეიმ ვახსოვს? დარჩა საწყალს ორსული ცოლი! ფეხთათსია და დაკრტული დედ-მამა... ფედოსია ყანას თონის, ბაბა,... ხომ იცი ფედოსია?.. ამ ყანით უნდა არჩინოს დედამთილ-მამამთილი. ბავშვი რომ დაეზადა, მას შემდეგ აყვანიც ყანაში გაიტანა. ატირდება ბავშვი, მიიბრუნს, ტუქუს მოაწოვებს და მერე ისევ სამუშაოს მოუბრუნდება. ორი მანეთი ღრამა უნდა გადაიხადოს წელიწადში ეკლესიისათვის — წირვა-ლოცვისათვის, ზიარებისათვის. აბა, როგორ გადაიხადოს? გუშინდამ, თადეოზის ცოლმა... ძალლი მიაკვდეს სულში თადეოზ მღვდელს... მზეხამ დაიბარა:

— ქე ვიცი, ჩემო ფედოსი, ორ მანეთს შენ ვერ გადაიხადი და ისე მეცოდები, შეილო, იქნებ დაეჯერო თადეოზი და ორი მანეთის ნაცულად ქათმები მიიღოს, თითო ხუთ შაურად...

მამა იხრება, დანაცვერცხლებულ შეშის ნაბობს გვერდს უნაცვლებს ცეცხლზე და ბუხარში თავშერგული ხვნეშით განაგრძობს:

„—იმ დილას რვა დედალი მიუყვანა ფედოსიამ მზეხას, ორღობიდან ვუყურებდი. ხელში წონიდა ქათმებს თადეოზის ცოლი, აბა, თუ მწიფეაო, თან ტუჩებს პრუწავდა;

— ხო, ყარგი, შვალო, ვეტყვი, იქნებ ეს რვა დედალი ჩაგითვალოს იმ ორ მანეთში...“

...მამა გაქრა, მერე ბუხარი ჩაბნელდა, მაგრამ მამის ხმა ერთხანს კიდევ ესმოდა. მაშინ ალბათ რვა, ან ცხრა წლის იყო. გარეთ წვიმდა. ფეხისთითებს შორის ჩარჩენილ ტალახს ჯოხით იცილებდა და ბუხრიკენ ისროდა.

რა ნათლად მოელანდა ყველაფერი თითქოს ბუხრის სითბოც იგრძნო.. გახურებულ წვივებზე ხელებს ისვამდა მამინ...

„— სამსონა, შენ რომ არაფრად მაგდებ. ჰარიმანმა ქული მომიხადა, ბიძია!“

რომელია ეს?! მოიცა... აბა, თქვი, თქვი კიდევ!

— სამსონა, შენ რომ არაფრად მავდებ. პარიზშია ქელი მომხიდა, ბიძია! — დაიჭყანა აყლაყუდა ვაგონების გადამბჰელი და ღიანდაგზე ცალი ფეხი შედგა“.

ივანიკა!

მაშინ ჭიათურის რკინიგზის სადგურში მუშაობდა სამსონი... ახლა მიხვდა — ჭიათურის აქეთ აღარაფერი აგონდება. ჭიათურასა და იმ ქალის ხელებს შორის სიცარიელეა. სიცარიელე კი არა — რეზინის შავი ბურთია, დღით-დღე რომ იბერება, იბერება და თავს ქალას ბზარავს, გულში მწარედ ეცინება; უზარმაზარი დროა, უგრძესი ცხოვრება იმ ჭიათურელ ივანიკასა და ქალის ხელებს შორის, და მისი სხეულიდან ამოკვეთილი, ახლა სადღაც ცალკე დევს ის დროც და ის ცხოვრებაც. ეს რომ იცოდეს იმ ქალმა, აღარ მოშორდებოდა. ახლა კი ვერაფრით ვერ იხსენებს, რა აგონდება ხოლმე იმ ქალის ხელების შეხებისას..

— ფეხი უნდა მოვჭრათ! — ამბობს პროფესორი.

— აჰ! — ყვირის სამსონის ბიცოლა, — უფეხო შვილი გინდ მყოლია და გინდა — არა!

— დალუპავ ბავშვს!

— არ დალუპავ, თურმანიძესთან წავალ! — ბიჭი ხელში აიყვანა ბიცოლა.

— იმ ექიმბაშთან?

მალაქია თურმანიძემ გაიარ-გამოიარა თავის ოთახში და შეჩერდა:

— ახალი თამაშობა რომ არის ბურთით, რა ქვია?

— ფუტბოლი, ბიძია, — უპასუხა სამსონის ბიცოლა.

— ხო, ფუტბოლი... ხოდა, მე ვიყო მართლა ექიმბაში, თუ ერთ თვეში ამ ბავშვმა ფუტბოლი არ ითამაშოს!

სამსონი ხარებს მიუძღვის წინ ურემ-

ზე ბიცოლამისი და პატარა, ავადმყოფი ბიძაშვილია...”

არქონი

თითქოს უფრო დიდდება, თანდათან ფართოვდება ის განათებული ქუჩურტანა და სულ მოულოდნელი, მივიწყებული სურათები ამოდის:

„ათონის მონასტრის ეზო ხალხითაა გაჭედული. მდიდარი ეკლესიაა, აქ მლოცველები თვეობით რჩებიან, უფასოდ ქაშენ... ხალხი გარინდულა. ნემსი არ ჩაიგდება, ისეთი ჭედება. უცრად სამსონს რალაც მოხვდა ბეჭში. დაიხვდა, ქალის ხელთამანი გლია მიწაზე, განასკვლია, ნასკვში ამანეთიანია, ეკატერინოვკა, აილო და თვითონაც წინ გადაავდო. მერე თვალს აღდევნებდა, როგორ მიადრწია მღვდლამდე ვილაც მდიდარი მანდილოსნის შესაწირავმა...”

რა შორწმუნე იყო სამსონი! უყვირს...

არაფერი ერთმანეთს არ უყავშირდება, სულ არაფერი, არცერთი ხმა არ იწვევს მსგავს ხმას, არცერთი სურათი — მომდევნო სურათს. ნაკუწ-ნაკუწ დაფლეთილი წიგნივითაა გონება, თავგების შეჭმული წიგნივით, მისი აღდგენა, ალბათ. აღარ შეიძლება.

...ქორწილში ჩხუბი ატყდა. ცალთვალა კაცი გადმოხტა. ბრმა თვალზე მიიღო ხელი:

— სამი კაცი მოვკალი და ერთი თვალი დავკარგე, ახლა კიდევ სამს მოვკალავ და დავბრმავდები ბარემ, და ეგ იქნება!

მოკინკლავებმა მაშინვე შესწყვიტეს ჩხუბი, სამსონს გაუყვირდა...”

მერე? მერე რა მოხდა? ვისი ქორწილი იყო? რატომ დაამახსოვრდა ეს ამბავი?

„ახნაური საყვარელიძეები გამოჩნდნენ ზესტაფონის სადგურზე, მთვრალეები არიან. ექიმისთვის გადაუხვევიათ ხელები და მოიბღერებიან. სადურგლოს წინ კუბობია გამოფენილი. ერთი, ორი, სამი... ოთხი კუბო. ააგულიანეს ახნაურებმა ექიმი:

— შენ ხალხს არჩენ, ამას კუბოები გამოუთლია!

დაავლეს ხელი კუბოებს და ყვირილაში გადაუძახეს... ბავშვები ნაპირნაპირ მისდევნენ მდინარეს...“

თვითონ ზომ არ თხზავს ამ ამბებს? შეიძლება ამბების შეთხზვა?

— ცალხელა იოსელიანი იყო ერთი. ბაბა, კაცს ისროდა ისეთი ლონიერი იყო...“

სამსონის ხმაა?? ჰო, ეს თვითონ სამსონის ხმა არის, შვილს უყვება ამბავს. განა შეიძლება საკუთარ თავზე შეთხზა რამე?

„— ცალი ხელით? — ჰკითხა მიტუშამ.

— ცალით, აბა, მეორე არ ქონდა და... ვეფხისტყაოსანი იცოდა ზეპირად. შენსავით კი არ იყო... გადაწერდა ჰოლმე. თუ ვინმე შეუკვთავდა... როცა იმერე-

ლა ვაჭრები ქართლში მიდიოდნენ, გორელები გზას გამოხედავდნენ... სამსონი შებლს იჩრდილავს ხელით, — თუ იმერლებს ცალხელა იოსელიანი მოუძლოდათ, ჩხუბზე აღარ ფიქრობდნენ...“

— თუ არ მოუძლოდათ?

— თუ არ მოუძლოდათ, მაშინ...“

ჩაშავდა სურათი, ხმა შეწყდა.

აღარ ახსოვს, რა უპასუხა შვილს.

მგონი, რაღაც დაკავშირდა!

რა იყო?

ჰო, ცალხელა იოსელიანი და ცალთვალა კაცი, ქორწილში რომ მოჩხუბრები დააშოშმინა.

ერთმა გაახსენა მეორე.

არა — ცალთვალას მუქარამ, სამი კაცი მყავს მოკლულით, კუბოები გაახსენა.

მერე — ცალხელა იოსელიანიც.

დაკავშირდა!

□ გაგრძელება იქნება □

გამოუძვევებელი ღმერთი

• • •

წიგნს გიტოვებ, როგორც მზითევს,
გულის ხეავს და სულის იერს.
ყველა ლექსი დამეს გითევს,
სცადე ერთი ამოხიე
და შეღებავს სისხლი თითებს.

მთის აღმართზე უღელს ვწევდი,
თვალში შუქი დამკლებია.
ამ მცირე წიგნს სისხლით ვწერდი
და მთის თაფლით ნაკვებია.

ბერი დაფი შინ აბედი,
არსად მსურდა შეჩერება.
წისქვილში ვარ, თუ დაგბერდი,
სოფლის ბრუნვა მეჩვენება.

მე ვარ სიტყვის მეწისქვილე,
ლანჭერი მაქვს ნაგუბარი.
უბო ფიჭვი მომისმინე,
ჩუმად მინდა საუბარი.

• • •

მთაზე აცოცდა იჭვი ყაჭივით,
ოცნება თითქოს მინდვრის გნოლია.
ხევში, გვალვაში ვწევარ დაჭრილი
და მუხის ჩრდილი მოძმე მგონია.

მე მუხის ჩრდილი არსად მშორდება
საკუთარ ლანდზე უფრო ერთგული.

ჩემი წიგნი წყლულს არ მალავს,
არ ენდობა მოძმეს ფუყეს.
მეც, ვით ვაფას, ნესტი მჭვალავს,
მაინც ყელი ვარსკვლავს უყევს.
თუ დამიფენ ღორთქო ბალახს,
კიდევ გავეწვ სოფლის უღელს.

ჩემი სული არ დავბინდე,
მსურს ცის ქსელში გაეხლართო.
ვით მიმინო თუ აფფრინდე,
არ გამიშვა ნისლში მარტო.

მე ვარ სიტყვის მეწისქვილე,
შენი თეთრი თმის მეშინდე.
ჩემი ლოცვა შენ ისმინე,
თუ შეგცოდე, შენ შეშინდე.

გზა მიჩვენე აწინდელი,
შინ მტკუნებით დაიხუნძე.
მე ვარ წიგნში მასპინძელი,
შენ ხარ ჩემი ლექსის მძუძე.

ჩემს წინ გვალვაში გაიმოტება
და თითქო შორით მიხმობს ენგური.

თითქო დაკიდა ლაჭვარდზე ჩრდილი,
ბალახზე ნახად სიცოცხლეს ლამზავს
და ოჯახივით ერთგული ჩრდილი
ნელა მიყვება მე ძმების ამზავს.

• • •

ცას მოციმციმე ვარსკვლავი მოწყდა,
როგორც შურდული დაბლა დაეშვა.

თვალი შევასწარ, წუთით შევწუხდი,
აწ ვინ იპოვნის მოწყვეტილ ვარსკვლავს.

ეგებ მთაწმინდის ქვაზე დაეცა,
ლოღზე დაიმსხვრა და გაიფანტა,
ეგებ ჩაფარდა ზღვაში ვარსკვლავი,
ჩაიძირა და ხმა ჩაიკმინდა.

როგორ მოფტებნო, სად მივეწიო,
ვარსკვლავი იგი მე მეკუთვნოდა.
ჩემი ვარსკვლავი უფრო ნაზია,
ვიდრე ნესტანის თმაში მთიები.

* * *

ქუჩის ფილაქანს ვტკეპნი გამხდარი,
სადაც მდუმარედ დგას ეკლესია,
მაგრამ შრიალებს დიდი ჭადარი
და ის ღვთის სახლზე უკეთესია.

ვერვის ვუჩვენე წყლული მალული,
ვერ შევისვენე კოშკის ჩერთში.
არ დამიხუთონ ძილში მამული,
მუხა არ მოსჭრან საქართველოში.

სატრფომ მტკვრის პირას დასტოვა ქოში,
შემოვახვიე სულის ნაფლეთი
და განუჭურტელ ტრელ საწუთროში
სიჭაბუკის ჟამს მგონი დაგებრდი.

ვიწრო ქუჩებში დავჭრი გამხდარი,
მწუხრზე ფარვანა მეც შემესია,
მეც ვარ მლოცველი ერთი ჭადარი
და შეჯიბრება ხმით ეკლესია.

* * *

როგორ იქნება ჩუმად გაცოფდე,
არ მიასალო მუხლი ლიბოზე.
სიჭაბუკეში ბერიკაცობდე
და არ იცინო სასაცილოზე.

მეუბნებიან და კინჭილივით
თავზე დამიდგეს თითქო ნუგეში.
მე უძილობა მქონდა მისჯილი
ისნის კლდეზე და ვერის კუთხეში.

არ გუცქეროდი ვარსკვლავს დარდიანს,
მწუხრზე დამჩემდა წრიალის სენი.

ჩემი ვარსკვლავი უფრო მეკირცხლა,
ვიდრე გაფრენილ მხედრის მდგვარი.
ჩემი ვარსკვლავი უფრო დიკხია
და მე ვარ მისი ღამის მთეყარი.

არ დამეკარგოს და არ დაიმსხვრეს,
მრჩება ფიჭვები გაუნასკავი.
ცხრა მთის გადაღმა ან ზღვის დაისზე
უნდა ვიპოვო ჩემი ვარსკვლავი.

მთის საძირკველში ჩაგვირე ხორცი,
ჩემი ფიჭვები მთებზე ავზიდე.
შინ ქეთევანის ნატურფალს ვკოცნი
და ნაკვალევზე ვარდი აგვირფე.

ახე ვიპოვე წყლულის წამალი,
მიყვარს თბილისის ყველა უბანი.
უკვე შესამედ ყივის მამალი
და მეც უარყვავ ცაზე უფალი.

მე ამ ქუჩებში დაერბივარ კენტი,
თითქო ფამთასულამ ქუჩა შეთოვა,
ვერავინ შესძლებს დამარტყას კენტი,
არც მინდა ვინმეს ვუთხრა შენდობა.

თუ მომახუცა სირბილმა უწინ,
ახლა ვისვენებ ჭადრის ჩერთში,
არსად დამტოვან ურთხმელის კუნძი,
მუხა არ მოსჭრან საქართველოში.

ღამის მარქაჟა ჩემი ლანდია,
სული იხსენი და ამისხენი.

მგონი ოცნებაც ხანდახან მარცხვენს,
არ ვიცი გულში ვინ რას გაიფლებს,
მე ვეფერები თბილისის ცაცხვებს,
დაბალ ბანებს და მაღალ აივნებს.

მინდა ოცნების ზარს ხმა გავუთხო,
ნებით ვეფერო მუხას ხაოზე,
სიცოცხლის ლუკმა მოძმეს დავეუთმო,
თავად წავიდე სასაფლაოზე.

მე არ მქონია ხმაურის შიში,
ჭადარს ფოთლები რად ვფურცლებს,
მთვარე ნებივრობს ღრუბლის ლოგინში
და მერმე ბეთლემს დაეფუძნება.

მე არ ვყოფილარ ქუჩის ბაქია,
გულში მრავალი ფიქრი ჩაჭრანს,
მახათას მთაზე ჩემი ჭრაქია,
ჩემი ჭრაქია გომბორის მთაზე.

როგორც ყოველთვის დღეს მოსდევს ღამე,
სიკვდილი აგრე მარჭაფად მახლავს.
მუნჯო სიკვდილო, პასუხი გამეც,
რად დამიშხამე ცხოვრება ვაგლავს.

დასტოვებ ძვლები, გამხმარი თიხა,
დაიწყებ ლოცვა, ღამით ღაღადი,
რომ ჩემი ძვლები ცხოვრობდნენ დიდხანს,
როგორც არგვეთის ორი თავადი.

მე დავიჭერი და მართლა გექცვი,
რომ შევეურთდე არ მინდა ყამირს.
პეშვი ამიფსე მიწით და ფეტვით,
არ გამაგონოთ სიკვდილის ამინ.

არც მტრები ჩანან და არც მოყვრები,
ვწევარ და თავქვეშ გდია ბალიში.
ფიქრში ცხოვრების ნაპირს მოფყვები
და მე მომძახის ჩემი ბაღიში.

მომინახულებს მწუხარე ცოლი,
წამწამს მოიშრობს თეთრი თითებით
და შემოდგომა ჩემივე ტოლი.
თავს დამადგება სასე კალათით.

გული მტკივა და ფიქრს ვერ ვიცილებ,
ველარ ვიძინებ, თითქო ციხეში,
შორს ვარსკვლავები გვანან წიწილებს,
როგორც მინახავს ადრე სიყრმეში.

ცოლი დახრილი დამხედავს შიშით,
შუბლს გამიგრილებს მართოლოვარე კოცნით.
არ გამაგონოთ ვაი და ვიში
ისე წაიღეთ სული და ხორცი.

მე ამ წიწილებს ადრე ვკვებავდი,
გულს ჩამომტკრეულს რა გაამთელებს,
რა დიდი ღროა გათენებამდი,
და ზამთრის ღამეს რა გაათენებს.

შენთვის ვიწროა ჩემი ოთახი,
ფართო ოთახი ძვირად ფასდება.
ვერ ჩაეტევა შენი ღიმილი
და შენი ღანდიც ვერ მოთავსდება.

ჩემი ოთახი, როგორც ღამურა
სულის ნანგრევში უნდა აკურთხო.

მანც შემოდი, ასწიე თალი,
შენი სიბერე ვერ ხომ ადრეა.
ძლიერ ვიწროა ჩემი ოთახი,
თუცა დარბაზიც არ მინატრია.

თუ მოვიდა მთვარეს [სტუმარი],
უნდა ასწიო ბინაში თალი,
ათასად კაცი, ვიცი, დაფასდა,
ათი ათასად მცირე ოთახი.

თუთუნის კვამლმა ბინა დაბურა,
როგორ ვიწროა ჩემი საწურთო.

შემოდი, ჩემო სულის ღიმილო,
სუნთქვით გავათბოთ ჩემი კედლები.
შენა ხარ ჩემი თეთრი მიმიწო
და მე ბაზიურს ღამე ვედრები.

მთაბზე არბიხარ...

მთებზე არბიხარ და არ ბერდები,
ზურნუხტს გესვრიან ივრის ტალღები.

ამ სილამაზეს მე არ ვჯერდები
და მთის ფერდობზე ბილიკს აყვები.

შენი აღმართი მკერდზე მაჯახე,
ან თავდაღმართზე კიბით მიშველე,
ჯერ ჩემი ფიჭვი მტკვარზე გაჩარხე,
მერმე ფირუზის ღამე მიჩვენე.

ჭადრის შრილით შინ დამამშვენე,
ხევენი მომიწყვე მყუდრო სერობა,

მე ლექსის წერა ვისწავლე გვიან,
თუმცა ვმღეროდი დიდი ხანია.
მე სიხარულის ოსტატი მქვია,
მოვდივარ შენთან და მიხარია.

რა კარგი არის იყო ყმაწვილი
და შეიფერო მოხუცის სიბრძნე,
რომ შენი გულის ყველა ნაწილი
თხილის გულივით ცხრა მოძმეს მისცე.

არ დაიტოვო მცირედიც შენთვის,
შემდეგ უჩვენო სატრფოს საგულე,
იგი შიგ ჩასვა — ლულუნა მტრედი
და [ჩამოკიდო] რითმის საყურე.

თუ გასურს დამფუშე და ამაშენე,
როგორც ფიჭვებით სავსე შენთანაა
მე მტკვარზე

თუ გასურს ამვიდე კიდევ ჭაპანი,
მორცხვი ოცნება ფრთებით შემოსე
და მითხარ ათას ერთი ზღაპარი
მთებში ჩაკირულ საქართველოზე.

მე ლექსის წერა ვისწავლე გვიან,
თუმცა დაეხარჯე გრძნობა მრავალი.
მე სიყვარულის ოსტატი მქვია
და უდაბნოში მწირი მავალი.

მე წაბლისფერი ქალწული მიყვარს
და ღეთისმშობელი ქართლის მფარველი.
მე შევეკეთებ სიმღერას ბუხარს
და წარსულიდან მორბედს არ ველი.

უდროოდ მოსულ სიბერით ვწუხვარ
და ღეთისმშობელო, ამოდ მოსულო.
მე ვგეგარ ზამთრით ფეხადგმულ ბუხარს
და კვამლიანი სულით ვლოცულობ.

ღაბრუნება თბილისში

ვკვდები საბარგო ავტომობილში,
ვიწრო ჯიხურში ვკვდები ამაყად.
მძლოლმა ღიმილით მითხრა ბოდიში
და ჩვენ თბილისში მივჭრით ამაღამ.

მწუხრში არხევენ ჩრდილებს წიფლები,
მთვარემ დაყარა ხიდზე იები.
გზაზე მწიფდება ჩემი ფიჭვები,
მთაზე თუთა და ცაზე მთიები.

არ დამაძინებს გრძელი მანძილი,
მძლოლმა ჩასჭიდა საჭეს მკლავები.
მეც ვარ მთელემარე მთების ნაწილი
და მთის სიხმარებში მგონი გავები.

მძლოლს ვაქვებ და ამბავს ვუყვები,
წვიმის ღრუბელი იჭვით ავწონე.
გასწი, მიხმობენ მგონი ღრუბლები
და მთის ავსილი ძუძუ მაწოვე.

მინდა გაუვალ გზებზე მარწიო,
არ დაუყოვნო მოძმეს საღამი.
მეც მხრებით ტვირთი უნდა ავწიო
და მთის წყალივით ვიყო თამამი.

ჩვენი მანქანა არის საბარგო,
როგორც ფუტკარი მამულს არგია.
მძლოლო, მოსწიე ჩემი თამბაქო,
შენს თამბაქოზე უფრო კარგია.

კამრჯე საბარგოც მსუბუქს სჯობია,
ხევებს აფხიზლებს მისი თარეში
და, ძმაო, შენი სუფთა ოფლია
გზებზე დაღვრილი მშობელ მხარეში.

მთის ღრუბელია შენი ლოგინი,
რტოებს გირხევენ ქარში წიფლები,
ხევენი არ ჩატყდეს სადმე ბოგირი,
არ ჩამიყარო წყალში ფიჭვები.

არ გამიქარვო მცირე ნაღველიც,
უზმოდ გაკაფე ნისლეები დილის

და როგორც ბარგი, წრფელი ზრახვები,
ჩვენ მივეუტანოთ საყვარელ თბილისს.

• • •

მესიზმრება ტურში ვზივარ,
მეჩვენება, მამლის ყვილს ვისმენ.
დავმუნჯდი თუ დაჭრილი ვარ,
ვერ ვახერხებ ხმა გადავცე ვისმე.

მეჩვენება ყურძნის კრეფა,
პაპა სინჯავს სახელადე თისას.
შორით მესმის ძაღლის ყეფა
და ტიშკრიდან გადმოძახის ვილაც.

ტურში ვარ თუ თხრილში ვწევარ,
მგონი ფეხში გამებლანდა ძუა.
არ მუამა ბრინჯი წელან,
გამიტეხეთ ცხელი პურის ყუა.

მითამაშებს თვალის ჩინი,
მუხის ქერქზე დარჩენილა კირილი.
მაფარია ჭადრის ჩრდილი,
წყლის ფერი და წყაროსავით გრილი.

ტყვია სტვემს თუ ყური წივის,
ვეღარ ვარჩევ განთიადს და ღამეს.
მენატრება შხეფი წვიმის
და ღრუბელი ჰგავს რძეგამშრალ გამერს.

მელანდება დოსტაჭარი,
მისი მჭრელი სამკურნალო დანა.
ტურში მღერის უცხო ქარი,
თუ მიხმობენ ვენახი და ყანა.

• • •

მიკოლა ბაჭანს

ერთად გვივლია მრავალ ბილიკზე,
ერთად ვყოფილვართ ბევრის მნახველი.
თმოგეთან გვხვდებოდა ნაზი პირიმზე,
დნებრთან გვხვდებოდა ტურფა ძახველი.

ახლაც მე შენი ხელი მჭირდება,
რომ ბონდის ხიდზე მშვიდად გავიდეთ.

მეგონა ტირში ერთად ვიყავით,
ლხინიც ორივეს ძმურად გვექონია
და მეგობრობის წმინდა იგავი,
შენ ხალხს, შენი ხმით გაუგონია.

თვალწინ მინთია დნებრის ძეწნები,
ვუმზერ ანთებულს დნებრზე საღამოს
მე შენი ქვეყნის ზეიმს ვესწრები,
და ვინ დამადებს წყლულზე მალამოს.

გიყვარდა გზაზე ძმური კენწლავი,
შთაში უმიზნოდ ქვებზე ჭილიკი,
ჩვენ გაგვითლია წუნდას ლერწამი
და გაგვივლია ფშავში ბილიკი.

მე თუ ტკივილი მქონდა ოდესმე,
შენ გიპოვია ჩემთვის მალამო.
შენი ძმური ხმა ისევ მომესმა
და მე ჭრილობა როგორ დავმალე.

მოგონებები გულს ეჭიდება,
მთებში ვიგონებ განვლილ ამინდებს.

ერთი ტკივილი გულს ეჭიდება,
ცრემლით იღვრება ჩემი პირიმზე,
მე შენი ძმური ხელი მჭირდება,
რომ გავიარო ღამე ბილიკზე.

• • •

როცა ქვიშაზე მტკვართან ვრჩებოდი,
შინ დაწერილი დამრჩა ქაღალდი.

მე არ მეგონა კვლავ შეგხვდებოდი,
ისევ ცხოვრების გზაზე ვნახავდი.

რას ვიფიქრებდი, არ მოხუცდები,
შეგრძეობა ესხი და სითამამე,
ადრე დაღვრილი ცრემლის კურცხლები,
წვიმით დამხედება სამხრეთის ღამე.

როგორ მეგონა შინ მობრძანდები,
არ გახუნდები უცხო ჩერთში.
ეგებ უჩრდილო ჩვენი ლანდები
ეხლაც დადინან საგარეუოში.

ეგებ დატოვეთ კვალი ზღვის პირას,
ვეღარ წაშალეს მლაშე ტალღებმა,
ეგებ შენი ხმა მანგლისში სწირავს,
სადაც მინდოდა გულის გაღება.

* * *

ნადიკვარზე ნიაფია,
მუდამ ბავშვთა ცქრიალია.
თითქო ყვავის ია-ია
და აფრების ფრიალია.

შორს ალაზნის ტაფობია,
ირგვლივ ლურჯი ზღაპარია.

* * *

ვერის ხიდზე ვიდექ ვიდრე
მკერდში მქონდა სიჭაბუკე იოტი.
აჯალი მთუბით გავამდიდრე,
დღეში ორჯერ ხიდზე გადავდიოდი.

ხიდზე ვიდექ მე უმწეო,
მომერვენა გაღმა მხარე აღთქმული.
სად გარბიხარ, სიცოცხლეო,
არ ჩაგიტყდეს ფეხქვეშ თალი ქართული.

არ ჩატყდება ვერის ხიდი,
მუხებზევით ჩაკორძილან ბურჯები.
ბინდში ხიდზე სუფრას ვშლიდი,
თასებს ვცლიდი და მტერს ვერ გაღურჩები.

შენც მოგჭონდა სანოვაცე,
მარწყვი გეწყო ტილის მოწნულ კალათში

მე არ მეგონა გამიხსენებდი,
მტკვრის პირას სახლში [ისვე] მაქვსებ.
თითქო მოქტიან ეტლით ცქენები
და ვერის ხიდთან კმუნვით დამეძებ.

შენ გინდა გრძნობა არ დააფერო,
ან შეინახო გინდა სინაზე.
როგორ შეგხედო და მოგეფერო,
ვერ წამოვწვებით სოფელ სილაზე.

დრონი წასულან, სად გაფრენილან,
სად მიფრინავენ, როგორც აფრები.
მე მაგონდება შავი ზღვის დილა
და მოგონებას მეც ვეწაფები.

ღამეს მთვარე გაპობია
ნახევარი გაპარვია.

მარჯენივ ცაზე ნახაზია,
თუ მიკრული გომბორია?
კახეთი მთლად ღამაზია,
ნადიკვარი როგორია?!

მტკვრის ნაპირზე დავიფაცე,
ვარსკვლავები ჩავიყარე კალთაში.

მანვა წლების მძიმე ტვირთი
მეშინოდა ზამთარმა არ დამსუდროს.
წლებს და თვეებს ისევ ვითვლი
და აპრილი ვერ მოვპარე საწუთროს.

ახლა სარკმლით ვუცქერ თაღებს,
ეგებ მიდის ხიდზე მეზავრი გვიანი.
შორს ტრამვაი არ რახრახებს,
უხმოდ მოაქვს ნაფი ვარსკვლავიანი.

ჩვენ დავეძებთ ძველ ნაბიჯებს,
როცა მტკვარი ცისკარივით კამკამებს
და სიხარულს მოგვანიჭებს
თუ ამ ხიდზე აღმოვანენთ ნაკვალევს.

ბინდი შრიალებს, მთიდან ვეშვები,
დაბლს დარბიან უბნის ბავშვები.
ვარ ვით ტოლსტოი წვერმოშვებული
და ცერით ქამარს ვეთამაშები.

მე ჩამოვადები მთის ძირას კუნძზე,
სად ჩურჩულებენ მთის ჩინარები.
ჩემკენ მორბიან თვითთულ მწუხრზე,
მერმე ხდებიან უჩინარები.

არ მსურს ბილიკზე მეტი წვალება,
არ მსურს მოგიბმო მაღალი მთები,
არც მთაწმინდაზე შემოღამება,
მინდა საღამოს ვეპროლო ქვები.

ჩემი გზა სულში ღარზე სწორია,
შენთვის დაგყარე ლოდზე ფურჩი.
ჩემს ოცნებაში შენ გიცხოვრია,
როგორც თბილისის ვიწრო ქუჩებში.

ხვეში შემხვდება შემოღამება,
ამ მთაში გვაღვა რად არ განულდა.

ყველა ეს ჩემი ჩემი წვალება
აღუნუსხავი დარჩა კალენდარს
და არ ჩამრიცხეს წმინდანთა რიცხვში.

მე მინდა მხოლოდ შენს სულში ჩაერჩე,
თბილისში არ სჩაანს სხვა კვლესია.
ვერცხლის ფულივით გრძნობები ესარჯე
და ჯავრიც ბევრჯერ დამითესია.

ნუთუ არა მყავს სულის თვისტომი,
არ მყავს ჭადართან ტოლი ჩეოში.
მთიდან გავრბივარ, როგორც ტოლსტოი,
კარს არ მიღებენ სამლოცველოში.

მაინც ვლონდები, შენ არ დამსუდრო,
გული იცლება, როგორც [ხეიმირი]
ბინდის ფერია მთაში საწუთრო
და ვერ გაფანტავს შენი ღიმილი.

მოდე, მომეცი გულის წვეთები,
ეგებ დიღამდე ღამე გავთელო.
მე ღობე-ყორეს რისთვის ვედები,
თუ დამიფიწყებს ხვალ საქართველო.

პოლო იაშვილს

სულის შებღალვა შენ არ ინდომე,
არ შეირცხვინე წმინდა სახელი.
მოხველ, როგორც ძმას დამემშვიდობე
და უფსკრულისკენ ჯიქურ წახველი.

მე კი მეგონა, გეღის არგეთი,
გინდა სოფელში უხმოდ ჩაფრინდე
და უცებ ტყვიამ მწუხრი გაგეთა,
თოფით ფრთიანი ფიჭვი დაფლითე.

შენმა თოფის ხმამ შიში დაბადა,
მსხვილი თითებით ფუძე დატორე.
შენ პოეზიის იყავ თამადა
და სერობის ეამს სუფრა დასტოვე.

სინათლით სავსე თავი გაიძე,
მჭრელი თვალები კვამლით დაბინდე.
ყურში მესმოდა ჩემი ვაიმე.
ყველას ესროლე, არვინ დაინდე.

შენ ემზი გქონდა, გქონდა ცხოვრება,
თუთარი ხალათი სისხლმა შეღება.
ქუხილით ჩაქრა შენი ცხოვრება
და ვერვინ შესძლო ხელის შეხება.

იენისის მწუხრი სულში ვარწიე,
თქორი უცვლიდა სასახლეს იერს,
შენ ღვინით სავსე ქალა ასწიე,
ჭერს მიახალე და დაამსხვრიე.

იმ თასში ჩარჩა ხმა სახსოვარი,
მწერალთა სახლში სისხლის მითელი.
შენ მჭევერმეტყველი და ახოვანი
ხნულზე დაფარდი, ხარი წითელი.

მე და შენ გექონდა ადრე ჭიდილი,
ბევრჯერ გავწყვიტეთ ლექსის ავშარი,
მაგრამ მოვარდა შენი სიკვდილი
და ყველა ხინჯი წუთში წაშალა.

თვალზე ცრემლები არ შემიხცოცა,
გავხდი სამშობლოს მწუხრის ზიარი

და იმ მწუხრიდან არ შემიხორცდა
შენი ჭრილობა და ნატყვიარი



მტკვრის პირას დაწვი სულის საკმელი,
დარბეულ კვამლის აფრენას ვუმზერ.
მე ვარ მწყურვალე შენი აქლემი,
უნდა შეგისვა აწოწილ კუწზე
და გაგიტაცო დაბურულ მთებში.

გულის ჭრილობას ფრჩხილით ეხები,
ხარ საალერსო და უწყინარი.

ჩემი ნატვრაა მეგრული ფაცხა,
მთვარის შუქი და შენთან ვახშამი,
თუ მთაში ერთხელ უეცრად დამცხა,
შენ დამირჩხიო უნდა თავშალი.
და წყაროს წყალი დოქით მახსურო.

შენს თვალეშვია თობას ქსელი,
შორს გატყორცნილი სასროლი ბადე,
ხევის ჩრდილი და ღრუბელი სქელი
და წეროების გუნდები ზღვამდე.

შენ კი შორიდან რატომ მაქვსებ,
სიზმარში ტანი რისთვის გაშოლტე.
არ გინდა შეჯდე გამხდარ აქლემზე
და ამ გვაღვიან თბილისს დაშორდე.

შენ წინ ტადარი დარჩა მოჭრილი,
ეს ჩემი ჭვალა განკურნე მალე,
თავზე დაგნათის ცა მოოჭრვილი,
ცა მოკენჭილი და გამჭვირვალე.

მოდხარ შენ და გტკივა ფეხები,
თითქოს ირწვევი, ვით ოწინარი,

შენს დატოვებულ ნაკვალევს ვუმზერ,
ირმის ნახტომზე დაგრჩება ქოში,
უნდა შეგისვა აწოწილ კუწზე
და გაგიტაცო ჩემს უდაბნოში.



მეც მოვაშენე მცირე წალკოტი,
შიგნით ოცნების ხეხილი დავრგე.
მწუხრზე წალკოტის ჩრდილებს დავშორდი,
ვერ გავისველე ქლიავით ბაგე.

მე რა დამრჩება ლექსების გარდა,
ბევრჯერ ვყოფილვარ სიცოცხლის მეფე.
მე ჩემი თეთრი მიმიწო მყავდა
და წმინდა გული აქამდე ვკვებე.

მე ვიყავ ჩრდილის ჭირისუფალი,
კუბოს ვამგვანე ჩრდილი გაშლილი.
მე ცრემლით მოვრწყე ცრემლის უბანი
და გადავტყე ჩემი არშინი.

მკერდზე დავიკრავ მგონია ხანჯალს,
რადგან არა მსურს ვიყო უხემი.
მე ვიტან მხოლოდ საკუთარ ტანჯვას
და გულში დავრგე მხოლოდ ნუგეში.



როგორ მეგონა, სასწორს გადახრი,
სულში ჩაჭკნება მწვანე ყლორტები.
ვიცი, საფლავზე მიწას დამაყრი,
მე მაინც ვწუხვარ, ადრე გშორდები.

თუ გზაზე შეგხვდა ერთი სიკვდილი,
მივიკრის, რომ ჩემი თავი დაუთმე.

კიდევ მინდოდა ლექსით ჭიდილი,
მეც მამა-ბაბას ძვლები გავუთბე.

კიდევ მინდოდა თხელი ნისლივით
შემოვხვეოდი საყვარელ მხარეს.
გურამიშვილის მერგო წისქვილი,
როდესაც წილი მამულში ჰყარეს.

საფლავს ჩემ სხეულს თვითონ ავურჩევ,
 ბინად ავირჩევ მთაში იალალს.
 მშვიდობით, ჩემო ლექსის საუნჯე,
 ჩემო პატარა გულის ფიალა!

გზაზე დავტოვე ჩემი ამქრები,
 სულში ჩაჭკნება მწვანე ყლორტები.

ნუთუ ნისლივით მალე გავქრები?
 ნუთუ უდროოდ ასე გმორდები?

საფლავს ჩემს სხეულს თვითონ ავურჩევ,
 ბინად ავირჩევ მთაზე იალალს.
 მშვიდობით, ჩემო ლექსის საუნჯე,
 ჩემო პატარა გულის ფიალა!

• • •

შენს თვალებს მოწყდა ეს ვარსკვლავები,
 მე ავკრიფე და შინ მოვაგროვე.
 თუ სადმე შეგხედეს წკვარამი ღამე,
 ჩუმად მიხმე და შენთან გაჩნდები.
 ვარსკვლავებს დაფთვლი და დაგიბრუნებ,
 რომ ღამე ხევში გზა გაიშუქო
 და ჩემი სულის კუნჭულებს ჩაწვდე.
 გეტყვი, წაიღე ეს ვარსკვლავები
 მინ შეფუთნული გამხმარ თივაში.
 ქარი ვერ მომწყდა და ვერ ჩამაქრო
 და ვერც სათესლედ მომტაცა პაპამ.
 შენი თვალების ნაპერწკლებია,
 წამწამთა ჩრდილის ანარეკლია,
 თუ უთვალავი ცვარია ცისკრის,
 თვალთა გუმბათზე გადმოკიდული.

არ დამკლებია არც ერთი ცალი,
 ვარსკვლავებს ხავსი არ მოდებია,
 როცა ვეხები ჭაცვები მჩხვლეტენ
 და მარგალიტის ნამსხვრევებს გვანან.
 შენ უწილადე ვარსკვლავებს პეწი,
 წაბლის ბუბგი და ბუსუსი ატმის
 და მოტკარცალე შენი სიცილი.
 მე ვარ მოხუცი ვარსკვლავთმრიცხველი,
 შენ გაბადრული ცის კაბადონი,
 ოუ თავთავებით ავსილი კალო.
 მე მოვიმეე თუ ცაზე ავკრიფე,
 მინდა ჩავიწნა ეზოს ღობეში
 და დადლილ გამვლელს გზა გავუნათო
 სიცოცხლის მწუხრზე ამ ვარსკვლავებით.





ილა შემოვიდა სულში გაზაფხული

ყაყაჩოების ზარების წყრიალით,
ვარდებით, წვიმებით აპრილი გვეწვია.
ისეთი დიდი და ლამაზი დღე არის,
არ მჯერა საწუთროს გზა ერთი ბეწვია.

ისე შემოვიდა სულში გაზაფხული,
არ მახსოვს ზამთარი მათოვდა თუ არა.
თითქოსდა ყოფილა ბალი დანადმული,
ხეებს კვირტთა სკდომის ხმამ გადაუარა.

შენც ნუ აფეთქდები, გულო, წყნარად იყავ,
შენში ყველაფერი დინჯად მოათავსე,
ზღვები და ველები, მთები — დოვლათსავსე,
მთელი ეს სამყარო, მთელი გალაქტიკა.

მე სული ჩამიდგა ცამაც და ხმელეთმაც
და განა სამყაროს მარტოდენ ვარ შეილი?
ჩემშია სამყარო — ეს ჩემში შეერთდა
ვარსკვლავთა სისტემა უსაზღვროდ გაშლილი...

და ეს გაზაფხულის დღეც შუქმობიბინე,
ალბათ პლანეტათა არის გაღიმება,
წაიღებს მდელთა სილურჯეს, სილბილეს,
კოსმოსში ვარსკვლავთა შუქად გაღვივდება.

ზეცა ცისარტყელის ფერებით ბრდღვიალებს,
აპრილი ფერადი წვიმებით გვეწვია.
ისეთი დიდი და ლამაზი დღე არის,
არ მჯერა საწუთროს გზა ერთი ბეწვია.

რამდენი წელი წავიდა, დედავ,
ამ წუთისოფლის წელი რამდენი,
რაც უშენოდ ვარ, რაც ვეღარ გხედავ
და შეილი შენი უკვე დაგებრდი.



დღედავ, ჯერ ბავშვი ვიყავი მაშინ,
როცა დაგბერა ნიაგმა ავმა,
როდესაც შენმა სიცოცხლის ნაგმა
შესცურა ყოფნა-არყოფნის ზღვაში.

ამ დიდ ნაპირზე მე მარტოდ დაერჩი,
დაერჩი ამ მიწის და ზეცის შუა,
ზამთარმა ჭირხლი არ დაიშურა,
ზაფხულმა ცეცხლში გამხვია ბავშვი.

და დღეს — 30 დეკემბერს — სწორედ
დღეს 30 შესრულდა წელი,
რაც აწკრიალდა ღრუბლებში ცელი
და ცივი ელვით გაგიძღვა შორეთს.

წელი წელს გაჰყვა და ტალღას ტალღა, —
ვმაგრობდი, თორემ შენს თბილ გულს ვფიცავ,
გადაუვლიდა ამ ცოდვილ მიწას
ჩემი ცრემლები მეორე წარღვნად.

ახლა შენი ხმა შორითლა ისმის,
შორითლა ვხედავ შენს თვალებს მოღლილს
და გული ჩემი ივსება ბოდმით,
რადგან მატულობს ჩვენს შორის ნისლი.

რადგან დამწვარი დღეების კვამლი
ვხედავ თანდათან მუქდება ისე,
ლამის დაფაროს ჩვენს შორის სივრცე,
ლამის წაშალოს სიცოცხლის კვალი.

მაგრამ ო, არა... ინათებს თითქოს,
ეს შველიშველი შემორბის შენი...
ჩემს პირმშოს შენი ღიმილი შეენის,
შენი შუჭი აქვს და შენი სითბო.

და ჩემი სულის ყველა კუნჭული
და ჩემი სახლის კუთხე ყოველი
ივსება შენი შუჭით ცხოველით,
შენი ძაბილით, შენი ჩურჩულით.

და შენ ბრუნდები, როგორც ბუნება
გაზაფხულისას სულს იდგამს ახლად...
კურთხეულ იყოს ეს გარდასახვა,
კურთხეულ იყოს ეს დაბრუნება!

გაქანზე ჩაწილი სიყვარული

მთხრობა

მოსკოვის კურსკის ვაგზალი ვათენე-
ბამდე ფეხზე დგას, ისე, როგორც ყვე-
ლა დიდი სადგური ამ ქვეყანაზე. ათას-
ნაირი ეროვნების ხალხს ისტუმრებს
სადგური შორეულ სოფლებსა და ქალა-
ქებში და, ვინ იცის, ზოგი ცხოვრებამ
მეორედ აღარც კი მოაბრუნოს აქ.

აღრეული ზამთარი იდგა და სიცივეს
ჯერაც შეუგუებელი ხალხი მოსაცდელ
დარბაზს მოსწყდომოდა. ქალაქის ქუ-
ჩებში გაშიშვლებული ხეები თრთოდ-
ნენ და თითქოს სასოწარკვეთით შეპყუ-
რებდნენ ჩაქუფრულ ცას.

სადგურის მოსაცდელ დარბაზში თბი-
ლოდა და დარჩენილი ექვსი საათი
სხვაგან სად უნდა გამეტარებინა. შე-
მომსვლელსა და გამსვლელს თვალს ვა-
დევენბდი, იქნებ ამ მიღეთის ხალხში
ვინმე თბილისელ მგზავრს გადავეყარო-
მეთქი. ამაოდ, ნაცნობთაგანი არავინ
ჩანდა. ნუთუ ამხელა ქალაქიდან დემო-
ბილიზაციით მარტო მე ვბრუნდებოდი
თბილისში?!

ვიჩეკი ხალხით გაქედილ დარბაზში
და თითქოს ვგრძნობდი, ჩემს თავზე
დაყენებული ელექტროსაათი მხრებზე
როგორ ზანტად მაყრიდა წუთებს.

ფანჯრიდან ვხედავდი, — ხვაროილად
თოვდა, თან ქარი უბერავდა და თოვ-
ლით საესე ცა თითქოს ირწყოდა.

ჩემოდანს იდაყვით დავეყრდენ და
თვალეები დავხუჭე. გამუდმებული ქა-
ოსური ხმაური თითქოს უფრო მკაფი-
ოდ ისმოდა დარბაზში. ეს დასაწვავი ჩე-
მოდანი რომ არა, ამ სიცივესაც ჯანდა-
ბაში გავგზავნიდი და იმასაც, რომ ქა-
ლაქისა ასავალ-დასავალი არ ვიცო-

დი, — ორიოდე საათით მაინც გავივილი-
დი და მოსკოვს დავათვალიერებდი. აქ
ჩამოსვლა ყოველთვის ხომ არ მოგი-
წევს კაცს!

უეცრად ჩემს გვერდით ვილაცამ ჩა-
იკისკისა. ეს თავშეკავებული კისკისი
გულზე ისე მომხვდა, თითქოს დიდი
ხნის წინათ განშორებული ადამიანის
ხმა გამეგონოს. თვალეები დავაჭყიტე.
ჩემს გვერდით მერხზე ქალიშვილი იჯდა
და ვილაც პატარა ბიჭუნას ანცობაზე
იციწოდა. ცისფერი, მლიმარე თვალე-
ებით პირდაპირ მე მომჩერებოდა და
იძულებული გავხდი მეც ღიმილითვე
მეპასუხა.

წითელი, ცინცხალი პალტო ეცვა და
თავზე თეთრი, ფაფუკი ქსოვილის ქუ-
დი ეხურა. ეტყობოდა, დარბაზში ახა-
ლი შემოსული იყო, — მხრებზე ჯერაც
გაუმდნარი თოვლის ფანტელები ეყარა.
ერთი თვალის დაკვრითვე მოხიბლავდა
კაცს მისი გარეგნობა.

გამივივრდა, როგორ ვერ დავინახე.
დარბაზში როდის შემოვიდა, — მეთქი.
წელში გავიშალე და ფარაჯაზე შემორ-
ტყმული ქამარი შევიწვორე, შემოვი-
წკიპე. ვგრძნობდი, მალულად მიმხერ-
და და მისი ცისფერი თვალეების სილრ-
მეში თითქოს თანავგრძნობის გამოძნა-
ტველი აღერსიანი ღიმილი კიაფობდა.
ამ უჩვეულო, მოულოდნელმა ყურად-
ღებამ სულ დამაბნია, ამაყი, თავმომწო-
ნე ღიმილი მომეძალა. უკვე ოცდამეორე
წელი მისრულდებოდა და ქალიშვილის-
გან ასეთი ყურადღება არ მახსოვდა. ვა-
ტყობდი, გამოლაპარაკება უნდოდა და
საამისოდ რაიმე მიზეზი უნდა მიმეწო-
დებინა.

პალტოს ჯიბებში ხელბჩაწყობილი, მუცელგამობერილი პატარა ბიჭუნა არხეინად იდგა და დაეინებით შემომყურებდა. მივხვდი, ჩემს სამკერდე ნიშანზე დარჩენოდა თვალი. ნიკაპზე ალერსით მოვუცაცუნე თითები. გამახსენდა, ერთი ცალი შოკოლადილა მქონდა შემორჩენილი და ხელი ჯიბისკენ წავიღე.

— რა გქვია?

— მიშა, — მკვირცხლად მიპასუხა ბიჭუნამ და თვალი ჯიბისკენ გამოაპარა.

— გიყვარს შოკოლადი?! გამომართვი.

ზანტად, უნდობლად გამომიწოდა ხელი, შოკოლადი გამომართვა და დედისკენ წავიდა.

— გეტყობათ, ბავშვები ძალიან გიყვართ, — ღიმილით გამომეპასუხა ქალიშვილი.

კი-მეთქი, ვუთხარი, აბა სხვა რა უნდა მეთქვა.

— ალბათ თქვენც გყავთ ბავშვები. გამეცინა.

— რაზე მატყობთ?

— ისე...

— ბავშვები არა...

ცისფერი თვალებით მომჩერებოდა და მიღიმოდა. გრძელი, შავი წამწამები ჰქონდა.

— გეტყობათ, კავკასიელი ხართ.

— კი. ქართველი ვარ.

— კავკასიელები ისე ჰგავხართ ერთმანეთს, — კაცი ვერ გაგარჩევთ.

— სულაც არა, — გაუღიმიე, — ევთქვენთვის არის ძნელი, თვალი არა გაქვთ მიჩვეული.

— ალბათ.

დიქტორმა რომელიდაც მატარებლის გასვლა გამოაცხადა და ჩვენს შუა აქამდე უხმოდ მჯდომი ბიჭუნას დედა დაფაცურდა. ბავშვს ნიკაპქვეშ ყურებიანი ქუდის ზონარები სასწაფოდ შეუტრა, თვითონაც თავზე საგულდაგულოდ მოიხვია შალი და წამოდგა. რაღაცნაირი, მრავლისმეტყველი ღიმილით გადმოგვხედა, მერე ბიჭუნას ხელი ჩაავლო და ბაქნისკენ გასწია.

ჩემი ჩემოდნიდან ქალიშვილისკენ ჩავცოციდი, ერთი სული მქონდა — გამეგო, რომელ მატარებელზე — და სარტის მიემგზავრებოდა. წამისწამობით შემოდიოდა და ვადიოდა ხალხი დარბაზიდან, მაგრამ ახლა აღარც ნაცნობს ვეძებდი ხალხში და აღარც ელექტროსათის ისრები მიწყალებდა გულს.

— შვებულებით მიდიხართ? — მკითხა ქალიშვილმა, სახე სულ უცინოდა.

— არა, უკვე მოვათავე სამხედრო სამსახური.

— მართლა? კარგია. მოსკოვში მსახურობდით?

— არა, ტულაში.

— მოსკოვში პირველად ხართ?

— ვავლით გამივლია, ერთხელ.

თეთრი ქუდიდან წაბლისფერი, ოდნავ სველი თმა შუბლზე ჩამოშლოდა, პალტოს საყელო ყვრიმალთან შეეკრა და საყელოში თეთრი მანდილი ჰქონდა ჩატანებული. ფეროვანი, ალბათ სიცივისაგან აწითლებული სახე ელექტრონის შუქზე უბრწყინავდა, თითქოს ვარდი გადაჰფენიაო. თვრამეტორღე წლისა იქნებოდა. კალთაში წიგნი ედო და პატარა მომუქული ნელები ზედ დაელაგებინა. წიგნი გამოვართვი და გადავათვალიერე. ჩემთვის უცნობი მწერლის რომანი იყო.

— საინტერესოა?

— ჯერ არ წამიკითხავს.

— რომანების კითხვა გიყვართ?

— ხანდახან — ღიმილით მითხრა.

უცებ თვალბში შემომხედა და შემეკითხა:

— რა გქვიათ?

— ზურაბი.

— მე ანა მქვია. კარგი სახელია?

— ძალიან.

— მართლა? ყველას მოსწონს და მე — არა. ზურაბი იტალიური სახელია ხომ?

— რატომ იტალიური, ქართულია.

— მე იტალიური მეგონა.

მის სველ თმას თითქოს ახლადმოთიებული ბალახის სურნელი დაჰკრავდა.

— ჯარისკაცები მუდამ მოწყენილები რატომ ხართ? — მკითხა უცებ.

გაოცებულმა შევხედე, ასეთი შეკითხვა პირველად მესმოდა.

— მოწყენილები?! რა ვიცი, სულაც არა...

— წელან, დარბაზში რომ შემოვედი, სულ გიყურებდით, ისეთი სევდიანი თვალები გქონდათ...

— მართლა?! ალბათ სიმარტოვის გამო, ამოდენა ქალაქში ნაცნობი რომ არ გეყოლება, აბა რა იქნება.

— საწყალი ბიჭი... — გამიცინა და უცებ თვალბრწყინებით რომ შევხედე, ისე მომეჩვენა, სადაც არის ალერსით თავზე ხელს გადამისვამს-მეთქი. უჩვეულო განცდა მომიზღვედა, თითქოს მსუბუქ ბურუსში გავეხვეი. ამ უცხო ადგილას ვილაც სრულიად უცნობმა, ალაღბედად გადაყრილმა ქალიშვილმა ესოდენი სითბო და სიყვარული რაში შემომპწირა, მე, რომელსაც რამდენიმე საათში, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც, იქაურობა უნდა დამეტოვებინა.

— იცით, საქართველო როგორ მომწონს?

— ყოფილხარათ საქართველოში? — უცებ გამოვცოცხლდი.

— არა, მაგრამ საქართველოზე ბევრი რამ გამიგონია.

— ეჰ, თქვენ თვითონ უნდა ნახოთ, გაგონილს რა ფასი აქვს.

— ალბათ როდისმე ვინახულე. მკონი როგორ გეჩქარებათ შინ დაბრუნებაში?

— რა თქმა უნდა.

— შეყვარებული გელოდებით?

— შეყვარებული არა.

— მე რას მიძალავთ, — გამიღიმა და ჯერაც ბავშვურ სახეზე მოჩვენებითმა სიმწყარაღმ გადაჰკრა. მინდოდა, როგორმე დამემტყიცებინა, რომ არავითარი შეყვარებული არ მელოდებოდა, თუმცა ამაში ვერავითარ აზრსა და მიზანს ვერა ვხედავდი.

— რატომ უნდა დაგიძლიოთ, სიმართლეს ვეუბნებით, — ამოვიღუღლუღე და ვიგრძენ, ხმა როგორ ამიკანკალდა.

— შეიძლება. თუმცა ჩემთვის სულერთი არ არის? — ქვეშ-ქვეშა ლიმი-

ლით შემომხედა და ცოტახნის დუმილის შემდეგ მკითხა: — ძნელია ვარში ყოფნა?

— ძნელი რატომაა. პირველ დღეებში ცოტა ჭირს, მერე მიეჩვევი. ბოლო დღეები კი მართლაც აუტანელია, შინ დაბრუნების დრო რომ მოახლოვდება. ერთი დღე, ერთ თვედ გეჩვენება, თუმცა ზოგიერთს არც უნდოდა შინ დაბრუნება.

დარბაზს მდუმარედ გაჰყურებდა. მილიციელები ვრლაც მთვრალ კაცს მიათრევდნენ, კაცს მუშტი მაღლა შეემაართა და ხალხისა თუ მილიციელების ვასაგონად რალაცას ქალაგებდა. მაგრამ ქალიშვილი იმათ სულაც არ უყურებდა, მისი გონება, ეტყობოდა, დარბაზს გარეთ იყო.

— თბილისის ნახვა ისე მინდა... რამდენი სიმღერა მომისმენია თბილისზე, — უცებ მომიბრუნდა, — ფუნქცილიორი ზღვის დონიდან რამდენ მეტრზეა, შვილას ოცდაერთზე არა?

კი-მეთქი, თუმცა ზუსტად არ ვიცოდი, რამდენ მეტრზე იყო.

— თბილისი პატარა ქალაქია, მაგრამ თავისებურია, მდებარეობა აქვს ლამაზი.

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, ნამდვილად ნამყოფი იქნებით.

— არა, დედას ვეფიცებით, — გაიცინა, — გეოგრაფიიდან მახსოვს, იცით სკოლაში როგორ მიყვარდა გეოგრაფია?

— ახლა სად სწავლობთ?

— საშუალო წელს დავამთავრე, მედალზე, მაგრამ ისეთი გადაღლილი ვიყავი, ეს ერთი წელი რომ არ დამესვენა, არ შეიძლებოდა.

— წამოდით საქართველოში, იქ ისწავლეთ.

ცისფერი ფართო თვალები შემომანათა და მადლიერების ნიშნად გამიღიმა.

— სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ შორსაა, იქ ცხოვრება გამძინელდება. აქ, მოსკოვში დეიდა მყავს, არაფერს გამიჭირვებს.

— როგორ, თქვენ მოსკოველი არა ხართ? — ვკითხე გაოცებულმა.

— არა, გორკიდან ვახლავართ, დედისთან ვიყავ და ახლა მივემგზავრები.

— შე მოსკოველი მეგონეთ.

ერთხანს ორივენი მღუმარედ ვისხედით. ფანჯარას ქარი აწყდებოდა და მინები ზრიალებდა. მერე ქარი უცებ მიუჩრდა, თოვამ იმატა. ბრტყელი ფანტელები მიფარფატებდნენ მიწისკენ.

ვილაც ქალ-ვაჟმა ჩავვიარეს, ქალი მიდიოდა და დიდხანს, ყოველგვარი მორიდების გარეშე ორთავეს გვაკვირდებოდა. ქალიშვილს ხელები ჯიბეებში ჩაეწყო. გადაჯვარედინებულ ფეხებს იატაკამდე ძლივს აწვდნდა. თბილ, ბუსუსუბიან ბამბის წინდებში გამოწყებილი, ერთი შეხედვით სუსტი წვივები წითელი პალტოს კალთაში იკარგებოდა. უეცრად საოცარი სიახლოვე ვიგრძენ მისადმი. თითქოს ჩემს გვერდით იყო ადამიანი, რომელთანაც მთელი ცხოვრება მაკავშირებდა და იმის წარმოდგენამ, რომ მას რამდენიმე საათში სამუდამოდ უნდა გავშორებოდი, ერთი წუთით გულს ცეცხლა შემომინთო.

— საინტერესოა, თბილისელები როგორ იცვამენ? — მკითხა მან.

— ვადასარევეად. აი, დარბაზში თუ ვინმე ქართველი შემოვიდა, დაგანახებ.

— აქ არიან ქართველები?

— მოსკოვში ვილა არ არის. — ვუპასუხე და თვალი მოვარიდე. არ ვიცი, რა მეშარებოდა, თვალს ვერ ვუსწორებდი, უნებლიედ მის ფეხებზე გადავანაცვლე მხერა; შეიშმუშნა და მუხლებზე პალტოს კალთა შეისწორა. მერე ისევ ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და სახეში შემომანჩერდა. მე ამჯერად მის მხრებზე დაყრილ ნაწინავებს დავადგი თვალი. გვერდიდან ვხედავდი, როგორი ყურადღებით მათვალეობდა.

— იცი რა? — ღიმილით მითხრა, — სამოქალაქო ტანსაცმელი ძან დაგშვენიდებოდა.

რა ვიცი... იი, ჩავალ თბილისში და სულ სამოქალაქო ტანსაცმელი არ მეცმევა?

დიქტორმა რომელიღაც მატარებლის

გასვლა თუ მოსვლა გამოაცხადა და დარბაზი გამოცოცხლდა.

— შენი მატარებელი რომელ საათზე გადის?

— ჩემი? — კითხვა შევუბრუნე, უკვე „შენობით“ მომშართა, ძან მალე არ გავუშინაურდით ერთმანეთს, — ჩემი მატარებელი გვიან, — ექვს საათზე.

— ექვსზე? — თვალეზი გაუფართოვდა და შემომანჩერდა, ხომ არ შეეშალაო, — რას ამბობ, აბა მანამდე აქ რა უნდა გააკეთო, იცი, ახლა რომელი საათია?

— ვიცი, სამი საათია.

— სამიც არ არის, სამის ნახევარია.

— შენი მატარებელი როდისლა გადის? — იქით გამოვედავე.

— ჩემი მატარებელი როცა მინდა მან ვევა, — სკამის საშურგეს ბეჭებით მიეყრდნო და კეკლუცად შემომხედა, თან ცალ ფეხს ბავშვური ანცობით აქანავებდა.

— როგორ თუ როცა ვინდა?

— გორკისკენ ყოველ ერთ საათში გადის მატარებელი, თუ მინდა არც წავალ. — ერთხანს გაჩუმდა და მერე უცებ ჩვეულებრივი იერით ვითომც აქ არაფერიაო, ისე მითხრა:

— თუ ვინდა დარჩი, მოსკოვი მაინც დაათვალე რე.

— დავრჩე?! — გავიოცე მე.

დეიდაჩემთან წაგიყვან, ღამე იქ გაათიე, კი არ ეწყინება.

— მერე რას ეტყვი, ვინ არისო.

— რა უნდა ვუთხრა, — მხრები აიჩეჩა, ისევ კეკლუცი ღიმილით შემომხედა, — ვეტყვი თბილისელი სტუმარიამეთქი, კი არაფერს იტყვის, დედას გეფიცები, იცი რა კეთილი ქალია, აი ეს ქული იმან მიყიდა. მიხდება არა?

— ძალიან. ქულიც ძალიან გიხდება და პალტოც. — გულწრფელად ვუთხარი. შართლაცდა თეთრი, ფაფუკი ქული პირდაპირ ხატავდა.

— ჰოდა შენ როგორც ვინდა, მე გულით გთხოვე დარჩენა და...

ვიჩქეი და შტერივით ვიღიმებოდი, რალაც უცნაური და გაურკვეველი სი-

ხარული მომძალეობდა. დარჩენით აბა როგორ დაერჩებოდი, სხვა რომ არაფერი, ბილეთი უკვე აღებული მქონდა. მაგრამ პასუხი ხომ უნდა გამეცა.

— აი, მომავალ წელს თქვენ რომ მოსკოვში ისწავლით, ჩამოვალ და გნახავთ, მართალს გეუბნები, საგანგებოდ ჩამოვალ, მისამართს დაგიტოვებ და მომწერე, რომელ ინსტიტუტში მოეწყობი. მაინც რა ფაკულტეტზე აპირებ? — სიტყვა ბანზე ავუგდა.

— რა ვიცი, მე მასწავლებლობა მინდა. დეიდაჩემს არ მოსწონს, მე კი ბავშობიდანვე სულ, სულ იმას ვოცნებობდი, მასწავლებელი გამოვსულიყავ და სადმე მყუდრო სოფელში მემუშავა. თქვენ არ მოგწონთ მასწავლებლობა?!

— ქალისთვის რა უჭირს, კარგია.

— გეგც და ბავშვობიდანვე ვოცნებობდით-მეთქი, აკი ვითხარი. თქვენ საშუალო სკოლა დამთავრებული გაქვთ?

— კი.

— სწავლა არ უნდა გაავრძელოთ?

— გავავრძელებ ალბათ.

— კარგია. თუმცა ბიჭისთვის სულერთი არ არის?!... იცი რა, ერთი რამე უნდა ვითხრა, მაგრამ ვიცი, არ დამიჯერებ.

გამიკვირდა, ისეთი რა უნდა მითხრას-მეთქი.

— ვითომ რატომ არ დაგიჯერებ?!

— ისე... ისეთი უცნაური რაღაცაა— სახეზე სიწითლემ გადაკრა და ეშხი უფრო მოემატა. პატარა, დაკუთხული ტურნები წითლად უხასხასებდა.

— მაინც რა არის?

— არ დამცინებ?

— არა.

ცოტა ხანს შეტკმანდა და მერე თქვა:

— წუხელ დამესიზმრე — შემომხედა,

— აი, ხომ ვითხარი არ დამიჯერებ-მეთქი, რა ძაან გაგიკვირდა, ჯარისკაცი ვნახე სიზმარში, სულ შენა გგავდა, შენსავით სევდიანი თვალები ჰქონდა, თაიგული მომაწოდა მატარებლის ფანჯრიდან და წავიდა. ისე დამწყდა გული...

გაკვირვებით მართლაც რომ გამიკვირდა, მაგრამ რამდენად დასაჯერებე-

ლი იყო, ეს კი არ ვიცოდი. გაოცებული შევეყურებდი თვალბში და დამდნად გულწრფელი გამომეტყველებანი მქონდა, თანდათან იძულებული ვხდებოდი მისი ნათქვამი მერწმუნა.

— არა გჯერა, ხომ? — სერიოზულად გამიწყრა, — დედას ტყუილად დაგიფიცებ, მითხარ, ტყუილად დაგიფიცებ?

— როგორ არა, მჯერა, — სასწრაფოდ თავი ვიმართლე, — შეიძლება მართლაც დაგესიზმრა ჯარისკაცი, სიზმარი ისეთი უცნაური რამეა...

— ჰოდა, შენ კი არა გჯეროდა. რა ჩემი ბრალია, რომ დამესიზმრე?!

თვალი მომარიდა და განზე გაიხედა. ბავშვური, უღარდელი სახე ერთი წუთით დაუსევდიანდა და მე კვლავ ვიგრძენ საოცარი სიახლოვე მისადმი, ისე მეჩვენებოდა, თითქოს ჩვენი ნაცნობობიდან მთელი საუკუნე გასულიყო.

დარბაზში მატულობდა და მატულობდა ხალხი, თამბაქოს აბოლებდნენ და ჰაერი ისე იყო დამძიმებული, სუნთქვა ჭირდა.

სულ ცოტა ხანში იერი იცვალა, გამხიარულდა და მომღიმარი თვალები შემომანათა.

— რატომ მოიწყინე, თუ ასე გეწყინებოდა არ გეტყოდი...

უცებ სახე გაეზარდა და მითხრა.

— ვინდა, ქალაქში გავისეირნოთ, მეტრო გინახავს?

— არა.

— ჰოდა გავიდეთ. არ მოგწყინდა ამ დარბაზში ჯდომა?

სულ გადასხვაფერებულ იყო.

ქალაქში გასვლა როგორ არ მინდოდა, სხვაც არა იყოს რა, ჯდომისგან დავიხუთე, კიდევ სამი თუ ორი საათი ჩემი მტერი მჯდარიყო. მუხლის გასამლეღად თუ აღგებოდი, მორჩა, სამუდამოდ დაკარგავდი ადგილს.

— მერე შენ არ დაგიგვიანდება? — ვკითხე.

— იქნებ სულაც არ წავსულვარ, დეიდაჩემს კიდევ გაუხარდება.

— ჰო, რა ვიცი, ჩემი გულისთვის საქმეს ნუ წაიხდენ — დიდსულოვნად

გავაფრთხილე, — მეტროს ნახვა მართლაც რომ ღირს... მაგრამ ამ ჩემოდანს რა ვუყოთ? — გამახსენდა უცებ.

— ჩემოდანს?! — ერთი წამით შეწუხდა და მერე სახე გაუნათდა — საკანში მივაბაროთ. თუ ფული არა გაქვს, მე გადავიხდი.

— ფული როგორ არა მაქვს, — გავწითლდი და უნებურად ჯიბისკენ წავიღე ხელი, — მაგრამ საკანი სულ არ გამახსენებია.

მკვირცხლად წამოხტა. თავზე ქუდი შეისწორა და მერე ყავისფერი ტყავის ხელთათმანები გადაიცვა. მარცხენა ხელთათმანს რომ იცვამდა, შევამჩნიე, — ხელის ზურგზე პატარა მექექი აჯდა. ჩემზე სულ ოდნავ იყო დაბალი. ფარჯის ღილები შეეიბნე. ზედ ბრტყელი ჯარისკაცული ქაშაბი შემოვიწყობე და პირველად მაშინ აღმოვაჩინე, ეს უშნოდ კალთაჩამოგრძელებული ფარაჯა როგორ არ მშვენიოდა. ცოტა მოკლე რომ ყოფილიყო, კიდევ ჯანდაბას...

ქალიშვილმა თავით ბოლომდე შემათვალეირა და ღიმილით შემომხედა. სახეზე ალმურმა გადაკრა, ვინ იცის, როგორ გავწითლდი. ჩემოდანს ხელი დავავლე და თაღვანი ღია კარით მეორე დარბაზში გავედით. ხელში წიგნი ეჭირა და მოკლე სწრაფი ნაბიჯით მხარდა მხარ მოწყვებოდა. სიარულში მოწაფური მანერა ჯერაც შერჩენოდა.

შემნახველ საკანში ერთ-ერთ სარკმელთან ჰალარა ქალი იდგა, იდაყვებით დახლს დაყრდნობოდა და მხრებში კისერჩარბული დიდი მინების მძიმე სივრცეს ისე გულდაგულ მისჩერებოდა, ნამდვილად თოვლის ფანტელებს თვლიდა. ზედაც არ მოუხედავს ჩემოდანი ისე გამოგვართვა და ისე დააბინავა, მერე ალბათ კვლავ დახლს დაეყრდნო და ფანტელების თვლა დაიწყო.

ხელები იმამს არ გაუშვილეს.

დაღისტანის ლომი მიწერ-მოწერის ნებასაც კი აძ-
ლევდა ჭაღებს. იგი გოაცებული დარჩა შილიოდ
ვრით წვალობით, რაც არ იყო დაწერილი არც რუ-
სულად, არც თათარულად.

— შე არ მინდა გიჯანონ ისეთი წყრილები,
რომელთაც ვერ მითარგმნიან, — ამბობდა შამილი.
— ალაკი სიფრთხილეს გვიბრძანებს. რატომ გეჭრენ
ასეთ ენაზე? თუ ჩემს მოტყუებას შეეცდებით, თა-
ვეს დატყობთ.

მას აუხსნეს, რომ დრანსე ფრანგია და ეს წერი-
ლი ფრანგულადაა დაწერილი, მაგრამ იმამს ეს სა-
წვემოს არაფრის ეუბნებოდა.

განსაკუთრებით უბედური იყო დავითას მეუღლე,
რომელსაც ასული მოუკლეს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სამი ასული ჰყავდა, სამი-
ვეს დიდებული საქმარი შეხვდა. ნინოს—პოტვი გრი-
ბოუდოვი, ევატორინეს—მთავარი დადიანი, სოფიოს—
ხენატორი, ბარონი ნიკოლაა...

ამ სამი გრაციის ვარდა სახელოვან პოეტს
დარჩა სანაქებთ ვაჟავი, 1818 წელს დაბადებული
დავითა, რომელიც 1847 წელს უკვე კაპიტანია,
1854 წელს — პოლკოვნიკი, 1861 წელს — გენე-
რალ-მაიორი, შემდეგ კი გენერალ-ლეიტენანტობასაც
მიიღებს.

სევედნიორი ჭავჭავაძეების ოჯახიც შეამყოთა
ბედმა სანარკელი ამბებით: გრიბოედოვის ტრავიკული
დაღუპილი, დადიანის ნადრევი სიყვდილით, თვით
ალექსანდრეს უტლის ვადარწუნებით, დავითას ცოლ-
შვილის გატყვეობი და წინანდლის სასახლის გადაწვი-
ვით შამილის ურდოებისაგან.

შამილის სერალში რომ შევიდა, ჭავჭავაძის მე-
უღლეს თაქზარი დავა, მაგრამ უსაფრთხო აღ-
მოჩნდა ეს შიში: სერალი მხოლოდ სახლი იყო შამი-
ლისა და არა პარამხანა. ხალხით აღმოჩნდა სასვე
იჭაურობა და ბატონიშვილებს არავითარი საფრთხე
არ ელოდათ. თეთრობისაშმა შამილმა თავისიანად
მიიღო დრანსე და მისი ქალბატონები, ჟანმრთელო-
ბის ამბავი იციობა, შერე ერცელი სიტყვით მიმარ-

1 Дрансе, Пленницы Шамгиля, Тифлис, 1859, пер. Дзюбьянского.
8. „მნათობი“, № 4.

თა, რომლის მთავარი აზრი იყო რუსეთში მყოფი თავისი შეილის გამოსხნის გეგმა, თანაც აფროზიონლებდა, რომ თუ ურიტო წვრალეები გამოიგზავნეს, უწყალოდ დაგებოყავთ, როგორც დაგებოყ რუბა ოფიცრები, რომელთაც პურში გახვეული წერილები გამოიგზავნებოდა...

ქალებმა ღირსებით სასვე პასუხი გასცეს. აუღუნცია დასრულდა... ვ ვერდგურავს სიანტერებს, თითქმის ხუთასგვრადიან წიგნი დაწერილობითა მოთხოვნილი შამილის ტყვეების ბედი. აქ ამ თავისებურ კავასიურ ოდისაც აღარ გავიფიქრებთ, მოვლედ შევხებით შილიდ გრიგოლ ორბელიანის როლს ტყვეების გამოსხნის საქმეში.

სწორად შენიშნავს ე. ვერდგურავს თავისი წიგნის „შამილის ტყვე ქალების“ შესავალ წერილში: ნამდვილი ამბები, რომელთაც ახლა მოვიხმობთ, დღევანდელი ვერაქლისათვის წარმოდგენს სამინდელ ანატონიზმს, რაღაც გაუგონარს, ეუბერის რომანებში რომ ვხვდებით ჩრდილო ამერიკულ ანდოვლებზე!

მეტრამ გრიგოლი იმითაც კმაყოფილია, რომ ლეკთა ტყვეები „ყოცხლნი მიიწ აიანა“.

ესაბინა, გრიგოლი გულგრილი ვერ დარწმუნდა ქართველ ტყვეთა, და ისიც ნათესავთა ბედის გამო. მომდევნო წერილებში თავის ერთგულ დიმიტრი ჯორჯაძეს ათასჯერ სთხოვს გაუგზავნოს რამე „საბარლოებს“, „საკობტაოდ კი არა, გამოსადეგი, რომ ნაიყვან და ჰქონ, თორემ სიცოცხეთა და შიშხილით იხოვებთანო.

ამასთან შამილს წერილსა სწერს, ტყვეთა განთავისუფლების პირობების გაყვას ცდილობს, ცალკე კიდევ წერილით მიმართავს შამილთან მყოფ ჯუმალუდინ ყაზიუბუბოვს, შამილის ბრძენ მასწავლებელსა და სიამის, შუისს, ცნობილს თავისი ღმობაერებითა და ზეჯალბით. ამავე დროს გრიგოლი დიმიტრის აფროზიონებს, საწყალ დათო ქაჭავაძის პოლკოვნიკობა და ფლიელადიუტანტობა არ გაახშიანო, შამილს ეწერება და ტყვეთა გაყვლას გააძელებსო. მერე ისევ ტყვეთა წინადაცხე და ჩქამებზე ზრუნავს—თუ თვითონ არ ჩაიციერ, მოახლებებს მიიწ გამოადგებათ, არც ორცხობილას იეიწყებს.

დარდითა და შეშფოთებით არის აღსავსე გრიგოლის წერილები ჯორჯაძის, ჯორჯიუციის, შერბინინის, შარატინსკის და სხვათა მიმართ. თვით შამილს მისწერა, იქნებ შოვალბო იმისი გული და ტყვეთა გაყვლას საშველი დაადგეცო.

შამილმა თავისიანი პასუხი გამოიგზავნა: მოიკითხავდა, ტყვეთა კარგად შენახვას ჰპირდებოდა, მოლაპარაკებზე თანხმობას აცხადებდა.

— ჩემი მდივანი მისწერს თავად ორბელიანს,— მიმართა შამილმა გრამოს და განატრბო,—მე ბევრს არ დაეწერ თქვენსავით. დანარჩენს ჩემი კაცი ეტყვის. ღმერთთა მოწყალე, ჩემი შვალი ჩამოვა და შამინ თავადის ქალებსაც დაიბრუნებთ... ვეადეთ, ჩემ!

შეილს ბორცხმა ხალხმა არ ჩააყოთო რუსეთში დარჩენა. ამისათვის ჩემს წყალობას ზეილებთ.

ამას მოყვა სომეხი თარჯიმნის კომპლიმენტები, და გრამოვი გზას გაუდგა. 30 დეკემბერს ოქტობრ-სან-შურათის დამრეგებელმა გრამოვმა ნახა გრიგოლ ორბელიანი, დათო ქაჭავაძე და დაამშვიდა...

სამ წერილს ზედზედ სწერს აგვისტოში სარდალი შამილს, პირველად იმამი დუმს, და გრიგოლი მხოლოდ 13 სექტემბერს გებულობს მის პირობებს, თუმცა 29 სექტემბერს შამილმა წერილი მიიწ ადინსა, არაბულად დაწერილი ეს დოკუმენტი, ბევრ სხვათაან ერთად, სამწუხაროდ, დაკარგულია, მაგრამ გრიგოლი დიმიტრი ჯორჯაძისადმი მიწერილ ერთ ბარათში (1854 წ. 29 აგვ.) გადმოგვცემს მის შინაარსს.

„შამილა მწერს: პირველად სულამს, მერმე „თქვენი წერილი მომივიდათ, რაც მამნი ეწერა, ვეულა ვასცანო; მასუკან „ღვთისაგან გამოგზავნილი ვარო და მისი ჭოველი ბრძანება უნდა აღვასრულოთ; თქვენც თქვენის ხელმოწიფის ბრძანებისა ხართ აღმასრულებელიო; ინშაღლა, რაც შემიძლია, კარგად შევინახამ ტყვეებსა და პატარავსა ვაძლეო—ამთ გამოსხნისათვის მოსალაპარაკებლად კაცს გამოგზავნი თქვენთან, როცა ანუ შურაში მოხვალთ ანუ ხასაგიურთშიო“.

გრიგოლის მეორე წერილი „შუსლიმანთა უფროს იმამ შამილსადმი“ (1854 წ. 30 აგვისტოს) შეიცავს აღმოსავლურ შესავალს ღვთის უზუნაესობაზე, შაწრადულ წარმავალ ცხოვრებაზე, კეთილ, საქმეზე, რაც ჩრება... შემდეგ პოეტი განადგობს:

„მოგმართავთ ახლა თქვენ, ღვთის მლოცველ მუსლიმთა უფროსო! ჯერ ისევე წინათ ჩემი ძმა ილია გვავდათ ტყვედ, რომელიც დიდი ხანი არ არის გარდაცვლია, ახლა კი ტყვედ ჩაიგარდნენ შეუღლე მისი პატარა ვაჟითა და ძმისწული ნინოთურთ, მათთან ერთად ჩემი ნათესავი ქალი ანნა თავისი ბავშვებითა და მსახურებით. ნათლად ჩანს აქედან, რომ სასურელი ესე ღვთისაგან მომეკო, და შეე არა ვდრტყნავ. მისს წინდა ნებას ვემორჩილები; მაგრამ თქვენ, თქვენის გულისა და გრძობითა კეთილ-შობილობით ჩემს ტყვე ნათესავ ქალებს ასეთის მწუხარებისა და ურვის დროს კაცომოყვარებორივს ყურადღებას არ აკლებთ, რასთვისაც ღმერთი მოგაგებთ ჯილდოსა...“

თქვენთან მიღებულმა წერილმა გუმინ მასიაშოვანა, უწინაეს და ახლაც ერთსა ვთხოვო მხოლოდ: ტყვედ მყოფი ნათესავი ქალები, მათი შვილები და მსახურნი განგვითავისუფლოთ. ნუ შეგატყბით რადგან არც მე და არც თქვენ ეს არ შეგეფერას: ვატყბები ხომ არა ვარო! მერწმუნეთ, რომ ჩემს სიტყვას არ ვუღალატებ და გავილებ მათდა გამოსახნულად ყოველისფერს, რასაც კი შევიძლებ. მაგრამ თუ გვინათ, რომ მათს გამოსყიდვას მთავრობა იყისრებს, მერწმუნეთ, თქვენის მხარე ეს დიდი შეყდომა იქნება და ამით მხოლოდ დაგვიანდება მათს განთავისუფლებასა. სანბარლო ქალები და ბავშვები კი დიდხანს ვერ აიტანენ თქვენი ქავის სიმაკერესა, დაიხოვებთან და ამით

1 Кавказские пленницы или плен у Шамиля, М., 1857. 1-2

მხოლოდ მე მომაცუნებთ ბორცსა და თქვენც კერას იხარგებლებთ.

მეგრამ შეიძლება ჩემს სიტყვას, როგორც უნებინას, არ ენდოთ და უგებრობით, მოულაპარაკებელიც არ გაათავისუფლოთ ჩემი ნათესავი ქალები. გახსოვთ მამინ პატარა ბავშვები და ფეხმომიდვ მყოფი ქალები და ჩემი ძმისწული მაინც გამოიჩინაწათ, რომლებიც ძალიან თურშე არიან ავად... მართალია, მტრები ვართ, მეგრამ თქვენი კეთილშობილ გულითა და სულგრძელობის შთაგონებით ეს უკანასკნელი თხოვნა მაინც არის უნდა უთუოდ ამისრულოთ!"

შემდეგ ტყვეების გაყვლის პრაქტიკულ ღონისძიებებზეა ლაპარაკი.

წერილში ძველი შესაძინევი არაა პოეტური აღმფრენა, მაღალი კუნძურბობა, დიბლომატიური ნიჭი, თავზინაობა და მთიელთა გულას ცოდნა.

შამილა წერილი მიიღო და ტყვეების სანაცვლოდ მოთხოვა რუსეთის სამსახურში მყოფი შვილის, ძმისწულისა და ორი ავარიელის დაბრუნება. ამასაც არ დასჯურდა ხარბი იმამი და ტყვეებში საარაგო თანა — მილიონი მანეთი გამოსასყიდი ითხოვა.

პოეტი 14 სექტემბრას წერილში იმამს უხსნის, რა დღეცა ეს თანაა, რაზედაც მთიელს წარმოადგენა არა აქვს:

„თქვენ მილიონს ითხოვთ. ეს ისე დიდი თანაა, რომ კაცმა სიტყვით თვალ: ერთა, ორი, სამი და სხე... თვეზე მეტი გავა, ვიდრე დასთვლი. საიდან უნდა ვიყოფით ეს ამოდენა ფული, რადესაც ერთ ადგილას დაფრთხებელი უმეღლებულ დიდ ვერცხლის მთას შევკანებოდა?“

მოლაპარაკება გატინარდა, გაძნელდა. 22 სექტემბერს შეწყობული გრიგოლი ქეთევან ორბულიანსა სწერს: „შამილს ერთი მილიონი ფული, თავისი შვილი და რამდენიმე სხვა ტყვეები ეთხოვაო“. ფულზე კიდევ იმედი აქვს, დაუკლებს და მოერიგდებით, მეგრამ შამილის შვილს მისცემს თუ არა ხელმწიფე, ეს უკვე არც გრიგოლმა იცის. სხვა ტყვეებიც ჩვედმტრ-თვრამტეი წლის გაჯავანელები არიან რუსეთს და ვინ ხად იპოვნის მათ, ღმერთმა იცის, ან გაძლებდნენ კი ტყვეები ამდენ ხანსო?

აი, ეს სიძნელები აფიჭრებენ გრიგოლსა და დავითსაც, რომელიც დიდი ხანია ფულს აგროვებს ცოლ-შვილის გამოსახსნელად.

შამილის უფროსი შვილი ჯემალ-ედინი (ფატიმა-ტინიან) ჯერ კიდევ 1839 წელს ივდებ ტყვედ, აულ ასულგოს აღების დროს, და რუსეთს წაიკვანეს. 1854 წელს ის ტყვეებში გაუვალებს შამილს, მეგრამ ქალკით სნეული ჯემალ-ედინი ოთხი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

გრიგოლმა ყველაფერი გააკეთა ტყვეებისათვის, რაც კი შეეძლო. ნივთიერ ზრუნვასთან ერთად, აწარმოებდა მიწერ-მიწერას თეთი შამილთან და კავკასიის ჯარების შტაბის უფროსთან, ბარიატინსკისთან,

რომელსაც პირდაპირ „სულის სიღრმიდან შექალაქდეს: ტყვეებს დატყვევითო“.

მეგრამ შამილის მანეთს ვინ გადაიხდის? შამილმა თვითონვე არ იცის, რამდენია „მილიონი“ მანეთი. გრიგოლი მოსწრებულად ხუმრობს: მეტს არ ითხოვსო. გულს კი მაინც არ იტყვს. თავისი რძლისაგან ასალი შოდის ფუნად ლეჩაქებს ითხოვს შამილის ცოლებისათვის, რომლებიც ტყვეებს თურმე კარგად ეტყვიან (და ეს საშუალებები მიიღეს კიდეც), ხოლო ბარიატინსკისა არაწყნებს, შამილის შვილის შთაში ფოუნა სამიში არ არის, იქნებ ხელსაყრელიც გახდეს — სამეკვიდროსათვის დაგაც გამართონო შამილის შვილებმა.

ბარიატინსკიმ მართლა იზრუნა ტყვეებისათვის, საშუადრო მინისტრს ვასილ დოლოგოტკოვს მიმართავს წერილით, ჯემალ-ედინის დაბრუნება ითხოვს.

იმედის სხივი აკივდება. უკვე გადის კავშით საგვ 1854 წელი. გადის ნახევარი წელი, რაც შამილმა შილდა გადისწვა, წინანდალი ააოხრა და მის ტყვეებს ძლივს ბედი უღიმით. გრიგოლი უკვე დაიშედეგული სწერს საგანაშვილებს:

„ისიაა გავჯავანე დარლოს შამილასთან და ახლა დაბრუნდა და მომიტანა ქალების ამბავი და წერილებიცა, სულ ყველანი შევიდობით არიან; დაკითხის შვილსა და პატარას გიორგის ფეხი აუდგამთ და დაყუდებენ; დაკითხის ქალებიც ისე შეეჭვივნენ შამილასა, რომ სულ წვერს უღელჯვენ. — შამილასა ძალიან კარგად და პატივით მივლო ისიაა, და ახლა ამის ტრაბახობისაგან აღარა ვართ: ჰაი მე ეს ეუთხარი, ჰაი იმან ეს მითხრა და სხვანი ამგვარანი. ახლა მოველოთ მოუთმენლად შამილას შვილსა, რომ მალე შესრულდეს ეს საზედერთ საქმე“.

ამგვარად, აღქვანდრე ჰაქვანასის შვილიშვილმა და გრიგოლ ორბულიანის ძმისწულმა ფეხი შამილთან ადგეს. ხანდახან ქვეც მოხდება.

ისია გრამოვი ტყველად კი არ ატარებს ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელს. გრიგოლის ელჩმა დიპლომატიურ პაექრობაში სძლია შამილს და გამოსასყიდი თანა მილიონიდან ორმოცი ათასზე დაჯავანისა. მართალია, ამ მოციქულობას მთელი თვე მოანდომა, 1854 წლის 2 დეკემბრიდან 30 დეკემბრამდე, მეგრამ შედეგი სასეგებით ამართლებს დაკარგულ დროს.

წლის ბოლოს მინისტრის ნებართვაც შოდის შამილის შვილის დაბრუნებაზე. ამბობენ თეთი ნიკოლოზი, I დიპლომატიკა პორუჩიკ ჯემალ-ედინს და სასწრაფოდ დალიტანს წასვლა უბრძანაო. ნიკოლოზი მართლაც ეჩროდა ასეთ საქმეებში.

ასეა თუ ისე, ტყვეების გამოსხნის საქმე უკვე მოვარებულად ჩაითვლება. შამილის შვილის, „იმ შეველსა“, ჩამოსვლას თეთი შამილზე ნაკლებად რთოდ ჯლის მისი მოსიხსნელ მტერი.

ორბულიანმა განიზრახა მოულოდნელად შეჭრილიყო სალათავიაში, სწრაფად გაიარა შიმში გზა ცხენივსკოს სიმაგრიდან, ქვეითებითა და ცხენოსნებით მიუახლოვდა ძველ ბურთუნასს, მეგრამ უცრად მიიღო ცნობა, რომ შამილის ურბიხეი ბრბო ლეის

1 რუსულ ენაზე დამერილით ეს წერილი მოყვანილია ი. შეუენარგვის მიხედვით. („ქართული მიწერლები“, 69).

ზაზის მარტენა ფლანგზე შეიჭრა, ფრონტის ზაზი დასუსტდა, და უფროა მოუხდა გაბრუნება. სარდალი სალათაგიდან თემირ-ხან-შურაში დაბრუნდა. მაგრამ სალათაგიელები სასტიკად დაიხაზნენ კანდიურებისათვის, და გენერალს რვაღი გულითად მადლობას უხდის ორბელიანს ამ „ფრიად კარგად მოსაზრებულ და შესანიშნავად შესრულებული ლაშქრობისათვის“.

სადღლობის ყურადღება ამ დროს თურქეთის ფრონტზეა მიჯაჭვული.

კორინთეი 1854 წლის 24 აგვისტოს შლანგენბადიდან სწერს ბარიატინსკის, შამილმა მოტბში დაიბნა, რომ გრივლ ორბელიანს მოუბრუნდესო. მორიგ წვრილში აღტაცებულია რუს-ქართველი-მხედრობის გამარჯვებით კურკუ-დართან (თურქეთის ფრონტზე), რასაც ადარებს მაგდონალდის იტალიის არმიის მოძრაობას ავსტრიელთა ცენტრში, ვაგრამის ბრძოლაში, და განაგრძობს:

„დიდებმა ქართველ მისასლუობასაც და ყველა ქართველ ტომს ქართველებსა და პერთომისათვის, რასაც მარად იჩენენ და რაც დაბოლოს შეაფსა მთელმა რუსეთმა. მე ვფიქრობ, რომ ახლა გერმანელები, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ დაემყიბებინათ ქართველთა დამაბრუნება, სამხედრო თვალსაზრისითაც კი ხმას დაიდამბებენ, ან სულაც გაიშვებან. დღერთა კნესს, ყველგან ისე კარგად წაიფიქრეს საქმეები, როგორც თქვენთან მიდის“¹.

ეს დიდება პირველ რიგში გრივლ ორბელიანს ეკუთვნის.

გრივლ ორბელიანი კი ახლა დიდებაზე ნაკლებად ფიქრობს, მას ტყვე ქალების ბედი აწუხებს.

აი, 1854 წლის 22 სექტემბრის წერილი ბარიატინსკისადმი:

„როცა ჩემი ძმა ილია ტყვედ იყო შამილთან, ჯაჭვებსა და ბორკილებში შებოჭილი, არ შემოწმებია მთავრობა მისი განთავისუფლების თხოვნით, რადგან სამარტოვინოდ მიმანდა მარტო მისთვის თხოვნა, როცა მზავალი სხვა ოფიცერიც მის მძიმე ზვედრს იზიარებდა მოტბში, ტყვეობაში. არც ახლა ვითხოვდი დიდხანს, როცა ამ ჩემი ძმის ქვრივი, ძმისწულეები და უახლოესი ნათესავი, თავად ჭაჭაბუძის მეუღლე შეიღებინა იტანჯუბიან ტყვეობაში, იმ ვარაუდით, რომ შამილის მოთხოვნა არ აღემატებოდა ჩემს შესაძლებლობას მათი განთავისუფლებისათვის. ახლა, როცა შამილის მოთხოვნები გაიკრება და ჩემი უბედური ნათესავების განთავისუფლების პირველ პირობად აყენებს თავისი შვილის დაბრუნებას რუსეთიდან, რა უნდა გვაკეთოთ იმის გარდა, რომ თქვენ მოგმართოთ? დაუმხმარეთ სულის სიღრმიდან შეგდაღადებთ — დამხმარეთ! დაე, ნუ დაიღუპება ტყვეობაში საქართველოს რჩეულ გვართო ამდენი ჭალი და ბავშვი!“

1854 წლის 23 დეკემბერს უკვე განარებული პიქტი იმავე ბარიატინსკის სწერს:

„თქვენ გამთავისუფლებთ ჩემს დავებულ სული 16 დეკემბრის წერილით, რითაც მსენებეთ, რომ შამილის შეილა მამასთან დაბრუნების სურვილი განაცხადა. რა უნდა გითხრათ, კეთილშობილო თავადო? ზეალექ ვგზავნი კაცს ამ სასამართლო ცნობით“.

მადლიერი გრივლი იმ ხანებში მთავარმართებლად მურავიოვის დანიშნვის გამო სწერდა: „საქართველოს ზეადრი გადაწყვეტილია, და ახალი მთავარსარდალი დანიშნულია. მაგრამ ნუთუ თქვენ ვერ გიხილავთ საქართველოს პროკონსულად? განა ამისათვის აუცილებელია 60 წლის ასაკი?“

* * *

შამილის ვლჩი ველური გულზავადობით ვაბლა გრივლს, მასპინძლის თავაზიანობა მისი ხისხუსტის ნიშნად მიიღო და პუნების მეფის ვლჩივით გამოიქიმა დივანზე, მერე წამოწვა კიდევ, ფეშები მალა აიწიწა და ბანჯაკლიანი თავის ფეხებით მოკვდა თვებდურ ლაპარაკს; თუ შამილის პირობებს შეასრულებენ, ზომი კარგი, არადა მთითვსაც მონიხებდა მიწა დაღისტანში!

გრივლმა ბრახით ბავებო მიუცმა, იქვე მყოფ დავით ჭაჭაბუძეს გადახედა და წყნარად უთხრა:

— დავითო ერთი დავრა მაც ურჯულსო! მავრამ ვაი, რომ ამით სულ წაგადებთ საქმეს... ვა, წაიფიქრო, ერთი ბოლთა ვერათ, ეგებ როგორმე გულის ჯავრი სიარულით ამოვიყარათ...

სალამოხანი იყო, დავითმა და გრივლმა შეუმწყვლად ამოკვეს თავი შტაბთან.

— Кто илет? — დაძახა გუმაგმა.

— Солдат! — მიუყო ორბელიანმა. და განაგრძობ: — დე, დავმეირდეთ ჩვენ, ოღონდ ვისხნათ ტყვეები. იმ გაძალღებულ შამილს არ უბრალდება ფეხშიმე ქალები, უსუსური ბავშვები, გაჭირვებას შეუჩვეული ქალები! ან რა პატავს შავებს უწიურ ტყვეებს, როცა არაფრად გვაგადებენ ჩვენ?

— Кто илет? — შესაძინა ისევ გუმაგმა.

— Солдат! — მიუყო ისევ გრივლმა და გაიცინა.

1855 წლის თებერვალს მთავარმართებლის ნებით გრივლი თბლისში ჩამოდა, თან მოკვება იღოვ დარდი — „ჩასაძალღებელი“ შამილის შვილი, არ იქნა, არ ჩამოვდა, და ტყვეების საქმე ისევ დავით ჭაჭაბუძეს მიანდო. თვითონ კი მოვლეს მეფისნაცვალს, რომელიც „მოდის ქუბილითა და ჭქმითა“.

თებერვალ-მარტში, ვიდრე გრივლი თბლისშია, დავითსა და ბართ ლეონტი ნიკოლაის შორის ერძელდება ამ საქმეზე მიმოწერა.

ჯემალ-ვღიბი, შამილის შვილი, სტავროპოლში ჩავიდა 1855 წლის იანვარში. ცოტა გვიან დავით ჭაჭაბუძეს ჩააბარეს. შამილს გააყო შვილის ჩამოსვლა და ახლა თვითონ დაუწყო შივიქულობა ორბელიანსა და ჭაჭაბუძეს, ჩქარა მოვთავითო ეს საქ-

¹ იგულისხმება ეოლფი, კოცებუ და სხვ.

² Барятинский I, 366.

მეო. მართლაც, დრო იყო: მალე წველწადი შესრულდებოდა მეფის შთამომავალთა და მათი შვილების გატაცების დღიდან.

მოლაპარაკება დასასრულს უახლოვდებოდა, როცა 1855 წლის შუა მარტში გრიგოლმა ისევ თემირხან-შურას მიაშურა, ხოლო 3 აპრილს უკვე იქიდან ატყობინებს ქეთევანს, ზაქარია ორბელიანის ჳერცვის: ამ დღეებში ტყვეები გამოემგზავრებიან საქრისტიანოს ქალაქში და ღირსეულად დახვდითო.

ბოლოს შეთანხმება მაინც მოხდა. კეთილი შუენეთა, შამილის ცოლი, სხხარულისაგან ტაროდა, მოლას პირველ ძახილზე მიატოვეს სახელგანთქმულმა ტყვე ქალებმა შამილის ჳოჯობებით.

ეს მოხდა 1855 წლის 10 მარტს.

მთელი აულების მცხოვრებნი გარეთ იყვნენ გამოფენილი. შამილს უნახოდა, რომ ტყვე ქალებს თავიანთ კერებს უბრუნებდა და თანაც დიდი ხნის უნახავ, ტყვედნამყოფ შვილს ნახავდა.

ტყვე ქალთა გამოსყიდვა შამილის ხანგრძლივი, მძიმე და სახიფათო ტყვეობიდან მოხდა ინფანტერიის გენერალ მურავიოვის მთავარმართებლობის დროს. გამოსყიდვა ურთ დროს გააძნელა ვინმე შელანოში, რომელმაც შამილის ურთ-ურთ ცოლს უთხრა, რომ ერთ-ერთი ტყვის ჳმარი, ღავით ჳკავებავდე სამეგრელოს დედოფლის ჳკატერინეს შვაა და უსარ-მასხარა ფულის მოცემა შეუძლიათ.

„...რუსული ინგალიდან“ 1855 წლის აპრილის ნომრებში დაიბეჭდა დაწვრილებითი ოფიციალური ცნობები ტყვეების გაცვლავზე, რამაც მიფლს რუსეთში ცხოველი ინტერები გამოიწვია. შამილმა შვილი დაიბრუნა, საქართველოში — ტანჳული ქალები და ჳავშვები.

თათარ მილიციონერთა თანხლებით ტყვეები წავიდნენ მასაფიურტიდან თემირხან-შურაში, სადაც დაჩნნენ ღალისტნის რაზმის უფროს გრიგოლ ორბელიანთან, ღრანზე უშადლის გრიგოლს გულთბილი მასპინძლობისათვის. ქალები გრიგოლთან დიდხანს დაჩნნენ, დასვენეს, სული მოითქვა, და მერე განაგრძეს გზა თბილისისაკენ.

ტყვეთა გაცვლით ერთნაირად გაიხარეს შამილმა და გრიგოლმა.

მაგრამ შამილი ნაღვლობს: შველი ჳწვანარია, რუსული სული ჩაუნერგეთო მასთვის გიაურებს.

გრიგოლი კი იმსზე დაჯობს, შვიდობით თუ ჩაეიდნენო ტყვე ქალები თბილისში!

სახელგანთქმული ტყვე ქალები თბილისსაც შვიდობით ჩამოვიდნენ, პეტერბურგსაც შვიდობით ჩავიდნენ და იმპერატორმაც პატივით მიიღო — ალექსანდრე მეორემ, რადგან ნიკოლოზ პირველმა ყირიმის ომში განცდილი მარტებს გამო 1855 წლის 18 თებერვალს თავა მოიკლა. სასახლეში შამილის ყოფილი ტყვეების მიღება ხდებდა 1855 წლის აგვანტომი. გრიგოლი გახარებულა, კარგად მიიღეთო.

ტყვე ქალთა ეპოპვა ამით დასრულდა. ამ ეპოპვაში, ბუნებრივია, გადამწყვეტი როლი გრ. ორბელიანმა ითამაშა.

• • •

იმ ხანებში თითქოს დასრულდა ზარიატინსკის სამსედრო მისია კავკასიაში.

1855 წელს, როცა ის პეტერბურგს მიემგზავრებოდა და შეწუხდა, როგორ გადაგავსებო ჩემი დიდი ბიბლიოთეკათ, მურავიოვმა უთხრა:

— ტყულიად აგზავნით: თქვენ მალე დაბრუნდებით ჩემს ადგილზე.

მართლაც, 1856 წელს მურავიოვი თავისუფლდებდა. მთავარმართებლად ინიშნება ზარიატინსკი.

ამრიგად, ორბელიანისა და გენერალ-მაიორ ვოლკოვის ენერგიულმა მოქმედებამ ჩერნეთში, მასაფიურტასა და ჩირ-იურტას მიდამოებში ორბელიანის სწრაფმა მანევრებმა დააგვირგვინა შამილის მთავარი განზრახვების ნაცარ-მტკვად ქცევა და გააფებული იმამი გადავიდა ამო, უწესრიგო, აგზავურთავდასმებზე, კახეთის დაღაშქვრავზე, რაც ვრელავზე ნაკლებად შედიოდა მის მთავარ გეგმაში, რომლის მიზანი იყო მამადიანთა აჳსანების მოწყობა, თბილისის აღება, ომარ-ღაშაბათან შეკაშირება და სხვა ფანტასტიკური ჳრახვები, რომელთაც ახდნა არ სოფდს არ ეწერათ.

□ ბაბრამლიბა იმეხბა □

უფროსი ქვა

მეორე სიმღერა კალგიზა — პუნდინგის მკვლელზე

კონუნგ ზიგმუნდს, ვოლსუნგის ძეს, ცოლად ჰყავდა ბორგჰილდ ბრალუნდელი. მათ თავიანთ ვაჟს ჰელგი დაარქვეს, ჰორვარდის ძის — ჰელგის — სახელის მიხედვით. ჰელგი აღზარდა ჰაგალმა.

ჰუნდინგი ერქვა ვინმე კონუნგს, ძალოვანს. მისი სახელის გამო იწოდებოდა მხარე ჰუნდლანდად. იგი დიდი მეომარი იყო; და ჰყავდა მრავალი ვაჭიშვილი, რომლებიც ომებს ეწეოდნენ. კონუნგ ჰუნდინგსა და კონუნგ ზიგმუნდს შორის იყო შუღლი და მტრობა. ისინი სოცავდნენ ერთმანეთის ნათესაეებს. კონუნგი ზიგმუნდი და მისი მოდგმა ვოლსუნგებად და ილფინგებად იწოდებოდნენ.

ჰელგი ჰუნდინგის ლაშქრის იდუმალ დასაზვერად წავიდა. ჰემინგრი — ძეი ჰუნდინგისა — შინ იმყოფებოდა. ხოლო ჰელგი გზაში შეხვდა მწყემს ბიჭს და უთხრა:

1. „ჰემინგრს მოახსენე,
რომ ახსოვს ჰელგისა, —
როგორი ვაჟაკიცი
მოქელეს აქ შედარათა!
მეღელსა რუსს შინიდან
ვარეთ არ უშვებდნენ,
კონუნგი ჰუნდინგი
ხოვლიდა მას ჰამალად“.

ჰამალი ერქვა ჰაგალის ვაჟს. კონუნგმა ჰუნდინგმა კაცები გაგზავნა ჰაგალთან, რომ ჰელგი მოენახათ. ჰელგი მათ სხვაგვარად ვერ დაემალებოდა, თუ მონა — ჰალის ტანსაცმელს არ გადაიცვამდა და წისქვილში საფქვევს არ წაიღებდა. მათ ძებნეს ჰელგი, მაგრამ ვერ მოიხსნეს. მაშინ მზაკვარმა ბლინდრმა თქვა:

* ჰელგი ისლანდიური სიმღერები ღმერთებსა და გმირებსზე.

1. იგულისხმება ჰუნდინგის მიერ ჰელგის მამის მოკვლა, რასთესაც ჰელგიმ შტრი იძია ჰუნდინგზე.

2. „თვალნი უღლავენ
ჰაგალის მონა-ქალს, —
კაცსა ჰეგს, — წისქვილის
ქვას ისე აბრუნებს;
იმხებრვეა დოლაბი,
იძვრის საძირკველი
გმირს წილად რგვბია
ხვედრი უმძიმესი —
წისქვილში კონუნგმა
უნდა ფქვას საფქველი
ზეღლსა მას სწვევია
ტარი მახვილისა
და არა დოლაბისა
ჯობი სატრიალო“.

ჰაგალმა მიუგო და თქვა:

3. „რყვეა საძირკველისა
ნუ გაგიცოროდება, —
კონუნგის ასული
აბრუნებს დოლაბსა;
იგი ღრუბლებს ზემოთ
დაჰქროდა ჭარბით,
გულმამაც ვეიცინებს
ბაძაჲდა ბრძოლაში,
ჰოგნი და სიგარი
იმისი ძმებია, —
თვალნი უღლავენ
ილფინგის ასულსა...“

ჰელგიმ თავს უშველა და საბრძოლო ხომალდით გაემგზავრა. მან მოკლა კონუნგი ჰუნდინგი და მის შემდეგ დაერქვა მას ჰელგი — ჰუნდინგის მკვლელი.

ჰელგი, თავისი ლაშქრით, ბრუნავარის ნავსადგურში იდგა. იქ მათ დახოცეს ხვასტაკი და ჰამდენ უმ ხორცს. ჰოგნი ერქვა კონუნგს, რომელსაც ჰყავდა ასული — სახელად სიგრუნი. სიგრუნი ვალკირია!

1 ვალკირია — სკანდინავური ეპოსის ¹გაერცვლებული პერსონაჟი, მეომარი, ფრთოსანა ქალი, აღამიანური და ღვთიერი თვისებებით იღვწურვილი.

იყო და დაქვრივდა ჰაერში და ზღვებზე. იგი იყო ხელმეორედ დაბადებული სვავა.¹ სიგრუნდი მივიდა ჰელგის ხომალდებთან და თქვა:

4. „ნავი ნაპირიდან მანდ ვინ მოაცურა? ზადა გატვთ, გვირგვინი, თქვენ თქვენი სამშობლო? აქ, ბრუნაეაგარში, რად ღვასართ, რას უცდით? ან გუნი საით ვსურთ ადლო აქედან?“

ჰელგიმ თქვა:

5. „ნავი ნაპირისკენ მამალმა მომართა, კუნძულ პლენიზე ვეაქვს ჩვენი სამშობლო, აქ, ბრუნაეაგარში, ჩვენ ვუცდით ზურგის ქარს, აქედან გვწაიდა მამრიყს გავემგზავროთ.“

სიგრუნმა თქვა:

6. „კონუნო ძლიერო, მარტვი, სად იბრძოდ, ვალკირიებისა ფრთოსნებში სად პევებადედი? ხისბლით ნახურები რადა გატვთ ჟავმანი, მანქანმოუხელი რადა ზტამ უმ ხორცისა?“

ჰელგიმ თქვა:

7. „ვეშენ ვაე საქმენი ზღვისა დასავლეთით მე, მოდგმა ილფინგთა, — ვითა ვსურს, ვაუწო: ბრავალუნდს დაეხოცე დათევა-მ მლომადა, მოდგმა არწივების ვაძლე და ვალაფე აი, მოვასენე მიზეზი, ჭალწულო, ზღვაზე რად ვერ ვტამდით ჩვენ ხორცსა ვემწვარასა.“

სიგრუნმა თქვა:

8. „სმობ შენს ვამარჯვებებს, ჰელგია მიზეზი, რომ ველზე დავცა კონუნგი პუნდინგი; ქქმენ ნათესავთათვის სურისა ძიება — სისბლმა ითქრიალა მახვილთა პირგზუც.“

ჰელგიმ თქვა:

9. „დასტურ ვით შეიტყვე შენ, ბრძენო ჭალწულო, რომ მტერზე ვიძიე შური ნათესავთა? ბევი ქყავს თავადსა ვაგი ვულმასკი, ჩვენი მოდგმინადაში მტრულად ვანწყობილი.“

სიგრუნმა თქვა:

10. „მე, გუშინ დილითა, ლამქართა ბელადო, სულ ასლოს ვისილე სიყვილი თავადის; აწცა ვრავს ცხირად ძესა ზიგმუნდისა, ვვხომ რომ აბნელებს აქ ომის აშავსა.“
11. „მე ხომ შენ წინათაც ბევრჯერ მანახობარ სისბლიან ნავისა მტვერზე მდგომარე, — გარს ყინულოვანი გუხვიენე ტალღები; აწ ჩემგან, კონუნო, რისა გზურს დაფარვა? ჰელგის ვენიბება ასული პოგნისა.“

სვარინსპაუგში ცხოვრობდა კონუნგი ვინმე, ძალივანი, სახელად — გრანმარი. მას ბევრი ვაგიშვილი ჰყავდა: ერთს ერქვა პოდბროდი, მეორეს — გუდმუნდი, მესამეს — სტაკარდი. პოდბროდი კონუნგთა კრებაზე იყო. იგი პოგნის ასულზე — სიგრუნდზე დანიშნეს. ხოლო როცა ქალმა ამის შესახებ შეიტყო, იგი, ვალკირიებთან ერთად, გაიჭრა ჰაერში და ზღვაზე ჰელგის საქებნელად. ჰელგი მამინ ლოგაფოლის მთაზე იყო და პუნდინგის ვაგიშვილებს ეომებოდა. იქ განგმირა მან ალფი და ეიოლფი, პორვარდი და პერვარდი. იგი ბრძოლისაგან ძლიერ დაქანცული იყო და

1 ვიბრი ქალი „უფროსი ედას“ ერთ-ერთი სიმღერისა.

2 „ვალკირიების ფრთოსნები“, — ყორნები.

3 „დაეხოცე დათევა“ — ე. ი. მებრძოლები, ჰელგი აქ ქარავნულად საუბრობს.

არწივის ქვისქვეშ იხვეწებდა. იქ მონახა იგი სიგრუნმა, მოეხვია მას ყელზე, დაუწყო კოცნა და უთხრა, რისთვისაც მივიდა მასთან, — როგორც ამის შესახებ არის მოთხრობილი ვოლსუნგთა ძველ სიმღერაში:

12. „მივიდა სიგრუნი
მზარულ თავადთან,
ზეღებზე ლაციცი
დაუწყო ქელვისა,
ჰკოცნიდა აღწმით
და ესალმებოდა;
გულში ჩაეგარდა
ქალწული კონუნგა.
13. ადრე შეუყვარდა
ქალს მოელი გულითა
ძეი ზიგმუნდისა, —
ვიდრე მას ნახავდა.“

სიგრუნმა თქვა:

14. „თუმცა პოდბროდისთვის
დამინნებს კრებაზე,
სხვაზე ვაძბოვების
მჭონდა მე სურვილი;
მეშინის, თავადო,
ნათქავეთ რასხვისა,
რამეთუ უარევე
მამას არწევანი“.
15. „ამხელდა გულისთქმას
ასული პოვნისა,
ამხოზდა, რომ სწევავდა
მას ქელვის სურვილი.“

ქელგიმ თქვა:

16. „ნურც კოწის რისხვისა
და ნურცა პოდბროდის,
ნურც მუნი გვარისა
მტრობის ნუ გეშინის!
შენ ჩემთან დარჩები,
ქალწული ძვირფასო;
ხარ კეთილშობილთა
მოღვმისა, ლამაზო“.

ქელგიმ შეაგროვა დიდი ფლოტი და ფრეკამტიანისაკენ გაემართა. ზღვაში მათ თავს დაატყდათ საშინელი ქარიშხალი. ცაზე იწვეს გამოკრთომა ელგებმა, რომლებიც პირდაპირ ხომალდს ეცემოდნენ. მეომრებმა იხილეს, რომ ქაერში მიჰქროდა ცხრა ვალკირია და იცნეს სიგრუნი; ქარიშხალი ჩადგა და მათ მშვიდობიანად მიაღწიეს ხმელეთს.

ძენი გრანმარისა რომელიდაც მთაზე იხსდნენ, როდესაც ხომალდები ხმელეთს

მიაღწენ, გუდმუნდი ცხენს მოასტა და მტრის დასაზვერად ზღვის პირდაპირ ემართულ მითისაკენ გაემართა. ვოლსუნგებმა იალქნები მოხსნეს. მაშინ სთქვა გუდმუნდმა, როგორც ამის შესახებ ადრე იყო დაწერილი ქელგის სიმღერაში¹.

„ვინ არის ბელადი,
ლამქარს რომ მოუძღვას?
ვისია ეს ფლოტი,
ნაპირს რომ მოადგას?“

ესა სთქვა გუდმუნდმა, გრანმარის ძემ:

17. „ვინ არის კონუნგი
ამ ნავთა მფლობელი?
ვისია, — მტვერზე
დრომა რომ ფრიალებს?
იგი მშვიდობისა
ამინდს არ გვაუწყებს:
შუბი მუწამული
გარს არტყავთ ვიყინებს“.

სინფოტიმ თქვა:

18. „პოდბროდს შეუძლია.
ქელგის გამოწონობა, —
ომში გულმამაცი,
ამ ნავთა მფლობელი;
მან თქვენი მოღვმისა
სამყვიდრო მდიდარია
ხელთ იფიო — ფორსუნგთა
ოქრო მონახველი“.

გუდმუნდმა თქვა:

19. „ჯერ არს, უპირველეს,
ჩვენ ფრეკამტიანთან
ჯობნი საომარნი²
აღმართით მტრებზედა!
შურისძიებისა
ვამია, პოდბროდო,
გმარა, რაც მტერთაგან
მარცხი გვიწინდება!“

სინფოტიმ თქვა:

20. „გუდმუნდო, წადი და
ჯერ თქვას მოაბოვე,
ციცაბო კლდეებზე
მიაკვე მათ ფორთხვითა,
ზეღში დაიჭირე
შენ სახრე თხილისა,
მახვილს უმეტეს,
ვინძლო, ის დაგმუნდეს!“

1 ეს სტროფი აქ მოტანილია სხვა სიმღეროდან, რომელსაც ეწოდება „პირველი სიმღერა ქელგისზე — ქუნდიანის მკვლელებზე“.

2 „საომარი ჯობი“ — მახვილი.



ქელგიმ თქვა:

- 21. „უმჯობეს იქნება,
მამაკო სინფოტლი,
აწ ბრძოლა ფიცხელი,
არწივთა საღბინო, —
ვიდრე უსარგებლო
ფანტვა სიტყვებისა,
ღია, სძული ერთურთნი
ბრძოლებში ბელადებს.
- 22. ცუდანი არიან
ქენი გრანმარისა,
თუშე გმართა შესახებ
.მამა ითქვას, სიშარლოვ:
მოინსპაიმუშთან
გვიჩვენეს უნარი
მათ გამგედაობის
და შუბთა ძეგრების“.

გუდმუნდი შინისაკენ გაემურა, რომ
ლაშქრის მოახლოვება ეცნობებინა. მაშინ
გრანმარის შევილებმა შეკრიბეს ჯარი. მრავალი
კონუნგი მივიდა იქ. იქ იყო პოგნი —
მამა სიგრუნისა — და ქენი მისნი — ბრავი
და დაგრი. იქმნა ომი ფიცხელი და დაი-
ლუპუნ ქენი გრანმარისა, — ერთობლივ,
და მთელი თავგაცობა მათი. მხოლოდ დაგ-
რმა მიიღო შეწყალება და ფიცი მისცა
ვოლსუნებს.

სიგრუნი მივიდა ბრძოლის ველზე და
იხილა მომავლდავი პოდბროდი.

სიგრუნმა თქვა:

- 23. „სვეაფოლდისა
სიგრუნის მკლავებზე
კონუნგსა პოდბროდსა
არ მხედეს განსვენება!
ლემი მეომართა
შელებს რჩებათ ხშირადა —
ქენი გრანმარისა
დაეცნენ ბრძოლაში“.

ამის შემდეგ მან მონანა ქელგი და დი-
დად გაიხარა.

ქელგიმ თქვა:

- 24. „გრანძელუო, ყველაფრით
არც შენ ხარ სვიანი, —
ბედის განაწენი
ბრალად სდევთ ნორუნგსა:
დღლით ფრეშტაინთან
ორნი დაილუპუნ —
ბრავი და პოგნი —
მე მოვკლ ორთავქ!
25. ხოლო სტრიელეფთან

სტავარდი დაეცა,
ქენი პროლაუვის
დაეცნენ ჰლებორფთან;
მეომარ გმირისა
ენახე გააფთრება:
თავი ტანს განმორდა,
ტანი კვლავ იბრძოდა.

- 26. ბევრი ნათესავი
შენი დაიღუპა,
ციფსა სამარება
წყანან აწ ყველანი:
ვერ წინაღულდექ
შენ ომსა ფიცხელსა, —
შენ შუღლი დათქე —
ბედისგან დათქმული!“

მაშინ სიგრუნი ატირდა. ქელგიმ თქვა:

- 27. „სიგრუნ, ინუევე,
შენ გვექმენ პილდნადა!
ბედა ვერგინ ედაოს!“

სიგრუნმა თქვა:

„ნეტამცა შეშობოს
მათი გაყოცხლება,
შემდეგ — შენს მკლავებში
ჩამალვა თავისა!“

ქელგიმ ცოლად შეირთო სიგრუნი და
მათ შეეძინათ ვაჟიშვილები. ქელგიმ მო-
ხუცებამდე ვერ იცოცხლა. დაგრმა — პოგ-
ნის ძემ — მსხვერპლი შესწირა ოდინს,
რათა იგი დახმარებოდა მას მამამისის
მკვლელებზე შურისძიებაში. ოდინმა ათხოვა
დაგრს თავისი მახვილი. დაგრი შეხვდა
თავის ხიძეს — ქელგის — ჭალასთან, რომელსაც
ფოტურლუნდი ეწოდება. მან მახ-
ვილით განემირა ქელგი. ქელგი დაეცა, ხო-
ლო დაგრი სვეაფოლს გაემგზავრა და უამ-
ბო სიგრუნს იმის შესახებ, რაც მოხდა:

- 28. „ღაო, არ მინდოდა
ტანჯვის მოყენება,
ცრემლი არ მინდოდა
შენს თავზე მენახა, —
დღლით ფოტურლუნდთან
დაეცა კონუნგი,
უხვაც ქვეყანაზე
არ ჰქავდა ბადალი,

1 პილდრი — გმირი ქალი თქმულებისა პანდ-
ნინგებზე. იგი იყო მიზეზი თავის მამასა და
სატრფოს შორის ატეხილი მტრობისა. სიტყვა-
სიტყვით აღნიშნაეს „ომსა“, „ბრძოლასა“. პილ-
დრი ვალკირია იყო, იგი დამ-დამობით ხელახ-
ლა აცოცხლებდა დღისით დაღუპულ თავის
მეომარებს.

ვინაც ვულმამაცო
მხედართ თაოსნობდა¹.

სიგრუნმა თქვა:

29. „დავ, შენ დასაჯონ
შენთა საფიცართა,
რომელნიც ოდესმაც
დაუდგე ჰელგისა:
ხეიცავდი ლაიფტრის!
წყალსა მას წმიდასა,
ცოცხა მას სოფელსა
ქვასა უნისასა!²
30. დვ, შენმა ზომალდმა
აწ ველარ იღუროს,
თუნდ ზღვაზე ზურგისა
ქქროდეს ქარცეთლი!
ცხენი მარბენალი
ვზამი დაფიარდეს,
ოდეს შენ გარბოდე
და მტერი მოდევდეს!³
31. აწ შენმა მახვილმა
მტერი ვერ განფიაროს,
რამეთუ თვითონვე
მით განფიარებნი!
ჰელგის დაღუპვისთვის
დაამცა დინს იყავ,
რომ მელად ქველთყავ.
ჭალას გეპუნებუნა,
ვლახასა, ობოლსა,
უწყვის, შვიკისა, —
ლუმით საზრდობა
გრეგობდა წილადა!“

დაგრმა თქვა:

32. „დათ, შენ შემლილხარ,
ჭკვა აგზნევა, —
როს წვევლა-კრულეთთა
აღაქვებ შენს ძმასა!
ესე ყოველივე
ზრალია ოდინის,
იგია ამტეხი
ჩვესა შორის შუღლისა.
33. აწცა მძა ვთავაზობს
ბებდებსა წითელსა,
ვინდალხვებს მოლიანად,
ვიფდალირს ბრულად;
შიიღე სასყიდლად
ქვეწის ნახვეარი
დარდისა შენისა .
და შენთა ძეთათვისა!“

სიგრუნმა თქვა:

34. „აწ მე სვეფოლში
რად მინდა სიმდიდრე, —

დილა ვერ მახარებს
და ვერცა საღამო;
ველი სხიფს ნათლისას
კონუნვის საფლავზე,
ვეუცი — მოატუნოს
კონუნმა ვიგბლერი, —
როგორ შევხვდებოდა
მე მაშინ თავადას!

35. მტერს ჰელგის დანახვის
ისე ემინოდა,
ძრწოდა მის წინაშე,
გარბოდა დამფერთბალი,
როგორც მთას ფერდობზე
შღლია გამორქვას
გატუნბას თხის ფარა
შინით და ძრწოლითა.
36. ჰელგი შეომრებში
განდიდდა, ამაღლდა,
ვითარცა ტეფენარში
იფნის ხე ამავე,
ვითარცა ორემი,
ნამით ნახებუები
დგას სხვა ცხოველებში
ვევლაზე მაღალი,
ვლვარე რქებითა
ზეცას მიბჯენილი!“

ჰელგის საფლავზე ამართეს ბორცვი, ხო-
ლო, როდესაც იგი ვალკალაში მივიდა.
ოდინმა მას შესთავაზა — მასთან ერთად
ებატონს სხვებზე.

ჰელგიმ თქვა:

37. „ბუნდინგო, შენ ვყელას
დაჰხანდე ფეხებსა,
ანთებდე ცეცხლსა და
აბამდე ძალღებსა,
ღორებს წყალს ამავედ.
ცხენო მოაძოვებდე. —
შემდეგ გაქვს უფლება —
დაწვე, დაიძინო!“

სიგრუნის მოახლე ქალმა საღამოხანს
ჰელგის ყურდანთან გაიარა და დაინახა,
რომ ჰელგი, მრავალრიცხოვანი მხედრო-
ბით, ყურდანთან მივიდა.

მოახლე ქალმა თქვა:

38. „ნეტავ, მტრევენბა,
თუ თამი დამდგარა
ღმერთთა აღსასრულის?
მცვდარნი წამომილიან
და მოატუნებენ!
რად მოლტავთ, თქვენ, თქვენსა
დარახტულ ცხენებსა, —
ხოშ არ გიწერიათ
თქვენ შინ დაბრუნება?“

¹ ლაიფტრი — ქვესკნელის მდინარე.

² უნი — სახელი ზღვის გოლიათის — ეგი-
რის — ასულისა. სიტყვააბტყვი — „ტალა“.



პელგიმ თქვა:

39. „არცა გუგუნება,
არც ჭამა დამჯარა
ღმერთთა აღსასრულის,
თუმც ემოლტაგი ჩვენ ჩვენა
დარახტულ ცხენებსა,
გარანა დაბრუნება
შინ არ გვიწერია“.

მოახლე დაბრუნდა შინ და სიგრუნს
უთხრა:

40. „გამოდი, სიგრუნო,
შენ, სვეაფოლეო,
თუ ვხურს, რომ პირანპირ
შეხვედ შენს თვადას!
გაიხსნა ყურღანი
და პელგი მოვიდა,
სისხლი ხდის წყლულთაგან
და გთხოვა კონუნგმა —
შეუმრო წყლულგებზე
წყალები სისხლისა“.

სიგრუნი მივიდა ყურღანზე პელგისთან
და თქვა:

41. „მე ისე მახარებს
აქ ჩვენი შეტყუღრა,
ვითარცა ოდინის
შვიგნა შევარდნებს!
ახარებთ მიგნება
წელთბილი ლეშისა,
ან — ფრთებდანამულებს —
ხილვა განთიადის.

42. ჯერ ვეამბორები
მე მგუდარსა კონუნგსა,
შენ კი სისხლიანი
მთისსენ აბჯარი;
თრთვილსა დაუდარავს
ხშირა თმა პელგისა,
ნამი სიკვდილისა
სხეულს დაფრქვევია,
ცივი გაქვს ხელები,
სიძუო ძოღნისა, —
ღით რა ვიმყურნალო,
კონუნგო, მითხარი!“

პელგიმ თქვა:

43. „ბრალად გდევს შენ ერთსა —
სიგრუნ სვეაფოლეოს, —
რომ პელგი სვედისა
ნამით² დანამულა:
სტირი და ცრემლსა პელგის,
სამხრეთით მოხული,
ტყროთი მოსიღო,

მხეგბრ სხივთაანო;
ცრემლი სისხლანარვე
ცევმა გმირის მკურნელს,
სწავას ცივ სამარეში
ციფსა, გაფინელს.

44. აწ სასწულს ძვირფასსა
შეუსვამთ ჩვენ ორნივე,
თუმცა უოველივე
დავყარეთ ოთავეში
ნაღვლიან სიმღერებს
აწ ნულარ იმღერებთ,
ოღეს ჩემს სიხბლიანს
იხილავთ ჭრილობებს.
აქ, ამჟერიდან,
ამ ცოფსა ყურღანში,
კონუნგის ასულმა
ჩემთან განისვენოს!“

სიგრუნმა გაშალა საწოლი ყურღანში და
თქვა:

45. „გაეშალე ლოგინი
შენდა სიხარულად. —
შენს მოსახვეწებლად,
მოღვემათ ილფინგთა;
აწ შენსა მკლავებზე
ძილი მწაღს, კონუნგო,
ვით ცოცხალ კონუნგის
მკლავებზე მუწადა!“

პელგიმ თქვა:

46. „იგი არც ადრეა
ახლა და არც გვიან,
რაიცა სვეაფოლს
ვერ აღსრულდებოდა, —
თუ მკედრისა მკლავებზე
გძინავს მის ყურღანში,
სიგრუნ, მშენიერო
ასულო ქოგნისა,
შენ, კვლავად ცოცხალსა,
მოღვმასა კონუნგის!

47. დროა გაემგზავრო
გზითა მუწამულით,
ფერმიხდილ ცხენითა —
ძაფრას ბილიკით;
წარემართო ჩემი გზა
ცინა დასავლეთით,
სანამ საღლოფინჩი
გმართ გააღვიამებდეს“.

პელგიმ და მისმა მხედრებმა ცხენები
გაატყენეს, ხოლო ქალები შინ დაბრუნდნენ.

1 „ოდინის შევარდნები“ — ყოჩაღები.
2 „ნამი სვედისა“ — ცრემლები.

1 „საღლოფინჩი“ — მამალი საიქიოში —
ვალქალაში. იგი ყოველ დილით აღვიძებს ეინ-
ქერიებს (დახოცილ გმირებს).

მეორე საღამოს სიგრუნმა მოახლეს უბრძა-
ნა, რომ ყურდანთან ედარაჯნა. ხოლო მზის
ჩასვლისას, როდესაც სიგრუნი ყურდანთან
მივიდა, მან თქვა:

48. „მოსვლა რომ ეფიქრა,
ღია მოვიდოდა
ოდინის დარბაზით
ძვი ზიგმუნდისა.
იგი აღარ მოვა,
ჩამიჭრა იმედა, —
იფნისა ტოტებზე
სხდებიან არწივნი,
სიხმრების ტინგზედა
ილტვის ჯამაათი“

მოახლე ქალმა თქვა:

49. „ჭეუაზე არ შესყდე,
კონუნგის ასულო, —

1. ე. ი., ლამდედა.

მარტო არ ეატუმრო
სულთა საეანება!
ღამით ემატებათ
ღონე მკვდარსა,
დღისით ვერ არიან
ისინი პლიერნი“.

სიგრუნი მალე გარდაიცვალა დარდისა
და მწუხარებისაგან.

ძველ დროში სწამდათ, რომ ადამიანები
ხელახლა იზადებიან, ხოლო ახლა ეს დე-
დაბრების მონაჭორ ფანტაზიად ითვლება.
ქელგისა და სიგრუნზე ნათქვამია, რომ ისი-
ნი ხელახლა დაიბადნენ. ქელგის ჰადინ-
გიასკატი ერქვა, ხოლო სიგრუნს — კარა,
ასული ქალფდანისა, — როგორც ამის შე-
სახებ მოთხრობილია სიმღერაში კარაზე.
იგი ვალკირია იყო.

გერმანულიდან თარგმნა
გიორგი კალანდარიანი



XXV ნაწილის ტანტი

მოთხრობა

ორი წლის განმავლობაში ჩიკაგოს სახელმწიფო მუზეუმის ამერიკული ექსპედიცია შირაზის¹ მახლობლად აბუ ნასრის ტახტის ბორცვზე გათხრებს აწარმოებდა. ადამიანების ძვლებით სავსე ვაწრო და ბნელი სამარხები, წითელი კერამიკა, ბრინჯაოს ხეფები, სამფრთიანი ისრები, საყურეები, ბეჭდები, ყელსაბამები, სამაჭურები, სატყეურები, ალექსანდრე მაკედონელისა და პერაკლეს² მონეტები და უზარმაზარი სამეფო საცეცხლო — ასეთი იყო არქეოლოგების ნადავლი.

უძველესი ენების მკოდნე, არქეოლოგი დოქტორი უორნერი დიდი გულმოდგინებით სწავლობდა თიხის ქურქულზე აღბეჭდილ ნიშნებს, ცილინდრულ საბეჭდავებს, რომლებსაც ლურსმული წარწერები, ადამიანებისა და ცხოველების გამოსახულებები ამკობდა; მაგრამ, ამაოდ. საინტერესოს ვერაფერს შიავნო.

კორბის ჩაფხუტიან არქეოლოგებს გორსთსა და ფრიმენს დაქმუნული ხაკისფერი მოკლე ტანისამოსიდან მზისაგან დამწვარი შიშველი მკლავები და წვივები უჩანდათ, ილიაში საქალაღდე ქქონდათ ამოჩრილი, დილიდან საღამომდე მუშებთან საქმიანობდნენ, ჩანაწერებს აკეთებდნენ, გათხრების ფოტოგადაღებას აწარმოებდნენ. იმატა კერამიკული ფრაგმენტების რაოდენობამ. თანდათან არქეოლოგებს მუშაობაზე გული აუტკრუვდათ, გადაწყვიტეს წლის ბოლომდე ძიება ეწარმოებინათ, ხოლო

მომავალი წლიდან კი ექსპედიცია გათხრებს აღარ განაახლებდა.

მთი თავდაპირველი ვარაუდი არ გამართლა კლდემ, რომელზედაც ჯამშიდის ტახტის სამარხი მდებარეობდა. კარიბჭეს ზედა ნაწილი შავი ქვით იყო ნაგები, ხოლო საძირკველი და კედლები კი სხვა ქვით ამოყვანილი და სწორედ ამ ქვის ნატეხები ეყარა უწესრიგოდ გაჩმეშო; ადგილობრივი მოსახლეობა მას საშენ მასალად იყენებდა. მწვერვალზე მიწიდან საფეხურები ამოდიოდა, რომელიც შემდეგ მთას თხემიდან ძირამდე მიუყვებოდა.

საკუქნაო, სამრეცხაო, სამზარეულო, საწოლი ოთახი და დიდი დარბაზი, რომელიც აივანს ეკრა და საჭირო შემთხვევაში სსაადილო ან სასტუმრო ოთახის მოვალეობას ასრულებდა, — ასეთი იყო ინტერიერი სახლისა, რომელიც ამ ბორცვის მოპირდაპირე მხარეს იდგა და სადაც დოქტორი უორნერი დღენიადაც გათხრების დროს მოპოვებულ ნივთებს ჩაკირკიტებდა. მსახური უასეში, რომელიც შეთავსებით მძლოლად მუშაობდა, ხშირი სტუმარი იყო შირაზისა, საიდანაც სურსათ-სანოჯაე და თოვლი¹ ჩამოქონდა. ქალაქს იმიტომ მიდიოდა, რომ მეზობელი სოფლების — იმამხადეს, დასთე ხეზრის, ბარამ დელაქის მცხოვრებლებს თავისთვის არაფერი ებადათ და სხვას რას მსცემდნენ?

ბარამ დელაქის საკმაოდ სასიამოვნო ზომიერი ჰავა ზაფხულობით ბევრ ში-

¹ შირაზის მახლობლად არის ირანის უძველესი დედაქალაქის პერსეპოლის ნანგრევები.

² ბიზანტიის იმპერატორი (610—640).

¹ შირაზში ზაფხულობით ყინულის ნაკვალავი ხშირად მოივლს, რომელიც მთიდან ჩამოაქვთ (ავტორის შენიშვნა).

რაზგელს იზიდავდა. ხშირად ისინი რამდენიმე წლითაც კი ჩამოდიოდნენ ხოლმე სოფელში. დოქტორი უორნერი და მისი კოლეგებიც მოიხელთებდნენ თუ არა თავისუფალ დროს, ბარამ დელაქს მიაშურებდნენ ან არა და თავიანთ სახლის დიდ დარბაზში ჰადრავითა და წიგნებით იქცევდნენ თავს.

სიმუვიას სარკოფაგის აღმოჩენის შემდეგ ბევრა რამ შეიცვალა, განსაკუთრებით დოქტორ უორნერის ცხოვრება. თვით სარკოფაგის პოვნა არქეოლოგთათვის უკვე დიდ აღმოჩენას წარმოადგენდა, ამასთანავე მათ ხელში ჩაუვარდათ მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის გაშიფვრა უორნერმა დაისახა მიზნად და მთელ თავის დროს ამ საქმეს ახმარდა.

ერთხელ ფრიმენი მუშებთან გათხრებს აწარმოებდა. უეცრად ქვის ფილას წააწყდა, მას ერთმანეთთან თიხითა და დუღაბით დაკავშირებული სხვა ფილებიც მოჰყვა. ბოლოს ბორცვის სიღრმეში დატანებულ მიწის ქვეშა გასასკლულს მიაღწენ. სწორედ ამ მიწის ქვეშა კორიდორში აღმოაჩინეს ფრიმენმა და მისმა კოლეგებმა უხარმაზარი ქვის სარკოფაგი, რომელსაც მოგრობკუბოს ფორმა ჰქონდა და ერთი მთლიანი ქვისაგან იყო გამოთლილი. დიდი ტანჯვა-წვალებით შეიტანეს არქეოლოგებმა ეს მძიმე სარკოფაგი თავის სახლის საწოლ ოთახში.

განსაკუთრებული სიფრთხილით ახადეს ქვის სახურავი, დაინახეს კუთხეში ჩაუტყველი ოქრომკვრით ნაკერ მდიდრულ სამოსელში გამოწყობილი მალალი მამაკაცის მუშია, რომელსაც ყელზე ძვირფასი ქვების ყელსაბამი და ქამარზე ორღესული სატევარი ეკიდა. ფოლადის ჩაფხუტზე მარგალიტის ორი მძივი უბრწყინავდა, ტანისამოსზე რაღაც განსაკუთრებული ზეთის სუნა ასდიოდა, სახეზე მსუბუქი, გამჟვირვალე ქსოვილი ჰქონდა გადაფარებული.

უორნერმა დიდი სიფრთხილით გადახადა მუშიას სახიდან გადასაფარებელი. აბრეშუმის ქსოვილი პირთან თით-

ქოს დადებული იყო და სისხლიც შეხმობოდა. პირის კანი სახის ქველზე გადაკიმული, თვალები დიდი და მოკლე ვარე ჰქონდა. უორნერმა გულისყურით დაათვალიერა მუშია და მკერდზე შეამჩნია ვერცხლის რგოლზე ჩამოკიდებული ლითონის მილაკი, რომელშიც, ჩვეულებისამებრ, ლოცვებს ინახავდნენ ხოლმე.

დოქტორმა უორნერმა ახსნა მილაკი და იქიდან ტყავის ორი ნაჭერი ამოღო. ერთზე ფალაურ ენაზე რაღაცა ეწერა, ხოლო მეორეზე რაღაც გეომეტრიული ფიგურები და ნიშნები იყო გამოსახული.

უორნერმა სარკოფაგში ნაპოვნი ნივთების ანალიზი ტექსტის კითხვით დაიწყო.

დოკუმენტების შესწავლამ და გაშიფვრამ რამდენიმე კვირას გასტანა. მეცნიერი ისე გაიტაცა სამუშაომ, რომ ძილიცა და ქამაც კი დაავიწყა. მარტოდ მარტო ჩაფლული იყო ძველ საოცარ წიგნებში, რომლებზეც მას ამხანაგებს ხელი არ მიუწვდებოდათ. ხშირად უორნერი თავის თავსაც ელაპარაკებოდა, ხოლო როცა მისი კოლეგები თავისუფალი იყვნენ, მათ ამ დოკუმენტის შინაარსს აცნობდა. საერთოდ კი, დოქტორ უორნერის მოქმედება მის კოლეგებს უცნაურად ეჩვენებოდათ.

ერთ საღამოს სამუშაოდან დაბრუნებულმა ფრიმენმა ეურნალ-გაზეთების მაგიდაზე წითელი კერამიკის ნატეხები დაყარა, რომლებზედაც მარცხნიდან მარჯვნივ მუქი ყავისფერი საღებავით რაღაც წარწერა იყო გამოყვანილი. დოქტორ უორნერს ჩიბუხი ჰქონდა პირში გამოჩრილი და დაფიქრებული ოთახში ბოლოს სცემდა. ფრიმენს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— გორსთი სად არის?

— სასეირნოდ წავიდა. ამ კვირაში სრულიად გამოიცვალა. თუმცა კი რას ვერჩით, ის ხომ ჩვენზე ახალგაზრდაა. აქ მას ძალიან უყირს: თაკარა მზე, ერთფეროვანი ცხოვრება და არავითარი გართობა.

— შირაზში წაიდა?

— დიახ, კვირას ბარამ დელაქში ერთად ვიყავით. ვფიქრობ, რომ ეს ამბავი ქალთან არის დაკავშირებული!

— რაჟი სისხლი უღელს, თავის ნებაზე უნდა მივუშვათ. მაგრამ კარგი იქნებოდა დღეს საღამოს სამივენი ერთად ვყოფილიყავით. ცხრის ნახევარზე გადაეწყვიტე ანდერძში მოხსენებული ყველა ცერემონიალის შესრულება.

— რა ცერემონიალზეა ლაპარაკი? — გაუკვირდა ფრიმენს. — ეს ის ლოცვაა, რომლის განსაკუთრებულ ვითარებაში წაქითხვა საკმარისია, რომ მუშია გაცოცხლდეს.

— გულში ალბათ გეცინებათ. არ მოტყუვდეთ, არც მე ვარ დიდი მორწმუნე ადამიანი. ჩემი აზრით, ეს ანდერძი ერთი საუკუნის წინათ ცოცხლად დამარბულ ქალს ეკუთვნის. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი სისხლი მუმიისათვის იყო განკუთვნილი და რომ როდესმე მის მიერ დაწერილ სტრიქონებს ვინმე ამოკითხავდა. რადგან ანდერძი წავეკითხეთ, კიდეც უნდა შევასრულოთ მისი ნება-სურვილი. ეს ხომ ჩვენი მოვალეობაა... ამას ქალის ეჭვიანობა გვაქვს, მითუმეტეს, რომ ამის გაცეთება ჩვენ არ გავგიჟირდება. საჭიროა ორი საცეცხლური, რომელიც მე უკვე მოვამზადე, რამდენიმე ნაკერცხალი და ნახევარი საათი მოთმინება. სულ ეს არის, ვინ იცის! ჭერ ხომ ვერავეან შეძლო წინაპართა საიდუმლოების ამოცნობა!

— განა სასაცილო არ არის? არა, მაინც რა საჭიროა რომ ეს ანდერძი ჩვენ შევასრულოთ. ეს საარკოფაგი სხვა ადამიანებს რომ ჩავარდნოდათ ხელში, განა ისინი ამ ქალის ნება-სურვილს შეასრულებდნენ.

— ანდერძი ხომ ჩვენ ჩავგივარდა ხელში ამიტომაც ეს მოვალეობა ჩვენ დაგვეკისრა.

უორნერმა ძველ თიხის ჭურჭელზე მიუთითა.

— თქვენ წარმოგიდგენიათ, — თქვა მან, ამ კერამიკის მიხედვით შეიძლება

დადგინდეს, რომ ოთხი, ხუთი ათასი წლის წინათ აქ, მთის ძირას, სადაც წყაროა, ცხოვრობდნენ ადამიანები და ამ ჭურჭელს ხმარობდნენ. ამიტომაც ამ კერამიკას მეცნიერული ღირებულება აქვს, თუმცა ის უშუალოდ არ არის დაკავშირებული დღევანდელ ცხოვრებასთან. ეს საინტერესო ანდერძი, რომელშიც ადამიანის ტრავედიაა მოთხრობილი განა თქვენ ცრუ შეხედულებად მიგაჩნიათ? როგორ ფიქრობთ, როცა თანამედროვე მეცნიერება რთული საკითხებს გადაჭრისას თავის უძლურებას აღიარებს, მაშინ ხუმრობა უშველის საქმეს? თუ ოფიციალური მეცნიერების მიზანი ფულია, ამ შემთხვევაში. ეს მეცნიერება კი არა, უკაცრავად პასუხია, გართობის საშუალებაა. ეს მე იმდენად მნიშვნელოვან აღმოჩენად მიმაჩნია, რომ შედეგს მოგვცემს თუ არა, იგი მაინც ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

— გუშინ თქვენ თვით ბრძანეთ, რომ ანდერძში ყველაფერი ნათელი არ არის და ზოგიერთი ადგილის წაქითხვა ექვს ბადებსო.

— ერთი სიტყვის, უფრო სწორედ, ერთი წინადადების მნიშვნელობა ვერ გავიგე, დანარჩენი კი ვთარგმნე. ცერემონიალის შესრულების გადადება მე არ შემიძლია, რადგანაც დღეს თვის მეთოთხმეტე ღამეა და ციური სხეულების განლაგებაც ისეთია, როგორც ანდერძშია ნათქვამი.

ტექსტის წაქითხვაში უმნიშვნელო შეცდომაა დაშვებული. ანდერძს ბოლოში მიწერილი აქვს: „ჯადოსნობის“ (ე. ი. შელოცვის) ცერემონიალის შესრულების შემდეგ ავგაროზი ცეცხლში უნდა ჩააგდოთ“. არა, ეს წინადადება ასე იკითხება: „როგორც კი ავგაროზს ცეცხლში ჩააგდებ, სიმუქია წამოდგება! ალბათ, აქ ლაპარაკია იმ ტყავის ნაქერზე, რომელზედაც გეომეტრიული

1 წინადადება: „როგორც კი ავგაროზს ცეცხლში ჩააგდებ სიმუქია წამოდგება“, — დაწერილია ფალსურ ენაზე (ავტორის შენიშვნა).

ფიგურებია გამოსახული. შელოცვის შემდეგ ეს ტყავი უნდა ჩავარდეს ცეცხლში, რომ სიმუცვია წამოდგეს. თუცა ანდერძის თარგმანი ხომ ჯიბეში მაქვს, ახლაც წაგიკითხავთ.

დოქტორი უორნერი სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა, ჯიბიდან ნაწერი ამოიღო და კითხვა დაიწყო:

„— სახელითა ღვთისათა! მე ვარ გუბანდუხტი, ასული ვანდასპ ქურუმისა, და მეუღლე ფესანდისა და თეთრი სასახლის მეფის, ბარამ დელაქის გამგებლის ფადიშაპ სიმუციასი. ათი წელი ვასტანა ჩვენმა ცოლ-ქმრობამ, მაგრამ სიმუციამ შთამომავლობა ვერ შექმნა. არსებული წესების დაცვით და ჯადოქრების მითითებით ჩემმა ქმარმა მეორე ცოლი მოიყვანა, რომ შემგვიდრე ჰყოლოდა. ამით იყო ყველა ცდა, იგი შთამომავლობას ვერ შექმნიდა — ასეთი იყო ეჭიმების დასკვნა. მაგრამ სიმუციამ ზურგი აქცია ღვთისმოსაეობას და გარყვნილებაში ჩაეფლო. მკითხავს მოეთათბირა, წამალი დალია და დაბალი წარმოშობის ქალიშვილი შეიყვარა. მან არაფრად ჩააგდო ჩვენს შორის არსებული მოლაპარაკება, რომელიც მას შემდგომ შეუღლებას უქრძალავდა. სიმუციამ მაინც თავისი გაიტანა.

თეთრ სასახლეში როსკიბ ხორშიდთან ლოთობდა და გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა. აღარც ქვეყნის მართვზე ფიქრობდა, აღარც თავის საქმეებზე და ყოველმხრივ ცდილობდა ხორშიდთან ჩემს დამცირებას. ბოლოს ქორწილიც გადაიხადა. თავს ლაფი დამასხა, დამამცირა და ცოცხლად დამარხვა გადაწყვიტე. დახმარება მისანს ვთხოვე. ქორწილის დამეს სიმუციას სასამისში წამალი ჩავუყარე და მან დაიძინა. მისი გამოღვიძების საშუალებაც არსებობს — ეს არის თილისმა, რომელიც მისანმა მომცა. უმჯობესია ცოცხლად დავიმარხო ქმართან ერთად, წოვოს ჩემი სისხლა, იწვნიოს და იგემოს ხორშიდთან შეუღლების სიმძიმე, იცოდეს ჩემმა ძმამ, რომ მე აღთქმა არ გამიტეხია. მი-

სი გამაცოცხლებელი თილისმა ანდერძში დეცს.

ამ ანდერძის წამკითხველი იცოდე, რომ სიმუცია არ მოჰკვდარა, ეს მოჩვენებითი საკვდილია. მას მხოლოდ ძინავს. მისანმა იგი მუმიად აქცია. ეს თილისმა კი მას გააცოცხლებს. ამისათვის საჭიროა: თვის მეთოთხმეტე ლამეს შენსა და სარკოფავს შორის ჩამოღწევა ფარდა, დახაზულ წრეში დადგა სამფეხა საცეცხლურები, აანთო, შიგ საქმეველი ჩაყარო და ეს სატყვები წიკითხო“. შემდეგ ტექსტი დაწერილია ზენდების ენაზე: — თქვა დოქტორმა უორნერმა — მგონი სირიული უნდა იყოს. მათი მნიშვნელობა მე არ მესმის, მაგრამ შელოცვის დროს ეს აუცილებელი არც არის, მათი მხოლოდ გამოთქმაა საჭირო. „როგორც კი თილისმას ცეცხლში ჩააგდებ, სიმუცია წამოდგება“. ეს ბოლო წინადადება ჩემთვის გაუგებარია, მაგრამ, როგორც შეამჩნევდით, აქ ყველა საჭირო მითითება მოკუმული.

დოქტორმა უორნერმა ცნობისმოყვარეობით შეხედა ფრიმენს. შემდეგ ანდერძი დაეცა და ჯიბეში ჩაიღო.

ფრიმენმა თავი გადააქინა.

— ქალის ეჭვიანობის ძველთაძველი ამბავია.

უორნერმა სათვალე მოიხსნა, გაწმინდა და კვლავ გაიკეთა.

— გარდა ეჭვიანობის დრამისა ჩემთვის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტებიც გახდა ნათელი. თავდაპირველად ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგა სასანიდების ეპოქის დროინდელი დარღვიმანდი ქვეყნის განმგებლის პირადი ცხოვრება. დოკუმენტში ნახსენებია ოლქები, რომლებსაც მართავდა სიმუცია, კერძოდ ბარამ დელაქი, შაჰფასანდი. დასთე ხეზრს „ბადე ზენდან“ — საპყრობილეს ბადი ეწოდებოდა. ეს ფაქტი მე სხვა დოკუმენტშიც შეშვდა, გარდა ამისა ახლა ცნობილი გახდა, რომ სასანიდე-

1. ზენდების ენაზე დაწერილი ზოროასტრის ხმის წმინდა წიგნი ავესტა.

ბის ეპოქაში შეუღლება სისხლით ნათესავენს შორის ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ყოველ შემთხვევაში საზოგადოების უმადლესი წრეების წარმომადგენლებისათვის ეს დანაშაულები იყო. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ახლა ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ რით არის გამოწვეული სამარხში ძვლების სიმრავლე. ადგილობრივი მცხოვრებლები მოგვითხრობენ, რომ უძველეს ხანაში დაძაბუნებულ, ძალაგამოღებულ მოხუცებს ახალგაზრდები ზარზეებით გაიყვანდნენ ქალაქ გარეთ და იქ ცოცხლად მარხავდნენ. ეს წეს-ჩვეულება ზოგიერთი ცვლილებებით აფრიკელი ტომებისთვისაცაა ცნობილი. აქამდე მეც ამ მოსახრებას ვიზიარებდი. ახლა კი ირკვევა, რომ ქმრის გარდაცვალებას შემთხვევაში ცოლსაც მარხავდნენ მასთან ერთად, რომ იმ ქვეყანაშიც ერთად ყოფილიყვნენ. ეს ძველთაძველი ადამი სხვადასხვა ხალხებისთვისაა ცნობილი.

გარდა ამისა, როგორც ხედავთ, მუმიას პირი რაღაცით აქვს დასვრილი, თითქოს სისხლი შეხმობიაო. ხალხური გადმოცემის მიხედვით, როცა გარდაცვლილი ადამიანი სუდარას კბილს გაერაფს ცოცხლები მის გზას მალე გაუყვებიან. ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად საფლავი უნდა გაიხსნას და სისხლისმსმელ გვამს თავი მოეკვეთოს. ჩვენს მიერ მოპოვებულ ტყავის დოკუმენტში წერია: „ჩვენი სისხლი მიცვალბულის საკვებად იქცეს“. ახლა ჩემს მიზანს არ წარმოადგენს ხალხური გადმოცემების შესწავლა, მაგრამ აქ უტყუარ ისტორიულ საბუთთან გვაქვს საქმე. ნუთუ საღათს ძილით შეპყრობილი სიმუცია თავისი ცოლების სისხლით იკვებებოდა და ეს საკვები მას მრავალი საუკუნის განმავლობაში ჰყოფნიდა? იქნებ რამდენიმე ხნის შემდეგ ჰამის მოთხოვნილებაც გაუქრა? მე ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ ვერც ურწმუნოებას დამწამებს ვინმე. მე მხოლოდ ხალხის იმდროინდელი რწმენა მაინტერესებს. თანამედროვე მეც-

ნიერების მიზანია ყოველგვარი გოგონისა და მატერიალური მოვლენის, ცრურწმენებზე რომ არაფერი ეტყვიან, სწავლასხვა დანაშაულებისაგან განთავისუფლება, მათი ღრმა მეცნიერული შესწავლა — თუმცა...

ამ დროს ვალსის სტევენით გორსთი შემოვიდა. მას უზარმაზარი ყავისფერი ძალი ინვა შემოჰყვა. გორსთმა ქუდი მაგიდაზე დააგდო და მსახურს შარბათის შემოტანა უბრძანა.

დოქტორ უორნერს პირში ალის ქარი ჩაუვარდა და ფრიმენს შეხედა.

— ჩვენ ახლა თქვენზე გვექონდა საუბარი.

— ქებით ამავსებდით.

— ყური უნდა აგიწიოთ.

— ფრიმენს არ დაუჯეროთ. ის ვენეციელი მავრივით ექვიანია. მინდა გახაროთ, ამ საღამოს თქვენ ორივე ჩემი სტუმარი ხართ.

გორსთმა ინგას თავზე ხელი გადაუსვა. უორნერმა ჩიბუხი დატენა, მოუქიდა და სიამოვნებით გააბოლა. ყასემმა სამი ჭიქა შარბათი შემოიტანა, მათ წინ დაუდგა.

გორსთმა შარბათი მოსვა და განაგრძო:

— დღეს ბარამ დელაქში გაბატონებთ. სამი ქალი გველოდება. ღამე ისე გავატაროთ „ათას ერთი ღამის“ ზღაპარში, რომ არის აღწერილი. ჩვენ ახლა ხომ აღმოსავლეთში ვართ. ჯერჯერობით გარდა თაკარა მზისა და მტვერისა, რომელმაც თვალებზეც კი დაგვასვა დალი, არაფერი გვინახავს. ჩვენში ადამიანური თვისებები ჩაკლა ჩონჩხებისა და ძველი გახრწნილი ნივთების გარემოცვაში ყოფნამ. პატივცემულო დოქტორო, თქვენ საოცარ ცხოვრებას ეწევით. დღენიადავ დახუთებულ ოთახში ან მზეზე კვლევა-ძიებას აწარმოებთ. ვერც ღამე იძინებთ, თქვენ თავს ელაპარაკებთ. არც ვართობა, არც სეირნობა, წიგნის ჭიად გადაიქცეით. მერწმუნეთ ასეთი ცხოვრება სიბერეს აახლოებს.

— დიდი მადლობა რჩევა-დარიგებისათვის, — უბასუხა უორნერმა, —

სამწუხაროდ, დღეს თქვენი სტუმარი ვერ ვიქნები. მომისმინეთ, გთხოვთ ამ საღამოს ჩვენთან ერთად იყოთ, თქვენი დახმარებაა საჭირო. მინდა გურანდუხტის ანდერძი შევასრულო. დღეს თვის მეთოთხმეტე დამეა, ჩვენ კი მხოლოდ ერთი თვის სამუშაო დაგვრჩა, ისე რომ შემდეგ გასართობად დრო ბევრი მოინახება.

გორსთმა გაიცინა:

— იმ როსკიპის ანდერძი? მან ხომ ჩვენ გაგვამასხარავა. თქვენ ხუმრობთ. მე არ მეგონა, რომ საქმე აქამდე მივიდოდა. თქვენ სერიოზულად ფიქრობთ ამ ბებერი მაიმუნის გაცოცხლებას? ამის მიმატება და აკლდა ხალხს? ჩვენ ნიუ-იორკის სპირიტუიზმის საზოგადოების წილდოს მიღებაც შეგვიძლია.

სამივემ გაიცინა. გორსთმა განაგრძო:

— ხუთი თვეა ამ უდაბნოში ძაღლურ ცხოვრებას ვეწვეით. სარკოფაგის აღმოჩენა გართობის სრულ უფლებას გვაძლევს, თადარიგი მინც არ დამეჭირა, მანქანით შირაზს გავემგზავრე. იქიდან სამი ქალი ჩამოვიყვანე. ყველას სარკოფაგის ამბავი აეკრია პირზე. ქალებს ჰგონიათ, რომ ჩვენ განძი აღმოვაჩინეთ. ისინი ახლა ბარამ დელაქში არიან და კარაქში გაატარებენ დამეს. იქ არაფერ ცხოვრობს, უკაცრიელი ადგილია. საქმელი მსახურის ხელით გავაგზავნე, ვისკიც თუ დაგვრჩა, ყველაფერი როგზება.

— გართობის მიზნით ექსპედიციის მანქანის გამოყენების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, — მკაცრი ტონით განაცხადა დოქტორმა უორნერმა. — უნდა გვახსოვდეს, რომ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. აქ წყალსაც კი ვერ დალევ ისე, ყველამ რომ არ გაიგოს. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი მსახური ყასემი და მუშებიც ვინ იცის როგორ შეგვამოკებენ. მე არ მინდა, რომ ჩვენზე იჭორაონ და გიჩრჩევთ, ასეთი ამბავი აღარ გამეორდეს.

— ნუ დელავთ, — დამაშვიდა უორნერი გორსთმა — ქალაქგარეთ უკვე ვიყავით და ძე ხორციელი არ შეგვხ-

ვედრია. განსაკუთრებით ხაინტურესობა, რომ ამ საღამოს აღმოსავლური მუსიკით დავიტკბობთ სმენას. მუსიკოსები ებრაელები არიან და მხოლოდ ეროვნულ მელოდიებს ასრულებენ. ალბათ იგივე ჰანგები გაისმოდა აქ, როცა სიმეხია იყო განმგებელი. ამ თქვენ ბებერ მაიმუნს სამი ცოლი ჰყავდა, ჩვენ კი თითო ქალით დავკმაყოფილდებით. დამიჯერეთ, ზოგჯერ ცოცხალ ადამიანებსაც უნდა შეხვდეთ ხოლმე. წინასწარ გაფრთხილებთ ყველაზე ახალგაზრდა, ხორმილი, ჩემია და არაფერ შემეცილოს.

ჩაფიქრებულმა უორნერმა უეცრად იკითხა:

— ხორშიდ ხანუმი?

— დიახ, ხორშიდ ხანუმი. მაღალი, მოელვარე თვალებით, პირმრგვალი, შავთვალწარბა — ნამდვილი აღმოსავლეთის მზეთუნახავია. რომ იცოდეთ თვითონ გამომიწვია, წერილი გამომიგზავნა. გახსოვთ, — გორსთი ფრემენს მიუბრუნდა, — ის ქალი ბარამ დელაქში კვირას რაღაცას რომ მანიშნებდა?

— საოცარი დამთხვევაა! — ჩაიბურტყუნა უორნერმა, — სიმეხიას უკანასკნელ ცოლსაც ხორშიდი ერქვა.

— მე მეგონა ხუმრობდით, ახლა კი მიეხვდი, რომ ამ ზღაპარმა მძლავრად დაგრიათ ხელი. პატივცემულო დოქტორო, ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ ეს ჩონჩხი გაცოცხლდება და იმქვეყნიურ ამბავს გაამბობთ. შესანიშნავი რომანი დაიწერება! მაგრამ, სამწუხაროდ, განკითხვის დღე, როცა მკვდრები აღსდგებიან, არც თუ ისე მალე დადგება: მეტ წინდახედულებას გამოვიჩინეთ თუ ძვირფასეულობას ავხსნით. შემდეგ კი ენახოთ როგორ გაცოცხლდება მიცვალებული.

— მუმიას ხელი არ ახლოთ. — მკაცრად თქვა უორნერმა.

— ყოველშემთხვევაში განიარაღება მინც შეიძლება, მახვილი ავხსნათ. თორემ თუ გაცოცხლდა, დაგვხოცავს და ძვირფასეულობას გაიტაცებს.

უორნერმა სათვალე გაისწორა.

— დაგვცინით? თუმცა კი მართალი ხართ, საოცარი და დაუჯერებელი ამბავია. ასე, ბევრი რამე არც მე მჯერა. თუმცა კი ასეთი სიკვდილი საიდუმლოებით არის მოცული. ჩვენ ძალიან ცოტა ცნობები მოგვებოვება ძველი სამყაროს მისნების საქმიანობის შესახებ. მუშისას თვალეში თუ ჩახედეთ? ცოცხალი ადამიანის თვალეშივით ელვარებენ. შუბრისგებით, მტყველად და ოდნავ დარცხენითაც კი შემოგაყურებენ. თითქოს ცხოვრებით ჯერ კიდევ გულს ვერ იჯერესო. აქამდე არ მითქვამს, მაგრამ ამ თვალეში სიცოცხლის ნაპერწკალი კიდევ არის შემორჩენილი. როგორც ფრიმენს ვუთხარი, ეს მუშია თუ არ გაცოცხლდა ჩვენ მაინც არაფერს ვკარგავთ. მაგრამ თუკი გაცოცხლდა ან თუნდაც შეინძრა, ეს ხომ გუგონარი ამბავი იქნება.

— წარმოუდგენელია, — თქვა გორსომა, — გამაგებინეთ, რამდენიმე საუკუნის შემდეგ ადამიანის გაცოცხლება? ვთქვათ, გვამი მუშიალ აქციეს და განსაკუთრებული საშუალებებით სხეულის ორგანოებს პირვანდელი მდგომარეობა შეუნარჩუნეს, მაშინ უნდა დაუშვათ, რომ ციმიბრში მუდმივი გაყინვის ზოლში მოხვედრილი მამონტების გაცოცხლება დასაშვებია! თქვენი ლაპარაკიდან გამოდის, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ მუშისას გაცოცხლება შეიძლება.

— ეჭვი მეც მეპარება, — აღიარა დოქტორმა უორნერმა, მაგრამ ასეთი მოჩვენებითი სიკვდილი ფენომენალური მოვლენაა და დღესდღეობით იშვიათად გვხვდება. ინდოელ ფაქირებს შეუძლიათ რამდენიმე კვირა, თუნდაც თვე, მიწის ქვეშ დაჰყონ, შემდეგ კი სიცოცხლე დაიბრუნონ. მსგავსი არა ერთი და ორი შემთხვევა მაქვს გავიანილი. ეს სავსებით ბუნებრივია. ცხოველი, რომელიც მთელ ზამთარს ძილში ატარებს, ასეთივე მოჩვენებითი სიკვდილის მდგომარეობაში არ არის? წაილის თუ თილძმის ზეგავლენით სიმუცია საღათას ძილს მიეცა, შემდეგ ჩვენთვის უცნობი

საშუალებებით, იგი მუშიალ აქციეს ამასთანავე მისი სხეულის ორგანოებს არც ავადმყოფობა, არც სიჭირჭირიც ხრწნა არ შეხებია და მათ სიცოცხლია ძალა შეინარჩუნეს. თუ ცხოვრებას მხოლოდ სკოლის მერხიდან წამოღებულად ცოდნით კი არა, არამედ უფრო ღრმად, რელიგიის მიერ გავრცელებული ცრურწმენების გარეშე განვიხილავთ, ჩვენს თვალწინ მრავალი საოცრება გაიშლება. თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენ აქ ეცხოვრობთ და ვსაუბრობთ, თმები რომ არ მცვივა, ან შარბათიანი ჭიჭა ბოთლთან ერთად ორთქლად არ იქცევა საკვირველი არ არის? ჩვენ თვალწინ ბევრი რამ ისეთი ხდება, რომელსაც შეგეჩვიეთ და ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია. მაგრამ, თუკი რამე უჩვეულო ან საკვირველი შეგვხვდა, მას საოცრებად ვნათლავთ. რომელიმე მეცნიერმა თავის ლაბორატორიაში ცოცხალი არსების მოჩვენებით სიკვდილს რომ მიადწიოს და შემდეგ ეს აღმოჩნა მათემატიკური, ფიზიკური, ქიმიური ფორმულების საშუალებით წერილობით დაასაბუთოს, ან ფაქტის სისწორეში ეჭვი არავის შეეპარება. დღეს ადამიანი თავისი სიდიდით არის დაბრმავებული, თავისი აღმოჩენებისა და გამოგონების გამო ბუნებას არაფრად ავადებს. თავისი თავი უმაღლეს არსებად მიაჩნია, დარწმუნებულია, რომ ბუნების ყველა საიდუმლოებას ჩაწვდა, სინამდვილეში კი იგი უძლურია. ქედმაღლობის გამო ადამიანი თავისი ცოდნის ტყვეობაშია და სურს, რომ ბუნების ყველა მოვლენა საკუთარი ფორმულებით ახსნას. ადრე ადამიანებს მეტი უბრალოება და თავმდაბლობა ახასიათებდათ, სწამდათ, რომ არსებობს სასწაული, ამიტომაც მრავალი საოცრების მომსწრენი იყვნენ. მინდა მოგახსენოთ, რომ ადამიანები ბევრად უფრო ახლო იდგნენ ბუნებასთან, მის კანონებთან და უფრო უკეთ იყენებდნენ თავის სასარგებლოდ მის შეუცნობად ძალებს. ეს ისე არ გამოიკვეთა, თითქოს მე თანამედროვე ზუს-

ტი მეცნიერების წინააღმდეგი ვიყო. პირიქით, დარწმუნებული ვარ, რომ ბუნების რაც უფრო საოცარ მოვლენასთან გვაქვს საქმე, მით უფრო ბუნებრივი და მატერიალურია იგი და დაკავშირებულია ბუნების იმ კანონზომიერებასთან, რომლის შეცნობაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ამ სიჭინის მიღმა ყველაფერი სასაცილო და დაუჩვენებელია.

— რა საერთო მაქვს თქვენს თეორიებთან, — თქვა გორსთმა. — შეიძლება უპრეცედენტო ფაქტთან გვაქვს საქმე, მაგრამ თუ ჩვენი ცდა წარმატებით არ დაგვირგვინდა, რაშიც ეჭვი არ შეპარება, მაშინ ხვალ ჩვენი მძღოლისა და მუშების ყბაში ჩავეარდებით და ყველას ჩვენი ამბავი ეკერება პირზე.

— ამაზე მეც ვიფიქრე და მძღოლი დავითხოვე, ხვალ კვირაა და არც მუშები იქნებიან. სამივემ ერთად ვიმოქმედეთ. ანდერძის მიხედვით კუბო საწოლ ოთახში უნდა იდგეს და დარბაზისაგან ფარდა ჰყოფდეს. როცა თქვენი დახმარება აღარ იქნება საჭირო პავემანზე შევიძლიათ წასვლა. თუ სურვილი გქნებათ აქვე დარჩით და ჩემს მოქმედებას უხმოდ აღევნეთ თვალყური.

— ისიც უნდა გაითვალისწინოთ, — შეახსენა გორსთმა, — იმ დროს ამ ცერემონიალის ჩასატარებლად განსაკუთრებული პირობების შექმნა იყო საჭირო, ახლა კი ბევრი რამ დავიწყებას მიეცა.

— შეძლებისდაგვარად ყველაფერი შევისწავლე, — უპასუხა უორნერმა, — გულდაჭერებულმა, რწმენით აღსავსე აღამიანმა უნდა წრე შემოავლოს, შიგ ჩადგეს და ხმაბალა წაიკითხოს ჯადოსიტყვა. ეს პირობები აუცილებლად უნდა იყოს დაცული, რადგან მისწობაში სიტყვის ძალასა და რწმენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიიჩნეულ.

— უნდა გამოგიტყდეთ, — სთქვა გორსთმა, — ეს მე ცოტა არასერიოზულად მეჩვენება, მაგრამ მაინც დავრჩები.

ვასშობის შემდეგ დოქტორმა უორნერმა და მისმა კოლეგებმა სურველი დიდი ტანჯვა-წვალების შემთხვევაში წოლი ოთახის კარებთან. უორნერმა მუშის წინ სანთელი აანთო, რომელსაც ბოლოში რაღაც შავი ჰქონდა მიკრული; საჩოფაგიდან ბრინჯაოს სასაქმევლე ამოიღო და დარბაზში კარებზე ფარდა ჩამოჰკიდა! ფრიმენმა ხალიჩა გადასწია და სასაქმევლე აანთო. უორნერს წინდაწინ თადარიგი დაეჭირა; საცეცხლურზე საქმეველი დაეყარა და ახლა საქმევლის კმევა დაიწყო. მთელ სახლში სურნელება დატრიალდა. დოქტორმა იატაკზე ნახშირით წრე შემოხაზა, ჯიბიდან ტყავის გრაგნილი ამოიღო, სასაქმევლესთან დადგა და ხმაბალა ჯადოსიტყვის კითხვა დაიწყო. დარბაზში სკამებზე ჩამოქდარი გორსთი და ფრიმენი ამ სცენას უხმოდ უთვალთვალდნენ, მათ ფეხთით ინგას ეძინა.

უორნერი დამარცვლით წარმოსთქვამდა იმ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობაც არ ესმოდა. კითხვით გართულ უორნერს ისე ჩაუვარდა საცეცხლურში გეომეტრიული ფიგურებით მოხატული ავგაროზი რომ არც კი შეუშინებია. ბოლითა და კეთილ-სურნელებით გაბრუნებული უორნერი ბურანში იყო გახვეული, თავბრუ ეხვეოდა, ნერვიული დამბულობისა თუ შიშისაგან კანკალი აუვარდა, ხმა აღარ ემორჩილებოდა, თვალთ დაუბნელდა.

უეცრად ინგა რომელიც პატრონის ფეხთით მშვიდად იწვა და თვლემდა, წამოვარდა და კარს ღმუილით ეცა. გორსთი საყელოში სწვდა და მაგიდის ქვეშ ძლივს დააწვინა. ინგა ვერ ისვენებდა, ხტუნავდა, ოთახიდან გავარდნას ლამობდა. ამ დროს უორნერმა აკანკალებული ხმით რამდენიმე გაუგებარი სიტყვა წარმოთქვა. უეცრად მეტისმეტი ნერვიულობისა და ბოლისაგან უორნერს თავბრუ დაეხვა და წაიქცა, გორსთმა და ფრიმენმა იგი წამოაყენეს და სავარძელში ჩასვეს.

როგორც კი ავგაროზი ცეცხლში ჩაეკარდა, სიმუხია აკანკალდა, ცხვირის-

ცემინება აუტყდა, თავი წამოყო, სარკოფაგიდან ადგა, ფანჯარას მიუახლოვდა, გამოალო და გარეთ გადაძვრა. შავგერემანი, მაღალი, გამხდარი კაცი დინჯად მიაბიჯებდა სოფელ დასთ ხეზრისაკენ მიმავალ გზაზე.

მსუბუქი ნიავი ქროდა. ცას თითქოს ბრჭყვილა ფურცლოვანი ტყვიის სახურავი ედგა თავზე, მიღებული მთვარე ცივი, უსიციოცხო თვალებით დასცქეროდა მთასა და ბარს. რომელსაც ამ ქვეყნის არაფერი ეცხო. მარჯვნივ, უძველესი დროიდან შემორჩენილი ერთადერთი შენობა, შავი ფილებით ნაგები, ჯამშიდის ტაბტის კარიბჭე ჩანდა. ყველაფერი გადათხრილი იყო. სიმუვიას მაღალი ჩრდილი მისდევდა უკან. ამ დროს დარბაზიდან ინგას ღმუილი გაისმა. სიმუვიას თითქოს უხილავი ძალა მართავსო, ფეხიც არ შეუწუნლებია, კვლავ დინჯად განაგრძობდა.

თითქოს მთვარის შუქმა თვალი მოსჭრაო, თავჩაქინდრული მიწას ჩაშტერებოდა, არც ის ცვლილება შეუმჩნევია, რაც უძველესი დროიდან დღემდე მომხდარა. გონს ვერ მოსულიყო, წითელ ღვინოს, ხორშიდმა რომ მიაწოდა, ძალა კიდევ არ დაეკარგა.

სოფელ დასთ ხეზრისა და ბარამ დელაქში აქა-იქ სინათლე აციმციმდა, მაგრამ სიმუვია ვერაფერს ხედავდა, თავის სიციოცხლის უკანასკნელი წუთები ახსენდებოდა. სიამტკბილობითა და მგზნებარე ენებებით აღსავსე. ცხოვრება გაიხსენა. ახლა თითქოს თავის საბრძანებელში მიაბიჯებდა. მისი ფიქრი ხორშიდს დასტრიალებდა თავს, გაიხსენა მასთან პირველი შეხვედრა. იმ დღეს ამაღასთან ერთად სანადიროდ იყო წასული. კარავში დასასვენებლად შესულ, მშვიერ და დაღლილ სიმუვიას თვალცეცხლია და პირში გლეხის გოგო გამოეცხადა. წითელი დაქმუქნული კაბის უბე ლიმონებივით ამობურცულ მკერდს ვერ ფარავდა, თავშალზე ოქროს ფულები ეკერა. ფართო შარვალში გამოწყობილმა ხორშიდმა ქიდან

ტყავის გუდით ჩაიციებულ დო ამოილო და მიმზიდველი ღიმინის სიმუვიას მიაწოდა. სიმუვიამ დალია და სიციოცხად გუდას უკან უბრუნებდა, ქალიშვილის ხელს წაეტანა, ხელი მოუჭირა. კბილებბროლა ხორშიდი მოხდენილად დაუსხლტა ხელიდან. გაუღიმა და ჰკითხა.

— გული გადაგიქანდა?

რა იცოდა ქალიშვილმა თუ ოლქის გამგებელს ელაპარაკებოდა. მისი სიტყვები სიმუვიას გულზე მოხვდა. აქი მისანმა ურჩია სიმუვიას უბიწო ქალიშვილთან კავშირი ახალგაზრდობასა და ძალას შეგინარჩუნებსო. წარჩინებული ოჯახებიდან გამოსული არცერთი ქალიშვილი არ მოწონდა.

ასეთი იყო სიმუვიას გამიჯნურების ამბავი. ამ დროიდან მოყოლებული მისი ფიქრი და გონება სულ ამ სოფლის გოგოს დასტრიალებდა თავს, ისე, რომ თავის პირველი ცოლის, გურანდუხტისადმი მიცემული სიტყვაც კი დაივიწყა. ხორშიდს საჩუქრებს უგზავნიდა. შურით აღვსილი პირველი ცოლი ხორშიდს მიწასთან ასწორებდა, ცოლს სწამებდა, მოკვლითაც დაემუქრა, მაგრამ სიმუვიას გადაწყვეტილება ურყევი იყო. მან ხორშიდს მაქანკლები მიუგზავნა და შემდეგ ზარზემით იქორწილა მასთან.

ქორწილის ღამეს სიმუვია ბარამ დელაქში მივიდა. ყველაფერი გამიზრადნებული იყო, სტუმრები მხიარულობდნენ, ტაშფანდურა გაეჩაღებინათ, ცეკვაედნენ, ღვინოს შეექცეოდნენ ცეცხლის ალზე მოქეიფეების ნაბახუსევი სახეები საშინელი შესახედავი იყო. სიმუვია ერთი წუთით არ მოსცილებია ხორშიდს, თავს ევლებოდა, საზის დამკვრელებიც მოინახულეს. ძვირფასი ქვებით მოოჭვილი კაბით დამშვენებული ხორშიდი კუნძზე იჯდა. ხეს მოფარებულმა სიმუვიამ რამდენჯერმე დაუძახა ხორშიდს. ქალიშვილმა მოხდენილად მიაწოდა წითელი ღვინით საესასმისი, სიმუვიამ წელზე ხელი მოხვია და ისინი ხეებს მიეფარნენ. სიმუვია ხეს მიეყრდნო, თვალდახუჭული, აცახ-

ცახებული ხორშიდი გულში ჩაიკრა, დაკლილი სასმისი შორს გადაავდო და ქალიშვილის ტუჩებს მიეტანა, ხორშიდი კი მას ყელზე ეამბორობოდა. ღვიწრო სწრაფად მოეკიდა, მთელ ტანში დაუარა, ფეხი არ ემორჩილებოდა, სიცივემ აიტანა, გონება დაჰკარგა. ამის მერე რა მოხდა აღარ ახსოვდა.

ახლა თითქოს გამოფხიზლდა კიდევ. მაგრამ თავში ისევ ღვიწრო ჰქონდა გამჭვდარი, აზროვნების ძაფი უწყდებოდა, თვალთ უბნელდებოდა, მთელი მისი არსება ხორშიდისადმი სიყვარულით იყო შეპყრობილი.

ამ ლერწამტანა თვალციმციმა ქალიშვილის აღერსი სწყუროდა, მუსიკის, სინათლისა და ცის ლაქვარდისაკენ მიიღტვოდა. მეჭორწილე საზანდრებოს შორეული ხმები მის სმენას კვლავ ატკობდნენ. სიმუვიას გონებაში აჩრდილივით გაიელვეს ცეცხლის გარშემო მოცეკვავე მონებმა, თითქოს მათი ყაყანი და ფეხის ხმაც ესმოდა. სიმუვიას კი კვლავ ხორშიდს ეძებდა, მისი სახე თვალწინ ედგა.

გნებაშლილი წელგამართული სიმუვიას მტკიცედ მიაბიჯებდა დასთ ხეზრიდან ბარამ დელაქში მიმავალ გზაზე, უკან კი გრძელი ჩრდილი მისთრევდა.

გორსთისა და მისი კოლეგებისათვის ბარამ დელაქში ჩამოსული ქალები წყლის პირას ყასემის მიერ გაშლილ სუფრას მოსხდომოდნენ, ოდნავ შექეფიანდნენ. ხორშიდი კუნძზე იჯდა. ხალიჩაზე წამოწოლილი ქალი რაღაც სიმღერას ღიღინებდა, მათი მესამე ამხანაგი ქალი მუსიკოსებს ელაპარაკებოდა და წამდაუწუმ საათს დასცქეროდა. ბოლოს მან მოთმინება დაჰკარგა და ხორშიდს უთხრა:

— ისინი არ ჩანან, სანამ ველოდოთ, დავიწყოთ ვახშობა.

— ჯერ აღრეა, — უპასუხა ხორშიდმა.

— ესეც შენი ფერენგი! ამბობენ სიზუსტე მათი მოგონილიაო!

— გორსთი სიტყვის პატრონია, დანაბრებს შეასრულებს.

— ეს ნამუსგარეცხილი ტქროს მუძიებელი მშვიერი ფერენგები არ არიან?

— კარგი ერთი გეყოფა, — შეაწყვეტინა ხორშიდმა. ერთი კვირის წინათ მოხთარამმა დაიჩემა და გათხრები მოვიწახლეთ. ოცდაათი, არა, ორმოცი კაცი გორსთის ზედამხედველობის ქვეშ მიწას თხრიდა. ოქროს დალაღობიანი გორსთი ფერენგების თოჯინას ჰგავდა. ახლა აქ მოვა და ნახავ, რომ მართალი მითქვამს. მზეზე იხრუტებოდა, შემეცოდა, როცა დამინახა გამიცინა. ყასემს, მათ მსახურს, ვთხოვე, რომ ჩემგან მოკითხვა გადაეცა. უკვე ოთხჯერ შევხვდი ერთმანეთს, პირი არასდროს არ უტეხია.

— კარგი, კარგი. მათი სილამაზით დატკობა ვის აინტერესებს.

— ფული ან რამე თუ გააჩნიათ?

— ნუთუ არ მითქვამს? გათხრების დროს უთვალავი ოქრო და ძვირფასეულობა იპოვნეს. სამარხში აღმასები, ძვირფასი ქვები, ოქროს მონეტებით საცხე შვიდი ქოთანი იყო. თუ არა გჯერა, ყასემს ჰკითხე.

— თუ მოსვლას არ აპირებდნენ, აღრე მაინც მცოდნოდა... ერთ კაცთან პაემანი მქონდა.

— რა? შენი ჭუჭა ჯავადი გორსთის ფრჩხილად აღარ ღირს.

— კარგი, კარგი, ნუ შეგვჯამე შენი გორსთით, ცოტა იმ ორზეც გვითხარი რამე.

— არა უშავთ, ერთ-ერთ მათგანს ვიცნობ.

ხალიჩაზე წამოწოლილმა ქალმა ღიღინი შეწყვიტა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— აფერუმ თქვენს მოთმინებას! თუ სურვილი ექნათ, მოვლენ, თუ არა და კარგად იყვნენ. — შემდეგ საზის დამკვრელს მიუბრუნდა:

— რაჰიმ ხან, შენი ხელების ჭირიმე, ერთი კარგი რამ დაუქარი.

1 ფერენგის ირანში ევროპელებს უწოდებენ.

წითურმა რაჰიმ ხანმა მორჩილებს
ნიშნად თავი დახარა, მაშინვე საზი ააწ-
ყო, ძველებური მელოდია გაისმა. იქვე
მჭლომმა ტანდაბალმა ჩოფურა კაცმა
დოლი აახმინა და ჯაპრომული¹ სიმღე-
რა წამოიწყო:

მალღ შთების სტუმარი ვარ,
ჩემო ტკბილო მეგობარო.
მე ყველაფრის მნახველი ვარ,
ჩემო ტკბილო მეგობარო.
კიდევ ერთ ღამეს მოვიციდო,
ჩემო ტკბილო მეგობარო.
ხელ კი ნაღველს გადავიყარო,
ჩემო ტკბილო მეგობარო.
შენი სიყვარულით ვდნები, შენ არ იცი.
შთაზე ვინმეს მივაკითხავ,
ჩემო ტკბილო მეგობარო.
ჩანგის კენესა, ვაჟის მღერა, მოისმინე,
ჩემო ტკბილო მეგობარო,
საყვარელო, სათაყვანო,
შენს ბავსთან მომე ბინა
საყვარელო.

ქალებმა გადაიციციეს, სასმისები
აავსეს, ერთმანეთს ჯანმრთელობა
უსურვეს. ხორშიდმა ჭიქა მალლა ასწია
და გორსთი აღდევრძელა.

უეტრად ხეებს შუა გაიელვა მაღალი
ოჭრომკედით ნაკერ ტანისამოსში გა-
მოწყობილი კაცის აჩრდილმა, რომელ-
საც თვალები უბრწყინავდა. იგი ხეს
მოეფარა, თავი დაბლა დახარა და და-
ბალი ხმით დაიძახა: „ხორშიდ, ხორ-
შიდ!“ გორსთის ხმას ჰგავდა. ხორშიდ-
მა ჭიქა ღვინით გაავსო და გაიქცა იქით,
სადაც ხუმრობის გუნებაზე მოსული
გორსთი ეგულებოდა. როცა ბნელ ფი-
გურას მიუახლოვდა, ხორშიდს ვილა-
ცის გაძვალტყავებულმა ხელმა სასმისი

ჩამოართვა, მეორე ხელი კი წელზე შე-
მოეკლო. ხორშიდი უცნობს ყელსაბამ-
ში ჩააფრინდა. როცა ამ საშინელმა არ-
სებამ სასმისი დაცალა, ქალმა თვალები
დახუჭა, დაიკვილა, ტუჩი ისე მოიკე-
ნიტა, რომ სისხლმა იწვიმა. სიმუფია
სწრაფი და მოუთმენელი მოძრაობით,
თითქოს სისხლის ამოწოვა სურსო,
ხორშიდის კისერს მიეტანა. ღვინომ და
ქალის ყვირილმა სიმუფია გამოაფხიზ-
ლა. თითქოს გონს მოვიდა. ზოგი რა-
მე მისთვის ნათელი გახდა. ეს ქალი
ხორშიდს ძალიან ჰგავდა, თუმცა იგი
სიმუფიას შიშის გამო დანებდა, მაგრამ
ყელსაბამიდან ხელი ვერ გააშვებინა.
მხოლოდ ყელსაბამი ანტერესებდა?
ადრე, წინა ცხოვრებაში ხორშიდს იგი
ხომ უყვარდა? დღემდე ხორშიდს ელო-
და ამ შეხვედრის საოცარი იმედი
ასულდგმულებდა.

სიმუფიამ უცებ გაუშვა ხორშიდს ხე-
ლი და თითქოს საყრდენი გამოეცალაო,
მოცელილივით დაეარდა მიწაზე.

კომმარული შემადრწუნებელი სანა-
ხაობიდან თავდახსნილმა ხორშიდმა კი-
დევ ერთხელ შეჰკვილა და გონება
დაჰკარგა. ამ დროს გორსთი და მისი
კოლეგებიც მოვიდნენ. სიმუფიას წა-
მოყენება მოინდომეს, მაგრამ იგი
მტვრად ქცეულიყო, აკრიფეს ძვირფა-
სეულობა, სატევარი, ტანისამოსი, რო-
მელსაც ღვინის დიდი ლაქა აჩნდა და
შინ დაბრუნდნენ.

სალამოს დოქტორმა უორნერმა ეს
ნივთები გულმოდგინედ დანომრა და
დაეთარში გაატარა.

* ჯაპრომი — ქალაქი ფარსის პროვინციაში.



3. ბრეჰეძე

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომლის 50 წლისთავის წარმატებით აღსანიშნავად კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხთან ერთად ემზადებიან მთელი მსოფლიოს მშრომელები, პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის პრაქტიკული განხორციელების კლასიკური ნიმუში და მისი სისწორის პრაქტიკული დადასტურებაა.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა აღმოაჩინეს საზოგადოების განვითარების კანონები და დაასაბუთეს, რომ კაპიტალიზმი ამწეავენ წინააღმდეგობას საწარმოო ძალებსა და წარმოებრივ ურთიერთობას შორის, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს, იმპერიალისტურ და კოლონიურ ქვეყნებს შორის და თვითონვე ქმნის თავისი გარდუვალის დაღუპვის პირობებს. მაგრამ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოღვაწეობის ეპოქაში კაპიტალიზმის განვითარება კვლავ აღმაველი ხაზით მიდიოდა, ჯერ კიდევ არ იყო მსოფლიოს განაწილება დამთავრებული მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის და შეუძლებელი იყო სოციალიზმის გამარჯვება ცალკე აღებულ ქვეყანაში. ამიტომ ისინი მივიდნენ დასკვნამდე; ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ყოველ შემთხვევაში, ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთსა და გერმანიაში სოციალისტური რევოლუციის ერთსა და იმავე დროს გამარჯვების შესახებ.

სრულიად სხვაგვარი ვითარება შეიქმნა ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის ეპოქაში. XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს კაპიტალიზმი გადაიზარდა თავის უმაღლეს და უკანასკნელ ფაზაში — იმპერიალიზმში, ე. ი. აღმავეალი კაპიტალიზმი გადაიქცა მომაკვდავ კაპიტალიზმად, სოციალისტური რევოლუციის წინაღულდ. იმპერიალიზმის მარქსისტული ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა კაპიტალიზმის უთანაბრო, ნახტომისებური განვითარების კანონი და მივიდა დასკვნამდე, რომ საესებით შესაძლოა პროლეტარიატის მიერ იმპერიალისტური ფრონტის გაქვის გაწყვეტა თავდაპირველად ყველაზე სუსტ რგოლში, ე. ი. იქ, სადაც ობიექტური და სუბიექტური პირობები სოციალისტური რევოლუციისათვის უფრო მომწიფებულია, რომ ერთსა და იმავე დროს რევოლუციის გამარჯვება ყველა ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის გამო შეუძლებელია.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის შემუშავებაში უმნიშვნელოვანესი როლი შესარულეს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სახელმძღვანელო იდეებმა განუწყვეტელი (პერმანენტული) რევოლუციისა და მუშათა კლასის ბრძოლების გლეხთა ომებთან დაკავშირების, პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალი სახელმწიფოს დამყარების აუცილებლობის შესახებ.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორე ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ მეცნიერულად დაასაბუთა პროლეტარიატის ჰეგემონია, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის მნიშვნელობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, ჩამოაყალიბა ამ რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის თეორია და მოგვცა ძირითადი ელემენტები, მოამზადა ნიადაგი თავდაპირველად ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის თეორიის შესამუშავებლად.

ვ. ი. ლენინი 1915 წელს პირდაპირ წერდა: „ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლოა რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში“ (ტ. 21, გვ. 417).

ერთი წლის შემდეგ ვ. ი. ლენინმა ეს საკითხი კიდევ უფრო დააკონკრეტა და ხაზგასმით აღნიშნა: „კაპიტალიზმის განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში უაღრესად უთანაბროდ ხდება... აქედან — გარდუვალი დასკვნა: სოციალიზმს არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს გაიმარჯვოს ყველა ქვეყანაში. იგი თავდაპირველად გაიმარჯვებს ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში, ხოლო დანარჩენები რამდენიმე ხნის განმავლობაში დარჩებიან ბურჟუაზიულ ან წინაბურჟუაზიულ ქვეყნებად“ (ტ. 23, გვ. 93-94).

ასე ჩამოაყალიბდა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია, რომელიც წარმოადგენს პროლეტარული რევოლუციის მარქსისტული მოძღვრების ორგანიულ გავრცელებას, მის შემდგომ განვითარებასა და ახალ ეტაპს.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია გამოდის იქიდან, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში უკიდურეს საზღვრამდე მწვედებოდა ანტაგონისტური წინააღმდეგობანი კაპიტალისტური ქვე-

ყნების შიგნით, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, კოლონიებთან და მეტროპოლიებს შორის, იზრდება პროლეტარიატისა და საერთოდ ექსპლოატორებელი მასების, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგრულ ხალხთა აღშფოთება კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

სოციალისტური რევოლუციის ამ ახალი თეორიით ვ. ი. ლენინმა შეცვალა საერთაშორისო რევოლუციის განვითარების სქემა. ამ თეორიის მიხედვით რევოლუცია იწყება არა აუცილებლად იქ, სადაც მეტია ცივილიზაცია, უფრო განვითარებულია მრეწველობა და ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს პროლეტარიატი, არამედ იქ, სადაც იმპერიალიზმის ფრონტის ჯაჭვის რგოლი უფრო სუსტია, სადაც რევოლუციის ძალები უფრო ძლიერია კონტრრევოლუციის ძალებზე. ამასთან შესაძლოა რევოლუციის დამწყები ქვეყანა კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებულიც იყოს.

ამრიგად, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის ფასდაუღებელი მნიშვნელობა მხოლოდ ის კი არაა, რომ მან ახალი თეორიით გაამდიდრა, წინ წასწია, შემდგომ განვითარება მარქსიზმი, არამედ ისიც, და ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამ თეორიამ რევოლუციური პერსპექტივით შეაიარაღა ცალკეული ქვეყნის პროლეტარიატი, განუვითარა მათ ინიციატივა თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ იერიშის მისატანად და განუმტკიცა რწმენა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისადმი.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის მართებულობა, მისი ძალა და ცხოველმყოფელობა შემოწმებულია უშუალო პრაქტიკით, ნახევარსაუკუნოვანი მდიდარი ისტორიული გამოცდილებით.

1917 წელს მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვი ყველაზე სუსტი აღმოჩნდა რუსეთში და სწორედ აქ გაწყდა იგი. რუსეთის პროლეტარიატმა

მრავალმილიონიან ექსპლოატირებულ გლეხობასთან მტკიცე კავშირით დაამხო კაპიტალიზმი და უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა და რუსეთის კონტრრევოლუციამ სამხედრო ინტერვენცია, საბილაშქრობა მოაწყვეს და სამოქალაქო ომი გააჩაღეს საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ 1918-1920 წლებში. ეს იყო სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის სისწორის პირველი შემოწმება. მაგრამ ამ თეორიით შეიარაღებულმა კომუნისტურმა პარტიამ და მუშათა კლასმა, მთელმა მშრომელმა ხალხმა საერთაშორისო პროლეტარიატის მხარდაჭერით სასტიკად დაამარცხეს მტრები და უზრუნველყვეს სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

1941-1945 წლებში საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციულმა ძალებმა ფაშისტური გერმანიის მეთაურობით კვლავ სცადეს სოციალიზმის მოსპობა, მაგრამ გამარჯვებულმა სოციალიზმის ქვეყანამ გამოიყენა თავისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, საბჭოთა შეიარაღებული ძალების უპირატესობანი, აგრეთვე იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის ამჟინვარე წინააღმდეგობანი, დიდი სამამულო ომის სამსახურში ჩააყენა ყველაფერი და უზრუნველყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება. სოციალისტური რევოლუციის ლენინურმა თეორიამ არამც თუ გაუძლო მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს გამოცდას, არამედ ახალი გამარჯვება მოიპოვა ევროპისა და აზიის მნიშვნელოვან ნაწილში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობისა და სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი, მთელ მსოფლიოში მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების აღმავლობა და იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრახი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ცხოველყოფილობისა და უძლეველო-

ბის ახალი დადასტურება, ნამდვილი ტრიუმფია.

რუსეთის სამი რევოლუციის განსაკუთრებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მდიდარი გამოცდილების მეცნიერული განზოგადების საფუძველზე ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა სახელმძღვანელო დებულებები რევოლუციური პროცესის კანონზომიერებათა შესახებ, რომელთა გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეპოქაში, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რაც დაიწყო ოქტომბრის რევოლუციით. ისეთმა ძირეულმა საკითხებმა, როგორც არის რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობა, პარტიის ხელმძღვანელი როლი რევოლუციურ მოძრაობაში, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ურთიერთკავშირი, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდასვალის ფორმის სხვადასხვაობა, მასების აღზრდა თავიანთი გამოცდილებით და ა. შ. შემდგომი განვითარება პოვეს ვ. ი. ლენინის ოქტომბრის შემდგომი დღეული ნაწარმოებებში, მოხსენებებსა და სიტყვებში. მაგალითად, 1920 წელს თავის ისტორიულ ნაწარმოებში „გამარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნისტში“ ვ. ი. ლენინი წერდა:

„რევოლუციის ძირითადი კანონი, რომელიც დადასტურა ყველა რევოლუციამ და კერძოდ რუსეთის სამივე რევოლუციამ XX საუკუნეში, შემდეგში მდგომარეობს: რევოლუციისათვის არ ემარა. — ექსპლოატირებულმა და ჩაგრულმა მასებმა შეიგნონ, რომ ძველებურად ცხოვრება შეუძლებელია და ცვლილება მოიპოვონ, რევოლუციისათვის აუცილებელია, რომ ექსპლოატორებს აღარ შეეძლოთ ძველებურად იცხოვრონ და მართონ. მხოლოდ მაშინ, როცა „ქვედა ფენებს“ აღარ სურთ ძველი და როცა „ზედაფენებს“ აღარ შეუძლიათ ძველებურად, მხოლოდ მაშინ შეიძლება რევოლუციის გამარჯვება... მაშა-

სადამე, რევოლუციისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, მივადწიოთ იმას, რომ მუშებრის უმრავლესობამ (ან ყოველშემთხვევაში შეგნებული, მოაზროვნე, პოლიტიკურად აქტიური მუშების უმრავლესობამ) საესებით შეიგნოს გადატრიალების აუცილებლობა და მზად იყოს სიცოცხლე გასწიროს მისთვის; მეორე, რომ მმართველი კლასები განიცდიდნენ მთავრობის კრიზისს, რომელიც ყველაზე ჩამორჩენილ მხარეებსაც კი ითრევეს პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე მთავრობას და რევოლუციონერებისათვის შესაძლებელს ხდის მის სწრაფად დამხობას“ (ტ. 31, გვ. 88-89).

ვ. ი. ლენინის ამ სიტყვების შემდეგ ყველასათვის ცხადია, რომ ცილისმწამებლურია ბურჟუაზიული იდეოლოგიების მტკიცება, თითქოს სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია იყოს მარქსიზმის ვოლუნტარისტული ინტერპრეტაცია. ყალბია პარიზის უნივერსიტეტის პროფ. ა. პეტრის აზრი, თითქოს ლენინის მიხედვით კომუნისტები ნაკლებ ფიქრობენ რევოლუციის ობიექტურ პირობებზე, „ეკონომიური წინააღმდეგობების სტიქიურ აფეთქებაზე და მეტ იმედებს ამყარებენ პოლიტიკურ მოქმედებაზე. დეტერმინიზმი ადგილს უთმობს ვოლუნტარიზმს“. რევოლუციის „ამზადებენ ისევე, როგორც ომს“. ასევე პრაგმატიკი სიდნი ჰუკი წერს: „კომუნისტები არ არიან სოციალისტური რევოლუციის დაბადების მომლოდინე ბებიკალები. ისინი რევოლუციის ინფორმები ანუ პროფესიონალური სპეციალისტები არიან ყოველთვის და ყველგან“ (ციტ. ჟურნალიდან „ეოპროსი ისტორიი კასს“, № 8, 1965, გვ. 65.).

ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო დებულებები სოციალისტური რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შესახებ საფუძვლად დაედო საერთაშორისო მუშათა კლასისა და ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიების სტრატეგიასა და ტაქტიკას.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიასა და ტაქტიკას უკრძალავდნენ კომინტერნის III და IV კონგრესებმა (1921 და 1922 წწ.) დაგმეს მომემარტებნო, სექტანტური ტენდენციები საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში და წამოაყენეს ბრძოლის ისეთი კონკრეტული ფორმები, როგორც არის მუშათა ერთიანი ფრონტი, პროლეტარიატის ინტერესებისათვის ბურჟუაზიული დემოკრატის ინსტიტუტების გამოყენება, მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი და სხვ. კომინტერნის VII კონგრესმა (1935 წ.) შეიმუშავა ყველა დემოკრატიული და პროგრესული ძალების გაერთიანების ახალი ფორმა — სახალხო ფრონტის ტაქტიკა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლაში და სახალხო-დემოკრატიული რევოლუციებისათვის მასების მოსამზადებლად.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის ახალ პირობებში შემოქმედებით განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მომმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების ყრილობებმა, კონფერენციებმა და კომუნისტების საერთაშორისო თათბირებმა. რომლებიც 1957 და 1960 წლებში შეიკრიბა მოსკოვში.

თანამედროვე ეპოქის განვითარების მსვლელობა მთელი სიცხადით ადასტურებს, რომ მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის განვითარების ლენინური გზა — ეს არის „პროლეტარიატის დიქტატურის გადაქცევა ეროვნულიდან (ე. ი. ქვეყანაში არსებულიდან, რომელსაც ამის გამო არ ძალუძს განსაზღვროს მსოფლიო პოლიტიკა) ინტერნაციონალურ მოვლენად (ე. ი. ყოველ შემთხვევაში რამდენიმე მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატის დიქტატურად, რომელსაც უნარი ექნება გადაამწყვეტი გაელენა მოახდინოს მთელ მსოფლიო პოლიტიკაზე“ (ტ. 41, გვ. 165).

სოციალიზმის გამოსვლა ერთი ქვეყნის, ე. ი. სსრ კავშირის ფარგლებიდან და მისი გადაქცევა მსოფლიო სისტემად საერთაშორისო მუშათა კლასისა და ყველა ქვეყნის მშრომელი მასების უდიდესი მონაპოვარია. ეს არის ახალი ეტაპი მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის განვითარებაში. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც მოიცავს დედამიწის მოსახლეობის მესამედზე მეტს, იქცევა საზოგადოებრივი პროგრესის გადამწყვეტ ფაქტორად და მას შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს მთელ მსოფლიო პოლიტიკაზე, ალაგმოს აგრესორები და შეუძლებელი გახადოს მესამე მსოფლიო ომის გაჩაღება.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნები მსოფლიო რევოლუციური პროცესის წამყვანი ძალაა. ამ ქვეყნების ხალხები მსოფლიო მშრომელების წინაშე ასრულებენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას იმით, რომ აშენებენ სოციალიზმს, კომუნიზმს. კისრულობენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სიმძიმეს და ყოველმხრივ განამტკიცებენ საერთაშორისო რევოლუციის ძალებს.

მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაში იმპერიალისტური ქვეყნების მუშათა კლასმა უნდა შეასრულოს კაპიტალისტური წყობილების შიგნიდან დანგრევის ისტორიული მისია. ამიტომ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატისა და კომპარტიების ბრძოლის გამოცდილებას, მათ მიერ სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის შემოქმედებითად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი რევოლუციური მოძრაობისათვის.

ჩვენს დროში ყველაზე უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზია, რა თქმა უნდა, თავისი ინტერესებისათვის აქცევს მონოპოლისტურ კაპიტალიზმს **სახელმწიფო-მონოპოლისტურ** კაპიტალიზმად და ამით რგი თავის უნებლიეთ

ამზადებს სოციალიზმის მატერიალურ წინამძღვრებს. ვ. ი. ლენინი კერძოდვე 1917 წლის სექტემბერში „წიგნის“ სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი სოციალიზმის უაღრესად სრული **მატერიალური** მომზადებაა, მისი **კარიბჭეა**, ისტორიული კიბის ის საფეხურია, რომლის შუა და სოციალიზმად წოდებულ საფეხურს შუა არავითარი შუათანა საფეხური არ არის“ (ტ. 25, გვ. 438).

იმპერიალიზმმა XX საუკუნის პირველ ნახევარში ორჯერ ჩააგდო კაცობრიობა გამანადგურებელ ომში და იგი ახლა კიდევ უფრო საშინელ ხოცვა-ელეტას ამზადებს, ქმნის მესამე მსოფლიო ომის კერებს მსოფლიოს მრავალ რაიონში. მაგრამ ეს იწვევს ხალხთა აღშფოთებას აგრესორთა წინააღმდეგ, აღიიერებს მშვიდობის ფრონტს, რაც ერწყმის დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებისათვის, იმპერიალიზმზე კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის გამარჯვებისათვის.

მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის განვითარებისა და გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ვ. ი. ლენინი კომინტერნის III კონგრესზე მოხსენებაში „რკპ ტაქტიკის შესახებ“ აღნიშნავდა: „მილიონები და ასეული მილიონები, — ფაქტიურად დედამიწის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობა, — ახლა გამოდიან როგორც დამოუკიდებელი აქტიური რევოლუციური ფაქტორები. და სრულიად ცხადია, რომ მსოფლიო რევოლუციის მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის მოძრაობა, თავდაპირველად ეროვნული განთავისუფლებისაქენ მიმართული, პირს იბრუნებს კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, და, იქნებ, მან გაცილებით მეტი რევოლუციური

როლი შეასრულოს, ვიდრე ჩვენ მოველით“ (ტ. 32, გვ. 614).

ოქტომბრის რევოლუციამ გამოადი-
და კოლონიებისა და დამოკიდებული
ქვეყნების ხალხები და ჩააბა ისინი
მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის
საერთო ნაჯადში. საბჭოთა კავშირის
ისტორიულმა გამარჯვებამ მეორე
მსოფლიო ომში, სახალხო დემოკრა-
ტიული წყობილებების დამყარებამ ევრო-
პისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში,
სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექ-
მნამ უაღრესად დააჩქარა, გააძლიერა
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-
რაობა, რამაც განაპირობა იმპერიალიზ-
მის კოლონიური სისტემის დაშლა და
70-მდე დამოუკიდებელი სახელმწიფოს
წარმოშობა, რომელთაგან ზოგი უკვე
დაადგა არკაპიტალისტური განვითა-
რების გზას და კაპიტალიზმის სტადიის
გვერდის ავლით ცდილობს სოციალიზ-
მისაკენ წინსვლას.

ამრიგად, საერთაშორისო მუშათა
კლასის ბრძოლის და ეროვნულ-განმა-
თავისუფლებელი მოძრაობის მთელი
მსვლელობა ჭეშმარიტად ადასტურებს
იმას, რომ მსოფლიო რევოლუციური
პროცესი ვითარდება ვ. ი. ლენინის
მიერ ნაჩვენები გზით, რომ სოციალის-
ტური რევოლუციის ლენინური თეო-
რია საიმედო კომპასია მუშათა კლასისა
და კომუნისტური პარტიებისათვის სო-
ციალიზმისა და კომუნისმისათვის
ბრძოლაში.

თავდაპირველად ერთ ქვეყანაში სო-
ციალიზმის გამარჯვების შესაძლებლო-
ბის საკითხში ლენინიზმი ყოველთვის
არჩევდა ორ მხარეს, საშინაოსა და სა-
გარეოს.

სოციალიზმის გამარჯვების საშინაო
მხარეა ის, რომ ერთი კაპიტალისტური
ქვეყნის, სახელდობრ რუსეთის პრო-
ლეტარიატს შეეძლო თავის ხელში
აეღო ძალაუფლება, დაემყარებინა
თავისი დიქტატურა, განემტკიცებინა
კავშირი მშრომელ გლეხობასთან, დაეძ-
ლია ექსპლოატატორული კლასების წი-
ნაღმდეგობა, არ დაეშვა ქვეყნის შინა-

განი კონტრრევოლუციის ძალებით კა-
პიტალიზმის რესტავრაციის, ექსპლუა-
ტაციის მიერ ადამიანის უფლებების
და ხალხთა ჩაგვრა, შეეცავლა
კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკო-
ნომიური წყობილება სოციალისტურ-
რით, უზრუნველყო სრული სოცია-
ლისტური საზოგადოების აშენება.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1918 წლი-
აპრილში აღნიშნავდა: „ჩვენ შევეუდ-
ქით იმ ამოცანის გადაჭრას, რომლის
დაძლევის მოსდევს სოციალიზმის სრულ
უზრუნველყოფა და განმტკიცება...
ჩვენ ვდგავართ სწორ გზაზე, რომელიც
სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე
მიგვიყვანს“ (ტ. 27, გვ. 273, 274).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური
რევოლუციის ერთი წლისთავზე ვ. ი.
ლენინმა კვლავ აღნიშნა, რომ ჩვენი
ქვეყნის შიგნით არ არის ისეთი ძალა,
რომელსაც შეეძლოს მუშათა კლასს,
მთელ მშრომელ მასებს გადაახვევიოს
სოციალიზმის მშენებლობის გზიდან:
„ახლა მთელმა მუშათა მასამ, და არა
მარტო ბელადებმა და მოწინავეებმა,
არამედ ნამდვილად უფართოესმა ფე-
ნებმა იციან, რომ ისინი თვითონ, სა-
კუთარი ხელით აშენებენ სოცია-
ლიზმს... ვერავითარი ძალა ქვეყნის შიგ-
ნით ხელს ვერ შეუშლის ამ საქმის ბო-
ლომდე მიყვანას“ (ტ. 28, გვ. 156.).

ვ. ი. ლენინმა არა მარტო დაამტკიცა
ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული
გამარჯვების შესაძლებლობა, არამედ
მოგვცა მისი აშენების გეგმა, რომლის
მთავარი ამოცანებია მთელი ქვეყნის
ინდუსტრიალიზაცია, ელექტროფიკა-
ცია, უპირატესი ტემპით მძიმე მრეწ-
ველობის განვითარება და კოლმეურ-
ნეობების შექმნა-განმტკიცების გზით
სოფლის მეურნეობის სოციალისტური
გარდაქმნა, კულტურული რევოლუ-
ცია, დემოკრატიული ცენტრალიზმის
საფუძველზე საბჭოთა სახელმწიფოს
აპარატისა და სამეურნეო მართვის სის-
ტემის აგება-სრულყოფა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა
სახელმწიფომ, პროფკავშირებმა და

კომკავშირმა, ყველა სამეურნეო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მთელი თავიანთი მრავალმხრივი მოღვაწეობა დაუქვემდებარეს სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებას და მუშათა კლასის, ყველა მშრომელის შემოქმედებითი ენერჯისა და ქვეყნის მდიდარი რესურსების მაქსიმალური გამოყენების შედეგად ნაყოფსაც მიიღწიეს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ისტორიულად მოკლე დროში, 20 წლის განმავლობაში (1917-1937 წწ.) უზრუნველყო სოციალიზმის სრული გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც არამცთუ გაუძლო ყოველგვარ განსაცდელს, არამედ ძლევა მოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი და თავისი უნაგარო დახმარებით ხელი შეუწყო სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებას ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნას მილიარდიანი მოსახლეობით.

სოციალიზმის სრული გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში ნიშნავს იმას, რომ მოსპობილია ექსპლოატატორული კლასები, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე განვითარებულია მოწინავე მრეწველობა, კოლექტიური სოფლის მეურნეობა, ყველა სახის თანამედროვე ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, გაბატონებულია მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, რომლის სულისკვეთებით იზრდება და ყალიბდება ახალი, კომუნისტური შეგნებისა და მორალის ადამიანი.

მაგრამ, ამ შინაგანი მხარის გარდა, სოციალიზმის გამარჯვების საკითხს ჩვენს ქვეყანაში ჰქონდა საგარეო მხარე, რომელიც დაკავშირებული იყო არა მარტო საბჭოთა კავშირის შესაძლებლობებთან, არამედ რამდენიმე ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან, რადგან მხოლოდ ერთ ქვეყანაში გამარჯვებულ სოციალიზმს არ

შეეძლო მიეჩნია თავისი თავი საბოლოო გამარჯვებულად, ე. ი. ჰქონოდა საერთაშორისო რეაქციის ძალებით: კაპიტალიზმის რესტავრაციის შეუძლებლობის სრული გარანტია.

ვ. ი. ლენინმა 1919 წელს მოხსენებაში საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობაზე გარკვევით აღნიშნა: „ჩვენს მუდამ ვლადიმარაკობით როგორც ოქტომბრის წინ, ისე ოქტომბრის რევოლუციის დროს, რომ ჩვენს თავს ეუყურებთ და შეგვიძლია ვუყუროთ მხოლოდ როგორც პროლეტარიატის საერთაშორისო არმიის ერთ-ერთ რაზმს, ამასთან ისეთ რაზმს, რომელმაც წინ წამოიწია სრულიადაც არა თავისი განვითარების და თავისი მომზადების გამო, არამედ რუსეთის განსაკუთრებული პირობების გამო, და რომ ამიტომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება შეიძლება საბოლოოდ ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როცა პროლეტარიატი გაიმარჯვებს, ყოველშემთხვევაში, რამდენიმე მოწინავე ქვეყანაში მაინც“ (ტ. 30, გვ. 237-238).

ჩვენი პარტია ყოველთვის იმ აზრის იყო, რომ ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმი მხოლოდ მაშინ იქნება საბოლოოდ გამარჯვებული, როცა იგი მხარდაჭერას მიიღებს სხვა ქვეყნებშიც პროლეტარიატის გამარჯვებით. ვ. ი. ლენინი 1918 წლის იანვარში ხაზგასმით აღნიშნავდა: „ეკვი არ არის, რომ სოციალისტური რევოლუცია ევროპაში უნდა დაიწყოს და დაიწყება კიდევაც. მთელი ჩვენი იმედი სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისა ემყარება ამ რწმენას და ამ მეცნიერულ წინასწარხედვას“ (ტ. 26, გვ. 517).

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ვ. ი. ლენინი, ჩვენი პარტია მხოლოდ მოწინავე ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას უკავშირებდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას უზრუნველყოფის საკითხს. ვ. ი. ლენინი 1923 წელს წერდა:

„ბრძოლის შედეგი, საბოლოო ანგა-

რომით, დამოკიდებულია იმაზე, რომ რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ. შეადგენენ მოსახლეობის გიგანტურ უმრავლესობას. და სწორედ მოსახლეობის ეს უმრავლესობა უკანასკნელ წლებში არაჩვეულებრივი სისწრაფით ებძვება ბრძოლაში თავის განთავისუფლებისათვის, ასე რომ ამ მხრივ არავითარ ეჭვს არ აწვევს ის გარემოება, თუ როგორ გადაწყდება საბოლოოდ მსოფლიო ბრძოლა. ამ აზრით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სავსებით და უცილობლად უზრუნველყოფილია“ (ტ. 33, გვ. 592).

პარტია მტკიცედ ახორციელებდა ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების ლენინურ კურსს და ამაში ხედავდა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების გადაწყვეტ პირობას. წინააღმდეგ ტროცკიზმის თეზისისა — საბჭოთა ქვეყანა კაპიტალიზმის გარემოცვის პირობებში ვერ გაუძლებს კონსერვატიული ევროპის გამოლაშქრებასო, — ჩვენი პარტია ითვისებდა საბჭოთა ქვეყნის უდიდეს შესაძლებლობებს საერთაშორისო პროლეტარიატისა და ჩაგრული ხალხების სოლიდარობას, იმპერიალიზმის ბანაკში არსებულ შეურიგებელ წინააღმდეგობებს და არასოდეს არ კარგავდა გამარჯვების რწმენას. საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიულმა გამარჯვებამ როგორც უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის, ისე დიდი სამამულო ომის პერიოდში ყველასათვის ნათლად დაადასტურა ვ. ი. ლენინის სიტყვების სისწორე: „ვერსაღროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისანი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელსუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შეილებსათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, აღამიანის შრომის ყველა ქმნილებით

სარგებლობის შესაძლებლობას“ (ტ. 29, გვ. 370).

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნის შემდეგ სკკპ XXI ყრილობამ (1959 წ.) თავის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით ჩაწერა, რომ სსრ კავშირში უზრუნველყოფილია სოციალიზმის არა მარტო სრული, არამედ საბოლოო გამარჯვება, რადგან მსოფლიოში აღარ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს სოციალიზმის მოსპობა და კაპიტალიზმის რესტავრაცია ჩვენს ქვეყანაში, ეს უდიდესი მონაპოვარია. „სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება და კომუნისმის მშენებლობაზე გადასვლა ჩვენს ქვეყანაში რევოლუციურ გარდაქმნათა ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია“ (სკკპ ცკ-ის დადგენილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადდებს შესახებ, ვაშ. „კომუნისტი“, 1967 წ. 8 იანვარი).

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გამოირიცხა იმპერიალისტური ომის საფრთხე სსრ კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. სანამ რჩება იმპერიალიზმი, დარჩება ნიადაგიც აგრესიული ომებისათვის.

აგრესიული ომებისა და კონტრრევოლუციის ექსპორტის გამართლების მიზნით იმპერიალისტები და მათი იდეოლოგები ცილს წამებენ ვ. ი. ლენინსა და საერთოდ კომუნისტებს, რომ თითქოს ისანი „რევოლუციის ექსპორტის“ მომხრენი არიან. მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფ. ს. უ. პეიჯი თბზულებაში „ლენინი და მსოფლიო რევოლუცია“ (ნიუ-იორკი, 1959) ცდილობს დაამტკიცოს, რომ თითქოს ლენინელების მიზანი იყო საერთაშორისო რევოლუციის „ნიღაბით“ მსოფლიო ბატონობის მიღწევა. ამერიკელი ისტორიკოსი მ. ფლორანსკი წერს, რომ რამდენადაც საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმით, რომელიც ასაბუთებს კაპიტალიზმის დაღუპვას, თითქოს საბჭოთა საგარეო

პოლიტიკის მიზანია „რევოლუციის ექსპორტი“. ბურჟუაზიული იდეოლოგიაში „რევოლუციის ექსპორტი“ დებენ ბრალს კომუნისტებს აგრეთვე იმ საბაბით, რომ ისინი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპით ხელმძღვანელობენ, იცავენ ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას და არ გამოირიცხავენ ისტორიის მსვლელობაში „რევოლუციონერთა შეგნებულ ჩარევას“.

მაგრამ ასეთი მტკიცებით ბურჟუაზიული ცილისმწამებლები ვერაფერს ვერ მოატყუებენ. განა ოქტომბრის რევოლუცია იმპერიალიზმის ეპოქაში საზოგადოებრივი ცხოვრების მთელმა მსვლელობამ, განსაკუთრებით რუსეთში შექმნილმა ობიექტურმა პირობებმა არ მოამზადა? მართალია, რევოლუცია ყოველთვის შემოქმედებითია, თავისთავად არასოდეს არ ხდება და იმარჯვებს მხოლოდ ადამიანების შეგნებული მოქმედებით, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს „რევოლუციის ექსპორტი“, რევოლუციის ერთი ჭკვეყნიდან მეორეში შეტანის აუცილებლობა.

კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ. ი. ლენინი ყოველთვის გარკვევით მიგვიითებდნენ, რომ რევოლუცია არ ხდება შეკვეთით, სუბიექტური განზრახვით, რომ რევოლუცია ყოველთვის და ყველგან აუცილებელი შედეგია ობიექტურ გარემოებათა, რომელთა შექმნა დამოკიდებული არაა ცალკეული პარტიისა და კლასის ნება-სურვილზე. ფ. ენგელსი 1882 წელს წერდა: „განთავისუფლებული პროლეტარიატი კოლონიურ ომს ვერ აწარმოებს... ძლევამოსილ პროლეტარიატს არ შეუძლია რომელიმე უცხო ხალხს რაიმე გაბედნიერება თავს მოახვიოს ისე, რომ ამით თავის საკუთარ გამარჯვებას ძირი არ გამოუთხაროს“ (რჩ. წერილები, გვ. 390). ვ. ი. ლენინი უღმობლად ებრძოდა „ემარცხენებს“, რომლებიც მოითხოვდნენ საერთაშორისო რევოლუციის „წაბიჭებას:“ „ასეთი „თეორია“ სრულ-

ლიად წინააღმდეგი იქნებოდა მარქსიზმისა, რომელიც ყოველთვის უარყოფდა რევოლუციის „წაბიჭებას“, რევოლუციებისა, რომელნიც ვითარდებიან მათ წარმოშობ კლასობრივ წინააღმდეგობათა მომწიფებისდა კვალად“ (ტ. 27, გვ. 66.). ვ. ი. ლენინს ეკუთვნის შემდეგი სიტყვებიც: „კომუნიზმ: ძალმომრეობით როდი მკვიდრდება“ (ტ. 29, გვ. 193). „რევოლუციის ექსპორტი — ეს უაზრობაა“ — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი როცა პოვარდთან საუბარში.

უდავოა, რომ კომუნისტებს არ ესაქიროებათ „რევოლუციის ექსპორტი“, რევოლუცია გარდუვალი აუცილებლობის ძალით წარმოიშობა და გამარჯვებს იქ, სადაც მისთვის მომწიფდება ობიექტური და სუბიექტური პირობები. ეს კარგად იციან ბურჟუაზიელმა იდეოლოგებმაც, მაგრამ ისინი მაინც შეუსვენებლად ქადაგებენ „რევოლუციის ექსპორტს“, რომელზეც არასოდეს არ თქმულა ისე ბევრი. როგორც ამ უკანასკნელ ხანს, რადგან მათ არ ასვენებთ ფიქრი კონტრრევოლუციის ექსპორტზე, სოციალისტური ჭკვეყნების წინააღმდეგ დაპყრობით ომზე. მათ ავიწყდებათ, რომ საბჭოთა ადამიანები, სოციალიზმის ყველა ჭკვეყნის მშრომელები ყოველთვის გმირულად იცავდნენ და კვლავ დაიცავენ სოციალიზმის გამარჯვების მრწამსს და მსოფლიო კონტრრევოლუციას არ შესწევს ძალა გადაახვევლის კომუნისმის მშენებლებს თავიანთი გზიდან.

სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლებს კარგად ახსოვთ ვ. ი. ლენინის ანდერძი სამეურნეო წარმატებების უდიდეს მნიშვნელობაზე როგორც გამარჯვებული სოციალიზმის ჭკვეყნების ძლიერების ყოველმხრივი განმტკიცების, ისე მსოფლიო რევოლუციის განვითარებაზე მთავარი ზემოქმედების მოხდენის შესახებ.

„საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობა ადამსტურებს ლენინურ განჭკვრეტას, — ნათქვამია კომუნისტუ-

ხადებაში, — რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნები მსოფლიო რევოლუციის განვითარებაზე თავიანთ მთავარ ზემოქმედებას ახდენენ სამეურნეო მშენებლობით. სოციალიზმმა უმაგალითო ზემოქმედებითი წარმატებები მოიპოვა წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში... ახლოვდება დრო, როცა მსოფლიო წარმოების ხვედრითი წონის მიხედვითაც სოციალიზმი პირველ ადგილს დაიკავებს. კაპიტალიზმი დამარცხდება ადამიანის საქმიანობის გადამწყვეტ სფეროში — მატერიალური წარმოების სფეროში“ (მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საპროგრამო დოკუმენტები, გვ. 39).

1961 წელს სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებულმა პარტიის ახალმა პროგრამამ საბჭოთა ხალხის მთავარ ეკონომიურ ამოცანად დასახა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რაც ნიშნავს ჩვენი ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციას, მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო განვითარებას, მსოფლიოში ყველაზე მძლავრი საწარმოო ძალების შექმნას, მთელი მოსახლეობის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის ჯერ არნახულ გაუმჯობესებას.

სახალხო მეურნეობის შვიდწლიანი (1959-1965) გეგმის წარმატებით განხორციელებით მნიშვნელოვნად გაძ-

ლიერდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკა და თავდაცვისუნარიანობა. **ქვეყნული**
 ვ. ი. ლენინმა გვიანდელ წლებში დაი-
 თქვა სოციალისტური რევოლუ-
 ციის წლისთავის აღნიშვნისას მთავარი
 ყურადღება მივაქციოთ გადაუჭრელ
 ამოცანებს. ამჟამად ეს იმას ნიშნავს,
 რომ დაერაზმით მთელი ძალები სკკპ
 XXIII ყრილობის გადაწყვეტილების
 წარმატებით განხორციელებისათვის,
 რათა უზრუნველვეყოთ ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი წინსვლა კომუნიზმის გზით, ყოველმხრივ განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ლენინური ეროვნული პოლიტიკისადმი ჩვენი პარტიის ურყევი ერთგულების ახალი დადასტურებაა. ახალ ხუთწლეულში გათვალისწინებულია როგორც მთელი სსრ კავშირის, ისე მისი მოკავშირე რესპუბლიკების მძლავრი აღმავლობა.

ყოველწლიურად იზრდება საქართველოს სსრ წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეში.

ყოველივე ეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დიადი გამარჯვების, მოძმე საბჭოთა ერების ნახევარსაუკუნოვანი ურღვევი თანამეგობრობის შედეგია, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის ნამდვილი პრაქტიკული განსახიერების ნიმუშია.



იოსებ სინდაძე

ოპორტიუნისტების რევოლუცია და კოლონიური სისტემის კრახი

(ნეოკოლონიალიზმის სტრატეგია და ტაქტიკა)

ოპორტიუნისტების რევოლუციამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის განვითარებაში თვალსაჩინო გარდატეხა მოახდინა, მან დამტკიცა ყოველგვარი ხასიათის ჩაგვრისაგან ხალხთა სრული გათავისუფლების რეალური შესაძლებლობა და ამით საფუძველი შეუქმნა მსოფლიო კოლონიური სისტემის კრახს.

საბჭოთა ხელაღწევაში თავისი საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზად იმთავითვე სცნო მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარება და ყოველმხრივი მხარდაჭერა, თანამშრომლობა ყველა სუსტადგანვითარებულ სახელმწიფოსთან.

სუსტადგანვითარებული ქვეყნები ახლა გადაიქცნენ სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ბრძოლის ახალ მხარეზად, სადაც უნდა გადაწყდეს აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოთა მომავალი: განვითარების რომელი გზით, კაპიტალისტური თუ სოციალისტური გზით, წაველენ გეშინველი კოლონიები.

საერთაშორისო პოლიტიკის ამ დამახებულ ვითარებაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მავალით უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება.

უკანასკნელ წლებში იმპერიალისტური და ახალგაზრდა სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების დახასიათებისას სულ უფრო ხშირად იხმარება ტერმინი „ნეოკოლონიალიზმი“, იმპერიალისტური სახელმწიფოთა პოლიტიკა ახალგაზრდა სახელმწიფოთა მიმართ ხასიათდება როგორც ნეოკოლონიალისტური. ნეოკოლონიალიზმის როლი თანამედროვე იმპერიალისტურ სისტემაში განსაზღვრავს იმ ფაქტს, რომ დღეს მისი ბუნებით დინამიკურ-სტაბილური არიან არა მხოლოდ მარქსისტული შეცნობები, არამედ ბერკეჟის იდეოლოგიებიც.

იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც სუსტადგანვითარებული ქვეყნები მსოფლიოკაპიტალისტური მეთრენობის შემაღლებელ ნაწილს წარ-

მოადგენენ და შრომის განაწილებას საერთაშორისო კაპიტალისტურ სისტემაში არიან ჩამხლნი აგრარულ-სანდლელო დანამატის სახით, როდესაც მათი საწარმოო და მატერიალური ტესურსების დიდი ნაწილი უცხოური მონოპოლიების ხელშია, სრული თავისუფლების მოპოვებასათვის პოლიტიკური თავისუფლება არ ემართა. ამიტომ ამ ფაზაში არ წყდება ბრძოლა იმპერიალიზმთან, დოქტორ სუკარნოს გამოთქმა რომ ეხმარათ, სახელმწიფო დამოუკიდებლობა ეს ხილია, რომლის გადასვლა ეუცილებელია რათა იქ, მეორე ნაბიჯზე განადგეს ახალი ბრძოლა ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის. ერთი სიტყვით ნაციონალურ-განმათავისუფლებელი რევოლუციის განვითარებაში მიადწინა ახალ ეტაპს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვება და ახალი სოციალ-ეკონომიური სტრუქტურის შექმნა, რაც უზრუნველყოფს მოკლე ისტორიულ პერიოდში საეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას. ორივე აღნიშნული პროცესი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული: უცხოური კაპიტალის მოძალეებასთან აქტიური ბრძოლის გარეშე, საერთაშორისო მონოპოლიის უღლისაგან ეკონომიის გათავისუფლების გარეშე, შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია. მეორე მხრივ სოციალ-ეკონომიური ხასიათის საფუძვლიან გარდაქმნათა გარეშე არ შეიძლება მეტრენობის მონოკულტურული სისტემის გარდაქმნა, ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე აფრიკისა და აზიის ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის სახელმწიფო სექტორს. საწარმოო ძალთა სწორი განლაგების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო სექტორის საწარმოთა ფართო მასშტაბით მშენებლობის პირობებში, რომელიც თავის დროზე უნდა იქცეს ნაციონალური კადრების მომზადების ცენტრად. ბევრ სუსტადგანვითარებულ ქვეყანაში

სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგები საკონომდებლო წესით დახურულია უცხოური კაპიტალსათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფო ღონისძიებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოჰყვეს დადებითი ეფექტი, თუ ხელისუფლების სათავეში დგას ეროვნულ-პატრიოტული პარტია, რომელიც განუხრელად ატარებს ანტიიმპერიალისტურ პოლიტიკას. ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება პირდაპირ ეკვივრება იმყოფება როგორც ქვეყნის შიგნით პროგრესულ და რეაქციულ ძალებს შორის შეჭახების შედეგთან, ასევე საერთაშორისო არენაზე ძალთა თანაფარდობასთან.

ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოები იძულებულნი არიან მეურნეობის ზოგიერთ დარგებში კაპიტალის დაბანდების ნება მისცენ უცხოელებს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სპეციალური კანონით დადგენილია, რომ ახალშექმნილ კომპანიებში უნდა სწრაფობდეს ადგილობრივი კაპიტალი რათა მას ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდეს.

პიესაში გრიბოედოვი დანახულია სწორი ისტორიული თვლით და ამასთან ქართული ადამიანის თვლით. რუს დრამატურგს ეს თემა შესაძლოა სხვაგვარად გადაეწყვიტა, და გრიბოედოვის ცხოვრების სულ სხვა მომენტები წამოეწია. მაგრამ მ. მრეველიშვილისათვის გრიბოედოვი არა მარტო რუსი ხალხის საამაუო შვილია, თავისი ქვეყნის პატრიოტი, მისი დიდების მოსტრენე, რუსი ხალხისა და ქვეყნის სოციალისთვის უნაგარო მებრძოლი, არამედ ადამიანი, რომელიც რუსი და ქართველი ხალხების საუფლო მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.

ა. ს. გრიბოედოვი ერთი პირველი რუსთავანი იყო, რომელსაც საქართველო მეორე სამშობლოდ მიანდა, გრიბოედოვი იმ პროგრესული რუსეთის ანთებული სულია, რომელიც დაუნდებლად ამხელდა „მეორე“ დიდმპრიტულერ-რაქაქულ რუსეთს. გრიბოედოვისთანა ადამიანთა დიდსულოვანი ბუნება რუს-ქართველთა ძმობის დღეხმად იქცა. მ. მრეველიშვილმა თავისი პიესით ამ მეგობრობის საღიდეგელი წარმოსთქვა და გარდასული ისტორია ჩვენი დროს, ჩვენი საბჭოთა ეპოქის ხშირანობასთან დაკავშირა.

დრამატურგია არ გამოედევნა საინტერესო ფაქტებს, დეტალებს, ეპიზოდებს, რომლითაც ესოდენ მდიდარია გრიბოედოვის ცხოვრება. მან დროის შედარებით მცირე მონაკვეთი აირჩია მოქმედების გაშლისათვის. მაგრამ ეს მონაკვეთი შესაძლებლობას იძლევა ღრმად და სრულად იქნას დახასიათებული გრიბოედოვის საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი სახე, მისი პოლიტიკური იდეალები და ადამიანური თვი-

სებები, სწორედ ის, რასაც მიზნად ისახავდა ავტორი. უნდა ითქვას, რომ დრამატურგის არჩევანი სწორი და ეფექტური აღმოჩნდა: დროის შეზღუდულმა ლოკალმა ნაწარმოებს კომპოზიციური სიმყარე მისცა, რასაც პიესის ერთიანი მიზანდასახულობა და სწორად გააზრებული ავტორისეული ტენდენციაც განაპირობებს. პიესა უაღრესად შერეული, მხატვრულად დასრულებული ქმნილებაა — იგი თითქოს შევნიშანაა განათებული და გამთბარი იმ ელერად, პათოსიან რომანტიკულობით, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია მ. მრეველიშვილის დრამატურგიისათვის.

კარგად მოფიქრებული პროლოგი და ეპილოგი, რომელიც კიდევ უფრო უწყობს ზულს მთავარი გმირის არსსა და ბუნებაში ჩაწვდომას, თითქოს გვაკავშირებს თვით გრიბოედოვის პიესასთან „გვი ჰქუისაგან“. მ. მრეველიშვილმა ფრიალ ორიგინალური ხერხი გამოიყენა, როცა გრიბოედოვის გრძობა-გონების ნაფური, მისი ღიღი ნიჟისა და შთაგონების შედეგი — ჩაკი, სცენაზე გამოიყვანა და გრიბოედოვის დახასიათების საშუალებად გამოიყენა.

დრამატურგმა გრიბოედოვს უაღრესად მეტყველი, ფერადოვანი და სახეობრივი ანტურაჟა შეუქმნა. თვითველ პერსონაჟს თავისი

ფუნქცია აქვს და გარკვეულ იდენტურ მხატვრულ განსახიერებად გვევლინება. ასეთია, მაგალითად, რუსი დეკაბრისტ-რევოლუციონერი და ქართველი ვეჟაკი როსტომი, პეტრუხინი და იმპერატორი ნიკოლოზ პირველი; ბაროტი მტერი, ავსული ადამიანი, ტანდარბთა შეფი ბენედიქტოვი და მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის შესანიშნავი წარმომადგენელი ს. დოდაშვილი. დრამატურგმა ღიღი მხატვრული ტაქტით, შინაგანი ვანკლით და სითბოთი დაგვიხატა გრიბოედოვის ნათელი სიყვარულის საგანი, მისი აღმაფრენისა და ბედნიერების წყარო — ნინო ჭავჭავაძის შარავანდოსილი სახე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პიესის ძარღვიანი და სახეობრივი ენა. კარგად მოკვეთილი დიალოგები და ჩინებულად აგებული მონოლოგები პერსონაჟთა ენობრივი დახასიათების სისრულეს ქმნიან და უფრო ღრმად გვახედებენ მოქმედ პირთა სულიერ სამყაროში. მ. მრეველიშვილის „მგზნებარე მეოცნებე“ თანამედროვე ორიგინალური საბჭოთა დრამატურგიის უდავო მძლევეა ბიოგრაფიულ-ისტორიულ თანრში.

ასეთია მ. მრეველიშვილის დრამატურგია თავის ზოგად ხაზებში.





ს ა ნ ლ რ ი უ ჩ უ ა შ ვ ი ლ ი

სანდრო (ილუქსანდრე) ახმეტელის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი, რომელიც მიზნად დამსახურს გაურკვეს წარსულში და აღადგინოს ამ დიდი ხელოვანის მოქალაქეობრივი და პიროვნული სახე, ემსგავსება არქეოლოგს ან გამოძიებელს, რომელმაც ზოგჯერ თითქმის უბილავი ნაკვალევი უნდა წარმოიღვინოს წარსულის სურათი და მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირები აღმოაჩინოს.

ზენ მივყევით კვალს, რომელიც დასტოვა სანდრო ახმეტელმა — დიდმა ხელოვანმა, შესანიშნავმა მოქალაქემ და პიროვნებამ.

დღივით ფაქტებით, რომლებიც ცნობილია: დაიბადა 1886 წ. 1(14) აპრილს, სოფ. ანაგაში. მამა მღვდელი, დედა დიასახლისი. 1891 წ. ოჯახი თელავში გადასახლდა. 1900 წ. სანდრომ თელავის სასწავლებელი დაამთავრა და სწავლა განაგრძო გიმნაზიაში განაგრძო, აბსოლუტური სმენის პატრონი, უკრავდა ყველა ქართულ ხალხურ საკრავზე, მღეროდა ნიკო სულხანიშვილის გუნდში. 1902 წ. ის თბილისის ქართულ გიმნაზიაში მიაბარეს. გატაცებული იყო რევოლუციური იდეებით. 1906 წ. დაამთავრა გიმნაზია. 1907 წ. შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1910 წლიდან ბევრადვე ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებს. თანამშრომლობდა გაზეთებში: „საქართველო“, „ერთობა“, „ზაქავკახსკაია რეზ“, „ნოვაია რეზ“, „მსახიობის დღე“, „იზვესტია“. ჟურნალებში: „თეატრი და ცხოვრება“, „სოციალური ტეატრი“ და სხვა. იყო შესანიშნავი ორატორი. 1905 წ. ივლისში პირველად გამოვიდა სცენაზე როგორც მსახიობი. სცენისმოყვარეთა დაღმამში „მარტია“, რომელიც განიხორციელა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიელმა ბ. როსტომშვილდმა, თამაშობდა პეტრო დედა ელას რიუს. პირველი ცდა რეჟისურაში — ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ (სოფ. მინხაიში, 1910 წ. 31 ივლისი). 1916 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. 1917 წ. დასაწყისში დაბრუნდა საქართველოში. 1918 წ. დაიწყო მუშაობა ქართულ თეატრში. 1920 წ. დადგა პირველი სპექტაკლი პროფესიულ სცენაზე — ს. შანშიაშვილის „ბურღო

ზინია“. შემდეგ წავიდა თეატრიდან. 1923 წ. კვლავ ბრუნდბა ქ. მარჯანიშვილის მოწვევით. 1924 წ. სათავეში ჩაუდგა თეატრალური ახალგაზრდობის კორპორაცია „დურუქს“. 1926 წ. ქ. მარჯანიშვილსა და „დურუქს“ შორის მომხდარი კონფლიქტის შედეგად ქ. მარჯანიშვილი ტოვებს რუსთაველის თეატრს. 1926-1935 წლებში ს. ახმეტელი რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. 1930 წ. საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრების ოლიმპიადა. 1933 — თეატრის გასტროლები მოსკოვსა და ლენინგრადში. 1935 წ. რუსთაველის თეატრიდან წასვლა. მოსკოვ. ლენინგრადი, დაღუპვა.

ეს ფაქტები დადგენილია და არ იწყვეს კამათს, თუმცა შემოქმედებითი კამათი დიდი ხანია მიმდინარეობს. როდესაც კამათში თვით ს. ახმეტელი მონაწილეობდა, ეს იყო ხელოვანთა კამათი — საპირისპირო პოზიციებზე იდგნენ მსახიობები და რეჟისორები, ისინი, ვინც ქმნიდნენ სასცენო ხელოვნებას. საბოლოო მათი სპექტაკლები იყო. შემდეგ კამათმა თეორიული ხასიათი მიიღო. ახლა ჩვენ არ შეგვიძლია ვიკამათოთ ს. ახმეტელის სპექტაკლების გაზრდით, ვინაიდან ისინი რეალურად აღარ არსებობენ. ჩვენ შეგვიძლია ვცადოთ გავერსოვოთ მის შემოქმედებაში დარჩენილი კვალის მიხედვით სამი თეორიული წლის შემდეგ. დიდი დროა გასული, დრო ანადგურებს დოკუმენტებს, იფერმკრთალებს შთაბეჭდილებებს, ბინდილით ფარავს მუხსიერებას... მიგრამ სწორედ ეს დრო ახალ კვალსაც გამოაჩენს ხოლმე, ახალ საბოლოებს. ეს ახალი კვალ ზოგჯერ უკვე ცნობილ ფაქტს კიდევ ერთხელ ადასტურებს ან აზუსტებს. ზოგჯერ შეიძლება საეჭვოდაც გვახლოს იგი, ან ახალი შეჭი მოკვინოს მის, ერთი სიტყვით, შესაძლებელს ხდის მოვლენათა გადაფარვებს და გარკვეული ლოგიკის დადგენას.

პირველი ახალი დოკუმენტი, რომელსაც შესაძინევი კორექტივი შეაქვს ს. ახმეტელის შეაბებ აქამდე ცნობილ მასალებს შორის, არის პროგრამა კონცერტისა, რომელიც გავაწყვეს, რომ 1903 წ. 23 თებერვალს ელისავეტპოლის

(განჯა) საზოგადოებრივ საერებელს დარბაზში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საარგებლოდ გამართული მეათე ქართული „სიღამე“. პირველ განყოფილებაში წარმოდგენილი ყოფილა ქართულ ენაზე ორი მოქმედება ა. ცაგარლის კომედია „ხანძარი“, სახელოვან ქართველ მსახიობთა — ნატო ვახუშია-ცაგარელისა და ენო აბაშიძის მონაწილეობით. მსახურ ტიმოთის როლს ასრულებდა ა. ვ. ახმეტელაშვილი.

მამასადამე, ს. ახმეტელი სცენაზე პირველად გამოხუდა არა 1905 წ., არამედ 1903 წ. ისიც როგორ მსახიობებთან ერთად! როგორ მოხუდა იგი მათთან ერთად სცენაზე? რით დამსახურა? ეს შემდგომ კვლევის საგანია.

პირველი ნაწარმოებია, რომელიც ს. ახმეტელმა პირველად თეატრში დასადგმულად აირჩია, ს. შანშიაშვილის „ბერძენი ზმანია“ იყო (შატ. ვლ. სიღამონ-ერისთავი, კომპ. დ. არაყიშვილი). ახალგაზრდა იურისტიმაც და სრულიად უცნობი რეჟისორის თეატრში მოსვლას მშვიდად და შეუფხვნივლად არ მიუღო. არსებობს მოგონებები იმის შესახებ, თუ როგორ აპირებდნენ ზოგიერთები სტეენით გაესტუმრებინათ იგი პირველად რეპეტიციოდან, მან კი იმ პირველსავე რეპეტიციაზე მოხიბლა ყველა.

პრემიერის შემდეგ წარმოდგენის შეფასება შევეთრად საპროისპირო აღმოჩნდა. ეს კარგად ჩანს იმ ღიროს პრესის მიხედვითაც. აზრთა სხვაობა და პაექრობა იმდენად მწვავე იყო, რომ, შ. აფხაიძის ცნობით, არ გამოქვეყნდა დ. კასრძის ვრცელი რეცენზია, რომელშიც ავტორი ს. ახმეტელს ამ დადგმას ქართულ სცენაზე თქმულ სრულიად ახალ სიტყვად თვლიდა.

თავალი რომ ვიდრეველოთ ს. ახმეტელის მიერ ხელოვნებაში განვლილ გზას თავიდან ბოლომდე, შემდეგ კი ერთი წუთით, კვლავ მის დასაწყისს დავებრუნდეთ, ადვილი შევამჩნევია, თუ როგორ ვაფხვს ეს დასაწყისი ყველაფერ იმის, რაც შემდეგ იყო: მუამბობე სული დაუღალავი ძიება ახლას, რწმენის შეერყევლობა, გადაწყვეტილებების სიმტკიცე, გამბედაობა და გარემოში მყოფთა შევეთრად საპროისპირო დამოკიდებულება მის მიმართ...

საიტიხი ს. ახმეტელის პირველი დადგმის შესახებ საინტერესოა არა მარტო ამ რეჟისორის შემოქმედების მკვლევარისათვის, არამედ ამ პერიოდის ქართული თეატრის ისტორიისათვის, საერთოდ. მით უფრო, რომ ზოგიერთი ავტორის შრომაში გამოშვლავნდა სურვილი, ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია

დამწყოს არა ლაზე დე-ვეგას „ცხვრის წყაროთა“ (დადგმა კ. მარჯანიშვილისა), არამედ ს. შანშიაშვილის „ბერძენი ზმანიაში“ წიადგმა ს. ახმეტელისა). ამგვარმა ცდამ შეუფხვ კმაობი გამოიწვია. ამ კამათის ასპექტში საინტერესოდ მივაჩნია იმ ბელნაწერთა გამოქვეყნება, რომლებიც დაეცლია ორი გამოჩენილი ქართველი ხელოვნის პირად არქივებში. ესენი ვახლავ რეჟისორი მიხეილ ქორელი, რომელიც ს. ახმეტელის თეატრში მისვლის დროს უკვე გამოჩენილი ოატატი იყო, და შესანიშნავი მსახიობი უშნავი ჩხეიძე, რომელიც იმხანად მხოლოდ იწვევდა მოღვაწეობას თეატრში.

ნუ დავუფრავთ, რომ მ. ქორელის დამოკიდებულება ს. ახმეტელისადმი უარყოფითი იყო. ეს ნათელია შემდეგი მისი ჩანაწერიდან:

„...ახმეტელის მკვებარა განცხადება მომავალ დადგმაზე უსაფუძვლოა და ავანტიურისმის სუნი დაყრავს. ამიტომ ნდობით არ უნდა მოვეყოლოთ. ვინ იქის, რა გამოვა ამ „ცლიდან“. საფრენი შანშიას უშედეგო გამოშვონებელი ნდობას არ იმსახურებს. არც „ღურუჯი“ ვაფრინდება ასევე, როგორც არ ვაფრინდება ახმეტელის“.

ახმეტელში არის პოტენცია, მაგრამ მის არა აქვს არავითარი სისტემატურობა მეშობაში, ეს კი დამდუბველია საქმისათვის“².

მით უფრო ყურადსაღებია მ. ქორელის აზრი „ბერძენი ზმანია“ შესახებ:

„...იმ სტილს, რომელიც შემოტანილია ფუნტში, უკვე პქონდა ადგილი ბერძენში. გამსხვავება იმანია მხოლოდ, რომ ბერძენში იგარანობდა მეტად მცირე გამოშვონების მქონე რეჟისორის გაუბედავი ხელი, ფუნტში კი — ძლიერი ხელი მეტად გამოცდილი ოსტატისა“ (ხაზგასმა ჩვენია, ნ. უ.).

იგივეს ვკითხულობთ უშნავი ჩხეიძისთან:

„...ეს სპექტაკლი რაღაც ახალ ელფერს ატარებდა. არ შეიძლება ითქვას, რომ „ბერძენი ზმანია“ საქსებით რაიმე ახალი, ვარკვეული და დასრულებული ფორმის სპექტაკლი იყო, მაგრამ ის მკრთალი შექი მიინც იყო იმ სიახლის, რომელიც შემდეგ მარჯანიშვილმა მოიტანა ქართულ სცენაზე.“ (ხაზგასჩვენია, ნ. უ.)³

ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელია

1 მ. ქორელს მხედველობაში აქვს საფრენი შანშიას გამოშვონების ის ცდა, რომელიც ს. ახმეტელს მართლა ჰქონდა ახალგაზრდობაში.

2 ეს ბელნაწერი ფრცველი უსათაუროა, არც თარიღი, არც გვერდის ნუმერაცია მითითებული არ არის, მაგრამ რაღვან ნახსენებია „ღურუჯი“, ჩანაწერი 1924 წლის შემდგომ ხანის ვანქოთეშია.

3 უშნავი ჩხეიძე, „ნახული და ვინცილი“ („ბელნაწერთა კრებული“, გვ. 13-14. დაეცლია უ. ჩხეიძის სახელმწიფეში).

1 პროგრამა დაეცლია საქართველოს საოტატრო მეხუტეში. ფ. 74. 61 551. 2.

2 ახ. კრებულო, „ალ. ახმეტელი“, ხელოვნება 1963, გვ. 11.

11. „მეათობა“, № 4.

ჯ. მარჭანიშვილი და სულ არ არის საჭირო სრულიად გამოეცდელი ს. ახმეტელის პირველივე დადგმა დიდი ხელოვნების ნიმუშად გამოცხადება. ასეთ ხელოვნებას ის მერე შექმნის. ახლა კი შთაფარია ის, რომ ახალგაზრდა და გამოცდილ ს. ახმეტელს უკვე ჰქონდა ის, რაც ძირითადია — ისტორიულად პროგრესული, სწორი შემოქმედებითი პოზიცია ხელოვნებაში, მთავარია, რომ ეს პოზიცია ცნობიერი იყო მისთვის და პრაქტიკულად გამოვლენილი პირველსავე სპექტაკლში იმდენად მკვეთრად, რომ სრულიად აშკარა იყო მისდამი არასიმპათიურად განწყობილი გამოცდილი რესტავრაციონისთვისაც კი. აა, რატომ აღმოჩნდა ესოდენ პარაზონული ჯ. მარჭანიშვილსა და ს. ახმეტელის ერთობლივი მუშაობა — შემოქმედებითი პოზიცია მათ ერთა ჰქონდათ, შესაძლებლობანი და გამოცდილება კი სხვადასხვა. ეს იცოდა ს. ახმეტელმა და გარკვევით თქვა გაზეთ „ხომლის“ 1923 წ. 30 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ თავის ინტერვიუში:

„...ესარგებლობ შემთხვევით, ვამბობ, რომ ხანს, რომელიც მე ავიღე ქართულ თეატრში ჩემს თეატრში მოსვლისთანავე, საწყებით გამოდგა წინამორბედი იმ საერთო თეატრალური გეზისა, რომელსაც ადგია კოტე მარჭანიშვილი და რომლისყენაც მოჰყავს ჩვენი თეატრი თამაშად და დიდს უნარით ჩვენს დიდებულ ხელმძღვანელს.“

რა თქმა უნდა, საერთო ხანზე ლაპარაკი 1923 წელს, როდესაც ჯერ არ დადგმულა არც „ანზორი“, არც „რდევია“, არც „ყაჩაღები“, დიდი სითამაშეა. მაგრამ დღეს ჩვენი ხომ ვიცით, რომ ს. ახმეტელი მართლაც თავისი გზით მიდიოდა ხელოვნებაში და ამ გზას უბრწყინებლესი წარმოდგენებით იკავებდა! მართალია, ეს იყო რამდენიმე წლით უფრო გვიან, მაგრამ მისთვის, როგორც ჩანს, შემოქმედებითი მიზანი თავიდანვე ნათელი იყო. ჯერ არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება იმისთვის, რომ ეს მიზანი სრულყოფილად ხორციელდებოდა წარმოდგინა სცენაზე, არ ჰქონდა სკოლა, ჯ. მარჭანიშვილი ვახდა მისთვის ეს სკოლა.

თავისებური, მარჭანიშვილისეული იყო ეს სკოლა. უდიდესი ტალანტის მქონე, ბუნებით „მფლანგველი“ ჯ. მარჭანიშვილი უხედავად ცემდა ყველაფერს, რის ვაიყავაც შეიძლებოდა — შთაბეჭდილებებს, ცოდნას, გამოცდილებას... ნიქის გაზიარებაც რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ალბათ, მემკვიდრეებიც მეტი იყო-ლებოდა. მისი მემკვიდრე დიდად ნიჭიერი და ინდივიდუალური სახის მქონე შემოქმედი უნდა იყოს. ასეთი იყო სანდრო ახმეტელი.

ჯ. მარჭანიშვილი არ ყოფილა პედაგოგი, ამ სიტყვის გაერკვლებული მნიშვნელობით, სისტემატორად და თანმიმდევრულად არავის არ ასწავლიდა. მას შესწევდა იშვიათი უნარი

სცენის ხელოვნების არსი გამოეცდინებინა სხვათა დასაზიზად და ამით მიეცა, მათთვის სასურველმა ნამდვილ, დიდ ხელოვნებას ზაბრუნდნენ. ასეთი სკოლა ჯეშმარიტი ხელოვნების მოთხოვნილებას აღივსებდა. აქ სწავლობდა ს. ახმეტელიც. რომელიც 1926 წლიდან ჯ. მარჭანიშვილის დახმარე იყო მხოლოდ. ამ პერიოდის შვიდი სპექტაკლი, რომელთაც ორი რეჟისორი აწერს ხელს აფიშაზე, კიდევ ერთი საბუთია ჯ. მარჭანიშვილის გასაოცარი შემოქმედებითი და ადამიანური ხელგამოშლისა. მისმა თანამედროვეებმა კარგად იცინ, რომ ჯ. მარჭანიშვილს ხეულებად ჰქონდა, აფიშაზე საერთოთა გვარის გვერდით ახალგაზრდა რეჟისორის გვარიც მიეწერა, მისი ავტორიტეტის აწივის მიზნით. ამავე მიზნით ზოგჯერ სულ მოხსნიდა ხოლმე თავის გვარს და სიხარულით გადაულოცავდა სხვას თავის სპექტაკლს მთლიანად.

სპექტაკლებზე ერთად მუშაობა იმაში მდგომარეობდა, რომ ჯ. მარჭანიშვილს გიერს დაწვებულ სამუშაოს, უკვე მიცემული მცნის მიხედვით, ს. ახმეტელი ამითავრებდა. ის ესწრებოდა ჯ. მარჭანიშვილის მუშაობას დრამატურგთან, მასაბობთან, მხატვართან, კომპოზიტორსა და ქორეოგრაფთან. სწორედ ეს იყო სკოლა, საუკეთესო, პრაქტიკული. თვალსაჩინო ნიმუშთათვის დიდოსტატი კოტე იყო. და ს. ახმეტელი ვახდა მისი მოწაფე. ამ სიტუციის დროს და ფართო გაგებით. მან იქნა მარჭანიშვილის თეატრალური მრწამსი, საბოლოოდ დააწესუნდა, რომ თანამედროვე თეატრი — ეს არის აქტორი აზრისა და აქტორი ქმედების ხელოვნება, რომ წარმოადგენს — ეს არის მღვდლავრე-შთაფარებელი დღესასწაული, რომლის შექმნაც შეუძლია მხოლოდ შემოქმედებითად ერთ-მარწმუნე კოლექტივის, ამგვარი რწმუნის განმტყეების მიზნით შეიქმნა ახალგაზრდული კორპორაცია „დურუფი“. მის საფუძველს შეადგენდა პრინციპი — ერთი ყველაათვის, ყველა ერთისთვის. კორპორაციის მანიფესტს ხელს აწერდნენ: ჯ. მარჭანიშვილი, ს. ახმეტელი, ჯ. ანაფთარიძე, თ. ჰავეჯიძე, უ. ჩხიძე, ა. ვასაძე, ა. ხორავა, შ. ლამბაშიძე და სხვანი. ეს იყო 1924 წელი. 1926 წელს კი მოხდა ვარსებულება ჯ. მარჭანიშვილისა და „დურუფის“ შორის, რომელსაც სათავეში ს. ახმეტელი იდგა. ჯ. მარჭანიშვილმა დასტოვა რუსთაველის თეატრი.

ეს დრო, ერთი მხრივ, იმდენად შორსაა ჩვენგან, რომ მხერს რამეც უკვე ვეღარ გააჩვენებ; მეორე მხრივ კი, ახლოს არის იმდენად, რამდენადაც კონფლიქტის ზოგჯერთი მონაწილე დღესაც ქართული თეატრის მოქმედ ძალას წარმოადგენს. ეს გარემოება თითქმის ამსუბუქებს ჯეშმარიტებისყენ მიმავლ გზას, მაგრამ ამავე დროს, სრულიად ვასაგებ მიზნითა გა-

მო, ახალუბრებს კიდევ თუ ვინმეს მინც სერს ქუშპარიტებს შეეხებოდნენ, მთავარია ირწმუნოს, რომ კონფლიქტი შემოქმედებითი იყო.

იყო თუ არა იგი კანონითიერი? ვფიქრობთ, იყო. ის რომ სწორედ 1926 წელს მოხდა, ეს შემთხვევათა კატეგორიაა, რომლის რეგულირება მხოლოდ შემოქმედებითი არ იყო, სამწუხაროდ. კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელს შორის კონფლიქტი ბუნებრივი იყო, რადგან ამ დროისათვის ს. ახმეტელს ნიჭი ისე მოაწიფდა, რომ საკუთარი, მკვეთრად გამოვლენილი ინდივიდუალური სახე მიიღო. „ლამპარამ“, რომლის პირველი ორი მოქმედება კ. მარჯანიშვილმა დადგა, ხოლო ბოლო ორი (კ. მარჯანიშვილის ავადმყოფობის გამო) ს. ახმეტელმა, ეს ნათლად გამოაანჟარა. წარმოადგენს ორსახოვანი აღმოჩენა და შემოქმედებითი ხელწერის ეს აღკვეთა იქცა სწორედ კონფლიქტის ერთერთ მიზეზად. მოულოდნელი იყო იგი, მაგრამ წინაპირობანი, ალბათ, ქონდა. ს. ახმეტელის ტულანტის მოწიფება შეუძინეველი ვერ დარჩებოდა — მისთვის, ვინც საქმესთან ახლოს იყო. ეს დოკუმენტებშიც აისახა.

„ლამპარამ“ მარჯანიშვილმა 1926 წლის 29 იანვარს შედგა (ავადმყოფობის გამო კ. მარჯანიშვილმა შეტევა გვიან ნახა იგი). ერთი თვეთ აღერე კი, 1926 წლის 2 იანვარს ეურნალ „ხელოვნებაში“ რუსთაველის თეატრის მაშინდელი დირექტორი, ქართული თეატრის გამორჩენილი მოღვაწე ა. ლავდა წერდა:

...პირველი ადგილი რეცხისობათ შორის კ. მარჯანიშვილის შემდეგ დაიკავა ს. ახმეტელმა.

თუმცა იგი საინფორმაციო წელს სისტემატრად მარჯანიშვილთან ერთად მუშაობს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ მოშობაში მის თანდასრულებს სავსებით იყო მათი ერთად მუშაობა (ერთსა და იმავე დადგმაზე). ამიერიდან, მათ ცალ-ცალკე დადგმები უნდა აიღონ და გვერდით უფრო ახალგაზრდა რეჟისორები ამოიყვანონ. ეს არ ნიშნავს მათ გათიშვასა და განცალკევებას. არამედ პარალელურ მუშაობას (ხაზი ჩვენია, ნ. უ.).

ამწინველა ამას კ. მარჯანიშვილიც, არც მალეველა. მსავაჯაროდ შეუძლებელია უ. ჩხეიძეს ამგვარი რომ ჩაეწერას:

...მარჯანიშვილი ყოველი ახალი დადგმის შემდეგ ლოცავდა მას და გვირგვინებდა ჩვენ, რომ თვითონ დაბერდა და ახმეტელი კი იმედენად გაიზარდა, რომ სრულად თეატრულად შეუძლია თეატრის გაუძღვეს და იმედოდ ვენება, რომ თეატრის საიმედო ხელში დარტყვებს¹.

თ, მინაგანი, ყველაზე ღრმა მიხეტი კონფლიქტისა — ს. ახმეტელს უკვე აღარ შეეძლო დაეყოფილებულიყო კ. მარჯანიშვილის ჩანადვითა განხორციელებით, თუმცა თანვეინს სცემდა მასწავლებელს. ის უკვე საკუთარი ჩანადვით იყო დატვირთული, ჩამოყალიბებული ქონდა საკუთარი მხატვრული ხედვა. შემოქმედის ინდივიდუალური ხელწერა მინაგანად უკვე იმდენად იყო გამოუმუშავებული, რომ „წერა“ მხოლოდ თავისებურად უნდოდა.

კონფლიქტი მიმდინარეობდა რთულად, მწვეველ, მტკიცეწულად. მაგრამ კ. მარჯანიშვილისა და, ცოტა ხნის შემდეგ, მსახიობთა ჩგვიფის წასვლის შედეგად, კუთისში შეიქმნა კიდევ ერთი შესანიშნავი თეატრი, რომელიც დღეს მარჯანიშვილის სახელს ატარებს. დამას იმ ნაწილს, რომელიც არ გახვევა კ. მარჯანიშვილს, ს. ახმეტელს წაუღვა სათავეში. ნუ დავივიწყებთ, რომ მაშინ ს. ახმეტელს ჟერ არ ქონდა დადგმული არც ერთი მისი სახელგანთქმული წარმოდგენა, მოუხედავად ამას, დამას მაინც გაიყო და ნაწილი მასთან დარჩა, მასმასღამე, ამ ნაწილს უკვე მაშინ სწამდა ს. ახმეტელის, როგორც ხელოვანისა.

პირველი სეზონი რთული იყო. გამარჯვებითა ზეიმი შემდეგი სეზონიდან დაიწყო. ერთი მურობის მიყოლებით შეიქმნა „არღვევა“, „ანზორი“, „ლამპარა“, „ყაბაღები“, „ეთნოლოგი“, ს. ახმეტელის დადგმითა და ირ. გამრეკელის მხატვრული გაფორმებით. ირ. გამრეკელმა უდიდესი წვლილი შეიტანა რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებაში.

ეთათრებანი, რომლებიც ხელს უწყობდნენ ს. ახმეტელის მქუხარ წარმატებას და მის კუმშირატ შემოქმედებით დამკვიდრებას საქართველოს ფარგლებს გარეთაც, სწრაფად მისდევენ ერთიერთი: 1930 წელი — საბჭოთა კავშირის ბაზლითა თეატრების ოლიმპიადი, 1933 — გასტროლები მოსკოვსა და ლენინგრადში. მოულოდნელი, წარმოუდგენელი გამარჯვება. რამდენჯერაც წაიფიქრებ ამას, რაც მაშინ დაიწერა რუსთაველს თეატრის შესახებ, იმდენჯერ გუფილება სიხარულისა და სიამაყის გრძობა. არა მარტო ქართული თეატრის, საერთოდ თეატრალური ხელოვნების მემართ, რომელსაც შეუძლია ასე ღრმად ჩასწვდეს სინამდვილეს, ამოხსნას რაც მასში უმთავრესია, ეს უმთავრესი კი გამოამხვიოს ისეთი ძალით, რომ მის შესახებ წერდნენ, აა, ასე:

...ამ თეატრზე, ამ წარმოდგენებზე შეიძლება წერო მხოლოდ ძახილის ნიშნებით. რა მწვენიერი თეატრია! რა მწვენიერი წარმოდგენები! ვისკენებ ყველაზე მკვეთარ, ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებებს — არც ერთი, არც ერთი არ შეიძლება ამოფუყნო გვერდით არც ამ წარმართ ტემპერამენტს, არც ამ გასაოცარ ფორმას! როგორი ახალგაზრდული, კაბუტური სულით

¹ უ. ჩხეიძე, მარჯანიშვილის რუსთაველის თეატრიდან წასვლა“ (ხელნაწერთა კრებული), გვ. 2-3, ხაზი ჩვენია, ნ. უ.).

იყვება ამ თეატრში მკურებელი, რომელიც, თეატრალური „კარგი ტონის“ ყველა კორდონებს ვადაღბებით, შიგ შეთავსლ მოქმედებაში იჭრება მქუხარე ტამით და გულწრფელი იყავითებით აღნიშნავს დასარტულს¹.

„...რუსთაველის თეატრმა განაცვიფრა მოსკოვი... ის ახლა მსოფლიო თეატრთა პირველ რიგშია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართველებმა შესანიშნავი აქტიორულ მასალა წარმოადგინეს. უზამხაზარი ტემპერამენტო, თამაშის სერიოზულობა, მოთარაბათა სიმსუბუქე, მეტყველი მიმიკა — არაჩვეულებრივია, ეჩვეულო. ყოველივე ამას რაღაც „ქაღწულებრივი“ ბეჭედი ახის. მათ კი დიდი კულტურა აქვთ. ეს ახლები საშუალებას მიაღწიონ მეცხთრსა და უზილო ფორმებს, რომელიც შეუძლიათ გამოსატონ წარსული და აწმყო... მეორეც, წარმატების მიზეზია ის, რომ გელისხმეირმა და ნიჭიერმა სანდრო ახმეტელმა შესწლო შესანიშნავად ევრძნო ეს გათათარი მასალა“².

„...უნაკ უნახავს მისი „ყარალები“, „ლამარა“, „ანთორი მოქალაქეობელი არიან ახმეტელის რეჟისორული ტემპერამენტით, რომელსაც საზღვარი არ გააჩნია. ეს იყო არა მარტო ეროვნული ხასიათი, არამედ ხასიათი თვით ახმეტელისა, ყოველი მისი დადგმა ენთო როგორც კოიკონია“³.

ეს ყველაფერი ითქვა მოსკოვში, 30-იან წლებში, როდესაც რუსულ თეატრს ჯერ კიდევ ამშვენებდნენ სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, მეიერხოლდი და ტაიროვი.

თეატრალური მოსკოვი დაიპყრო ს. ახმეტელის ხელუენებამ — მისი წარმოდგენების რეჟოლუციურმა პათოსმა, არქიტექტონიკის დადოსტატობამ, მარღენიანა რიტმმა, ფორმის დახეწილობამ და მეტყველ საშუალებათა გასათყარმა სითამამემ. მკაქმალბში ყველაფერში, საერთოდ დამახასიათებელი ს. ახმეტელისათვის, როგორც პირიუენებისა და ხელუენისათვის, ზოგს სახიფათოდაც ეჩვენებოდა. აღბადე, ამიტომ აღტაცებათა შორის გაფრთხილების ხმაც მოისმოდა.

1934 წელს რუსთაველის თეატრმა „დღერუქის“ დაარსების 10 წლის თავი აღნიშნა. ამ დღისათვის გამოცემულ საგანგებო კრებულის იტორია შორის არიან ცნობილი მეცნიერები, დრამატურგები, რეჟისორები, მსახიობები, კომპოზიტორები, კრიტიკოსები... და მაინც კრებულა არ მოიკავს ყველაფერს, რაც ითქვა იმ სახეობა დღეს რუსთაველის თეატრისა და მისი ხელმძღვანელის ს. ახმეტელის მიმართ.

იმ საღამოს ს. ახმეტელმა კიდევ ერთი წერილი მიიღო — მიხეილ ჯავახიშვილისაგან. გამოჩენილი მწერლისა და რეჟისორის შეგობრობა მხოლოდ პირად სიმბათისაზე არ ბეო ავებოდა, ის სავმინიუ იყო. ს. ახმეტელის დიდი სურვილი ჰქონდა მიეღო ნაწარმოები, რომელიც მ. ჯავახიშვილის მიერ იმთავითვე თეატრისთვის იქნებოდა გამოჩენული. გამოცვეწნებელი მიწერ-მიწერა ქართული ელტბრია ისეთ მოღვაწეთა შორის, როგორიც იყენენ მ. ჯავახიშვილი, მ. დადიანი გ. ქიქოძე, მ. ქორელი და ა. ფაღავა (1927 წ.) ადასტურებს, რომ ამ დრამისათვის მ. ჯავახიშვილს დაუწერია პიეცა „ივერიოში“, რომლის დადგმასაც აძირება ს. ახმეტელმა. ეს წერილები დაუწერია მ. ჯავახიშვილის პირად არქივში. ეცაქყენებთ ნაწყვეტს გ. ქიქოძის მიერ მ. ჯავახიშვილისაღმი 1927 წ. 10 სექტემბერს მიწერილი წერილიდან:

„...სამა ახმეტელს შეინ „ივერიოში“ ძალიან მოსწონს: ამ ბოლო წლებში ქართულად ისეთი პიესა არ დაწერილაო. ჯერ კიდევ ცოტათი მოთხრობის სტილის ვაღღენა იტყობა, მაგრამ შემდეგ ამ ვაღღენისაგან განათავისუფლებებო. მხოლოდ გირჩევს, კეკვის სახელი შესცვალა, ეს სარულიად დამოუცილებელი ნაწარმოებიაო“.

„ივერიოშის“ დადგმა არ განხორციელებულა. პიესა გაქრა. გაქრა ის წერილიც, რომელიც მიიღო ს. ახმეტელმა მ. ჯავახიშვილისაგან იმ სახეობა დღეს, მაგრამ შავი ხელნაწერი, საბედნიეროდ, არსებობს და აგრეთვე დაუწერია მ. ჯავახიშვილის არქივში:

„მეო სანდრო!“

ოციოღე წლის წინათ შენ ვამბეღე და საჭაროდ ვანაცხადე ქართულ თეატრს ეროვნული სახე არა აქვსო. მაშინ ეს აზრი კანდიერებმად ჩასთვალეს, მაგრამ რუსთაველის თეატრმა ცხადად გაამართლო შენი ნათქვამი.

შენი თაონსობით დაარსებულმა და შენივე სელმძღვანელობით აღზრდილმა თეატრმა თანდათან აბოვა ეროვნული ფორმა — ხასიათი, რითმი, პლასტიურობა, გვირული სული — და შიგ საბჭოთა შინაარსი ჩაღვარა, მხოლოდ ამ უშთაბრესი ორი დერძის წყალობით შეცვლო თეატრის ის მსოფლიო სახელი მოვხევეცა, რომელიც მან სამართლიანად დაიმსახურა.

რუსთაველის სახელობა ზიდვა უმეღესი და საბატლო გვირობა იყო. თქვენ ეს ტერითი პირნიათლად ზიდეთ და ყველა დარწმუნებულა, რომ არც ოღღემე მოუფლენებთ.

დღეს ეს თეატრი ათი წლის შუარტლდა. ეს დღე პირველად შენი და მთელი სათეატრო კოლექტივის დღესასწაულაა. ვთხოვ ამ ზეიმში ჩემი ხმაც ჩაერთო. მხურვალე საღამო და მადლობა ვიძღვეთ შენ და შენს დასსა და მტკიცედ შეგრა, რომ თქვენს სახელოვან თეატრს ახალ-ახალ მწყერვალეებზე აიყვანო და

¹ ემანუელ ბესინი, ვახ. „ვეჩერნიია მოსკოვა“, 1930 წ., 10 ივნისი.

² ა. ლენჩაჩსკი, ვახ. „ვეჩერნიია მოსკოვა“, 1930 წ., 8 ივლისი.

³ Н. Д. Волков. «Театральные вечера», Искусство, 1966 г. стр. 362.

ქართულ საბჭოთა ხელოვნებას ღირსეულ ძალად დაეყვინებოდა.

თქვენი უღრმესი მოყვარე და პატრიისმეცემელი მისხვილ ჟაჟახიშვილი 14/6 „341.“

ეს წერილი საკმაოდ ვრცელად გამოხატავს მ. ჟაჟახიშვილის შეხედულებას ს. ახმეტელზე, როგორც ხელოვანზე, იგივე აზრი, უფრო მოკლედ გამოთქვა მან წარ კიდევ 1929 წელს, როდესაც ს. ახმეტელს თავისი „გივი შადლი“ მიართვა საინტერესო შემდეგი წარწერით:

„ჩემს მეგობარს და ახალ ქართულ თეატრის აქტორს ალ. ახმეტელს

მის. ჟაჟახიშვილი“.

ეს წიგნი ათეული წლების განმავლობაში ინახებოდა იმ სახლის წარადღეში, სადაც ცხოვრობდა ს. ახმეტელის და, ეკატერინე მუხაძისა და ახლაც ცხოვრობს მისი ძმა გიორგი. მან მოგვცა შესაძლებლობა ვეპოვა არა მარტო ეს წიგნი, არამედ ს. ახმეტელის ბიბლიოთეკის სხვა წიგნებიც, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ რეჟისორის შემოქმედების შესწავლასათვის. ეს წიგნები შეიცავენ ს. ახმეტელის მუშაობის ნაკვალევს პროზაულსა და დრამატურული ნაწარმოებებზე, რომელთა დადგმასაც, ეტყობა, ამირებდა იგი. მათ შორისაა: ს. შვალაბაძის „გორა-ზაქარა“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი გიანა“, შექსპირის „მეფე ლირა“ და სხვ.

ჩვენს ხელთაა კიდევ რამდენიმე წიგნი ს. ახმეტელის ბიბლიოთეკიდან. ისინი მისმა უფროსმა ვაჟმა, შალვა, შემოინახა. ეს წიგნები ს. ახმეტელს პეტერბურგიდან ჩამოუტანია, მაშასადამე, აღნიშვნებიც სტუდენტობის დროს ეკუთვნის. რა წიგნებია ეს?

Д. Писарев — «Промехи незрелой мысли», «Перелом в умственной жизни средневековой Европы», «Педагогические софизмы», «Разрушение эстетик», «Исторические идеи Огюста Канта».

Р. Австриус — «Критика чистого опыта».

И. Тэн — «Происхождение современной Франции» და სხვა.

კითხულობდა, როგორც ჩანს, გატაცებით, მღელვარედ. ხანჯამმა ძლიერი აქვს, მტკიცე, ქალღმირს არ ინდობს. მინაწერები — «Для этого же служит беллетристика», ან «драво» — თითქმის ზემოაღიდავი შემაბილი ვეცემის.

ბევრი რამ საინტერესო გამოირჩევა ამ ბოლო ხანებში ს. ახმეტელის მოღვაწეობის შესახებ მუსიკალურ თეატრში, განხორციელებულ და განუხორციელებელ საოპერო დადგმებზე მუშაობის შესახებ საქართველოსა და მის გარეთ. შემოქმედებით კავშირზე ს. ახმეტელსა და კომპოზიტორ მ. იპოლიტოვიჩისთვის

შორს, რომელსაც 1925 წ. მისთვის სარეკონიოდ გამოუგზავნია რუსთაველის მხედველით შექმნილი ოპერა „ნესტან-დარეჯანი“ ელიზბეტო. ამ ერთელი და საინტერესო მუშაობაზე ხელნაწერი ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული.

ყვალს მივყავართ იმავე თემის ქორეოგრაფიოდ გადაწყვეტილებას. გამოჩენილი ლიბრეტისტის ნ. დ. ვოლოკოვის ცნობით, ლიბრეტო ბალეტრასათვის „ფეფსინტუოსანი“ მას შეუქმნია ს. ახმეტელის იდეით, რომელთანაც მუშაობა დიდად იტაცებდა თურქმა ნ. დ. ვოლოკოვმა მდიდარი არქივი, რომელიც ინახება მის მუშაობისთან, მსახიობ დ. ვ. ზერკალოვსთან, აღბათ, შეიცავს საბუთებს გამოჩენილი რეჟისორისა და ლიბრეტისტის ერთობლივ მუშაობაზე რუსთაველის პოემის ქორეოგრაფიულ განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს მასალა მკვლევარს ელის.

ს. ახმეტელის პირადი მიწერ-მოწერა მცირედაც ცნობილი. არც წერილებია ბევრი — რამდენიმე ლია ბარათი შინაურებისადმი, წერილები ი. პაატაშვილისადმი, კ. მარჯანიშვილის, პ. კაცაბაძის, ს. შანშიაშვილის, უნაბო მგობარ ვალოდიასადმი (დაუმთავრებელი), რამდენიმე წერილი დრამატურგ ა. გულბოვისადმი და სხვა. შინაურებისადმი მიწერილი ლია ბარათების გარდა, ყველა წერილი საქმიანია. რასაკვირველია, თეატრს ეხება. არც ერთი სტრიქონი წამაბეჭდებელი, არც ერთხელ არაფერს წერს იმაზე, რაც ყველაზე მეტად აღელვებს — თანამედროვეობა, რიტმი, ფორმა, ეთიკა... თითქმის არასდროს არ წერს მშვიდად, არ უყვარს თხოობა — კამათობს, ამტკიცებს, იბრძვის...

შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს ამ დოკუმენტების ლიტერატურული ხარისხი, მაგრამ ერთი ნათელია — ეს წერილები უცხო მკითხველს არ გულისხმობენ, არც ისტორიკოსს, რომლის წინაშეც ვსურს გონიერი პრინციპული და უზადო ჩანდვ. არა, ეს არის გულწრფელი, გულახდილი წერილები. ამაშია მათი ფასი. ეს წერილები ს. ახმეტელის ბიოგრაფიის არასდროს, მაგრამ მინიმუმ ცოცხალი მონაცემითა, თეატრალურ ფრონტზე მიმდინარე დამაბული ბრძოლის ცოცხალი ისტორია. ყოველი მათგანი ავლენს არა მარტო ს. ახმეტელისა და აღრესატის ურთიერთობას, არამედ გამოჩენილი რეჟისორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვეულ პერიოდსაც. ყველა ერთად კი — ს. ახმეტელის, ამ ფიციხი, კატეგორიული, ძლიერი და კეთილი, საოცრად გულსხმიერი,

1 Н. Д. Волков, «Театральные вечера», Искusstvo, 1966, стр. 362—363.

2 დაცულია საქ. სათეატრო მუზეუმში.

3 დაცულია თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

4 დაცულია რუსთაველის თეატრის მუზეუმში.

ზოგჯერ თავშეუკავებელი კაცის წინააღმდეგობებში საცხე ხსიათს.

ფოტოგრაფია ძვირფასი დოკუმენტია იმიტომ, რომ ზუსტია იგი. მას შეუძლია თვალნათლად გვიამბოს, როგორ გამოიყურებოდა ჩვენთვის საინტერესო პიროვნება, ვისთან იყო დახლოებული, როგორ იცემდა, როგორ სჩვენდა დგომა, ჯდომა. ფოტოსურათი იმასაც კი შემოგვიჩვენებს, რასაც სიტყვით ვერც ვაღმოგვეცქის — მზერას და ღიმილს. ასე შემოვინახა მან ს. ახმეტელის გამოსახულება იმათ, ვისაც არ ხვდა წილად ბედნიერება თავისი თვალთა ტანა იგი.

ს. ახმეტელის ფოტოსურათების რაოდენობა არ არის მცირე, მაგრამ მინც ყოველი ახალი სურათი ძვირფასია, რადგან ის რაღაცით მაინც ავსებდა ჩვენს ცოდნას ამ შესანიშნავი ზელოვანის შესახებ. ამიტომ იყო სასიხარულო, როდესაც პროფ. გიორგი ციციშვილის (ს. ახმეტელთან ერთდროულად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქიმიურ ფაულტეტზე) ოჯახში აღმოჩნდა აქამდე უცნობი სახუმარო ფოტო ს. ახმეტელისა, რომელიც მას იქაურ სტუდენტებთან გადაუღია 1914 წელს. სასიხარულოა, რომ ვასო გომიაშვილთან დღესაც ინახება ზაფხულში, ტბაზე გადაღებული სურათი ს. ახმეტელისა. ძვირფასია და თან ამაღლებული თორმეტი წლის მოსწავლის თელი ღიბრამის ახლა უკვე დროისაგან გავყვილებული რეველი, რომელშიც მას სიყვარული ჩაუყარავს ეფრნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი ქართულ თეატრალურ მოღვაწეთა ფოტორეპროდუქციები, ზუსტი წარწერით. მაშინ ის, რა თქმა უნდა, ვერ წარმოიდგენდა, რომ ოცდაათი წლის შემდეგ ზოგიერთი რეპროდუქცია უნიკალური იქნება იმიტომ, რომ დედანი უკვე იღარ არსებობს.

ადამიანის პორტრეტი სიტყვიდაც შეიძლება დაიხატოს. არსებობს ს. ახმეტელის ასეთი „ფოტოც“, ნ. დ. ვოლკოვის მესხიერებით „გადაღებული“ 1930 წელს: „მისი ენერგიული სახე ჩამძვლი იყო ჰალარაშერელი, შავი, ხეველი თმის ჩარჩოში. თქალეში დემონის ცეცხლი ენთა“¹.

ნ. დ. ვოლკოვის წიგნში: „Театральные вечера“ შეგვატყობინა, რომ ლეონილოვის, მეიერხოლდისა და ხმელვის ცნობილი პორტრეტების ავტორს, გამოჩენილ თეატრალურ მხატვარს ვ. ვილიამსს ს. ახმეტელის პორტრეტიც აღუზავს, ამ პორტრეტს ნ. დ. ვოლკოვი შესანიშნავი ნაწარმოებად აღიარებს².

სად არის იგი? ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცულ ვ. ვილიამსის ფონდში ის არ არის აღ-

ნიშნული. მხატვრის მეუღლეს ის არ ახსოვს, არაფერი მის შესახებ არ სმენია თეატრალური მხატვრობის ისეთ ცნობილ მკვლევარს, როგორცაა ა. ნ. შიფრინა. ამ საქაბანის ქაბამეში „დაკითხულთა“ რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ვასაოცარი მზადყოფნით ებმება ძებნაში ყველა. მერე თვითონ, თავის მხრივ მიმართავენ ნაცნობის ნაცნობებს, თუ კი მათ შეიძლება რაიმე საერთო მქონდეთ დაკარგულ პორტრეტთან. ასე, ცნობილი მომღერლის, პროდ. ნ. ლ. დორლიაკის საშუალებით მივალწიეთ ვ. ბულგაკოვის მეუღლემდე. ჯერჯერობით ის არის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც უნახავს ვ. ვილიამსის მიერ დახატული ს. ახმეტელის პორტრეტი. მაშ, სად არის იგი? სადაც არის. უნდა ვეძებოთ.

ვ. ვილიამსის პორტრეტს ვერ მივავენიოთ, მაგრამ ელენე ახვლედიანის მიერ დაახლოებით 1928 წ. გაკეთებული ჩანახატი კი მოაქვანა. როგორც ცნობილია, ჩვენი სახელოვანი პეიზაჟისტის მდიდარ შემოქმედებას ხელ რამდენიმე ადამიანის პორტრეტი ამშვენებს. ერთი მათგანი სანდრო ახმეტელია.

ყველამ კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რეპეტიციითა დღიურებს თეატრის ისტორიისათვის. რამდენი მნიშვნელოვანი ფაქტი დადგენილა ამ დღიურების წყალობით, რომლებშიც ზუსტადაა ზოლმე აღნიშნული მონაწილეთა გვარები, დასწრება-დაუსწრებლობა, ემიზონლებზე შეშაობის თანმიმდევრობა და სხვა. ზოლო თუ რევისორის თანამშემე, ვართ იმისა, რომ ზუსტია და ექთილისინდისიერი, შემოქმედიცაა, მაშინ ის იმასაც აღწესსავს, თუ რა თქვა რეპეტიციოზე მონაწილეთა მიერ და რა გზით სცადეს თქმულის მოქმედებაში გადატანა. ასეთ შემთხვევებში დღიურებში შემოქმედების განუმეორებელი წუთებიც ფიქსირებული.

რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცულია დავითის ზომის ეფრნალი, რომელშიც ს. ახმეტელის რეპეტიციითა დღიურებია აკონძული. უმრავლეს შემთხვევაში ჩაწერას აწარმოებს ახალგაზრდა არჩილ ჩხატრევილი (ამჟამად რუსთაველის თეატრის მთავარი რეჟისორი), მაშინ ის ახლად იყო მოსული თეატრში.

ა. ჩხატრევილის მიერ ჩაწერილი, საშუაბოროდ დღემდე შეუსწავალი, ს. ახმეტელის რეპეტიციითა ჩანაწერები ძვირფასი დოკუმენტია. ის შეიცავს ს. ახმეტელის ნაამბობს მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრებში ნახული წარმოდგენების შესახებ (1928). ს. ახმეტელის შეხედულებებს თეატრალური ეთიკისა და დისციპლინის, მსახიობის აღზრდის, სასცენო ხელოვნების მეცნიერული საფუძვლების შესწავლის აუცილებლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებულ პელოვისა და ბეხტერევის მოძღვრების შესახებ ამ დღიურებიდან ვგებულობთ, რომ საღამოობით ს. ახმეტელი თავს უყრიდა დასის

¹ Н. Д. Волков «Театральные вечера», Искусство, 1966, стр. 362.

² იქვე, გვ. 388.

წევრებს და ამტკიცებდა რეფლექსოლოგი-
წი. დღორებმა შემოინახეს შინაარსი ს. ახმე-
ტელის რამდენიმე გამოცემისა კლასიკური ნა-
წარმოების თანამედროვე სტენაზე განხორციე-
ვლების, რიტმის, ეროვნული ფორმის, მეიერ-
ხილდის შესახებ.

ამ დღორების წყალობით დღეს, ოპოპო
წლის შემდეგ, შეგვიძლია დავადგინოთ რამდენ-
ნი ხანი შინაარსი ს. ახმეტელმა „სანდროს“
მონაწილეებით დაღისტნერ კილოზე მუშაობას
რამდენი — გიბრთა დახასიათებას, სახეთა დე-
ტალაზიკის, სახელდობრ, როდის გამოყენება,
რომ დღის რეპერტივობი აღარ არის სავარაზისო
და დაწყო დამატებითი მუშაობა საღამოს.

დღორში ჩაქრულია სტენის დავეგმვის ნა-
ხაზი ატეტებისა და სურათების მიხედვით, ავ-
რეთვე ფერებში შესრულებული დეკორაციის
ესკიზები (შემიკრებულნი ზომით). ამ ჩანახატს
თან ერთის ერთი მიზანსკენიდან მგორგეში გა-
დასვლის დამწილებითი ჩანაწერი. მითითებუ-
ლია არა მარტო წამყვან გიბრთა მოქმედების
ხაზი, არამედ მასობრივი სტენის ყველა მონა-
წილისა. ამ ჩანაწერებით სპეტაკალის აღდგენა-
ცა შესაძლებელი.

დღორის ფურცლები წითელი ფერის მინა-
წერებითაა გადაკეთილი — თანამეწიის მჭიდ
ხელწერაში შემოტრიალია მთავარი რეცისორის
სწრაფი, უფრო ხშირად მრისხანე მინაწერები:
„მე დავიგვიანე ათო წუთი“, „გამოცხადოს
შეკერი საყუდური მსახიობებს ნ. ჭავჭავიძე-
სა და ნ. ალექსი-მესხიშვილს რეპერტივისადმი
უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის“,
„გამოტყვეთეთ ვიკლენისათვის“, „სადღური ოქ-
შია ეს?“, „გაიკრას ვინკარგულება ჩემი სახე-
ლით პაპროსის ნაწილის აქრძალის შესახებ
სარეპერტივი დარბაზში“, „სირცხვილია ასეთი
ოქმის შეტანა“, „თუ ოქმი დამთავრებულია,
რატომ ხელს არ აწერს რეცისორი?“, „სადღა
ოქმი?!...“.

რამდენა აქვარი მინაწერი... როგორ ნათ-
ლად იხატება ამ მინაწერებში სანდრო ახმე-
ტელი — დღორატელი ენერჯის ადამიანი,
დაუნდობლად მომთხოვნი საკუთარი თავისა
და სხეულის მიმართ, თუკი ამის საქმე მოითხოვს,
პარდაშირი, შეკერი, თეატრის სამხატვრო ხელ-
მღერალი, სავსით საშინლად დატრირთული,
როგორი უფრადღებით ადვენებს თვალს რეპე-
ტაციის დღორს, კითხულობს ყველა ჩანა-
წერს, ამოწმებს ყოველდღიურად, შფოთავს
და გრგვიანებს, თუ ჩანაწერი არ არის სრულ-
ფასოვანი... რატომ? რეპერტივის წარმატებას, არც
არც განსაზღვრავს სპეტაკალის წარმატებას, არც
რეცისორისთვის მოაქვს სახელი და დიდება?!

გესმოდეს რეპერტივის დღორის მნიშვნელო-
ბა, თვალ-ყური აღვენო მის შინაარსსა და
ხარისხს, იღვლო და მოითხოვო მისი წარმო-
ების სიზუსტე — ნიშნავს, პატრი სტე იმით
შრომს, ვინც ქმნის ამ სპეტაკალს. ნიშნავს

წესრიგისა და დისციპლინის დანერგვის, დღე-
ვანდელის ხვალისთვის შენახვის ნიშნავს. რა
ნიშნავთა ასეთი მავალითებია თეატრის ინტო-
რიაში.

ხელოვანის, როგორც შემოქმედისა და პი-
როგოვანის გამოცემის გზები დაუსრულებლად
მრავალფეროვანია, მაგრამ ყველაზე რთული
და ფაქიზი მანერ ნაცნობ-მეგობართა მესხიერე-
ბაში აღმუქილი შთაბეჭდილებებია, ალბათ.
ეს აბლობლები, ხელოვანის თანამედროვენი,
ვანსუგავებული არიან ასაკით, პროფესიით, გე-
მოვნებით, ხასიათით... და ვან იცის, კიდევ რამ-
დენი რამ განაპირობებს ხოლმე მესხიერებაში
შემორჩენილ შთაბეჭდილებას!

როგორ გამოიყურება სანდრო ახმეტელი მის
თანამედროვეთა ნაშრომში?

გ ი თ რ გ ი ც ი ე ი შ ვ ი ლ ი: „მე და სანდრო
ერთსა და იმავე დროს ვსწავლობდათ პეტერბურ-
გის უნივერსიტეტში, მაგრამ სხვადასხვა ფაქტო-
რებზე, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს.
მიუღ თავსუფალ დროს სანდრო ბიბლიოთე-
კაში ატარებდა. საშინლად იყო ვტაცებული
თეატრალური ლიტერატურით. ჭლიან ხშირად
დადიოდა თეატრში, წერდა მასზე. უყვარდა
იმის შოყოლა, თუ როგორ წარმოუდგენია ამა
თუ იმ პიერის სტენაზე დადგმა. ფანტაზია
უსაზღვრო ქონდა. იცენებოდა „სამშობლოს“
დადგმაზე. ამ სპეტაკალისთვის სტენას არ სქე-
რდებოდა და პარტერში იჯრებოდა.“

სანდრო იყო არაჩვეულებრივიად ნაჭიერი და
არაჩვეულებრივიად კეთილი.“

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა დ ა ლ ა შ ვ ი ლ ი: „...სანდ-
რო ახმეტელს მეტების მუხეუქის შესობაში
ვხვდებოდი დიმიტრი შვეარდნაძის ბინაზე. ჭარ-
თული კულტურის გამოჩენილ მცოდნე დიმიტრი
შვეარდნაძესთან ხშირად იჯრებებოდნენ მხატვ-
რები, მწერლები, მეცნიერები, თეატრის მუშაე-
ბი. სანდრო ახმეტელს სულ რამდენჯერმე შეხვ-
ვლი, მაგრამ კარგად მახსოვს. მას ქონდა ში-
ნავენი ძალა, დამაწმუნებელი და შთაბეჭდივი,
გარეგნობაც საინტერესო ქონდა — მტკიცედ
იყო ჩამოსხმული, მისი სახე ტილოზე აღსაბეჭ-
დად იღვროდა.“

ს ე ს ლ ი ა თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი: „...პირველი
შეხვედრა — მისაღებ გამოცდაზე თეატრალურ
სტუდიაში. 1922 წელი. საგამოცდო კომისიაში
არიან კ. შარჭანიშვილი, ა. ფაღვა, ნ. შიუკა-
შვილი, ე. ვენდეროვიჩი-ელენტი და სხვანი. არის
კიდევ ვიღაც უცნობი, რომლის სახეზეც ამა-
ღვლეა. ეს სახე შეკერი იყო, ძლიერი. მზერა
მახელი, ამავე დროს არაჩვეულებრივ კეთი-
ლი; და, აი, იმ საშინელი მღელვარების დროს
დამუხუფა აზრი, რომ თუ ამ კაცს მოვეწონე-
ბი — მიწერია მსახიობობა.“

ის კაცი, ძლიერი სახითა და მახელი მზე-
რით, სანდროს ახმეტელი იყო. ექვსი წელი ეი-
მუშავე მასთან არუსთაველის თეატრში. ახლა
განსაკუთრებით კარგადაა ჩემთვის გასაგები თუ

რამი იყო მისი ზელოვნების ძალა და სიღამაზე: სპექტაკლების საათითი აწვითილ მიმდინარეობაში, ღრმად ერთნულ ბუნებაში, აზრობრივი და რიტმული მახვილების უცდომელ განაწილებაში, სცენური მოქმედების შინაგან მუსიკალობაში და პლატეცურობაში.

ამ შენაერთიდან იმდებოდა ის განსაკუთრებული, ვეკაცური რომანტიკა, რომელიც იპყრობდა და იტაცებდა როგორც შემსრულებლებს, ისე მაყურებელს.

სანდრო ამბეტელი მკაცრი იყო, პრინციპული, საქმიანი და მოძიხონი. იყო ნამდვილი გულისმებერი მეგობარი, მაგრამ თეატრის, კოლექტივის ინტერესები მუდამ ყველაფერზე მაღლა იდგა მისთვის. მას შეეძლო საერთო შემოქმედებათი მიზნის გარშემო კოლექტივის გაერთიანება. ამგვარი შემოქმედებითი ერთსულოვნების გარეშე შეუძლებელი იყო ამბეტელისეული სპექტაკლების შექმნა.

მე შეგონია, რომ ღიმი მხატვრის, სანდრო ამბეტელის სული ღღესაც ცოცხლობს რუსთაველის თეატრში“.

გოძოვი საღმრთო: „...ყოველი შეხვედრა სანდრო ამბეტელთან საინტერესო მოულოდნელობით იყო დატვირთული. მას უყვარდა მსახიობი. რეპეტიციის დროთი განსაზღვრა არ იცოდა. მუდამ ენითა და ხარხად ისწრაფებოდა ახლის, ჭერ განუცდებოდა და უჩვეულოსად. არ, არც ცხოვრებაში, არც შემოქმედებაში მან არ იცოდა რა არის იმი. რაღაც სასწაულით თვითმეტი აკისრებდა შეეძლო სცენაზე ზღვა ხალხის შთაბეჭდილება შეექმნა. რეპეტიციის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე მუდამ დარბაზში იყო. ზუსტად თერთმეტზე კარი იხრებოდა, ვერც გაბედავდა ვინმე მის შეღებას. გასაოცრად ეთილი და გულისსმებერი, არავის დაინდობდა, თუკი კოლექტივის პრესტიჟს შეესხებოდა ვინმე. მე მშამდა მისი როგორც ღმერთის.“

ვახოვანი გოძოვი: „...მე ხშირად ვიკონებ სანდრო ამბეტელს, განსაკუთრებით მსახიობური დაქვევების მძიმე წუთებში, როდესაც ვინმე სიმართლე იცოდე შენი ნამუშევრის შესახებ. მან იცოდა სიშარბლის თქმა.“

ქებაზე ძენში იყო, მაგრამ სამაგიეროდ როგორ ეზიაროდა, თუკი რასმე მოგიწონებდა თვითონაც ძალიან უხაროდა, როცა ხედავდა, რომ მსახიობმა რაღაცას ნამდვილს მიავნო და მიადწია.

მამა'არ მახსოვს, მაგრამ რა არის მამობრივი ზრუნვა, ალერსი და შრისხანებაც კი სანდრო ამბეტელისაგან ვეგრძენი. ამის სამაგიეროდ მადლობის გრძნობას მთელი ჩემი სიცოცხლე ვატარებ გულში.

მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ მან მასწავლა თეატრის ანბანი და მინე განმაცდევინა

და ატიორული წარმატების პირველი სტაბილიზაცია — მის ბრჭყინვალე, ვეკაცურ, ვეკაცურულ, ზორში მე ახმას ვთამაშობდა. ვეკაცურულად, მუდამ მხიზლავდა სანდრო ამბეტელს მისი არაჩვეულებრივი მუსიკალობა და პლასტიკობა. ის გრძნობდა ბგერისა და მოძიხონის მშვენიერებას, უბრლო სიტყვას, თავის ოდნავ შემობრუნებას. ყველაფერი უხარო, უსახო და სიცოცხლის სიყვარულს მოკლებული სიძულვილს იწვევდა მასში. მას უყვარდა სიცოცხლე, ცხოვრებოდა და ხელოვნების მშვენიერება. ტანებოდა სიმღერით, ვარსკვლავიანი ცის სილამაზით, ეტრფოდა ქალის მშვენიერებას და გაზაფხულის პირველ სუნთქვას..

ოცდაათი გაზაფხული მოვიდა მის შემდეგ, რაც აღარ არის ამბეტელი და ყოველ აპრილს, მის დაბადების დღეს, გაზაფხულის ყველაზე ნახა ყვავილებით მინდა შევიამო სანდროს. დეკორული საფლავი“.

სეთია სანდრო ამბეტელი იმათ ხსონაში, ვინც მოკონება გაანდო ქილადს. რამდენმა ჭერაც ვერ მოხებრბა. ჩვენ კი ბევრი, კოდე ბევრი რამ უნდა ვავიოთ“ მის შესახებ და დეკორაციებით შევისწავლიათ: რა მთილო იმდროინდელი პეტერბურგის თეატრიდან? ჯ. ვაგლენა მოახდინა ამ თეატრში მის მხატვრულ მრწამსზე? როგორ ყალიბდებოდა ეს მრწამსი, როგორ ვლინდებოდა მის ლიტერატურულ შრომებსა და შემდეგ თეატრში? ჩვენ უნდა შევისწავლოთ სანდრო ამბეტელის თეატრალური ესთეტიკა არა მარტო სპექტაკლების მიხედვით, არამედ იმ შავი ჩანაწერების მიხედვითაც, რომელია ნაწილი მინც ვადარბა. სანდრო ამბეტელი ისტორიული პაროვნებაა, ამიტომ ყველაფერი, რაც დაეკონკრებოდა მის სახელთან, საინტერესოა და საჭირო. თუნდაც უბრლო გახსენება შერბათა კავშირის პლენუმზე, სადაც კ. პალსტოკისკი შეიერბოლდის, ბაბულისა და ტიაროვის გვერდით ახსენა იგი, როგორც ღიბრიტალიტი.

უნდა მოიძებნოს და მოგროვდეს ყველაფერი, რაც დარჩა მისგან, რაც ატარებს მისი შეხების უხილავ კვალს. ასეთი ნეტებე ჭერჭერობით ძალიან ცოტაა: საწერი მაგადა, სამელნე, ქარვის მუნდშტუკი. ფართოყელისანი ჩიბუხი, რომელიც ნიკოტინის საშინელი რაოდენობის გამტარი იყო, მექანიკური ასანთი, საქათველოს ფულანტონის ნაწებური საათი, წარწერით, ნაპოლეონის გამოსახულებით შეშეული მაჭის დილები... ესენი არიან სანდრო ამბეტელის მშფოთვარე, უკომპრომისო ცხოვრების მღრჩე მოწმენი. უნდა ეეჭებოთ კოდევ-დაეინებით, დაბეჯითებით, დიდი რწმენით, ყველა ძაფე, უოველი კვალი, რომ ნამდვილად ამოხსნათ და შევისწავლოთ ჩვენს დროის დიდი ხელოვანის, სანდრო ამბეტელის შემოქმედება.

ათასი უთი ბაღაა

განცდილი და გავრცეილი

მორა კაბი...

გამოვდა, რომ გერმანელები, ინგლისელები და ფრანგები ტყვილად აბრალებდნენ ნორმბერგას პრეტენზიე ერამანეთს „კავკასიის დაბჭობის“ აგრესიულ ზრახვებს. თავის დროზე ყველას ერთი მიზანი ჰქონდა: ამ მხარის მდიდარი რესურსების, განსაკუთრებით კი — ბაქოს ნავთის ექსპლოატაცია. ამისთვის მიეცნენ, რა თქმა უნდა, დროებით ან, როგორც თვითონ წერს, „ტაქტიკური მოსაზრებით“ მოუხდა შეგუბრდა თვით მამადიანურ რელიგიასაც. იგი იძლეოდა რეკომენდაციას, აზერბაიჯანში ფრთხილად მოსურობდნენ რწმენის საკითხს, რადგან იმის იქით იდგა მთელი მამადიანური შროფლი, რომელთანაც პიტლერს მომავალში თავისი ანგარიშები ჰქონდა. მთავარი აქაც ის იყო, რომ, იმავე შემორანდუმის მიხედვით, „გერმანიის იმპერიას თავის ხელში აეღო მიველი ნავთი“...

...ბაქოსა და ერავის ნავთით გაბელებამაც შეუწყო ხელი ინგლისელებს, ფრანგებსა და გერმანელებს მორის წინააღმდეგობის გამწვავებას და ხელი შეუშალა მათ, გაერთიანებული ძალებით განეხორციელებინათ თავიანთი ექსპანსიური პოლიტიკა აღმოსავლეთში. ეს ვერც რეალოდ ჰქსის საიდუმლო მიხიამ მოახერხა ლინდონში. ის სწორედ მამან „შეშალა“ და გაფრინდა ინგლისში, როცა გერმანელთა დაიწყოება საბრძოლველად იყურენ განლაგებული სამქოთა გავიორის საზღვრებზე. ნორმბერგში ჰქსის ამბობდა, ეს გადაწყვეტილება იმის შემდეგ მივიღე, რაც „მოგვმა და ზემსა იღვმელმა მზრასნებელმა“ ააქსპოფერმა მასა სინმარში ანგელოზივით რომ მიფრინავდი ინგლისისკენო. მას უნდოდა საზოგადოებისა და ტრიბუნლის წინაშე თავი მართლაც „მმედიობის ანგელოზად“ წარმოედგინა მამან, როდესაც ფაქტები სულ ხაწინააღმდეგობს ამტკიცებენ. ამბობენ: მელია სადაც წავა, კვლავ იქ გაყვებაო. არც ჰქსს დაუტოვებია თავისი კული გერმანიაში. იგი ლინდონშიც ისე იტყუოდა როგორც ბერლინში.

მიზანიც ძველებური რჩებოდა: აქეთ რომ პიტლერი ბაქოს ნავთისკენ მიიწვედა, იქეთ ჰქსი ერავს ნავთობებზე ედავებოდა ინგლისის მთავრობას. „გივი ეფრეიტორი“ და მის მიერ გაგიფებულად გამოცხადებული „ექვიპტელი მოფი“ ჰქსი ამ შემთხვევითაც შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ამიტომ იყო, რომ ჰქსის ინგლისში სენსაციური გაფრინის მიზეზად მისი შემოილობის გამოცხადება ნაკლებ დასაჯერებელი გასდა, არა მარტო საზოგადოებრივი აზრისთვის, არამედ თვით შესოლინისთვისაც კი. იტალიაც „ინგლისის ხარჯზე“ მოითხოვდა თავისი საზღვრობელობისა და გავლენის სფეროს გაფართოებას. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჰქსსაც ეს „საიდუმლო გაფრენა“ შეუფოთებას იწვევდა რომში. ეს ისე საგარძობო იყო, რომ რიბენტროპი იძულებული გახდა ბრუნდონი შევედროდა შესოლინის და ზაინოს. ამ შეხვედრასაც რაბენტროპმა განაცხადა, რომ ჰქსს თითქმის არავითარი დავალება არ ჰქონდა პიტლერისაგან; რომ ის საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა და დაადასტერომ კიდევ ვერსია „ჰქსის შესაძლებელი შემოილობის“ შესახებ.

ნორმბერგში შე წავიციებე და ვთარგმნე ამ შეხვედრის ოქმი, იგი იმდენად მნიშვნელოვანად და საინტერესოდ მეჩვენა, რომ ასლი ახლაც თანა მაქვს. ამ ოქმის მიხედვით, რიბენტროპი აცნობებს შესოლინის, რომ ის სპეციალურად გამოგზავნა ფიურერმა, რათა ინფორმაცია გაუცუოს ჰქსის, გაფრინისა და ღარლანთან მოლაპარაკების შესახებ.

თავის მიხამში დარწმუნებულმა რიბენტროპმა უთხრა შესოლინის:

— პიტლერი და მისი თანამშრომლები გაოცებულნი არიან ჰქსის მოქმედებით. ფიქრობენ, რომ ეს შემოილობის გამო ჩაივინა მან, თორემ ფიურერი-სადში ღლატაზე ლამზაკაციე ზედმეტია.

მერე რიბენტროპი დაწერილობით მოყვა ჰქსის ავადმყოფობის ისტორიას და დაუმატა:

— ინგლისელებისადმი ფარული სიმამათის გამო ჰქსსმა აიკვიტა სულელური აზრი — დიდი ბრიტა-

ნეთის გარკვეული წრეების ზეგავლენით აიძულეს ინგლისს მთავრობა წავიღებ და მოეხმებო. ყოველივე ეს მან ჩამოყალიბა თავის ერთელსა და დახვეულ წერილში ფორერისადმი. როცა ფორერმა ეს წერილი მიიღო, საბჭად დარწმუნდა, მაგრამ ქვეს იგი ვერმანიაში. იმედი გვეონდა, რომ ქვესის თვით-მწიბრებს აგარია მოუყვდიოდა, მაგრამ შეიტყვეთ, რომ ის ამგვარ ინგლისშია და უკვე სკადა კიდევ დაკავშირებოდა ლორდ ჰამილტონს. აბრეგად, დაღუპვის რისკს ფასად მან განაბორცილა თავისი სულელური ჩანაფიქრი. პიტლერმა მოხსნა ქვესი თანამდებობიდან, აკარა ყველა ღირსება და ალბათ დახვეტეს კიდევ, თუ ის გერმანიაში დაბრუნდება. მართალია, ვლადიკოვს გრძელდება, მაგრამ უკვე სრულიად ამკარაა, რომ ეს ფორერისადმი ლაღატი არ არის გამოიწვეული.

რიბენტროპის ამ მიუხედავად-მოკაბულ „განმარტების“ შესაძლებლობა:

— პოლიტიკური თვალსაზრისით ქვესის გაფრენას მე სურათულ მნიშვნელობას არ ვაძლევ, თუმცა ფსიქოლოგიურად არ არის სასიამოვნო საქმე, ვფიქრობ, რომ ეს გაუგებებს არ მოახდენს არც პერლონისა და ღერძის მოქმედებასა და არც იმის შედეგობას. 3-4 დღის შემდეგ ვეღაფერი გაივლის და დაევიწყებას მივყვამ.

— ფორერის უცდას, — სოჭე რიბენტროპმა, — მტრის პროპაგანდა როგორ გამოიყენებს ამ ამბავს. ის ფიქრობს, რომ ჩერტილი არ ეცდება განმარტოვებას, თითქმის ქვესის უნდოდეს ზავის შეკრა ინგლისთან. ეს მისთვის სასარგებლო არ იქნება. მოხალღნდება, რომ ის თავის პროპაგანდას ააგებს იმაზე, რომ ეს იმპერიის ხელმძღვანელთა შორის უთანხმოებისა და განხეთქილების ნიშანია.

შესაძლებელია ერთხელ კიდევ გამოვიყარა, რომ სრულიად დამწინდებულად ეურება ამ საქმეს, მაგრამ, როგორც თქვიდან ჩანს, არ დაიჭრება რიბენტროპის ახსნა-განმარტება და საუბრის ბოლოს მაინც განაყვად, უმოხუბს იქნებოდა ამ საქმეზე უფრო სწორი ინფორმაცია მივქლო.

გერმანია არ იყო დაინტერესებული გამოამკარა-ვეულიყო ქვესის გაფრენის ნამდვილი მიზეზი. საქმე ის არის, რომ ეს არც ინგლისელების ინტერესებში შედიოდა. ნურსმერტი ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ არ წამოჭრაილიყო ქვესის საკითხი. ამიტომ ქვესის „ფსიქიური შეშლილობის“ ვერსია ორდევ მხარეს უწყობდა ხელს. მიზეზადვე ყოველივე ამისა, მიღასის უფრო მაინც არ დამადა... და დღესათვის თუ ყველაფერი არა, ყოველ შემთხვევაში, ბევრი რამა ნათელი...

...1941 წლის გასაფრულზე პიტლერის დაკავშირებით ვერსიული მტკბა გამოალებით ადგუნდა სამკოთა კავშირის თვალსაზრისით ბარბაროსი ვეშმა, რასაც აღბათ. შინაგანი ინსტრუქტის კარნახით, მართლაც, სხვაფერისი სახელი „ბარბაროსა“ უწოდეს. საჭირო იყო დასავლეთის სახელმწიფოების, პირველ რიგში, ინგლისის პოზიციის ვაგება. ვერსიული

მტკბა, როგორც მოგახსენეთ, ის უნდოდა რომ მეთანამებოდნენ ინგლისს, უზრუნველყოთ სამწიფედ დასავლეთის ფრანტზე და მიღეს მადლები სამკოთა კავშირის წინააღმდეგ მიქმნათ. ტაქტიკური მოსაზრებებით ამის საწინააღმდეგო მაშინ არც პიტლერს ქვირდა რამე, მაგრამ არ უნდოდა ინიციატივა მისგან გამოხულიყო, რადგან იგი და, საბოლოო ანგარიშში დასავლეთის სახელმწიფოებთანაც მოხედოდა კონფლიქტი. შიფოლიო ბატონობის გლობალური მანია საშუალებას არ აძლევდა მას უფრო სხვა რომელიმე ურის ან სახელმწიფოს თანამორეფლუბიანობა. ვარდა ამისა, ის უკვე იმდენად იყო სახელგატებული შიფოლიოს წინაშე, რომ, თავისივე აღიარებით, ანა ურით სახელმწიფო „არ მოიხურებდა მასთან ლაპარაკს“. საჭირო იყო სხვისი სახელი ხელით მოქმედება. ანუთ ხელი კი მისივე მარჯვენა-რუდოლფ ქვესი აღმოჩნდა.

ამბობდნენ, კავშირი მხოლოდ დასავლეთის სასულე-მედიკოსებთან დავიკვიროთო, მფარვენი... ელქსანდრეთთანაცო. ზოგი პიტლერის მფარველს მფარველად, ზოგივე შეხუდვას ან დაპატიმრებას. აქით და „მესამე იმპერიას“ გვიმი იძირებათ, ბევრმა „ახალმა შეთქმულმა“ დაუწყო ძებნა თავის გადასარჩენ მამულ რეგულს, ჯერ კიდევ სათადარიგოს, რა თქმა უნდა, მაგრამ მათიც, ყოველ შემთხვევისათვის. სხვებზე რა უნდა თქვას კაცმა, როცა თვით გერმანია და ჰიმლერიც დაადგნენ ორმაგი დიპლომატიის გზას. ისინი პიტლერის პოლიტიკას ყველაზე ურთულესი შემსრულებლები იყვნენ და იმავე დროს დასავლეთის სახელმწიფოებთან ამამდნენ კავშირს. სხვაგვარი იცავდა ასეთ ორმაგ პოლიტიკას; ზოგი კი აშკარად შეთქმულების გზასაც დაადგა. ასეთები იყვნენ სამხედრო დაზვერვის უფროსი ოფიცირალი ვილჰელმ კანარისი და მისი მთავარი გენერალი ჰანს ოსტერი. შეთქმულ გენერალთა წრეს თანდობთან გაფართოვდა. სამხედრო შეთქმულების ზღობდნენ ფელდმარშალი ბეკს მიემხრნენ. ფელდმარშალი გუნთერ ჰანს კლუვე, ფელდმარშალი ერვინ რომელი, ნაწილობრივ ფელდმარშალი ვალტერ ზრაუბინი, რომელმაც კატატიკული მიმართში კინაღამ გასცა ყველა. „სამოქალაქო ოპოზიციის“ ხელმძღვანელ გერდუდერას გვერდით დადგნენ დიპლომატები ოსკარ პოპიცი, ულრიხ ჰასელი და სხვები. მერე ბეკსა და გერდუდერს შეუერთდნენ გენერლები და ოფიცრები: შტიულჰანგელი, ფალკენჰაუზენი, მოლტკე, გიზვიუსი ულრიხპიტ, ტრეპცივი, შტაუფენბერგი და სხვები.

ყველა თავისივე ვეაჩებოდა მაქარს. გერმანი, პიტლერი და რიბენტროპი საქმეს იკეთებდნენ მოწინააღმდეგეებთან. ისინი წინასწარ ვმზადებოდნენ „იმ შემთხვევისათვის თუ...“ ყოველ მათგანს უნდოდა პიტლერის შემდეგ მისა ადგილი დაეკავებინა. პიტლერს ერთმანეთთან უშუალო კავშირი არ ჰქონდათ თუმცა ყოველმა მათგანმა იცოდა, ვინ საით ეწეოდა ჰაანს. გერმანი ვფიცებოდა ინგლისელებს, რომ მას ყოველთვის ინგლისური ორიენტაცია ჰქონდა. რიბენტროპი ზომ ამას თავისი დიპლომატიური მოღვაწეობითაც „ამტაცივდა“ ლინდლინი ვლრად ყოფნის დროს. პიტლერს ასეთი ბიოგრაფია არ ჰქონდა, მაგრამ იგი ახლა ცდილობდა ინგლისელებს გულის მოგებას და ისე ხელგამოწეული იყო, რომ... ციმბირსაც კი პირდებოდა მათ. აბა, რა ეწია, როცა საბჭოთა კავშირის სხვა ტერიტორიები მხვისთუბი არ ემეტებოდა! და სწორედ მაშინ, როცა მათი „შემოწმელი მესია“ გაკითხა, ინგლისის დელეგატს, გაავანადგურებდა, ზოლო ინგლისელებს სადმე უდაბნოში გადავასახლები, მისი უახლოესი ძალადანები წინასწარ აგვარებდნენ საკითხს ისევე „იმ შემთხვევისათვის თუ...“ პირიქით მოხდებოდა.

ვინ ჩამოთვლის, ამ მიზნით ვინ ვის უკავშირდებოდა. ახლა ეს კარტები გახსნა: გერმანი თავის საიდუმლო ვმისრებს გზავნიდა ინგლისელ მრეწველებთან, პიტლერი შეედებთან, რიბენტროპი პარდა-

დაც შეხვდა კარდინალ სპელმანს. შეამაჯღებინე ამოძრავებენ: ქერცილი ალბა, ვრავი პოქნელო, ვრავი ბერნადოტი და თვით კავდილოთ ფრანკოც კი... ამ შეთქმულებას შეტად ღრმა ფეხვები აქვს. ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობაში არ ყოფილა ისეთი პერიოდი, რომ ოპოზიციურ ძალებს არ ეწიქმედათ, დრო და დრო შინც, ძალაუფლების ხელი ჩავდებამდე, 30-იან წლებში თუ მიუნქენის კრიზისის დროს. მერე ეს მოძრაობა დროებით შეწყდა, ვადრე გერმანია ორ ფრონტზე ბრძოლას ფაქტის წინაშე დადგებოდა. ამის შემდეგ „გენერლების ოპოზიცია“ გამოცოცხლდა, რასაც, რამდენადმე, ხელი შეუწყო კომლერის ორგოფულმა პოზიციამ. მის ჯერ კიდევ 1942 წელს დაწყისა შეთქმულების ჭეღის არსებობა, როცა დამატირებელი იქნენ ადმირალ კანარისის უწყებასთან დაკავშირებული პირები ვალიუტით სპეკულაციისათვის, მაგრამ არ გამყდვენ ამ ჯგუფის პოლიტიკური მიზნები, რადგან თვითონაც ხელი-ქონდა გასრლო.

პილერის სხვა წყაროებთანაც შიხდოდა საიდუმლო ცნობები, მაგრამ ცალ-თავს სხეაუდა, რადგან შიორე თვლით ისიც დასაულოთებინ იყურებოდა. 1943 წელს საქმე იქამდეც მივიდა, რომ ის შეთქმულთა მეთაურის, კარლ გურდლერის წარმომადგენელთან, პოპიკთანაც კი აწარმოებდა მილაპარაკებას...

...რამე პრინციპებზე ლაპარაკი აქ შეუძლებელია. თვითადაჩენის ინსტანქტით შეპყრობილი ანტი-სემიტი 16 I — კომლერი, რომელმაც მილიონობით გზარული მოსპო, თათბირობდა თვით გზარელთა მართლმართის საზოგადოების წარმომადგენლებთანაც კი. ჯერ ის პირდადალ შეხვდა ამ საზოგადოების წარმომადგენელს შტორმს, რომლის 17 ნათესავი საკონცენტრაციო ბანაკში იყო მოთავსებული, ხილო შემდეგ ვინმე მახურაც ჩავიდა ბერლინიში, საიდანაც ის სპეცმანქანით მივიტანეს კომლერის სასახლეში — ციტიში. აქ მათი საუბარი 11 საათს გაგრძელდა.

ამაზე შეტე პარადოქსი რა იქნება? გზარელთა კოლათ პილერი და ეზარელთა საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელი სხედან ერთ მაცი-დისთან და არჩვენ რაღაც საკითხებს. მახურმა

რომ საკონცენტრაციო ბანაკები ასხნა, კომლერმა რბილად გაიღმა და „დაამშფოდა“ ეს ბანაკები „აღმზრდლობითი ხასიათის დაწესებულებებისა“. შინის მახურმა კრემატორიუმების ამბავი კითხვა. კომლერი არც ასლა დაიბნა, „კრემატორიუმებში მხოლოდ ტოფით დაავადებულებს ვწვავთო,“ ოღონდ თავი გადარწინა და შზად იყო თვითონაც მიულო გზარელთა სარწმუნოება...

...ცხადია, ყოველივე ეს უცხოეთის დახვეწგას არ გამოუბარებოდა. უუარადლებოდ ვინ დასტოვებდა ასეთი მაღალი თანამდებობის პირების მზადყოფნას ორივე მხრისთვის გაეწიათ სამსახური. თუ პიტლერი გიომარჯვება, მათ თავი ქუდში ქჭონდა, რადგან ისინი იყვნენ მისი პირველი კალათები, და თუ პიტლერი დამარცხდებოდა, არც „ამ შემთხვევა-სათვის“ რჩებოდნენ ქუდმობდილი, რადგან გამარჯვებული მოწინააღმდეგისათვისაც დიდი სამსახური ქჭონდათ გაწეული.

შეიღი ამ შეთქმულების ჭეღი შევიყარაბს მიდიოდა. აქ, ცორობსა და ბერნში, მოქმედებდა ინგლას-ამერიკელების დახვეწგის სპეციალური სა-ავენტურები. ამერიკის ე. წ. „სტრატეგიული სამსახურის სამმართველო“ სპეციალური შტაბი გახსნა ცორობსა და ბერნში. ამ შტაბს შერთებული შტაბების დახვეწგის უფროსი ალენ დალესი ხელმძღვანელობდა. იგი თავის მრავალრიცხოვან თანამშრომლებთანად ჩასახლდა შევიყარაბში. ნათქამია, გული გულს იცნობო. ამერიკისა და გერმანიის სამხედრო დახვეწგის უფროსებმა კავშირი გააბეს ერთმანეთთან. განა ვსეც პარადოქსი არ არის ორი ერთმანეთის წინააღმდეგ მომხარი ისხელმწიფოს სამხედრო დახვეწგის უფროსები რომ ხელი-ხელ ჩავიდებულად მოქმედებენ? თუმცა ალენ დალესს რა, პირდაპირ ემსახურებოდა თავის ქვეყანას. კანარისის მდგომარეობა კი უფრო რთული იყო. იგი ერთდროულად, და ისიც თავდადებით ემსახურებოდა ორივე მხარეს. დალესმა კარგად იყოლდა ამ ორსაბოგანი ინანუსის ფაბი. გერინტი, კომლერი, რიხენტროპი, რა თქმა უნდა, ყველა გამოსაწეებული იყო, მაგრამ ყველაზე უფრო შინც ადმირალი-კანარისი, რომელსაც ხელთ პჭონდა გერმანული არმიის მივლი საიდუმლოება...

აფთარი სიროფი...

ამ უთქმულება პიტლერი თავის სამხედრო დახვეწგის უფროს კანარისს. იგი ჯერ კიდევ 1923 წლიდან იყო დაკავშირებული ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობასთან. მანამ ჯამეურ მოღვაწეობას ეწეოდა. ვხანეთხა და ამერიკაში. მერეც ხელ ორ-სამოვანი ინანუსის რილს თამაშობდა: აქეთაც იყურებოდა და იქითაც. თან ისე ოსტატურად ემსახურებო-

და მოწინააღმდეგეებს. რომ ვროსაც ერთვულად მიაჩნდა და მეორესაც. თვითონ კი იმთავითვე კაცთ-მოძულე ცინიკოსი იყო. სამინლად სძულდა ადამის მიღება. უფრო ძალღები უუარდა, ვადრე ადამიანები. მის სამუშაო კაბინეტში საყუაროი ძაღლის ზეპკლის სურათი ვყოდა.

როცა 1944 წელს შეღენებრი მივიდა მის დასა-

პატიმრებლად, კანარისმა ამ სურათზე მიუთითა და შევიდად უთხრა:

— გახსოვდეთ, შელენბერგ, პირუტყვთა ერთეულებსა. ხედავთ? ჩემი ძალი ყველაფერს ხედავს, მაგრამ არაფერს ამბობს, არც არასოდეს გამცემს, რაც შე არ შემიძლია ვთქვა არც ერთ ადამიანზე...

... ტალეიანის უთქვამს: „ფუშუს იმიტომ სძულს ასე ძლიერ ადამიანები, რომ ძალიან კარგად იცნობს თავის თავსა“.

კანარისიც ასე იყო. ის კარგად იცნობდა თავის თავს. ამიტომ იყო, რომ გარდა ძალის პორტრეტისა, მისი საწერი შავიღის უკან უზარმაზარი იამბონური გრაფიურა ეყიდა: ადამიანის საშინლად დამრეცილი, სატანისებურად დამცინავი და შემზარავი სახე — ალბათ, ერთ დროს მისი ხასისა და მთელი იმის კარგად ცნობილი ჯამეუსის, შატა ხარია ნაშუქარი. ამ სურათის ქვევით მიმდებარე სავარაუდო „განხილვებზე“ თვითონ, ცონიკოსი კანარისი. მას მოკლედ შეერკვილი ჭიდახა თმები ჰქონდა, ოვალური სახე და უძრავი თვალები. როცა ვინმე იჯდა მის წინაშე, ამ ორი სატონის სუნისა და სახის შემადარწმუნებელი ორეულს ხედავდა. წინაშე, შავიღაშე, ბრინჯაოს ჭანდაკვება იდგა: კომპოზიცია სამი მაიმუნისაგან, რომელთაგანაც ერთი თვალებზე ხელებს ოფარებს — ვითომ არაფერი უხედავო, მეორე ურრებს თითებით იცობს — არაფერი მესმისო, მესამე კი ტარებზე იდებს ხელს — არაფერს ვატყვობ. ასეთი იყო გამოცდილი მხეგრავის იდეალი. თვითონ დახვეწრვაც, კანარისის აზრით, ადამიანის ორგანიზმსა ჰკავს. მას აქვს ზედალები, ყურები, ხელები და ფეხები. იგი არა მარტო ხედავს და ისმენს, არამედ მოქმედებს და მოძრაობს.

კანარისის მხეგრავები თითქმის ყოველთვის წინ მიუძღობდნენ არმიის ნაწილებს. იგი დიდ დამხმარებას უწყვედა პიტლერის არმიას და იმავე დროს ზაიდულო ცნობებს აწვდიდა მოწინააღმდეგეებს. ამ ორმაგი პოლიტიკის აზრი იცოდა იყო: რომელ მხარესაც არ უნდა გაემარჯვა, თვითონ ის აუცილებლად მთვებელი რჩებოდა. გულმოღიწიეობას კი არც ერთი მხარისთვის იზურებდა და არც შეუობისთვის. კანარისი ზოგჯერ წინასწარ აცნობებდა დასავლეთის სახელმწიფოებს პიტლერელების მომავალი თავდასხ-

მის ზუსტ თარიღს. ბელვისი, დანიისა და ქოლანდის მთავრობებმა წინასწარ იცოდნენ, რადან რა მოელოდათ. ეს შეტყო ნორვეგიამაც ვერც ეს ოპირაცია დაიწყოებოდა, 36 საათით ადრე გესტაპომ დაიჭირა დამიწრული დეპუტა, სადაც თავდასხმის დღე და საათი იყო აღნიშნული. პიტლერი ვაჭრებდა: საიდან უნდა გაეყო მოწინააღმდეგეებს ასეთი საიდუმლო ცნობა! კანარისზე მას ვეჭვი არ მიუტანია. კანარისს კი დაავალა გამოერკვია ეს საქმე... ვერც კაიდრისმა ვახედა კანარისზე ვეჭვის მიტანა, მაგრამ „დოსის“ შედეგმა მანვე დაიწყო...

...1942 წლის სექტემბერს ამერიკის ბრესაში გამოქვეყნდა სენსაციური ცნობა, რომ კანარისი მონაწილეობს პიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებასში. ინგლისის დახვეწრვის სამსახურის დიდი სამუშაოს ჩატარება დასჭირდა, რომ კანარისი გამოვხსნა ამ მდგომარეობიდან, თორემ ის რომ ჩავარდნილიყო, ინფორმაციის მთავარი წყარო დაიხურებოდა. ეს კარგად ესმოდა ალენ დელესს და ამიტომაც ასე „თვალის ჩინივით“ უფროსილდებოდა მოწინააღმდეგის „თვალსა და ყურს“, ემსახობდნენ კიდევ პიტლერელების გასაგონად ისინი ადმირალ კანარისის „იმპერიის ბორტ გენის“ უწოდებდნენ და, რომ კული უფრო ღრმად დავალოთ წყალში, ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე გამოუტანეს მას სასიკვდილო განაჩენი. ეს შავიღის ზემოთ! შავიღის ქვე კი ხელი ხელს მხანდა, და, როგორც ჩანს, „ხელის ქუქციც“ ბლომად შეიღებებოდა კანარისის ჯიბეში. ეს მამინაც გამოირკვა, როცა კანარისის დაპატიმრებულ წარმომადგენლებს — ბონპოფერს, მიულერსა და დონანისს — უპირავე ინგლასურ-ამერიკული ვალიუტა ჩამოართვეს.

განსაკუთრებულ აქტიუობას აქაც კაიდრისი იჩენდა. ანდაზად ითქვის: დიდ ნადირს დიდი ნაგაზები ჰქვდნო. გამოცდილმა ჯამეუსმა და გესტაპოს უფროსმა ასეთი „დიდი ნადირის“ კვალს მიავნო. ეს მამინაც ვაიფეს, როგორც ბერნში, ისე ლონდონსა და ვაშინგტონში. საჭირო გახდა კაიდრისის ჩამუშება და ზუსტ სიკვდილმისჯილ კანარისის „ქირაფისა სიციცხლს“ გადაარჩინა. ამით დანტერესებული იყვნენ როგორც ინგლისელები, ისე ამერიკელებიც... და ჯარაც ერთბაშად დატრიალდა...

ციცხალი უზმარაბი...

ლონდონში ბელასიონის სასახლეს 7-ადგილიანი სხვისდერი მანქანა „კილიანი“ შიადგა და იჭიდან ლონდონში წაიყვანა ორი ჩუბი რატმასტრი. პიკადილი 134-ში მათ შეუბდა ზეზი პოლკოვნიცი და მოკლედ აუხსნა ამოცანა:

— თქვენი პატრიოტული მოვალეობაა მოკლათ რაინისარდ კაიდრისი.

ადრეც იყო ორი ცდა, ამ მამინით გადაესროლოთ პარაშუტისტები, მაგრამ ჩუბმა მფრინავმა ვერ მოახერხა ზუსტად მოუტანა დანიშნული ადგილი და უწიდეცოდ დაბრუნდა უკან. ინგლისელები შემოთდნენ. მათ ახლა ეს დავალება კანადელ მფრინავ რ. ს. ჰოკეის მისცეს. მას უნდა გადაესროლა შვიდი ჩუბი პარაშუტისტი, რომელნიც ადრე ინგლისელი მათონის

იანგ. ნეტის ხელმძღვანელობით გადიოდნენ სპეციალურ წვრილან მოტლანდის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შემდეგ კი მანჩესტერის აეროლინიზაციის მიხედვით პარამუტით დაშვება, საიდანაც გადაიფრანენ ლონდონის ასლო, ბელგისის სასახლეში — „ინტელიჯენს სერვისის“ რეზიდენციაში.

პრადანება ამ შემთხვევაში უფრო კატეგორიული იყო. კანადელ მფრინავს უნდა გადაეხსნა პარამუტის-ტეტი, მიუხედავად იმისა ზუსტად მოძებნიდა ის თუ არა დანიშნულ ადგილს. „როცა დავმეფიან, მაშინ მიხვდებიან, სად არიანო“, უთხრეს მას. ძალიან ჩქარობდნენ, რადგან ეშინოდათ, კანადისი არ ჩაგარდნილიყო...

...თომსონობრივანი ინგლისური სამხედრო თვითმფრინავი „ქალიფაქსი“ მოწყდა აეროდრომა და ჩებოსლოვაკიისაკენ აიღო კურსი. სიგნალზე „წითელი სინათლე“ ძარა გაიხსნა და პარამუტისტები ყუმბარებივით „ჩაყარეს“ ძირს. მერე ბარგიც მათგან — ასაფრთხილებელი მასალები, დამწვარი იარაღი და სხვა მოწყობილობები. პოკეტი ბრძანება კი შეასრულა, სადაც არ უნდა იყოს, სულ ერთია, გადასხით პარამუტისტებში, მაგრამ მან თავისი „ცოცხალი ყუმბარები“ ჩამოყარა არა დანიშნულების ადგილას, არამედ სადაც, პრაქტის ასლო. ეს იყო ახალი წილის აღმწე. იმ ჯგუფად გაყოფილი პარამუტისტები მშვიდობით დაეშინენ მიწას, პარამუტები მიწაში ჩამარხეს და მიიმალნენ.

ამის შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. ისინი მოეწყვნენ სამუშაოს და უკადრდნენ შესაფერ მომენტს...

...ეს მოხდა 1942 წლის 27 მაისს. სამი ჩემი პატრონიტი — პარამუტისტი კუბიშკოვი, გაბრიელი და ვალერიოვი ველისზედებით გამოვიდნენ კონკრეტურს პრესბიტერს. სამივე შეიარაღებული იყო ინგლისური ავტომატებითა და ხელუქმარებით. იარაღებს ჯერ აწყობა უნდა და ემინობათ, ვაი თუ გვიტყუნოსო. ამიტომ ყველაფერი გულმოდგინედ გაითარება და მოსაბეგვან დალოდნენ პაილოტის მანქანას. იმ ადგილას სამი შესახვევია. ახლა სამივეს იმ სამი პატრონის სახელი ქვეა. ერთ-ერთი მათგანზე ტრამეას ხაზი უხვევს. სწორედ იმ დროს, როცა ტრამეაში შეუხვია, გამოჩნდა პაილოტის მანქანაც — ნაცისტური „მერსედესი“. გაბრიელი ვითომ ტრამეას გამოვიდა და მანქანას გზა გადაუჭრა. მოგონა ძლიერ დაამუხრუჭა მძღავრი „მერსედესი“. ამ დროს გაბრიელი შებრუნდა და ინგლისური ავტომატი დაუშინა შოფერთან მუდომ პაილოტისა.

მოხდა ის, რისზე ემინობათ... ავტომატმა უმტყუნა... არ გაყარდა.

იმ დღეს პაილოტის მანქანა შოფრის ვილას მავიგრად, თურმე მის პირად მყველს თებრეტრემიფურ კლიანს მიჰყავდა. მერე წიგნდნენ, ვილლი რომ ყოფილიყო, მანქანას არ შეაჩერებდა, გასრენდა გამჩიოვს და გზას განაგრძობდა... კლიანის კი მანქანა დაამუხრუჭა და რევილფურს იტაცა ხელს. პაილოტი მიხვდა კლიანის შეცდომას და გადასტა მანქანადან. აქ კუბიშკოვიმ ისროლა ხელუქმარა. გაიან:

გამაგრებული აფეთქების ხმა. გამჩიოვმა გადაადგო ავტომატი და გაიქცა. უწებულად გადარჩენილი კლიანი გაეკრდა მას. გამჩიოვმა ახლა რჩებოდა მისი — არა და, რაკი კარგად იყო გავარჯინებული! პარამუტისტროლა კლიანს. ორი ტყვია მოარტყა კიდევ მეგრის არეში. კლიანი წაიქცა. კუბიშკოვის კი, რომელიც სახეში დაიტარა ყუმბარის აფეთქების დროს, თვით პაილოტის გამოუდგა, წამოქცია კიდევ, მაგრამ ძალიან არ ყუო. ის მძიმედ იყო დაჭრილი. რამდენიმე წუთის შემდეგ პაილოტი კონსპიტლში გააქანეს, სადაც ის გარდაიცვალა.

თავდასუსტებული დროებით მიიმალნენ...

...ერთი საათის შემდეგ პაილოტის მოადგილის კარლ ფრანკის სპეციალური თვითმფრინავი „ბუნკერს-52“ უკვე პიტლერის შტაბისკენ მიფრინავდა ფოტომასალებით. პიტლერმა დაუფრთხილები მიიღო იგი. იქვე იყო პილოტი. ფრანკმა უწევნა მათ ფოტოსურათები, მათ შორის ინგლისური ავტომატისა. პილოტი, ცხადია, მამინვე მიხვდა, რატომ იქნა ეს თავდასხმა მოწყობილი და განწე გადგომა არჩია. არ უნდოდა ინგლისელებთან საქმე გაეფუტებინა და აბიტრამე თქვა, — ბორმანი იძლევა წინადადებას, რაფორტ სასაბურთო დამაქული ღონისძიება, ავიაციის საფრთხელში თავს დაექნათ ინგლისის რომელიმე კულტურულ ცენტრს და გაეანადგუროთო.

— იმ დროს ჩემებს რა ვუყო? — იფრინა პიტლერმა და იქვე დაუმატა:

— დაეჭვობათ 10 ათასი მძვეალი!

კარლ ფრანკმა უარემა წინადადება შეიტანა. ამის შემდეგ იყო... ლიდიცე, რომლის სხენება ახლაც შიშის ტრანტელს ჰგერის ცერობის ხალხებს. ჩემების წინააღმდეგ კომლერსაც გამოიჩინა „გულმოდგინეობა“. მისმა პოლიციელებმა ალფა შემოარტყეს ლიდიცეს და რამდენიმე საათის ვანმავლობაში გაელიტეს მთელი მოსახლეობა, ძუბურითარა ბავშვებიდან დაწყებული ღრმა მიხუცებით დამთავრებული. მერე სახალხოდ გადაწვეს, ტრაქტორები მოიყვანეს, მიწა გადარხნეს და შილოდ მაშინ წაეიდნენ, როცა იქ დამახლებული პუნქტის არაფთობი ნიშანი არ დარჩა...

...ასე პოლაცესავით დაიბანა პიტლერმა ხელი ინგლისელები და ამერიკელები კმაყოფილი იყვნენ კანადისის გადარჩენით, ხოლო პიტლერი პიტლერის „ერთგულებით“...

მაგრამ ტერორმა საქმეს ვერ უშველა. მოახლოებული სამხედრო კატასტროფა უფრო სამინელი იყო, ვიდრე პიტლერის მქინვარება. ამიტომ ყველა თავისკენ ექანებოდა ბაქანს: ვერინგა ერთ მხარეს, პიტლერი მფორებს. რინენტროში ჯერ გასუსული იყო, მაგრამ ისიც „იმ შემთხვევისათვის“ იჭრდა თადარიგს. შეიქმული გენერლები კი ისევ სახელმწიფო გადატრიალებისათვის ემზადებოდნენ. უბედურება ის იყო, რომ მათ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ფართო ანტიფაშისტურ ძალებთან. მერე კი სცადეს შეიქმულთა მემარტრენე ფრთის წარმომადგენლებმა

დაკავშირებულნი ვერმანელ იატაკქვეშალებს, მატრამ გენერლებმა ამ საქმეს შიარი არ დაუჭირეს. ისინი მხოლოდ სამხედრო გადატრიალებაზე ამაყრებდნენ იმებს. შეთქმულების საიდუმლო გვემგზავს თავიანთ მიწერილ წერილს ადგენდნენ. ერთ-ერთი ასეთი გვემის მიხედვით, ამომსახლეობის ფრონტის არმიითა სამივე ჯგუფის სარღლებს უარი უნდა ეთქვათ პიტლერის ბრძანებების შესრულებაზე. ფელდმარშალ ვილჰელმს კი ბერლინი დაეკავებინა, დაეპატიმრებია პიტლერი და სხვებიც, ვინც „საჭირო იყო“.

არ გამოირჩევა ჯერ არმიითა ჯგუფ „ცენტრის“ სარდალმა ფელდმარშალმა ფონ კლუვემ თქვა უარი ამ გეგმის შესრულებაზე. მასთან მოსალაპარაკებლად ხოლმეცკი „მოთავალი კანცლერი“ გერდლერიც ჩაფრინდა, ვითომ რომელიღაც ფრონტის საქმეზე. აქ ის შეხვდა კლუვეს და ულაპარაკა ბეკის სახელით; შეხვედრებში კლუვემ წერილი მისწერა ბეკს, მიმავალში ასეთ ვიზიტებს ნელა გამთავებდნენ. იგი მოსვადული იყო პიტლერის მიერ. გერდლერის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე მან პიტლერის პირადი ფონდიდან მიიღო 250 ათასი მარკა საჩუქრად და ნებაყოფილი ვილჰელმს ამწერესა. მასთან კაიტელმაც ჩაიკვამა იმდენივე თანხა, მიღამსა კი ორჯერ მეტი. მარტო ტრესკოვმა გამოიჩინა პრინციპულობა და უარი სთქვა — „30 ვერსტონს“ მიღებაზე...

...ატალინგრადის შემდეგ კი კლუვესაც შეეცვალა განწყობილება. შეთქმულთა გვემით პიტლერი უნდა შეეხლდათ. ამისთვის კლუვე და მანშტაინი უნდა მიხულიყვნენ პიტლერთან და მოეხოფათ დანებნათ ისინი აღმოსავლეთის ფრონტის დამოუკიდებელ სარდლებად. თუ პიტლერი უარს იტყოდა, ვიცილებენს უნდა მიეცა აჯანყების ნიშანი.

კლუვე და მანშტაინი მართლაც გაფრინდნენ პიტლერთან, ფორერმა ისინი გულბობლად მიიღო... შევირდა დასაშუქრებას და გაუშვა... არც კლუვეს და არც მანშტაინს ხმა არ გაუღიათ თავიანთ საქმეზე. ისინი ფოგინობდნენ: ვიძრე დასავლეთში ინგლის-ამერიკელები არ მოვიდებდნენ ფეხს, პიტლერი რომ ჩამოეფადოთ, რუსები დაიპურობენ ევროპას ან, 1918 წლის მთავალად, რეკოლეუცია მოხდებოდა. ამის სხვა შეთქმულებასაც ეწინააღმდეგებოდა, დაღუბნი აფროსილებდა მათ. ამიტომ იყო, რომ ჯერ ფოილი გესტაპოელი იხვევაუნი დანიშნეს „მოთავალი გენერლის“ წინააღმდეგ“ ბრძოლის საქმიანული კომიტეტის უფროსად, შემდეგ კი „ეს საქმე“ თვით პიტლერის საშუალებით უნდოდათ გაეცობინათ...

...ასე ჩაიშალა „სახელმწიფო გადატრიალების“ ეს ცდაც. ამის შემდეგ კანარისის შტატში პიტლერის მოყვლის გეგმა შედგა. 1943 წლის იანვარს ბერლინი გრაფ იორკის სახლში შეყარებნენ ბეკი, გერდლერი, პოპიცი, იესენაი, ჰამელი, შელენბერგი, ტრესტი და სხვები. გადაწყდა თავდასხმის მოწყობა. საქმის ორგანიზაცია ტრესკოვს მიენდო. ჯოჯობით

მანქანა ინგლისელებმა ჩამოუდგეს თვითმფრინავიდან. ეს იყო პლანტაციური ანაფიქტებელი მანქანა რომელიანთაც ნებისმიერი ფრონტის მატყმა შეეძლებოდა. ჯერ თვითონ ტრესკოვმა იფარჩინა და კარგდაც გაიწერათ... ეს სწორედ სტალინგრადის ოპერაციის დამთავრების დროს იყო. თებერვალში ყველაფერი შხად ჰქონდათ. მარტის დასაწყისში კანარია, ლაქუნენი და დონანი ჩავიდნენ სმოლენსკში. ტრესკოვი მოვლასარაკა გენერალ შენდლეს, რომ პიტლერისათვის ეთხოვათ ჩანულიყო სმოლენსკში; ტრესკოვს აქ განუადლებოდა ჰავდა თავისი ცავალებიანი ლევიონი პოდპოლკოვნიკ ბუხელაგერის მეთაურობით, რომელიც შხად იყო ჩანულითანაც დაეპატიმრებინა პიტლერი, მატრამ კლუვემ ვერ გააშვა ასეთი განკარგულება გაეცმა, რის შემდეგაც შეთქმულებმა სხვა გზა იჩინეს: ჯოჯობით მანქანის აფეთქება.

1943 წლის 13 მარტს პიტლერი სპეციალური ჯაგუნისანი თვითმფრინავით ჩაფრინდა სმოლენსკში და კლუვეს კაბინეტში შევიდა. აქაც უნდოდათ ნადმის აფეთქება, მატრამ იმის მოერბდათ, რომ სხვა გენერლები და ოფიცრებიც არ დასავეულიყვნენ. მეზე სცადეს სადაღობის დროს მიწეშალათ ის, მატრამ ფრთხილმა პიტლერმა მასპინძლებს მიერ შემოთავაზებულ საქმეზე უარი თქვა და მხოლოდ საკუთარი შიარეულის მოტანილი კერძი მიირთვა, რაც წინასწარ გაინჯა პირადმა ცქიმმა. დარჩა უკანასკნელი ვარიანტი: თვითმფრინავის აფეთქება...

...კლუვეს შტატში პიტლერმა სულ რამდენიმე საათი დაჟყო და დღის სამ საათზე გაბრუნდა უკან. სანამ მისი თვითმფრინავი აფრინდებოდა, გენერალმა ტრესკოვმა პიტლერს ერთ-ერთი თანმხლებ პირს პოლკოვნიკ ბრანდტს სახობა „ერთ ბოთლი კონიაკი“ წილად გენერალური შტატის საორგანიზაციო განყოფილების უფროს გენერალ ჰელმუთ შტიფტსთავის მიხედვით ბოთლი ჯოჯობით მანქანა იყო ჩადგმული და ისეთი ძალისა, რომ პიტლერის თვითმფრინავს სულ მტერად აქვეყნდა პაერში. ასეთი მანქანის გაკლება შეთქმულების ერთ-ერთ მიზანყოფილად ეთხვეოდათ ამწერეს ინგლისელებმა. გიხვეოთა ნიერნბერგის პრეფსზე იყო მიწმედ გამოაქმებული და საამოერებით ყვებოდა ამ ამხებს. აეროდრომზე ტრესკოვმა თავისი თანხათი შობატინა ადიტანტ შობარუნდორფს, რომელიც თვითმფრინავს კიბქთან დაღება. პიტლერი რომ ავიდა თვითმფრინავში, ტრესკოვმა თვალით ანიშნა შობარუნდორფს, ანათათ ბრანდტსთავის გადაეცა, რაც მან შეასრულა. ბრანტდმა შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდა და ის „ორი ბოთლი კონიაკი“ შეუტანა თვითმფრინავში...

...გენერალი ტრესკოვი სმოლენსკში უცდიდა ცნობას თვითმფრინავის აფეთქების შესახებ... იგი ბერლინსაც დაუკავშირდა ტელეფონით და შეთქმულებს აესინა „ყველაფერი რიგზეა“.

გადედა ნახევარი საათი... ერთი საათი... მეტიც... არავითარი ცნობა. ტრესკოვი ლეღავდა... თითებს იმტრედა... ელოდა... ამ დროს მან გადასცქნა, რას-

ტენბურგიდან დარეკეს, რომ კიტლური მშვიდობით დაბრუნდა თავის შტაბში...

ტრესკოვი აწრიალდა. ჩქარა ყველაფერი გაირკვეოდა და შედეგი მისთვის ცხადი იყო. მან ვერ ბრანდტს დაურეკა, ამანათს ნუ გადასცემ შტიფს, სხვა ბოილები გადმოუციით და ხვალ გამოგველიო. ბრანდტის პასუხიდან ჩანდა, რომ ბოილები ვერ კიდევ არ იყო გადაცემული, თორემ შტიფი შეოქმულეების ნონაწილე არ ყოფილა და ეს ამანათი რომ მივდო, ყველაფერი გაიხსნებოდა. მაშინ ის ეკა შეოქმულეების მონაწილეს ფაბიან შლაბრენდორფს და თვითმწერიანვით გაგზავნა რასტენბურგში. აქ მან ორი ბოილი ნამდვილი კონიაკი გადასცა ბრანდტს და თავინი ჯოჯობეთის მანქანა წამოიღო. თვითონ შლაბრენდორფი წერს, როცა ბრანდტმა ბოილები

გადმოიყა და თან შეანჯღრია, ვითომ როგორი კონიაკიო, მე შიშისაგან ჩემი დამემართა...

საქართველო
საზოგადოებრივი

...ასე თუ ისე, ტრესკოვი გადარჩა. შლაბრენდორფმა ჯოჯობეთის მანქანიანი ბოილები ბერლინში ჩაიტანა და იქ გახსნა. გამოირკვა, რომ დიდ სიმაღლეზე პატრუქი გაყინულიყო და მანქანაც დაზიანებული ჩანდა. პირველმა მიშმა რომ გაიარა, სუშრობის ხასიათზეც დადგინა: 13 რიცხვა რომ არ ყოფილიყო, თავდასხმა არ ჩაიშლებოდაო, ვიდაცამ ისიც თქვა, კიტლური ზევით, ღმერთთან ახლო იყო და იმან იხსნათ. ზოგი სერიოზულადაც ფიქრობდა, კიტლურს განება იცავსო. განებებისა რა მოგახსენოთ და, ისე კი, მართლაც საკვირველია, რამდენჯერ გადარჩა კიტლური თავდასხმის და ისიც — სრულიად შემთხვევით...

□ ბაგრძელუბა იწვება □

საინტერესო ფოლკლორული კრებული

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა „მეცნიერებაში“, პროფ. მ. ჩიქოვანის რედაქციით, გამოსცა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მეცნიერ მუშაკთა ორნაწილიანი კოლექტიური ნაშრომი „ქართული ფოლკლორი“ (მასალები და გამოკვლევები). წიგნი მიძღვნილია ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა VII საერთაშორისო კონგრესისადმი.

კრებულში გამოქვეყნებული გამოკვლევები აშუქებს როგორც ზოგადი, ასევე კერძო ფოლკლორისტიკის საკითხებს. წიგნში დაბეჭდილია სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიშები, საარქივო მასალა და ქრონიკა.

კრებულის პირველი სამი გამოკლევა რუსულ ენაზეა დაბეჭდილი. ამთგან პროფ. ე. ვირსალაძისა და პროფ. მ. ჩიქოვანის წერილები თეორიული ხასიათისაა და ზოგადი ფოლკლორისტიკის საკითხებს ეხება. პროფ. ქს. სიხარულიძის სტატია კი ხალხური სიტყვიერებისა და ქართული ლიტერატურის ერთობის საკითხებს აშუქებს.

ე. ვირსალაძის ნაშრომი — „კოლექტიურობა, როგორც ხალხური შემოქმედების ძირითადი ნიშანი“ ეხება ფოლკლორის თეორიის აქტუალურ პრობლემებს. მკვლევარი კოლექტიურობას, როგორც ხალხური შემოქმედების ძირითად ნიშანს, იხილავს უცლასო საზოგადოებიდან ჩვენ დრომდე, რომლის განმავლობაშიც იმპროვიზაცია (ინდივიდუალური შემოქმედების გამოვლინება) ყოველთვის იყო და არის განუყოფელი ორგანული ნაწილი კოლექტიური შემოქმედებისა.

მ. ჩიქოვანის გამოკვლევაში — „ტრადიციული ფოლკლორული განკრებების ბედი სოციალისტურ საზოგადოებაში“, ძირითადად განხილულია ქართული ხალხური სიტყვიერების პოპულარული ენარები: ზღაპრები, სამგლოვიარო პოეზია და ანდაზები.

გამოკვლევის თემა შეიკავს ორ ასპექტს: თეორიულს და პრაქტიკულს. პირველი ეხება ენარების თეორიას, ხალხური შემოქმედების ისტორიულ განვითარებასა და მისი ზრდის დინამიკას, მეორე გელისხობას კოლექტიური

მხატვრული შემოქმედების ახლანდელ მდგომარეობას. ტრადიციულ ენარებში ავტორი გელისხობას ხალხური შემოქმედის რეეოლუციამდე გაერელებულ ნიმუშებს, რომლებიც ნაციონალური ფოლკლორის საგანგებში შედიან. ამ ენარებს, ერთი მხრივ, ეყუთენიან ლოკალური ხასიათის, ხოლო, მეორე მხრივ, საყოველთაოდ ცნობილი და ისტორიულად გაერელებული ენარები.

ავტორი გამოკვლევას აგებს პირად დავირეებაზე და იმ დამკენამდე მიდის, რომ, მიუხედავად სოციალისტური საზოგადოების უველა წერის წიგნიერობისა და ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებისა, ხალხური სიტყვიერების ასეთი ენარები, როგორიცაა, ზღაპარი და ანდაზა, კვლავ პომეარულია მთელ საქართველოში. რაც შეეხება სამგლოვიარო პოეზიას, მას უფრო მოკიდებული აქვს საქართველოს შიგან მხარეში. კვლავ სრულდება ტრადიციული ექსპლადირება დედისაგან შევლისა, დინაგან ამისა და სხვ.

მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ოქტომბრის რევიოლუციის შემდეგ ტრადიციული ენარების ერთი ნაწილი დაიკარგა, მაგრამ დაჩა მეორე რიგი ენარები, რომლებიც, მიუხედავად შრავალსაუკუნეოანი წარსულისა, კვლავ აქტიურად ფრქველებენ ცხოვრებას ხალხში. ასეთებია: ზღაპრები, თქმულებები, ანგდორები, იგაგები, ანდაზები, გამოკანები, ბალადები, ლრიკა და სხვ.

შრავალსაუკუნეოანი ქართული პოეტური ხელოვნება ვითარდება ზეპირსიტყვიერი და სამწერლობო ლიტერატურის მკვიდრო კავშირის საფუძველზე. ასეთი ურთიერთობის ნათელი დადასტურებაა ქართული გმირული ეპოსი „ამირანისა“, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული სიტყვიერებელი მწერლობის გამდიდრებასა და განვითარებაზე. ამ საკითხს იკვლევს ქს. სიხარულიძე სტატიაში — „ამირანის თქმულება და ქართული ლიტერატურა“. წერილში საფუძელიანად და სიინტერესოდაა მიმოხილული სამეცნიერო ლიტერატურა. შეფასებულია მებრძოლი გმირით ამირანის შთაგონებული ქართული მწერლების ლეწილი როგორც XII, ასევე XIX და XX საუკუნეების ქართული ლიტერატურაში.

ქს. სიხარულიძე მალად შეფასებს აქლევს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის

ელასიკოსების ინტერესს მიჯაჭვული ამირანი-სადაში. ავჯი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველასათვის ამირანის სახე იყო სამშობლოს ხსენისათვის ბრძოლის სიმბოლო, ბრძოლაში გამარჯვების იმედი. მისი აზრით, შთავონების წყარო იყო ამირანი „შენამე დასელებისათვისაც“, საპროტო პერიოდში კი ამირანი იქცა ახალი, სოციალისტური ცხოვრების მხატვრული გამოხატვის საშუალებად. ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის ამირანი იყო და არის თავისუფლებისათვის ბრძოლის, გმირობისა და გამარჯვების ფერდუცვლელი სიმბოლო.

ქს. სიხარულიანს მეორე გამოკვლევის — „ხალხურ პოეტურ ფანტაზიას გენეტიკური კავშირის“ (საგვირი და სამგლოვარო პოეზია) შინაინა გვიწვევს ერთი რომელიმე ფანტაზიის ნაწარმოებთან მრავალგვარი ფუნქცია, გაარკვეოს ამ ფუნქციითა დაწინაურდება. აქ განხილულია ქართული გლოვის წესები, მოთქმის საგმირო-სარაინდო და პატრიოტული ხასიათი, გარიტორული და გურიტორული მოთქმის ლექსები და დადგენილია საგმირო პოეზიის სამგლოვარო პოეზიასთან გენეტიკური კავშირის კანონზომიერება.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის თ. ოქროშიძის სტატია „ქართული ფანტასტიკური ზღაპრის მხატვრული სახეები (დრამატიკური)“. ინტერესს იწვევს კონკრეტული თემა და თემის მხანდასახელობით.

შველევარი განახილავს ზღაპრული დედაბრის მრავალ სახეს, ქართული მასალების ვერტიკალი იბილაგს რუსულ, აფხაზურ, ოსურ, ინდო-სურ, ჩინურ და სხვ. ზღაპრებს და, პარალელურად ვაგვლებს, ავტორებს უტრიალებს დასკვნებს დედაბრის, ამ უწველესი ზღაპრული პერსონაჟის, რაბინისა და ადგილის შესახებ ქართულ ზღაპართმცოდნეობაში.

საქართველოს ცალკე ელემენტების ზემოხსენებული მესწავლის თვალსაზრისით მერტად საუბრადღებია პროფ. ა. ცანავას „მეგრული ზემოხსენებული ზოგერთი საკითხი“. იგი კვლავს იწვევს პირველი ჩამოწერებიდან, რაც მე-17 საუკუნის 70-80-იან წლებში იწვევს.

როგორც ცნობილია, შირის შრომის კოლექტიურის და საველელო-საწერო მსხვერპნიდან იღებს სათავეს და სატრეფილო ლირიკას ვახუშტისა. შველევარი მეგრული შირების სამკვდრეს გამოქოფს და ახსიათებს. გამოკვლევაში ცალკე-ცალკე თავები აქვს დათმობილი მოთქმასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერებს და საყრდენი ლირიკას.

ხალხური ლექსის ჩამოყალიბების საქმეში შესრულების წესების როლს ეძღვნება ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ჯ. ბარდაველიძის სტატია, მისი აზრით, „ხალხური ლექსის ფორმის ჩამოყალიბებაში, ლექსის რიტმული მრავალფეროვნების შექმნაში მნიშვნელოვანი

როლი ითამაშა შესრულების თავისებურება წესებში. ხალხური ლექსითწყობა განსაკუთრებით დავალებულია სასიმღერო ელემენტებში, მხრე-მუსიკის გავლენით ლექსი უფრო მოქნილი და რიტმული დახვეწილი გახდა...“

აქვე წარმოდგენილ მეორე გამოკვლევაში — „ხალხური ლექსის საზომები“, ჯ. ბარდაველიძე განიხილავს შირისა და ფისტეკურს, რომლებიც, ავტორის თქმით, სავსებით შეეფერება ქართულ ლექსითწყობას და სასიმღერო ხეობიდან წარმოშობილი ჩანს.

მე-19 საუკუნის დასაწყისის ცნობილი სახალხო გმირის, სოლომონ ბუტულაშვილის პიროვნების აღდგენასა და მის გმირობას ეხება ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. შაყაბერიძის გამოკვლევა.

შველევარს დადი მუშაობა გუწვევია ამ მიუწყებელი გმირის ბიოგრაფიული ცნობების დადგენასა და მასზე შექმნილი ლექსების ციკლის გამოკვლევაზე. ავტორი იყენებს ლექსების ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ვარიანტებს, რომლებშიც აღწერილია შირის წინააღმდეგ სოლომონის თავდადებული ბრძოლის მრავალი ეპიზოდი.

ფილოლოგის „შამ-ნამეს“ გმირების — ბეჟანისა და მანოეს — სამიჯნრო თავგადასავალი დიდი ხანია ქართული ზემოხსენებული საკუთრება ვახდა. იგი პოპულარულია როგორც საქართველოს მთიანეთში, ასევე შარში. ვ. შაყაბერიძის გამოკვლევაში მოცემულია „ბეჟანისა“ ხალხური ვერსიების დადგენის ცდა.

ანდაზისა და სიტყვის მასალის ურთიერთობას ეხება ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ფ. ზანდუკელის გამოკვლევა.

ხალხური სიტყვიერების ცნობილი მემკრები ქალის ანეტა კაპანაძის ფოლკლორისტულ მოღვაწეობას ეძღვნება ფ. ზანდუკელის მეორე გამოკვლევა. ავტორი ანეტა კაპანაძის წარმოკვიდგენს სინტერესო ფოლკლორისტად, ეროვნული პოეტური სუფენის მოჭირნახელედ.

ხალხური სიტყვიერებისა და მწერლობის ურთიერთობის საკითხს აშუქებს დ. გოგოჭორია წერილი. ავტორს საკვლევად მ. ჯავახიშვილის „თეთრი საყულო“ აუღია და მისი ფოლკლორული წყაროების მოძებნა დაუსახავს მიზნად.

შველევარი „თეთრი საყულოში“ გამოქვეყნებულ ცნობებზე ხალხური ლექსიდან „ფშავერად და ზეუსურულად მიიჩნევის ყველას. დიდიქტოლოგიურ თემატური ანალიზის თანხმად ფშავერად აღიარებულია 4 ლექსი, ხოლო დანარჩენი 15 — ზეუსურულად. დ. გოგოჭორის მტკიცებით, მ. ჯავახიშვილს უსარგებლია ა. შინძის მიერ გამოქვეყნებული მასალებით. ლექსები, ზოგიერთი გამოკვლევის გარდა, უცვლელადაა ვადატანილი რომანში.

მწვემთა ზემოხსენებული გმირების ერთ-ერთი ყველაზე საუკრავი ნაწარმოებია ბალადა „გი-

გა და გიორგი“. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. შამანაძე ბალადის გმირებს რეალურად არსებულ მწვერულზე მიიწინებს, რომლებიც თუ შეიძლება უფროსი, ამ ბალადის 1802 წელს მომხდარი ფაქტი უნდა ედოსო საფუძვლად. — ვარაუდობს ავტორი. ბალადის შემქმნელად კი თუმის ქალს აცხადებს, რომლის ვინაობაზე ზოგი ლექსი მიგვიჩივებს.

ქართული ლეგენდა „სურამის ციხის“ შესახებ მსოფლიო ფოლკლორის „მოხეტიალე“ სიუჟეტთა რიცხვს მიეკუთვნება. ამ საკითხს ეძღვნება ნ. შამანაძის სტატია „ყოფილი ჩატანგელი მსხვერპლის სიუჟეტი ფოლკლორში“.

ავტორი იხილავს ქართული ლეგენდის როგორც პეტრე, ასევე პროზაულ ვარიანტებს. გვაცნობს უნგრული და გერმანული თქმულებების ზოგიერთ ვარიანტს, რომელთაგანაც უკანასკნელი ძლიერ წაავსებს ქართულს; მოჰყავს ამ საკითხზე გამოთქმული თითქმის ყველა ცნობილი ავტორის აზრი და ამტკიცებს ლეგენდის ქართულ ნადავზე აღმოცენებას. რაც შეეხება სიუჟეტთა მსგავსებას, გამოკვლევაში იგი ახსნილია ფოლკლორისტიკაში ფართოდ ცნობილი თეორიით, რომლის თანახმადაც, სტვადასხვა ხალხის მსგავსი სოციალური პირობები ხშირად წარმოიშობს მსგავს სიუჟეტებს.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატაა გ. ბარბოვის გამოკვლევა ხალხური სიტყვიერებისა და ქართული მწერლობის ურთიერთობას ეხება. ავტორი ვინიხლავს ხალხურ ლეგენდას „გორის ყვარის“ შესახებ და მის გამოყენებას ვაჟა-ფშაველასა და ე. ვაბაშვილის მიერ, რომლებმაც თავიანთ „სულიერ ქურაში“

გადაამუშავეს ეს საინტერესო ლეგენდა და ორიგინალური ნაწარმოებები შექმნეს.

ვანყოფილებაში „არქივიდან“ დასაქმდნენა ექვთიმე თაყაიშვილის სტატია „აკაკის ფონდი“, რომელშიც ავტორი მოწიწებითა და პატივისცემით ლაპარაკობს დიდი აკაკის ღვაწლზე ქართული ხალხური საუნაჩის გადარჩენის საქმეში.

„ქრონიკა“ რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მიერ ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეულს მომზადებას იწყებს.

კრებულში წარმოდგენილია კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიციის მიერ ჩატარებული შემკრებლობითი მუშაობის ანგარიში. დაბეჭდილია ინფორმაცია 1963 წ. ზაფხულის სამეცნიერო ექსპედიციებსა და მივლინებებზე. აგრეთვე, 1964 წ. იანვარში ქ. ბათუმში ჩატარებული ხალხური შემოქმედების განჩინების შემსწავლელი საპრობლემო-საკოორდინაციო საბჭოს შეიქმნე სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის მოკლე ანგარიში.

განხილული ფოლკლორული კრებულის სახით ქართული ლიტერატურითა და ხალხური შემოქმედებით დაინტერესებულმა ფართო საზოგადოებრიობამ მიიღო მეტად მნიშვნელოვანი წიგნი.

კრებულის მრავალთემატურობა და გამოკვლევების მაღალი დონე საშუალებას იძლევა გავეცნოთ ბევრ საინტერესო საკითხს.

თეიმურაზ შარდვაშიძე

„მარი ბროსე“

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ავადმკურნალის მარი-ფელსიტი ბროსეს (1802—1880) დიდი დასახურების მიუხედავად, ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვებოდა სპეციალური ნაშრომი, სადაც ბროსე დახასიათებელი და შეფასებული აქნებოდა როგორც ისტორიკოსი. მართალია ქართული მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები ბროსეს უკვე XIX საუკუნიდანვე დიდი მოწიწებით იხსენიებდნენ, მაგრამ მათი შეხედულებები გამოჩენილ ფრანგ მოღვაწეზე ძირითადად ზოგადშემფასებლური იყო, ან არა და ისეთი, რომელიც გვერდს უვლიდა ბროსეს ადვილისა და მნიშვნელობის ამომწურავ შეფასებას.

შოთა ხანთაძე, „მარი ბროსე“, „საბჭოთა ხელოვნება“, 1966.

ბას ქართულ ისტორიოგრაფიაში. აღნიშნული ხარვეზის შევსებას მიზნად ისახავს შოთა ხანთაძის მონოგრაფია — „მარი ბროსე“.

ავტორი დასახელებული მონოგრაფიისა ვრცლად იხილავს ბროსეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრეს მხარეებს. იგი დაწვრილებით მოგვიჩვენებს ფრანგი მეცნიერის ბავშვობისა და თუ სწავლა-აღზრდის შესახებ. აქვეა საუბარი ბროსეს ურთიერთობაზე საფრანკეთის „საახლო საზოგადოებასთან“, დახასიათებულია მისი პირველი აღმოსავლეთ-მცოდნეობითი, მათ შორის ქართველოლოგიური შრომები. წიგნში ნაჩვენებია, რომ ბროსეს ქართველოლოგიური მოღვაწეობა განსაკუთრებით საინტერესოა და შინაარსიანი ვახდა მას შემდეგ, რაც მან ქვეყნილობით შემდეგ კი, პეტერბურგში გადმო-

სახლებს დროიდან, პირადად გაიცნო თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846), თავისი დროისთვის დიდად განათლებული ისტორიკოსი, პატრიოტი, საქართველოს წარსულის დაუღალავი მკვლევარი და პოპულარიზატორი.

ავტორი ეტაპებად წარმოიხსენს ბროსეს მეცნიერულ მუშაობას, მის ინტენსიურ ძიებებს საისტორიო მასალების შეკრება-გამოქვეყნების ხაზით, ვრცელად აღწერს ბროსეს დაუღალავ მუშაობას „ქართლის ცხოვრებისა“ და მისი „დამატებების“ ხაზით, მონუმენტური კორპუსის გამოცემაზე.

წიგნში სთუბარია, აგრეთვე, ბროსეს ურთიერთობაზე ვეროპონ, რუსეთისა და საქართველოს მეცნიერულ წრებთან, ვარჩევია მისი უმთავრესი ნაშრომები, დახასიათებულია ფრანგი მეცნიერის არმენოლოგიური გამოკვლევები.

ავტორი ნაშრომის მთელ მანძილზე ცდილობს შეაფასოს ბროსეს შემოქმედება, რისთვისაც გუთავაზობს დასკვნებს, რომლებიც გარკვევით განიხილათებენ ბროსეს ადგილსა და როლს ქართული ისტორიული აზროვნების განვითარებაში.

ერთგვარი ძირითადი დასკვნა, ავტორის მიერ შემუშავებულია, ისაა, რომ ბროსეს მეცნიერული მოღვაწეობა და შემოქმედება უაღრესად მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ ისტორიოგრაფიასთან, მისი ორგანული ნაწილია.

ამასთანვე ავტორს მიაჩნია, რომ ბროსე, როგორც ისტორიკოსი, თავისი ხასიათით, ემპირიკოსი იყო და მის შემოქმედებაში ძირითადი ადგილი საისტორიო წყაროების შეკრებისა და გამოცემის საქმეს ეკავა, სინთეტურ, განმარტავებულ დასკვნებს კი მის შრომებში ნაკლები ადგილი ეთმობოდა. ყოველწე ამას განაპირობებდა ქართველოლოგიურ მეცნიერებათა მამინდელი დონე, მასალების ნაკლები, ან ზოირად სრული შეუსწავლლობა, მეცნიერული საზოგადოებისათვის მათი ჭერ კიდევ ხელმეორედ მომლობა.

მიუხედავად ასეთი ზოგადი თვალსაზრისისა, ავტორი მინც ფიქრობს, რომ აღნიშნული სპეციფიკის პარალელურად, ზოგჯერ ბროსეს შემოქმედებაში ადგილი ეთმობოდა ისეთ საკითხებსაც, როგორცაა ქართული ფეოდალური სახელმწიფო წყობილება და სოციალ-ეკონომიური ისტორია. ავტორისავე თქმით, ბროსეს მეცნიერული შემოქმედების ეს მხარე, კერძოდ, მისი მსჯელობები მეული საქართველოს სოციალურ ორგანიზაციაზე, წარმოადგენს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისაყენ წადგმულ ნაბიჯს. თუმცა კი, როგორც აქვეა ნათქვამი, ბროსეს „სოციალოგიური“ კვლევებებები მის შემოქმედებაში ახსენითადა და იყვნენ დაკავშირებული ქვეყნის წარსულსა შესწავლასთან, არ იყვნენ გამოყენებული ისტორიული განვითარების ახსნისათვის. ამდენად ბროსეც ჭერ კიდევ შორს

იდგა ნამდვილი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიული თვალსაზრისისაყენ. **გეგმის შესახებ** ასეთია ავტორის უმთავრესი დასკვნები: ბროსეს მეცნიერული შემოქმედების შესახებ.

საჭიროა ამათავე აღინიშნოს, რომ ავტორი სამართალიანად იქცევა, როცა თვლის, რომ ბროსე თავისი შემოქმედებით არა მარტო მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ ისტორიოგრაფიასთან, არამედ თვითონაც მისი შემადგენელი ნაწილია. ავტორი უთვოდ სწორია, როცა დაზუსტებით უაყოფს იმ მკვლევართა აზრს, ვისაც მიაჩნია, რომ ბროსე ქართული ისტორიოგრაფიის მიღმა დგას და იგი მხოლოდ უცხოური ქართველოლოგიის წარმომადგენლად უნდა ვცნათ.

მიუხედავად ამისა, წიგნის ამ ნაწილში, ავტორის მსჯელობა მინც ვერაა საყენებით ამოჭრადი, კერძოდ იგი ვერაღს უდის აყად. ნ. ბერძენიშვილის მეტად ვაგრეულულ შემდგენლებას XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის ხასიათის შესახებ, როგორც ცნობილია, აყად. ნ. ბერძენიშვილი თვლიდა, რომ მარი ბროსეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური თე შემოქმედებითი იდეალები საქართველოსა თე ქართველებს მიღმა ჩამოყალიბდა, ამიტომაც ბროსეს შემოქმედება ცალკე დარბა, ქართული ისტორიოგრაფია კი სულ სხვა გზით წარმოართა. ამიტომაც იყო, რომ ბროსეს შემოქმედებამ და ქართულმა ისტორიოგრაფიამ ვერ შექმნეს ორგანული მთლიანობა. ნ. ბერძენიშვილის თქმით: XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია დაეყენა განიცდობდა „ბატონიშვილები, ო. ბერძენიშვილი, ნ. დანიანი, ალ. კეკელიძე, ალ. ორბელიანი, პლ. იოსელიანი და მორუსული სულხან ბარათოვი დიდად ჩამოუყარდებოდნენ ვახუშტის, ზოლო კულტურულ ხალხთა თანამედროვე ისტორიოგრაფიის სინათლეზე ისინი განსაკუთრებით ნამორჩენილად გამოიყობდნენ.

XIX ს-ის დიდ მანძილზე ქართული ისტორიოგრაფია მეტად არახელსაყრელ პირობებში მოექცია. ვადაგუარების გზაზე შემდგარი თავდაზნაურობისათვის საქართველოს ისტორია წარსული დროის რომანტიკული მოგონებადა იყო მხოლოდ. საიქოსსაყენ პირშიქციულს მომკიდვე წოდებას ისტორია პრაქტიკულად აღარ იჭირთდა... ასეთ პირობებში ვასყვება, თე საქართველოს ისტორიის დამუშავების საქმე უცხოელთა ხელში გადავიდა. მარი ბროსე, რომელმაც ჩვენი ისტორიის დამუშავების საქმეს ესოდენი ღვაწლი დასდო, ქართული ისტორიოგრაფიის ვარემე დგას (ამდენადვე ადვილად ვასყვება, რომ ბროსეს მეცნიერული შემოქმედების ათევისებულ საქართველოს ისტორიის დრავში და მის წამოწყებათა ვამგრძელებელი დიდხანს არაყენ იყო ჩვენიში).

უფიქრობთ, მონოგრაფიის ავტორი, რომ

მელიე ბროსეს შესახებ წერდა და რომელსაც ფრანგი მეცნიერი სამართლიანად შემოკავდა ქართული ისტორიოგრაფიის მაგისტრალში, პირდაპირ ვალდებული იყო ამ კონცეფციის, ხეშოთხოვანილის, ანალიზი მოეთქვა; მითუმეტეს, რომ ზენე სამეცნიერო ლიტერატურაში ბერძენიშვილის თვალსაზრისი ფართოდაა გავრცელებული.

ამასთანავე ბროსეს ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში შემოყვანის შემდეგ ავტორი აღარას ამბობს, თუ როგორღა წარმოუდგენია XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის საერთო ღრუბულება. კარგი კი იყო ავტორი ამ საკითხსაც სპეციალურად შეხებოდა, მითუმეტეს, რომ ამჟამად ეს პრობლემა არა მარტო მეთოდოლოგიურადაა საინტერესო, არამედ იმიტომაც, რომ იგი პირდაპირაა დაკავშირებული ბროსესათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში ავტორის მოქმედებაში.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის, განსაკუთრებით კი პირველი მესამედის ქართული ისტორიოგრაფია, კვლავაც განიცდიდა განვითარებას, ოღონდ ეს იყო ახლა ფეოდალური ქართული ისტორიოგრაფიის უკანასკნელი ეტაპის ხანა, როცა მეცნიერების დასახლებული დარგი არსებული ისტორიულ პირობებშიც კი (1801 წ. ცნობილი აქტის შემდეგ) ბოლომდე ინარჩუნებდა თავის პროგრესულ-რეფორმისტულ სულს. ამა ვის შეუძლია უარყოს ის ფაქტი, რომ მარტო ბატონიშვილების ისტორიოგრაფიული სკოლაც კი, თავი რომ დაეანებოთ აღ. ქვეყნების მსგავს მონღავეებს, მცირე ვა-პოკლებით, თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსით ბოლომდე დარჩა საქართველოს პროგრესულად განვითარების მტკიცე გეგმის მომხრე; ბზროლა იდეოლოგიური და კულტურულ-ეკონომიური გარდაქმნებისა თუ რუსეთთან კავშირისათვის 1783 წ. ტრაქტატის საფუძველზე; 1801 წლამდე, ამის შემდეგ კი იმავე ტრაქტატზე მითითებითა თუ მისი დაკვის პირობით ასეთივე ენერგიული მომხარობა ცარიზმის ანექსიონისტური პოლიტიკისა და არა საერთოდ რუსული ორიენტაციის წინააღმდეგ, დართო მასშტაბის „ეკრაპიზაციის“ სურვილი და საკუთარი სახელმწიფოებრიობის მოშლინ მძიმე პირობებში კულტურული თვითმყოფისათვის, მისი დაკვისათვის, ისტორიოგრაფიის გამოყენება მეზობლ იარაღად, და განა, უკვლავ აქედან გამომდინარე ქართული ისტორიოგრაფიის პოლიტიკური ზომანტიზმი მართოდენ მისი შემქმნელი კლასის — თავდაზნაურობის დეგრადაციის გამომხატველი იყო?

რთქმა უნდა, არა. ამიტომაც ეს ფაქტი აქამდე თითქმის გამოუსადეგარია XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის მთლიანი დეკადანისი შემოშობად. მითუ-

მეტეს, რომ ქართული ისტორიოგრაფიის ქარკილევ XIX საუკუნიდან შემქმნელ-ეფექტოგვიან კი კანონიზებული რეჟიმში, რეჟიმში პირველ ნახევარში არ იყო რაღაც იზოლირებული მიმდინარეობა. იგი აღმოცენებული იყო პროგრესულად მოაზროვნე ქართული თავდაზნაურობის ერთი გველის შიგნით და გველიწებოდა შემდგენელი ელემენტად იმ სახალხი-განმათავისუფლებელი და საქართველოს უკეთესი მერმისისათვის მეზობლი იდეოლოგიისა, რომლის მსგევერადაც 30-40-იან წ. წ. საბოლოოდ დამკვიდრდნენ სოლიმონ დოდაშვილსათუ უფრო გვიან ნეკლოზ ბარათაშვილისებური მონღავეები, თერგდალეულთა უშუალო წინამორბედები ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში (ცეკქრობთ, აღნიშნული ხაზით მსგელობის წარმართვისას კილევ უფრო სითელი ვაბდებოდა, რომ მოწინავე ქართველმა საზოგადოებრიობამ და კერძოდ XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიამ ბროსეს შემოქმედება იმიტომაც შეისისბხოცა, რომ მასში თავისი დროისათვის დამკვიცოფილებული პასუხი იპოვნა ბევრ ისეთ საკითხზე, რომელიც მას აინტერესებდა არა მარტო გათვითცნობიერებისათვის, არამედ იმ შერატული თავმოყვარეობისა თუ ერთგულების სამაყის დამშვიდებისათვის, რასაც მძიმე პოლიტიკური რეჟიმის გამო ის უკვე დამოუკიდებელი ძალეობით ევლარ, ან მცირედღა თუ ახერხებდა ვანასე არ ესმოდათ ბროსეს მნიშვნელობა და ფაისთერგდალეულთა დიდ წარმომადგენლებს?).

სარევეზნით მონოგრაფიაში უფროდ საინტერესო და მისაღებია, აგრეთვე, განცხადება იმის შესახებ, რომ ბროსეს მუშაობა და მსგელობა ძველი საქართველოს სოციალურ ორგანიზაციასზე სწორედ რომ ბერძენიშვილი ისტორიოგრაფიისაკენ წადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

მსგელობად ჩანს, რომ ავტორი დინტერესებულია იმ საკითხებით, რომლებიც ზენეს სამეცნიერო ლიტერატურაში ქვრ კილევ თითქმის შეუსწავლელად ითვლება. კერძოდ, ესაა ფეოდალიზმის კონცეფციისა და საერთოდ ბერძენიშვილი ეტაპის ფორმირების საკითხი ქართული ისტორიოგრაფიაში.

ბერძენიშვილი ეტაპის ფორმირება ქართული ისტორიოგრაფიაში უმთავრესად ორი მიმართულებით ხდებოდა. პირველი, ეს იყო ზოგადა-მეთოდოლოგიური, უმთავრესად მზამზარეული შეხედულებების გავრცელება ფეოდალიზმის არსებობისა და არას შესახებ ძველ საქართველოში, მეორე გზა კი გულისხმობდა წყარო-მცოდნეობითი ბაზის ვაფართოებას, ფეოდალური ისტორიოგრაფიის, უმთავრესად აქართლის ცხოვრების“ სქემის უარყოფას და ამის ნიადაგზე საქართველოს ისტორიის პრობლემათა არეალის გაზრდას. მეორე, ზენეს მიერ მი-

თითებული ტენდენცია ქართული ისტორიოგრაფიის ორგანული განვითარების შედეგი იყო და პირდაპირ კავშირში იმყოფებოდა ჯერ კიდევ XVII ს. დასაწყისშივე შემუშავებულ ტრადიციებთან (ვახტანგ VI-ის სკოლა, ვახუშტი...).

რაც შეეხება ფეოდალიზმის, ევროპული კონსტრუქციების მიხედვით შემუშავებულ წარმოდგენებს, როგორც ვთქვით, ქართულ ისტორიოგრაფიაში ისინი მზამზარეული ფორმით ვრცელდებოდნენ და უმთავრეს შემთხვევაში ეკლექტიკური აზროვნების ნიმუშებს ქმნიდნენ.

ბროსე ერთერთი პირველი იყო მათ შორის, ვინც ფეოდალიზმის არსებობის ფაქტს, და ისიც ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიით, გადაჭრით სცნობდა ძველ საქართველოში. ამავე გზას ვაძყენენ შემდეგში ბროსეს თანამედროვე და მომდევნო ქართველი ისტორიკოსებიც: პ. იოსელიანი, ს. ბაჩათაშვილი, უფრო მოგვიანებით და უფრო ვალდებულნი წარმოდგენებით: დ. ბაგრატი, დ. ჩუბინაშვილი, განსაკუთრებით კი ალ. ხახანაშვილი. და ნ. ხახანაშვილი და სხვ, რომლებიც სწორედ რომ ბურჟუაზიული ისტორიკოსები იყვნენ. მიუხედავად ამისა ყველა ამ ისტორიკოსთა „სოციოლოგიური“ წარმოდგენებიც, ბროსესი არ იყოს, ჯერ კიდევ ზედამართლად იყო დაკავშირებული საქართველოს ისტორიის შინაგანი განვითარებას ერთიან პროცესთან. მაგრამ არსებითი, რაც XIX ს. მეორე ნახევრის, თერგდალეულთა თაობის ისტორიკოსებს ბროსესაგან აშკარად განასხვავებდა, ეს იყო ფეოდალიზმის, როგორც სის-

ტემის, სრული ნეგაცია ბურჟუაზიულ-სოციოლოგიური პოზიციებიდან. ამ პოლიტიკური პოზიციებიდან დაიწყო ზრდა ბურჟუაზიული ქართულმა ისტორიოგრაფიამ. ასე რომ, თუ ჩვენ მარი ბროსესაც ამ კუთხით შევაფასებთ, საესებოთ ნათელი იქნება, როგორც ამას შ. ხანთაძეც ამტკიცებს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბროსეც ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ერთერთი უაღრესი წარმომადგენელი იყო და თუმცა ის ჯერ კიდევ ფეოდალური ისტორიოგრაფიის კონსტრუქციებს მისდევდა საქართველოს წარსულის ზოგადისტორიული პროცესის საჩვენებლად, მაგრამ ამავე დროს უკვე არსებითად სცილდებოდა კიდევ მას, თვითონ ფაქტი, რომ ბროსემ მწვავედ დასვა საკითხი „ქ. ცხ-ის“ შევსებისა ახალი წყაროებით, მთელი რიგი „სოციოლოგიური“ საკითხების დამუშავებისა. — ნიშნავდა, რომ ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია განვითარების ახალ გზებს ეძიებდა და ცდილობდა არსებულ დონიდან თავის დაღწევა-ამაღლებას.

საერთოდ კი ბროსეს დროს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე უმთავრესად ევროსტიკული პრობლემები იყო აღმართული და გამოჩენილი მეცნიერის შრომა თუ ღვაწლი ძირითადად ამ მიმართებით მიმდინარეობდა.

ასეთი იყო ის ღვაწლი, რომლის დახასიათებამაც მივღვეს შ. ხანთაძის საინტერესო, პროფესიულად გამართული ისტორიოგრაფიული წიგნი.

შოთა ბაღრაძე

2

ՅՆԿ 80 ՎՎ.


И Н Д Е К С
76128

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»